კვირის პალიტრა

№ 40 (400) ◆ 7 – 13 ოქტომბერი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

კვირის თემა

„ამერიკა არ იძუნწებს, თუმცა გვარიანად აწრუწუნებს რუსეთს“

შევარდნაძემ პუტინს დაბადების დღისთვის „ძვირფასი საჩუქარი“ მიართვა, მაგრამ რუსი რისი რუსია, და – „это мало“-ო, – გაისმა მოსკოვიდან.

„ქართული მხარე ასეთ დათმობებზე არ უნდა წავიდეს რუსეთთან და პოლიტიკური ვაჭრობის საგნად უნდა აქციოს ჩეჩენ ბოევიკთა საქმე. ასე იოლად ჩეჩნების გადაცემისკენ გადადგმული ნაბიჯები რუსეთისგან მადლობას მაინც არ დაიმსახურებს.

საგარაუდოდ, ასლან აბაშიძე აპირებს უშუალოდ გადამოწმებას იმ ფაქტებისა, თუ რამდენად სერიოზულია ამერიკის გეგმები საქართველოში და თუ იძებნება მისი ადგილი ამ პროცესებში. ვფიქრობ, იგი დაინახავს თავის ადგილს და მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც თუ არ მოხსნის, შეამცირებს მაინც თბილისსა და ბათუმს შორის ოდიოზურ დისტანცირებას...“

გვ.3

სტრასბურგის სასამართლოს რეკომენდაციამ ჩეჩნებს ველარ მოუსწრო...

როდესაც ჩვენი თანამშრომლები ჩხრეკის ჩასატარებლად საკანში შევიდნენ, პატიმრები „მომზადებულნი“ დაგვხვდნენ. კედლიდან აგურები გამოუძვრიათ, გაუხდიათ შარვალი, შიგ აგურები ჩაუწყვიათ და ტოტების ბოლოები თასმებით შეუკრავთ, შარვალს ხელში ატრიალებდნენ და საწოლიდან მომტვრეული რკინის ნაჭრებით შეიარაღებულნი დანებებას არც აპირებდნენ.

გვ.5,11

ჩეჩენი პატიმრები შეიძლება შეიწყალონ?!

ოპერაცია „შოუ“ მალე დამთავრდება?!

მის ოჯახს ამის დიდი იმედი აქვს...

გვ.11

„რამდენიმე დღის წინ, შს მინისტრმა თქვა, რომ პიტერ შოუ ცოცხალია“



საქართველოს მღვიმეებიდან მოპარული სტალაქტიტებით რუსეთის სუვენირების მაღაზიები მარაგდება

გვ.6

სამხედრო თემაზე:

შეიძლება თბილისსაც მოსწვდნენ...

გვ.8

ჩრდილოეთიდან საზღვარს მომდგარმა რუსულმა საველე არტილერიამ ჭურვები სასაზღვრო ზოლს გადმოაცილა. სამწუხაროდ, უსაფრთხოდ თავს ვერც საქართველოს დედაქალაქი იგრძნობს, რომ არაფერი ვთქვათ სხვა, უფრო ჩრდილოეთით მდებარე ჩვენს დასახლებულ პუნქტებზე.

ომის მონაწილე 200 დოლარად?!

არავინ გამორიცხავს, რომ ყალბ ცნობებს თავდაცვის სამინისტროშიც შეიძლება გასცემდა ვინმე, მაგრამ რეჟორმაგავლილი ზოგიერთი მოსამართლისგან ამგვარს ნამდვილად არავინ მოელოდა. სულ რაღაც ორასიოდე დოლარად ომის მონაწილის ცნობას იოლად „იყიდდით“.

ჩრდილოეთ ოსეთში დაბრიალებული ბრაგელია საქართველოშიც შეიძლება განმეორდეს?!

„არავის შეშინებას არ ვაპირებ, მაგრამ ცხადია, რომ ამჟამად საქართველოს კავკასიის მყინვარები სწრაფი ტემპით განაგრძობენ დნობას.“

„თუ ტემპერატურის მატება გაგრძელდა, გარეგნობითაც შეიცვლებით და ისეთი შესახედაობები ვიქნებით, როგორებიც არიან ტროპიკული ქვეყნების მცხოვრებნი. ჩვენი პროგნოზით, შეიცვლება კავკასიონის მაღალმთიანეთი.“

გვ.6,13

მეცნიერთა პროგნოზები

„კვირის პალიტრამ“ დიდი ხნის დაუბრებული მამა-შვილი ერთმანეთს დაუბრუნა

გვ.21

გულწრფელად ვუერთდებით მათ სიხარულს!

„უარს არ ვიტყოდი ოლიგარქობაზე“

ფილმ „ოლიგარქში“ მთავარ როლს (ანუ ბერეზოვსკის) ცნობილი მსახიობი ვლადიმირ მაშკოვი თამაშობს, ერთგულ მეგობარს (ანუ პატარკაციშვილს) კი ქართველი ლევან უჩანეიშვილი.

გვ.14

უჩანეიშვილმა მაშკოვი დაჩრდილა!

ვერსია

„ყაჩაღობა“ გენაცვალე-შენი ქირიშის თანხლებით...

გვ.10

– ჯერ არ მსმენია, ვინმეს გენაცვალე-ჭირიმეთი მთელი ავლადიდება თავისი ხელით რომ ჩაეწყოს ქურდებისათვის. ერთი ეს ტვირთი მშვიდობიანად დავაბინავოთ და მერე ვიცინოთ გულიანად. თუ ჭკვიანად ვიქნებით, კარგა ხანს აღარ მოგვიწევს ხელის განძრევა.

„დაკარგული“ მართვის მოწმობიდან რეზო საყვედურით უმზერდა. მოეჩვენა, რომ ფოტოსურათი ალაპარაკდა, ხმაც ჩაესმა: – ეს რა ჩაიდინე, შე არაკაცო. როგორ გამიმეტე. წყეულიმც იყავ! წყეულიმც იყავ!

მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

პოლენის დოკუმენტი სავსებით მისაღებია

თბილისში ზედიზედ ვიზიტებით ჩამოსულმა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების საგანგებო წარმომადგენლებმა აფხაზეთის კონფლიქტის საკითხებზე მოლაპარაკებებში რუდოლფ პერინამ და ბრაიან ფოლმა, პრეზიდენტ შევარდნაძესთან ცალ-ცალკე გამართული შეხვედრების შემდეგ განაცხადეს, რომ განიხილეს კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა საკითხები. პერინამ და ფოლმა ხაზგასმით დააფიქსირეს, რომ ე.წ. ბოდენის დოკუმენტი აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ ვაშინგტონისა და ლონდონისთვის სავსებით მისაღებია და რომ ამერიკული და ინგლისური მხარეები შეეცდებიან დაარწმუნონ სოხუმის რეჟიმი ამ დოკუმენტის მიღების აუცილებლობაში!

ბელორუსი სავიზო რეჟიმის შემოღებას არ აპირებს

„ბელორუსი, რომლის ტერიტორიის გავლით საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ შეუფერხებლად გადავიდნენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის ნებისმიერ წერტილში, საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებას არ აპირებს“, — განაცხადა პრესკონფერენციაზე ბელორუსის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრ გერასიმენკომ. ჯერჯერობით, უცნობია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაქცია ბელორუსის ამ პოზიციის გამო. ექსპერტთა თქმით, მოსკოვი ალბათ პროტესტს არ გაუგზავნის ოფიციალურ მინსკს საქართველოს მოქალაქეების რუსეთში უვიზოდ შესვლის უფლების გამო, რადგან რუსეთ-ბელორუსს ორმხრივ ურთიერთობებში ისედაც უამრავ საკითხზე აქვთ დაპირისპირება...

ხელი სვეტიცხოვლობას ეროვნებება

სვეტიცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს, 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლის ტაძარში პრეზიდენტი შევარდნაძე და კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ხელს მოაწერენ საკონსტიტუციო შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. დოკუმენტი საჯარო განხილვით პარლამენტის ინტერფრაქციულ ჯგუფში მომზადდა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსს განსაზღვრავს. ექსპერტთა თქმით, ეს დოკუმენტი წარმოადგენს „ოპტიმალურ და სრულყოფილ ვარიანტს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობისა“, რომლის ძირითადი არსიც მდგომარეობს იმაში, რომ შენარჩუნებულია ისტორიული გამოცდილებაც და გათვალისწინებულია თანამედროვე მოთხოვნებიც!

საჭიროა, მაგრამ ფული არ არის...

პარლამენტში დავა-კამათი დაიწყო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის არასრულყოფილად დაფინანსების გამო. საქართველოს ირგვლივ მიმდინარე ურთულესი პროცესების ფონზე, ჩვენი ქვეყნის საზღვარი მხოლოდ პირობითადაა მონიშნული და ოთხი მეზობელი ქვეყნიდან ოფიციალური სასაზღვრო-გამყოფი ზოლი მხოლოდ თურქეთთან გადის. რუსეთთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან კი, უსახსრობის გამო, საქართველო ვერ ახერხებს საკუთარი საზღვრების დემარკაციის პროცესის დასრულებას, შესაბამისად, სრული განკარგულების სუფევს ამ საზღვრებზე. ვალერი ჩხეიძის უწყებას კი დაფინანსება ყოველწლიურად უმცირდება. მეტიც, წლეულს კუთვნილი 9 მილიონი ლარიდან 6 მილიონიც არა აქვს მიღებული. რასაც ღებულობს, იმასაც მხოლოდ ხელფასებზე ხარჯავენ. სასაზღვრო დეპარტამენტისთვის დაფინანსების გაზრდა არც 2003 წლის ბიუჯეტშია გათვალისწინებული!

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის რომან გოცირიძის განცხადებით, სახელმწიფო ბიუჯეტი საკმაო რეზერვებს ფლობს საიმისოდ, რომ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის შესაბამისი სათანადო სახსრები მოპოვოს. მისი თქმით, დაუშვებელია წლების მანძილზე ფინანსდებოდეს მწერალთა კავშირი და სხვა „იდეოლოგიური ინსტიტუტები“, მაშინ როცა გახსნილია სახელმწიფო საზღვარი! ნორმალური ფუნქციონირებისთვის ქართველ მესაზღვრეებს და დეპარტამენტს მინიმუმ 25 მილიონი ლარი სჭირდებათ, თუმცა პარლამენტშიც და საზღვრის დეპარტამენტშიც იმედი არა აქვთ, რომ გაისად ამის ნახევარს მაინც მიიღებენ.

გრანტებზე მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ფინანსთა სამინისტროს სასამართლოში უჩივლა ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული იმ ბრძანებულების გამო, რომლის თანახმად არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გრანტების მიღებაზე მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს. დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფოს უფლება ეძლევა შეამოწმოს ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტებისა და ჰუმანიტარული დახმარებების მიზნობრიობა. არასამთავრობოები ამ დოკუმენტს უკანონოს უწოდებენ და აცხადებენ, რომ ამას შეიძლება საქართველოდან უცხოეთის დონორი ორგანიზაციების წასვლა მოჰყვეს.

დამთავრდა, დამთავრდა!...

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაასრულა თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგების გადამოწმება და 454 ტომარაში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენები პირწმინდად გადათვალა. მიმდინარე კვირას კი დაიწყება საარჩევნო სიების კომპიუტერული გადამოწმება, რათა ე.წ. კარუსელებისგან მოკრებილი ხმები გამოირიცხოს. ამის შემდეგ არჩევნების საბოლოო შედეგებს ცეესკოს სხდომაზე გაიტანენ დასამტკიცებლად, თუმცა უკვე ცნობილია, რომ „ახალი შედეგები“ თბილისის საკრებულოს მანდატებზე დიდ გავლენას არ იქონიებს!

კიდევ ერთი დაპირისპირება

ფრაქცია „21-ე საუკუნის“ წევრებმა ანტიკორუფციული საბჭოს წინააღმდეგ გაიღაშქრეს და მისი, როგორც კორუმპირებული და არაფრისმაქნისი სტრუქტურის გაუქმება მოითხოვეს. დეპუტატთა რისხვის ობიექტები იყვნენ ანტიკორუფციული საბჭოს ხელმძღვანელი კახა უგულავა და საბჭოს წევრი გივი თარგამაძე. საინტერესოა, რომ ფრაქცია „21-ე საუკუნის“ მიერ პარლამენტში გამართულ სხდომაზე ერთდროულად გამოცხადდნენ ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობით უკმაყოფილო პირები, რომლებიც დამსწრე საზოგადოებას მოუთხრობდნენ გივი თარგამაძის „ხულიგნურ ქმედებებზე“, აცხადებდნენ მას იეღოველთა დამცველად, ადანაშაულებდნენ ქართული ტრადიციების უგულებელყოფაში. უგულავა და თარგამაძე კი მათ წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებს პირდაპირ უკავშირებენ ანტიკორუფციული საბჭოს ძალისხმევით შინაგან საქმეთა სამინისტროს საფინანსო განყოფილების უფროსის დავითაიას გადაყენებას პოსტიდან, რამაც მათივე თქმით ძალიან გაანაწყენა ფრაქცია „21-ე საუკუნის“ დეპუტატები. უგულავამ კიდევ ერთი მიზეზი დაასახელა საბჭოს მიმართ აგორებული კამპანიისა. მისი განცხადებით, „21-ე საუკუნის“ წარმომადგენელს, პარლამენტარ ანზორ აბრალავას არ სურს ქონების მართვის სამინისტროს გარდაქმნა ჰოლდინგად, რადგან ამ სამინისტროს აკონტროლებს აბრალავას კომიტეტიო!

„რუსეთი ჩემი მეზობელია“

სოციალისტთა ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ახლახან არ დანიშნეს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელად, რომელსაც მოლაპარაკებები უნდა გაემართა რუსეთის დუმაში, მაინც ეწვია მოსკოვს. ამჯერად, რჩეულიშვილმა ამ ვიზიტისთვის ლოცვა-კურთხევა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისგან მიიღო და მოსკოვში ჩასვლისთანავე რუსეთის პატრიარქ ალექსი II-ს შეხვდა და მას გადასცა „რუსეთი ჩემი მეზობელია“ დევიზით საქართველოში შეგროვილი მილიონი ხელმოწერის დამადასტურებელი დოკუმენტი.

შეხვედრის ძირითადი მიზანი კი, თავად რჩეულიშვილის თქმით, იყო შევარდნაძე-პუტინის მოლაპარაკების დალოცვა რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების პატრიარქთა მიერ და თხოვნა, რათა მათ გამოძებნონ საერთო ენა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზებისთვის.

რა თქვა შევარდნაძემ კიშინიოვის საიმედოს წინ?

კიშინიოვში დსთ-ის ლიდერთა სამიტზე გამგზავრების წინ პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ პუტინთან შეხვედრისას და ლიდერთა სხდომაზეც არ გაამწვავებს რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ მძიმე ურთიერთობების თემას, რადგან დარწმუნებულია იმ კანონზომიერებაში, რომ არასტაბილური საქართველო ისევე მიუღებელია რუსეთისთვის, როგორც საქართველოსთვისაა მიუღებელი არეული რუსეთი.

სად არის პიგერ შოუ?

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დაიბარეს ჩეჩნური დიასპორის თავკაცი ხიზრი ალდამოვი და პიტერ შოუს გატაცების საქმის გარემოებებზე დაჰკითხეს...

მართალია, ალდამოვი უარყოფს პიტერ შოუს საქმეზე დაკითხვის ფაქტს, მაგრამ გენერალური პროკურატურიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, გამოძიება ცდილობდა დაედგინა ან რაიმე ინფორმაცია მიეღო პიტერ შოუს ადგილსამყოფლის შესახებ. გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, რომ ალდამოვს კიდევ დაჰკითხავენ და იმედი აქვთ, რომ ბრიტანელ ბანკირს მალე მიაკვლევენ და გაათავისუფლებენ.

რადიაციული ნარჩენები გუდაუთაში

საქართველოს მწვანეთა პარტიის ლიდერის გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, გუდაუთის რაიონის ახლოს სეპარატისტთა რეჟიმმა რადიაქტიული ნარჩენების სამარხი გახსნა, რაც საფრთხეს უქადის მოსახლეობას. ამ ინფორმაციას ადასტურებს გაჩეჩილაძის ხელთ არსებული საერთაშორისო ატომური ენერგეტიკის სააგენტოს დოკუმენტი. გაჩეჩილაძის მტკიცებით, ახალ სამარხში სომხეთის და რუსეთის რადიაქტიური ნარჩენების დიდი რაოდენობით კონცენტრირება მოხდა. შედეგად, გუდაუთელებს უკვე აღმოაჩნდათ კანის სპეციფიკური დაავადებები, რომლებიც მკურნალობას არ ექვემდებარება!

რუსი და ქართველი ჟურნალისტები

სოროსის ფონდის ინიციატივითა და დაფინანსებით ლიკანში გაიმართა ქართველ და რუს ჟურნალისტთა შეხვედრა-სემინარი, სადაც რუსეთ-საქართველოს გამწვავებულ ურთიერთობებსა და რუსეთის მასმედიაში მძვინვარე ანტიქართული ისტერიის, დეზინფორმაციისა და ფაქტების შეგნებულად დამახინჯების მიზეზებსა და პრობლემებზე იმსჯელეს.

თავისუფალი რუსი ჟურნალისტების განცხადებით, რუსეთის დღევანდელი ოფიციალური მედია და პროპაგანდა ფაქტობრივად არ განსხვავდება საბჭოთა კავშირის დროინდელი მასმედიისგან და მეტიც, ხანდახან აჭარბებს კიდეც სიცრუესა და დეზინფორმაციაშიო! რუსი ჟურნალისტები აფიქსირებენ იმ სამწუხარო ფაქტსაც, რომ დღევანდელი რუსეთი გაყოფილია ორ არათანაბარ ნაწილად, რომლის უმცირესობასაც წარმოადგენს რუსი საზოგადოების ინტელექტუალური წრეები. მათ შესანიშნავად იციან, რას ნიშნავს რუსეთისთვის საქართველოსთან მეგობრობა და რა ძვირფასი ფენომენია რუსეთისთვის საქართველო, უმრავლესობა კი მთლიანად ენდობა ოფიციალური პროპაგანდის მონაჩმახებს საქართველოს შესახებ! რუსმა და ქართველმა ჟურნალისტებმა იმსჯელეს იმის შესახებაც, თუ როგორ იმუშაონ კოორდინირებულად მოსახლეობისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების მიზნით...

„რევოლუციური კონცეფცია“ აპრობირდება

უშიშროების სამინისტროსა და სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმირებაზე მიმდინარე 10-თვიანი მუშაობა დასრულდა და „რევოლუციურ კონცეფციად“ მონათლული დოკუმენტი ხელმოსაწერად უკვე გადაეცა პრეზიდენტს. კონცეფციის თანახმად, გამარტივდება გამოძიების პროცესი, უშიშროების სამინისტროს ბაზაზე შეიქმნება სახელმწიფო უშიშროების სამსახური, გაერთიანდება მოკვლევისა და გამოძიების პროცესი. გამოძიების დაწყების მომენტიდანვე ეჭვმიტანილი ბრალდებულის სტატუსს მიიღებს, გაუქმდება გამოძიებისას პიროვნების ბრალდებულის სახით პასუხისგებაში ყოფნის 24-თვიანი ვადა, შეიქმნება საგამოძიებო ორგანოები შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროებში, სახელმწიფო უშიშროების სამსახურში, საზღვრის დაცვის დეპარტამენტში, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებით დეპარტამენტსა და სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურში! პროკურატურის რეფორმა კი მოქმედი 90 პროკურატურიდან 30-40-ის დატოვებას ითვალისწინებს. სამხედრო პროკურატურის გარდა, გაუქმდება სპეციალიზებული პროკურატურები, აღარ იარსებებს პროკურატურის გამომძიებლის ინსტიტუტი! გამოძიების დასაწყისშივე ერთდროულად ჩაერთვებიან პროკურორი და გამომძიებელი. გამოძიების შედეგზე პასუხისმგებლობას მთლიანად აიღებს პროკურატურა.

საქართველო „უპატრონო ქვეყანაა“!

მთავრობის სხდომაზე გენერალური პროკურორისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებები მთლიანად მიეძღვნა ლტოლვილთა პენსიებისა და დახმარებების დიდი ოდენობით დატაცების ფაქტებს. ითქვა, რომ 2000 წლიდან დღემდე სახელმწიფო მოხელეებმა და საფოსტო ბანკის ზუგდიდის ფილიალის ხელმძღვანელებმა 5 მილიონი ლარი მიითვისეს. ნუგზარ გაბრიჩიძე დაჰპირდა პრეზიდენტს და საზოგადოებას, როგორც კი გამოძიება დასრულდება, ყველა ამ თანამდებობის პირს და მოხელეს დავასახელებთ და პასუხისმგებაში მივცემთო! სულ ლტოლვილთა თანხების დატაცების ფაქტებზე... 200-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული! ამ ინფორმაციით განრისხებულმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ საქართველოს „უპატრონო ქვეყანა“ უწოდა და აღნიშნული სახელმწიფო მოხელეების პარალელურად გამგებლების, მერებისა და თვით რწმუნებულების პასუხისმგებლობის საკითხის დასმით დაიმუქრა...

იდიოტიზმი თუ სიმართლე?

„აღორძინების“ წევრმა ჯონდი ბაღათურიამ თამაზ ნადარეიშვილის მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები წარადგინა პრესკონფერენციაზე და განაცხადა, ნადარეიშვილი ლტოლვილთათვის განკუთვნილი ფულით გამდიდრდაო!

სხვათა შორის, პრესკონფერენციაზე არ შეუშვეს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები, რასაც გაწევ-გამოწევა მოჰყვა... ბაღათურიამ ნადარეიშვილი არძინბას... მოკავშირედ გამოაცხადა და ერთობლივ მაფიოზურ საქმიანობაშიც დაადანაშაულა, რომლის მიზანიც, ბაღათურიას თქმით, აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენისთვის ხელის შეშლააო(!). ამ განცხადებას ნადარეიშვილმა სიგიჟე და იდიოტიზმი უწოდა!

დაკავებულია მკვლელობაში ეჭვმიტანილი

„ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი, დაცვის პოლიციის თანამშრომელი დავით მჭედლიძე დაკავებულია. გამოძიების მტკიცებით, ბალისტიკური ექსპერტიზის თანახმად, ლომინაძეს მჭედლიძის ტაბელური იარაღით ესროლეს...

საიდუმლო თათბირი გასაიდუმლოებულ ვითარებაში

პარლამენტის ბიუროს დარბაზში ფრიად გასაიდუმლოებულ ვითარებაში წარიმართა მოლაპარაკება ასევე გასაიდუმლოებულ თემაზე მანანა არჩვაძე-გამსახურდიასა და დეპუტატთა ჯგუფს შორის, თუმცა მოლაპარაკება, ჩაშლილად გამოცხადდა. მხარეებმა კატეგორიული უარი თქვეს ყოველგვარ კომენტარზე, თუმცა „გაჟონა“ ინფორმაციამ, რომ არჩვაძე-გამსახურდია გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობის დაკანონებას ითხოვდა...

ეროვნული საუნჯის განაღგურების მორიგი ფაქტი

გაიძარცვა საქართველოს ეროვნული გალერეის საცავი. ქართული ქანდაკებების ფონდი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ბარბაროსებმა ქართველ მოქანდაკეთა ყველა ნაწარმოები წაიღეს, რომლებიც კი ფერად ლითონს შეიცავდა. მათ შორის არის იაკობ ნიკოლაძის, ელგუჯა ამაშუკელისა და მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებები. მომხდარის მიზეზი გახდა საცავის უპატრონოდ მიგდება და განუკითხაობა. მძარცველები ქანდაკებებს ამსხვრევდნენ ძვირფასი ლითონების მისაგნებად და შედეგად, ის ნაწარმოებებიც გაანადგურეს და დააზიანეს, რომლებსაც გრამი ლითონიც არ ჰქონდა...

მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ უშველის კი მძარცველთა დაკავება განადგურებულ ქანდაკებებს, ერთ-ერთ ჩვენს ეროვნულ სიამაყეს?!

„თბილწყალკანალის“ გმირობანი

„თბილწყალკანალმა“ დავალიანების გამო წყლის მიწოდება შეუწყვიტა ხუთ საავადმყოფოს მანამ, სანამ ვალს არ გადაიხდიან. ამ ეგზეკუციამ ის მოიტანა, რომ მაგალითად, დიღმის ბავშვთა საავადმყოფოს ხელოვნური თირკმლის განყოფილება მთლიანად პარალიზებულია. უწყლობის გამო ავადმყოფების სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა. საინტერესო ის გახლდათ, რომ „თბილწყალკანალის“ ეგზეკუტორები ღამით შევიდნენ საავადმყოფოს შენობაში და წყლის მილები გადაჭრეს, რის შედეგადაც წყალი ნიაღვრად დიოდა მთელი ღამის მანძილზე. ანალოგიურ მდგომარეობაში არიან სხვა სამედიცინო ობიექტებიც.

პურით მოვაჭრეები დაპორჩილებას არ აპირებენ

თბილისის მერიამ გადაწყვიტა, დედაქალაქის ბაზრობების მიმდებარე ტერიტორიებზე პურით ვაჭრობას წერტილი დაუსვას და გარემოვაჭრეებს სთავაზობს, ბაზრობებსა და მაღაზიებში დასაქმებას, თუმცა მოვაჭრეები ეჭვით უყურებენ ამ წინადადებას. მერიაში იმასაც ამბობენ, რომ ბაზრობებზე გაყიდული პურიდან ბიუჯეტში გადასახადები არ შედის. ამასთან, ამ კატეგორიის პური ყოველგვარი სანიტარიული და ჰიგიენური დაცვის გარეშე ცხვება კერძო საცხობებში და დაბინძურებულ ადგილებში იყიდება, რაც დაუშვებელია. გარემოვაჭრეები საპროტესტო აქციებით იმუქრებიან მერიის გადაწყვეტილების გამო და აცხადებენ, ლუკმაპურს მხოლოდ ამ გზით ვშოულობთ და არ დავემორჩილებით მერიასო.

ყვავილ გაევლის სიცოცხლე შეინირა

იერუსალიმში მთავარი მეჩეთების ტერიტორიაზე, ე.წ. ტაძრის მთაზე, რომელიც მუსლიმანთა წმინდა ადგილადაა გამოცხადებული, ისრაელის პოლიცია შევიდა ჩხრეკის ჩასატარებლად. პალესტინელები მათ ქვების სროლით შეხვდნენ. ქვები დააყარეს გოდების კედელთან მლოცველ ებრაელებსაც... ამით განრისხებულმა პოლიციელებმა ცეცხლი გაუხსნეს პალესტინელებს და რამდენიმე ადამიანი, მათ შორის, 12 წლის ბიჭი ადგილზე მოკლეს.

ქურთები გააქტიურდნენ

ერაყის წინააღმდეგ ომის მზადების პარალელურად, გააქტიურდნენ სადამ ჰუსეინის რეჟიმის ოპოზიციური ძალები, უწინარესად ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები და ავტონომიისთვის მებრძოლი ქურთები, რომლებსაც სადამ ჰუსეინი პერმანენტულად ანადგურებდა დაბომბვებითა და ქიმიური იარაღით... და აი, თავის დროზე ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის მიერ ერაყის გარეთ შექმნილმა ე.წ. პარლამენტმა, რომელსაც არ სცნობს ჰუსეინის რეჟიმი, მუშაობა განაახლა პარიზში. „პარლამენტს“ მისალოცი წერილი გაუგზავნა კოლინ პაუელმა, რომელშიც ნათქვამია — „მე ვამაყობ, რომ თქვენ უსამართლობისა და ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში აშშ-ის პარტნიორთა შორის ხართ და ერაყის მომავლის თაობაზე ჩვენს პოზიციას იზიარებთ!“ ქურთისტანის ე.წ. პარლამენტის მუშაობას საპატიო სტუმრის სტატუსით დაესწრო საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის ქვრივი დენიელ მიტერანი, რომელმაც ქურთთა დიდი პატივისცემა დაიმსახურა მათი მხარდაჭერისთვის! როგორც ჩანს, ჰუსეინის შემდგომ ერაყი ფედერაციული სახელმწიფო იქნება, სადაც 4-მილიონიან ქურთისტანს უფართოესი ავტონომიის ან რესპუბლიკის სტატუსი მიენიჭება... თუმცა დღემდე გაურკვეველია, რა ბედი ელის თურქეთში, ირანსა და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ კიდევ 16 მილიონ ქურთ.

„ამერიკა არ იძუნწებს, თუმცა გვარიანად აწრუწუნებს რუსეთს“

„ქართული მხარე ასეთ დათმობებზე არ უნდა წავიდეს რუსეთთან“

„უცნაური“ ამბები ხდება ჩვენს თავს... ერთი შეხედვით, საქართველოს ხელისუფლებას თითქოს აქვს რაღაც ჩაფიქრებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად და მოქმედებს კიდეც, მაგრამ შედეგებს, სამწუხაროდ, საწინააღმდეგოს ვიმკით... კიშინიოვის დსთ-ის სამიტის წინ პრეზიდენტმა შევარდნაძემ დიდი რევერანსი გაუკეთა რუსეთს, ხოლო პუტინს დაბადების დღისთვის „ძვირფასი საჩუქარიც“ მიართვა — ხუთი ჩეჩენი! მაგრამ რუსი რისი რუსია! „ЭТО МАЛО“-ო, გაისმა მოსკოვიდან და არათუ დარჩენილი 8 ჩეჩენის გადაცემა, არამედ პანკისში მყოფი ყველა „ტერორისტის“ თავიც მოითხოვეს უკვე... მეტიც, რუს გენერლებს გელაევი, თავისი რაზმითურთ, ამჯერად საზღვრის დაღესტან-საქართველოს მონაკვეთზე მოელანდათ, რომელიც რუსეთში შეჭრას ცდილობს, სერგეი ივანოვი კი კვლავ თვალებს გვიბრიალებს — ჩეჩენი ტერორისტების რუსეთის საზღვრისკენ გარეკვას გაუთვალისწინებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს საქართველოსთვისო და ა.შ. ამ და დღემდე განვითარებული მოვლენების ფონზე კი მართლაც აღმაშფოთებელია პრეზიდენტის განცხადება — „პუტინთან შეხვედრისას პანკისის საკითხს არ შევეხები, ჩვენ მოგვიწევს უფრო სერიოზული პრობლემების განხილვაო“(!). გასაგებია, რომ ის „სერიოზული პრობლემები“ აფხაზეთი და რუსეთ-საქართველო-აშშ-ის ურთიერთობებია, მაგრამ პანკისის გამო რომ კინაღამ მიწასთან გაგვასწორეს და გვასწორებენ, უკვე არქივშია მოსასროლი?! ან ის ფაქტი როგორღა შევაფასოთ, რომ ვითომდა რუსეთის დიპლომატიის 200 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით პრეზიდენტი ყვავილებით ამკობს გრიბოედოვის საფლავს, ულოცავს რუსეთს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და მთაწმინდიდან ეპატიჟება პუტინს საქართველოში(!). რუსული დიპლომატიის 200 წლისთავი ყურით მოთრეული საბაბია, რადგან რუსული დიპლომატია გაცილებით დიდი ხნისაა, ვიდრე ეს სახელმწიფო კანცელარიაში ჰგონიათ და ოფიციალურად სათავეს იღებს ივანე მრისხანეს მიერ დაარსებული უწყების — „პოსოლსკი პრიკაზი“-დან.

ვესაუბრები პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძეს:**

— მოვლენათა ლოგიკიდან გამომდინარე, ქართული მხარე ასეთ დათმობებზე არ უნდა წავიდეს რუსეთთან და პოლიტიკური ვაჭრობის საგნად უნდა აქციოს ჩეჩენ ბოევიკთა საქმე. ასე იოლად ჩეჩნების გადაცემისკენ გადადგმული ნაბიჯები რუსეთისგან მადლობას მაინც არ დაიმსახურებს. მეორე მხრივ, ამან შეიძლება შექმნას საქართველოს შიგნით გარკვეული სირთულეები ქისტი მოსახლეობისა და ოპოზიციური პარტიების მხრიდან.

შევარდნაძის მფარველობითი პოლიტიკა ჩეჩნების მიმართ მეტ-ნაკლებად გასაგები იყო, რადგან იგი პროცესების გარკვეულ ლოგიკას მიესადაგა, ხოლო ისეთი ახალი ნაბიჯი, რომელიც ამ ლოგიკიდან ამოვარდება, კვლავ გახდება მძაფრი მსჯელობის საგანი და ყველაფერი თავიდან დასალაგებელი გახდება. თუ ამ ჩეჩენთა გადაცემის ფასად ველოდებით რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, არ მჯერა ამისი. ჩეჩნეთი რეალური მიზეზი კი არ არის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუარესებისა, არამედ საბაბია და რაც არ უნდა გავაკეთოთ ჩეჩნეთთან და ჩეჩნებთან დაკავშირებით, რუსეთის რეალური მიზანია ან დესტაბილიზაციის აზვირთება საქართველოში, ან ისეთი ჩარევა ჩვენს საშინაო საქმეებში, რომელიც გააძლიერებს რუსეთის გავლენას აქ...

— **თქვენი პროგნოზით, რა კონკრეტული შედეგები შეიძლება მოუტანოს კიშინიოვის სამიტმა საქართველოს?**

— დსთ-ის სივრცეში ბოლო დროს განვითარებული პროცესებიდან რამდენიმე მძიმე მოვლენის და ვითარების გამოყოფა შეიძლება. პირველია რუსეთ-ბელორუსს შორის მომხდარი უთანხმოება სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ უმძიმესი პროცესი — რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტია. მეეჭვება, რომ კიშინიოვის სამიტზე დსთ-ის ქვეყნების ლიდერებმა გადამწყვეტი პოზიცია დაიკავონ ან რუსეთის, ან საქართველოს მხარდასაჭერად. ისინი თავს აარიდებენ ურთიერთობების გართულებას მხარეებთან და რუსეთ-საქართველოს გადასაწყვეტ საკითხად განიხილავენ და დატოვებენ ამ კონფლიქტს და არა — დსთ-ის პრობლემად. თუკი შევარდნაძე დასვამს აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან დსთ-ის სამშვიდობო ჯარების გაყვანის საკითხს, რაც დსთ-ის სამიტის პრეროგატივაა, ნამდვილად გამწვავდება ლაპარაკი, თორემ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პრობლემების მოგვარება, წესით, დსთ-მ თავის თავზე არ უნდა აიღოს. რაც შეეხება სამშვიდობო ჯარების გაყვანა-არგაყვანას, მეეჭვება, ამ ეტაპზე მომწიფებული იყოს ამ საკითხის დასმა, თუმცა ბევრი გარემოება გვკარნახობს, უწინარესად, ვაშინგტონისა და ლონდონის წარმომადგენელთა ჩართვა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში, რომ დასავლეთმა შეიძლება შემოგვთავაზოს კონფლიქტის მოგვარების სხვა მექანიზმები. ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენელ პერინას და შევარდნაძის მოლაპარაკებები დახურულ კარს მიღმა გაიმართა და სამწუხაროდ, უცნობია, კონკრეტულად რაზე ისაუბრეს. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ კიშინიოვში შევარდნაძემ მართლაც დასვას სამშვიდობო ჯარების გაყვანისა და სხვა მექანიზმის ჩანაცვლების საკითხი. თუკი ეს მოხდა, შემდეგი ალტერნატივების წინაშე აღმოვჩნდებით: დავუშვათ, სამიტმა მხარი არ დაუჭირა სამშვიდობო ჯარების გაყვანას, მაშინ საქართველოს შეუძლია თავი გამოაცხადოს დსთ-დან გამოსულად და შესაბამისად, ეს ჯარებიც დაუყოვნებლივ უნდა იქნენ გაყვანილნი. დღემდე შევარდნაძეს არ გაჰყავდა ეს ჯარები, რადგან ალტერნატივა არ იყო. ომის განახლება ალტერნატივა არ არის, იმიტომ, რომ აფხაზეთშიც და ცხინვალშიც რუსის ჯარი ჩაერთვება ბრძოლებში და მივიღებთ იმავე შედეგს, რაც ადრე გვქონდა. ამიტომ, უნდა გვქონდეს დამატებითი მექანიზმები მშვიდობის შესანარჩუნებლად ან იმისა, რომ რუსეთი არ ჩაერევა საომარ მოქმედებებში.

— **ალბათ შემთხვევითი არ არის უშუალოდ სამიტის წინ პერინასა და ბრაიან ფოლის ჩამოსვლა თბილისში...**

— რა თქმა უნდა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ვაშინგტონმა შესთავაზა გარკვეული მექანიზმი, რომელიც შევარდნაძეს ამ მიმართულებით მოქმედების საშუალებას მისცემს, თუ რუსეთმა „სხვა სიურპრიზი“ არ შემოგვთავაზა...

რუსეთის პოლიტიკით უკმაყოფილო დსთ-ის ქვეყნების ჯგუფში შედიან შუა აზიის ის რესპუბლიკები (ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი), რომლებიც საკუთარ თავს არჩენენ და აზერბაიჯანი-საქართველო-უკრაინა. ეს ჯგუფი, სუსამის ხაზით საკმაოდ ძლიერია საიმისოდ, რომ სამიტზე თავისი სასარგებლო გადაწყვეტილებები მიიღოს. მეჩვენება, რომ ყველაზე ფრთხილი და მნიშვნელოვანი წევრი ამ ჯგუფისა, არის ყაზახეთი, ნაზარბაევის ფიგურა გადამწყვეტია, რადგან ნავთობი ყაზახეთს აქვს. ამიტომ, საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზი. თუ ასეთი წყალგამყოფი საკითხები დაისვა სამიტზე, ლოგიკური იქნება ამ ქვეყნების მხრიდან გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა, რადგან ყველამ ისწავლა უკვე, რომ რუსებთან კომპრომისი არაფრის მომცემია, ხოლო დაპირისპირება შეიძლება შედეგიანი იყოს. თუ სამიტზე საქმე არჩევანზე მიდგა, იმედი მაქვს, რომ ეს ქვეყნები რუსეთთან დაპირისპირებას ბოლომდე მიიყვანენ. ამიტომაც ჩამოვიდნენ ამერიკელები და ბრიტანელები სასწრაფოდ აფხაზეთის პრობლემის მოსაწესრიგებლად, რადგან მიხვდნენ, რომ რუსეთთან ვაჭრობა მხოლოდ პანკისით არ დამთავრდება და მასთან დიალოგის მეორე რაუნდი კოდორი იქნება! გაგრძელდება თუ არა ეს ჭიდაობა-ვაჭრობა კოდორთან დაკავშირებით, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად დააკმაყოფილებს ამერიკა რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს. მართლაც საინტერესო სურათი დაიხატა უკვე: მთლიანად ეს პროცესი სადამ ჰუსეინიან, საქართველოიანად და თვით ბინ ლადენიანადაც კი, პრაქტიკულად აშშ-ის სანავთობე პოლიტიკასა და ინტერესებზეა აწყობილი. ამ ნავთობის დიდი „ტორტიდან“ როგორი ნაჭერი შეხვდება რუსეთს, ამას მალე შევიტყობთ. მგონია, ამერიკა არ იძუნწებს, თუმცა რუსეთს გვარიანად აწრუწუნებს. ძუნწი არ იქნება, იმიტომ, რომ რუსეთის სახელმწიფოს დაქცევა ხელს არ აძლევს ამერიკას. გახსოვთ, რა თქვა რეიგანმა? „მე რუსეთს გადავაქცევ დაბალი განვითარების ღარიბ ქვეყნად, როგორიც ინდოეთია. ანუ რუსეთი იქნება მსოფლიო ამბიციების გარეშე მყოფი და თავისი ცხოვრების მინიმუმისთვის მებრძოლი დიდი კაპიტალისტური სახელმწიფო“. ამ ამოცანის რეალიზაციას ამოცანადვე ტოვებს ჯორჯ ბუშიც, რადგან რუსეთის სახელმწიფოებრიობა რომ დაიშალოს, უზარმაზარი კონფლიქტების უზარმაზარი და უკონტროლო ზონები გაჩნდება, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

— **სამიტის წინ ვარაუდობდნენ, საქართველო-რუსეთის გართულებული ურთიერთობის განხილვისას როგორი იქნებოდა „ძალთა ბალანსი“, ანუ დსთ-ის ქვეყნებიდან ვინ დაუჭერდა მხარს რუსეთს, ვინ საქართველოს... „შავ დღეში“ აღმოჩნდა სომხეთი, რომელიც თავის „ნეიტრალიტეტზე“ ალაპარაკდა და თითქოს შუამავლობაც კი შესთავაზა რუსულ-ქართულ მხარეებს მოლაპარაკებისას.**

— სომხეთმა შესანიშნავად იცის საქართველოს პოზიცია იმ თვალსაზრისით, რომ საკმარისია მან რაიმე პროვოკაცია წამოიწყოს ჯავახეთში, საქართველო დაუყოვნებლივ უმკაცრეს რეაქციას მოახდენს სომხეთის მიმართ. ამასთან, ჯავახეთში ქართული სამხედრო ძალის გამოყენებით მოხდება პრობლემის მოგვარება და თუ ჯავახეთის მოსახლეობას ასეთი რამ სურს, კი ბატონო, ააგორონ პროვოკაცია. იმავდროულად, სომხეთი აღმოჩნდება სრულ იზოლაციაში. ვფიქრობ, დღეს სომხეთი კარგად ხედავს, რომ საქართველო რუსეთსაც კი არაფერს უთმობს და სომხეთთან ურთიერთობაში ეს კომპრომისები კიდევ უფრო ნაკლები იქნება, თუკი სომხეთმა შიგნიდან სცადა საქართველოს სახელმწიფოებრიობის გატეხა, ეს კიდევ უფრო მეტ აგრესიას გამოიწვევს საქართველოში. სომხეთს სხვა პასუხისმგებლობა აქვს. ჯერ ერთი, მჭიდრო ისტორიული ურთიერთობები გვაკავშირებს და მისი ღალატი უფრო მძიმედ შეფასდება საქართველოში, ვიდრე, ვთქვათ, ისედაც იმპერიული ამბიციებით შეპყრობილი რუსეთის მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ. ასე რომ, სომხეთისთვის ალტერნატივა ამ მხრივ, არ არსებობს. ან უნდა გახდეს კავკასიური სახელმწიფო, ან ნეიტრალური ქვეყანა. ხოლო თუკი სომხეთი ანტიკავკასიურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, მაშინ რეგიონიც და მისი ქვეყნებიც შესაბამისად იმოქმედებენ სომხეთის მიმართ. სომხეთმა აზერბაიჯანთან დაპირისპირებებიდან ბევრი ვერაფერი მოიგო და უკვე ხვდება, რაოდენ დიდი ეკონომიკური დარტყმები მიიღო დღემდე და მიიღებს კვლავაც, როგორც ენერგოპროექტების გარეთ დარჩენილი ქვეყანა. აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიები კი, გინდ ჰქონია და გინდ არა... საქართველოსთან გადაკიდებით ერთადერთი სასიცოცხლო არტერიაც გადაეკეტება და დარჩება ირანის ანაბარა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, მოხდება ფრიად უსიამოვნო ფაქტიც — საქართველოში მცხოვრები სომხური დიასპორა აღმოჩნდება სამხედრო კონტროლის ქვეშ და ეს სომხეთმა კარგად უნდა გააცნობიეროს. თან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ანტიქართული მიმართულებით სომხეთს რამდენიმე ნაბიჯი გადადგმული აქვს ადრე, რაზეც საქართველოს ჯეროვანი რეაქცია არ გამოუხატავს: ეს არის ცხინვალსა და აფხაზეთში სომხების ქმედება და მაპროვოცირებელი როლი. აგრეთვე, დსთ-ში სომხეთის საკმაოდ არასახარბიელო როლი საქართველოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით. საქართველო დღემდე ინარჩუნებს სიმშვიდეს, რადგან ის უამრავი ჩვენი თანამოქალაქე სომეხი ალბათ ქართველებს უფრო მეტად გვიყვარს, ვიდრე მათ მოძმეებს სომხეთში. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი...

— **როგორც ჩანს, დადგა დრო, ერთგვარად შევაჯამოთ პანკისის ხეობის ირგვლივ ამტყდარი საერთაშორისო სკანდალი და ერაყის წინააღმდეგ ომის მზადებას შორის კავშირი და რუსეთის თამაშის შესაძლო შედეგები...**

— რუსეთის დუმა, გენერალიტეტი და პრეზიდენტი ერთი და იმავე პოზიციით ლაპარაკობს. ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონშიც გაქრა ცნება — ორი რუსეთი — და ყველა შეთანხმდა, რომ არის ერთი, იმპერიული რუსეთი! იმპერიული რუსეთის არსებობის ვერსია, არ უნდა იყოს მთლად გამართლებული. სულის სიღრმეში იმპერიულობის ამბიცია ყველა რუსს უზის ისევე, როგორც იმ ქვეყნებსაც, ვისაც აქვს ნაციონალიზმის წინ წამოწევის ძალა და საშუალება. ჩვენც გავიარეთ ეს პერიოდი. მაგრამ მეორე მხრივ, რუსეთში არსებობს ის აღმასრულებელი სტრუქტურები, რომლებსაც მეურნეობასთან აქვს საქმე და არა იარაღთან და რომლებმაც შეუძლებელია, არ იცოდნენ რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. საკმარისია რუსეთმა დაკარგოს ნავთობის ბაზარი, საკმარისია აშშ-მა მიაღწიოს ერაყზე და მის ნავთობზე კონტროლს, ერაყით და ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის წყალობით გააიაფოს ნავთობის ფასი, რომ რუსეთის ეკონომიკა ავტომატურად დაინგრევა, რადგან მისი ეკონომიკის 70% ნავთობის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალზე დგას! ხოლო თუ ისედაც აუწყობელი და სუსტი ეკონომიკა დაენგრა რუსეთს, უმალ კარგავს სამხედრო ძლიერებას და ჯარს, რაც დიდ შანსს იძლევა რუსეთის ფედერაციის დაშლისა წმინდა ეკონომიკური მეთოდებით, ანუ ეს იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუკი ამერიკამ ბოლომდე გაატარა თავისი პოლიტიკა. გავიხსენოთ, რას სთხოვს დღეს რუსეთი ამერიკას. სთხოვს, წილი მისცეს ერაყის ნავთობსაბადოების ათვისება-გადამუშავებაში და სამაგიეროდ, დათანხმდება ვაშინგტონს სადამ ჰუსეინის დამხობაში.

— **მიუხედავად კრემლის „მკაცრი პოზიციისა“, რომ წინააღმდეგია სადამ ჰუსეინის დამხობისა, იგორ ივანოვმა უკვე გააკეთა მინიშნება, რომ რუსეთი მხარს დაუჭერს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას ერაყის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესახებ. საინტერესოა, რომ ივანოვის ეს განცხადება ეთერში „გაეპარა“ რუსეთის ტელევიზიას...**

— სხვა გზა რუსეთს არა აქვს. მას ეკონომიკურად ისე უჭირს, რომ იძულებულია, ბევრი რამ დათმოს. ხოლო, თუკი არ დაუჭირა მხარი ერაყის წინააღმდეგ ომს, ამერიკა მაინც თავისას იზამს და ცარიელზე დასვამს რუსეთს. ამიტომ, მოსკოვს ყველა შემთხვევაში ურჩევნია ამთავითვე ჩაიჯიბოს რაღაც წილი ერაყიდან. მაგრამ თუკი რუსეთი კვლავ ვერ შეელევა იმპერიულ ამბიციებს და იარაღის ჟღარუნს, ვთქვათ, იმავე საქართველოს წინააღმდეგ, მსოფლიოს მიერ გამოცხადებულმა ბოიკოტმა შეიძლება ისე დაანგრიოს რუსეთის ეკონომიკა, როგორც ნავთობზე ფასების დაცემამ. დასავლეთი ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ამოწევს ასეულ მილიარდობით რუსეთის ვალს, გაყინავს რუსეთის ანგარიშებს მსოფლიო ბანკებში და ამ უზარმაზარ ქვეყანას გაკოტრებულად გამოაცხადებს. მოსკოვს სჭირდებოდა ვაშინგტონის მიმართ პრეტენზიების გაზრდა საიმისოდ, რომ ამერიკას დაეწყო რუსეთთან ვაჭრობა, თუნდაც ერაყის საკითხზე და შედეგად, რუსეთმა „აქტუალური“ გახადა პანკისის პრობლემა და რომ იტყვიან, „ბოლომდე მიაწვა“ ამ თემას. ხოლო თუ არ გამოვიდოდა აშშ-თან დიალოგი და რუსეთი პანკისში შემოვიდოდა, მაშინ ის გააკონტროლებდა ნავთობსადენს! ანუ ნავთობზე ნადირობის ყველა გზაზე გასასვლელი გადიოდა პანკისის ხეობაზე. ამიტომაც შექმნა პანკისის პრობლემა და აქცია ამერიკასთან ვაჭრობის საგნად. რას ვიზამდით, პუტინის ადგილას რომ ვყოფილიყავით? რა თქმა უნდა, პირადად არ დაეტაკებოდით გენერალიტეტს, იტყოდით იმას, რაც მათ სურთ, მაგრამ შემდეგ მსოფლიოს დაუპირისპირებდით მათ ამბიციებს. ანუ სხვას დაატაკებდი შენს მეტოქეს, რაც პოლიტიკური ბრძოლის ნაცადი ხერხია. ვფიქრობ, რუსეთის აღმასრულებელმა სტრუქტურებმა ეს ხერხი გამოიყენეს — ისე გაჩუმდა პუტინი 11 სექტემბრის ანტიქართული განცხადების შემდეგ, რომ თავისი გენერალიტეტი შეატოვა საერთაშორისო თანამეგობრობას და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, რომელიც კატეგორიულია ამ გენერალიტეტის აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ. თუ მსოფლიოს შეეშინდება და დაუთმობს რუს გენერალიტეტს, მოიგებს პუტინი, რადგან ქვეყანაში აიწევს მისი რეიტინგი. ხოლო თუ მსოფლიოს არ შეეშინდება მათი და მიაწვება ბოლომდე, კვლავ პუტინი დარჩება მოგებული, ამჯერად გენერალიტეტის წინაშე, რომელსაც ეტყვის, — თქვენ გამო მთელი მსოფლიო აუმხედრდა რუსეთსო! ამ ლოგიკიდან გამომდინარე, მეჩვენება, რომ პუტინისა და აღმასრულებელი სტრუქტურების აზროვნება რეალურად უფრო სხვანაირია, ისინი უფრო დამთმობები იქნებიან. რეალურ ხელისუფლებაში მყოფი ადამიანი დამთმობი რომ არ ყოფილიყო, არც საბჭოთა კავშირი არ დაინგრეოდა. რეალურმა ხელისუფლებამ თავისი გასაჭირი ყოველთვის კარგად იცის და ის მიდის დათმობებზე, როცა გარემო აწვება. პუტინისთვის უფრო მომგებიანია, რომ დასუსტებული სამხედროების მყოლ ქვეყანას უხელმძღვანელოს, ვიდრე ისეთ სახელმწიფოს, სადაც მარიონეტი იქნება გენერალიტეტის ხელში.

— **ამ გლობალური პროცესების ფონზე კვლავ დაიძაბა ურთიერთობა შევარდნაძესა და ასლან აბაშიძეს, ამჯერად, როგორც აფხაზეთის საკითხებზე მოლაპარაკებებში პრეზიდენტის პირად წარმომადგენელს შორის, რაც სიამოვნებით აიტაცა რუსეთის პრესამ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ შევარდნაძის ასეთი მკაცრი ტონი უშუალოდ აბაშიძის მიმართ, არ გვსმენია და არც არასოდეს მოუთხოვია კატეგორიულად მისი თბილისში ჩამოსვლა.**

— შევარდნაძის პოლიტიკა შეიცვალა. მან აბაშიძე პირად წარმომადგენლად დანიშნა 2001 წლის ნოემბრის მოვლენებისას, როცა მზადდებოდა შევარდნაძის გადაყენება. ეს დანიშვნა გახლდათ „მესიჯი“ რუსეთისადმი, სადაც აღფრთოვანებით შეხვდნენ ფაქტს — შევარდნაძემ სახელისუფლებო ფუნქცია გაუზარდა ასლან აბაშიძესო! როცა აფხაზეთის ომი წააგო შევარდნაძემ, რუსეთის ზეწოლით დანიშნა თავდაცვის და უშიშროების მინისტრები და სხვებიც. ასე რომ, რუსეთმა თავისი ინტერესების საგარანტიო პერსონები შევარდნაძის გარემოცვაში ჩასვა. შემდეგ შევარდნაძემ ყველა ეს პერსონა თავისი გარემოცვიდან მოისროლა. რუსეთმა დაინახა, რომ თავისი ხალხიდან შევარდნაძის გარემოცვაში ფაქტობრივად აღარავინ დარჩა და გაამწვავა ვითარება საქართველოში. შევარდნაძემაც უმალ მისცა მოსკოვს „მესიჯი“ — გაგიგეთ, და რუსეთის მომხრე პერსონას დააკისრა აფხაზეთის სამშვიდობო პროცესის წარმართვა. რუსეთი უმალ დამშვიდდა და მიტინგებიც დაიშალა თბილისში. ასეთი გახლდათ აბაშიძის ამ პოსტზე დანიშვნის ლოგიკა. დღეს შევარდნაძემ გაამკაცრა დამოკიდებულება აბაშიძისადმი... ე.ი. იქ, სადაც შევარდნაძე იგრძნობს, რომ შეუძლია რუსეთის ზეწოლას რაღაც სხვა საშუალებით შეებრძოლოს, კომპრომისებზე აღარ მიდის. ასლან აბაშიძის დანიშვნა გახლდათ კომპრომისი რუსეთის მიმართ. მაგრამ თუ ეს კომპრომისი რეალურ შედეგს მოიტანდა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში, ამით მხოლოდ მოიგებდა ქვეყანა და არც შევარდნაძე დაიშურებდა აბაშიძის ქებას. მაგრამ პრობლემის მოგვარების საქმემ არათუ წინ არ წაიწია, არამედ მაგრად ჩაკონსერვდა. ამანაც საბაბი მისცა შევარდნაძეს, გაემკაცრებინა ტონი. საერთოდ კი, შევარდნაძეს უკვე შეუძლია აღარ იყოს კომპრომისული რუსეთის მიმართ, მარტო აღარ არის და ამას პირდაპირ მიანიშნებს კიდეც მოსკოვს.

— **საინტერესოა, რომ აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, სადაც ის „ნასა“-ს მიწვევითაა და უნდა დაესწროს „შატლის“ გაშვებას წარმოშობით ბათუმელი კოსმონავტითურთ, შეხვედრებს გამართავს თეთრი სახლის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირებთან...**

— დიახ და, სავარაუდოდ, ასლან აბაშიძე აპირებს უშუალოდ გადამოწმებას იმ ფაქტებისა, თუ რამდენად სერიოზულია ამერიკის გეგმები საქართველოში და თუ მოიძებნება მისი ადგილი ამ პროცესებში. ვფიქრობ, იგი დაინახავს თავის ადგილს და მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც თუ არ მოხსნის, შეამცირებს მაინც თბილისსა და ბათუმს შორის ოდიოზურ დისტანცირებას...

ზურაბ მჭედლიშვილი

ჩემი მისამართი მხოლოდ თბილისია

შესაშურად დაიწყო ოქტომბრის თვე საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. 5 ოქტომბერს ოპერისა და ბალეტის თეატრში ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა და შესანიშნავმა სოლისტებმა: მაყვალა ქასრაშვილმა, თეა დემურიშვილმა, ლაშა ნიქაბაძემ და პაატა ბურჭულაძემ ვერდის „რეკვიემი“ წარმოადგინეს.

სიმბოლურია, რომ „რეკვიემით“ დაიწყო ევგენი მიქელაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო წელი, რაკი ეს დიდი ხელოვანი წითელ ტერორს ემსხვერპლა.

კონცერტისათვის თბილისში ჩამოსული ჩვენი უსაყვარლესი მომღერალი პაატა ბურჭულაძე მონატრებული ქართველების „სიყვარულის შემოტევებს“ ვეღარ აუდის. მისთვის თვალის მოკვრაც კი ძნელია, თვალის მიდევნებაზე რომ არაფერი ვთქვათ. ჩამოსვლის წუთიდან ხან თბილისშია, ხან რუსთავში, ხან თელავში, ხანაც ბათუმში. ყველგან, ყველგან უხმობენ, ყველგან ელოდებიან. ისიც, საოცრად თბილი და კეთილი ადამიანი, ცდილობს გული არავის დასწყვიტოს, ყველაფერი მოასწროს, ყველას ესტუმროს... ალბათ ამიტომაც არის, რომ საკუთარი დედა, ქალბატონი ნუნუ უცხოეთში მასთან სტუმრობისას უფრო ხედავს თავის შვილს, ვიდრე შინ დაბრუნებულს.

დიდხანს ველოდით რეპეტიციაზე ბატონ პაატას... ჯერ თქვეს, აგვიანებსო, მერე: ვეღარ მოვა, თეატრალებს გაუტაცნიათო...

როგორც იქნა, ბოლოს მაინც მისულს რამდენიმე წუთით საუბარი ვთხოვეთ. მიუხედავად დიდი მოუცლელობისა, დიდსულოვნად დაგვთანხმდა. აქვე, მინდა გითხრათ, რომ 3 წლის უნახავ, მონატრებულ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში შესულ ბატონ პაატას არავინ უყურადღებოდ არ დაუტოვებია. კაპელდინერებსა და თეატრის მომსახურე პერსონალს, მეგობრებსა და ნაცნობებს უშუალოდ რეპეტიციის მსვლელობისასაც კი მდაბლად უკრავდა თავს. ამგვარად გამოხატავდა სიყვარულსა და პატივისცემას... არ შეიძლება, არ გიხაროდეს, რომ მსოფლიოს პირველი ბანი სწორედ ქართველია — ქართული კულტურისა და ვაჟკაცური ხასიათის უზადო მატარებელი.

— მე ასე არ ვცხოვრობ უცხოეთში, — გვითხრა ბატონმა პაატამ — აქ უბრალოდ სულ სხვა სიტუაციაა. უკვე ორი დღეა, საქართველოში ვარ და 5 საათი თუ გამომივა ერთად, რაც მეძინა... აქ იმხელა ემოციებს ვღებულობ, რომ დიდხანს მეყოფა, ხვალ ბათუმში მივდივარ მედეა ამირანაშვილის იუბილეზე...

— მერე ჩამობრძანდებით და ისევ წახვალთ სადმე– ანუ როგორც აქ ხუმრობენ, ქართველები გიტაცებენ.

— დიახ, როგორც თქვენ გააკეთეთ ახლა და რამდენიმე წუთით მომიტაცეთ, სწორედ ისე...

— მომღერალს მშვიდი, დაწყნარებული ცხოვრება სჭირდება, რომ თავისი შესაძლებლობები ბოლომდე წარმოაჩინოს, ბოლომდე დაიხარჯოს.

— ვდარდობ მაინც, როცა რაღაც არ არის კარგად სახლში, ჩემი სახლი კი საქართველოა. ჩვენს სადარდელზე ფიქრი გულს მიკლავს. ვცდილობ არ მოვეშვე, ნაკლებად მივეცე სევდას, მაგრამ ნაკლებად გამომდის.

— დიდი ბედნიერებაა, რომ თქვენს მოწოდებას მიაგენით და თურმე როგორც გინდოდათ, ინჟინერი არ გახდით.

— მომღერლობა საერთოდ არ მინდოდა. კონსერვატორიაში მშობლების დაჟინებული თხოვნით ჩავაბარე, ისიც ერთი პირობით, რომ საღამოს დასწრებულზე მაინც პოლიტექნიკურში ვისწავლიდი. ისე მოხდა, რომ მესამე კურსზე საოპერო სტუდიაში მეფისტოფელის არია შევასრულე. მაშინ რომ ტაში დამიკრეს იმან განსაზღვრა ჩემი მომავალი: გადავწყვიტე მომღერალი გავმხდარიყავი. ასეა, ტაშს რომ დაგიკრავენ სცენიდან ვეღარ წახვალ, ვიდრე მაყურებელი არ გაგაგდებს — იხუმრა ბატონმა პაატამ.

— თქვენ მსოფლიოს უდიდეს ადამიანებთან გაქვთ კავშირი. როგორი დამოკიდებულება იგრძნობა მათგან საქართველოს მიმართ?

— დაინტერესება დღეს ძალიან დიდია. მე რომ კარიერა დავიწყე, საქართველო თითქმის უცნობი იყო. დღეს საქართველო იციან... ეს არავის აღარ ეშლება.

— მართალია, რომ „ატილაში“, რომელიც ლიეჟში ხუთჯერ ჩატარდა, ხუთივეჯერ ანშლაგით, რაღაც საერთო იგრძნობოდა დღევანდელი საქართველოს მდგომარეობასთან?

— თქვენ საიდან გაიგეთ ეგ ამბავი? დიახ, იყო... ისეთი დადგმა იყო, რაღაც საერთო ჰქონდა თითქოს... შეიძლებოდა, პანკისში შექმნილ რთულ სიტუაციასთან შეგედარებინა, შეიძლებოდა, რომელიმე სხვა ქვეყანასთანაც, დიქტატურას რომ განიცდის. რეჟისორმა მომიტანა გაზეთებიდან ფოტოები, სადაც პანკისის ხეობაში მიმდინარე მოვლენები იყო აღბეჭდილი. მაჩვენა მათი ჩაცმულობა. ეს მაქვს მხედველობაში, როცა თანამედროვე „ატილაზე“ გესაუბრებიო... *(ფრანგული პრესიდან ვიცით: „ვერდი რომ ცოცხალი ყოფილიყო და ენახა ბურჭულაძე ატილაში, იტყოდა: სწორედ ასეთი „ატილა“ მინდოდაო“ — ლ.ჯ.).*

— ძნელია თუ არა თქვენთვის უცხოეთში ცხოვრება?

— ძალიან ძნელია. ნოსტალგია განსაკუთრებით მაშინ დამრევს ხელს, როცა აქედან მივდივარ, აქ რომ ჩამოვდივარ, მონატრებულის ნახვის გრძნობა თითქოს გულს მიჩერებს.

— როგორც გავიგეთ, ჩოხატაურის რაიონის სოფელ სამებაში ეკლესიას აშენებთ.

— სწორედ ხვალ მივდივარ იქ, რომ ვნახოთ როგორ მიდის მშენებლობა. სამება ჩემი წინაპრების სოფელია და იქ სამების ეკლესია მინდა აშენდეს.

— თქვენი ხმით მოპოვებული სახსრებით აშენებულ ეკლესიაში განსაკუთრებული გალობა უნდა ისმოდეს...

— ალბათ ასეც იქნება... უბრალოდ, ჯერ ამაზე არ მიფიქრია.

— სამომავლოდ საქართველოში დაბრუნებას არ აპირებთ?

— მე ვცხოვრობ საქართველოში. მე უბრალოდ საგასტროლოდ დავდივარ. უნამუსობა იქნება, რომ ვთქვა საქართველოში ჩამოვდივარ საგასტროლოდ-თქო. მე ყველგან ვამბობ, რომ ქართველი ვარ და საქართველოს წარმოვადგენ. მე არსად არ მაქვს სახლი, ჩემი სამშობლოს გარდა. ჩემი მისამართიც მხოლოდ თბილისია.

ლელა ჯღიყაშვილი

რას გვიქადის 9 ოქტომბერი?

იმ შემთხვევაში, თუ ორმა ენერგოუწყებამ ერთმანეთს შორის არსებული ფინანსური უთანხმოება ვერ მოაგვარა, თბილისს 9 ოქტომბრიდან ჩაბნელება ელის. ამ საკითხებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ „ეი-ი-ეს თელასის“ საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახურის კოორდინატორს ***სოფო ბერიტაძეს.***

— რა მდგომარეობაა ამჟამად „ეი-ი-ეს თელასსა“ და საბითუმო ბაზარს შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით? იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო, რას უნდა ველოდოთ?

— ეს ალბათ საბითუმო ბაზარს უნდა ჰკითხოთ...

— ალბათ შეწყვეტს ელენერგიის მიწოდებას.

— დიახ...

— ისე, ცოტა უცნაურად არ გეჩვენებათ, რომ ვენესუელისა და ესპანელის გადასაწყვეტია ჩვენი დედაქალაქის უსინათლოდ დატოვება-არდატოვების საკითხი?

— არ მეჩვენება, რადგან იყო დრო, როცა გარკვეული პერიოდის მანძილზე მთელი ენერგოსისტემა ქართველების ხელში იყო, ისინი იღებდნენ საკმაო რაოდენობის კრედიტებს და გეკითხებით, ამ სფეროში თუ დაინახა ვინმემ გაუმჯობესება? ქართველებს რომ შესძლებოდათ მოვლა, ალბათ პრივატიზების საკითხიც არ დადგებოდა, ცხადია, ეს სამწუხარო ფაქტია...

— „ეი-ი-ეს თელასის“ მოსალის შემდეგ ჩვენი მოსახლეობის ელენერგიით მიმარაგება რომ გაუმჯობესდა, უდავოა, მაგრამ დაუსრულებლად რომ იზრდება ტარიფი, ამაზე რას გეტყვით?

— მოგეხსენებათ, ტარიფი ასახავს რაიმე დანახარჯს... ამ სფეროში ჩადებული ინვესტიციების ამოღება სწორედ მისი საშუალებებით უნდა მოხდეს და ის გაანგარიშებები, რომელიც სემეკმა გააკეთა ზუსტად 2001 წელს ჩადებული ინვესტიციების საფუძველზე, მოითხოვს ტარიფის კვლავ მომატებას...

— ეი. მიუხედავად სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის და მოსახლეობის წინააღმდეგობისა, ტარიფის გაზრდა 1,3 თეთრით გარდაუვალია?

— რა თქმა უნდა...

(ეს მომატება ანუ დახარჯული ინვესტიციების ამოღება კვლავ იმ ადამიანების ხარჯზე მოხდება, ვინც დღემდე გაჭირვებით, მაგრამ კეთილსინდისიერად იხდის ტარიფით დადგენილ ელექტროენერგიის საფასურს. ელენერგიის მომხმარებელთა დიდი ნაწილი კვლავ „თამაშგარე“ აღმოჩნდება, ხოლო მათი მრიცხველები კი კვლავ „დაბმული“ დარჩება. — მ.ხ.)

— მეთანხმებით, რომ ტარიფის ასე ხშირ ზრდას მოსახლეობისთვის მძიმე შედეგი მოაქვს?

— მაგრამ ეს ხომ არ არის პერმანენტული პროცესი, რომელიც არასოდეს დასრულდება... იმ წლიდან, როდესაც „ეი-ი-ეს“-ი საქართველოში შემოვიდა, ქსელი უმძიმეს მდგომარეობაში იყო, რასაც ესაჭიროებოდა ძალიან დიდი ინვესტიცია... პირველ წელს ჩაიდო დიდი თანხები, მეორე წელს შედარებით ნაკლები, გასულ წელს გაცილებით ნაკლები და ამჟამად უკვე ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე საჭირო აღარ იქნება ამხელა ინვესტიციები და როცა საინვესტიციო თანხები ტარიფის საშუალებით იქნება ამოღებული, ბუნებრივია, ტარიფი დაიწყებს კლებას...

— ინვესტიციები ახსნეთ და მასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ ზოგიერთის აზრით, ინვესტიციები საკმაოდ გაბერილია და სინამდვილეში „ეი-ი-ეს“-ს ამდენი თანხა ქსელის რეაბილიტაციისთვის სულაც არ დაუხარჯავს, ამ მოსაზრებას იზიარებს „ალორძინების“ წევრი ჯონდი ბაღათურია.

— ვინ არის ჯონდი ბაღათურია, რა განათლება აქვს მას?

— განათლება არ ვიცი, მაგრამ თქვენი უწყების წინააღმდეგ რომ აქტიურ და ხშირად არგუმენტირებულ განცხადებებს აკეთებდა, ეს საზოგადოებისთვის ცნობილია.

— თუ მას სერიოზული პრეტენზიები აქვს ჩვენ მიმართ და გააჩნია არგუმენტებიც, წავიდეს და იჩივლოს სასამართლოში.

— ისე ალბათ, უფრო ლოგიკური იქნებოდა დავა თქვენს კომპანიასა და საბითუმო ბაზარს შორის სასამართლოში გადაწყვეტილიყო.

— ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ჩვენთან მოლაპარაკებებითაა შესაძლებელი, იმის მიუხედავად, ულტიმატუმის ენით დაგველაპარაკებიან თუ სასამართლოში გვიჩივლებენ...

— თქვენი აზრით, მოლაპარაკებები მოსახლეობისთვის სასურველ შედეგს გამოიღებს?

— ვიმედოვნებთ, რომ ეს ასე იქნება...

— ანუ 9 ოქტომბრის შემდეგ მოსახლეობა უშუქოდ არ დარჩება?

— დაველოდოთ 9 რიცხვს და მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ...

— ანუ ყველაფერია მოსალოდნელი?

— იმედი გვაქვს, რომ ქალაქი ელენერგიის გარეშე არ დარჩება, მაგრამ გარანტიას ვერავის მივცემთ...

მოგეხსენებათ 9 რიცხვი ქართველების ცხოვრებაში უკვე საკრალურად იქცა, რას გვიქადის 9 ოქტომბერი?! ისევ წყვდიადი დაისადგურებს ჩვენს ქვეყანაში, რაც უსათუოდ ახალი მღელვარებისა და გამოსვლების მომასწავებელი იქნება, თუ მაინც საღი აზრი გაიმარჯვებს და ვიხილავთ ჩვენთვის უკვე ასე ნანატრ „სინათლეს ჩვენს ფანჯრებში“. ჩვენს ხელისუფლებას კი შევახსენებთ, რომ სხვა თუ არაფერი, უკვე XX საუკუნეა, ბატონებო!..

მამუკა ხუციშვილი

წარმოდგენა არ მაქვს, როდის ვნახო პირველად...

რაც თავი მახსოვს, ამ ქუჩაზე დავდივარ, ის კი ზის, წინა კბილები ოქროსფრად უელავს და მზესუმზირას ყიდის...

ხან ვყიდულობ, ხან არ ვყიდულობ...

ერთხელ სკამი გადაუბრუნდა... შევწუხდი....

შავებში ჩაცმული ოქროსკბილებიანი ქალი წამოვაყენე, მზესუმზირით სავსე ჩანთა იტალიურ ეზოში შევატანინე.

— ბაბო... ბაბო... — გამოცვივდნენ სახლიდან შავტუხა ბავშვები...

— რატო ტირის? — ფანჯრიდან გამოიხედა ზორბა, ასევე ოქროსკბილებიანმა კაცმა და რომ დაინახა ძლივს მომავალი მოხუცი, შემომეგება...

— აი, გაიხარე... — მითხრა, ქალი და ჩანთა „ჩამომართვა“ და ჩემთვის უცხო ენაზე საუბრით აუყვა კიბეს...

რატომღაც დავასკვენი, რომ თათრები იყვნენ...

მას შემდეგ, როცა კი ჩავუვლიდი მზესუმზირის გამყიდველს, გამარჯობას ვერ ვასწრებდი...

— აი, ჩემი ქოხთა გოგო... აი, გაიხარე... — მომაძახებდა.

ასე გადიოდა წლები...

არ მახსოვს, ჩამევლო და იქ არ მჯდარიყო...

— გაიხარე, შუღო, შენ დედას... — უაზრო წინადადებებით მლოცავდა.

— აი, ახლა, ჩავივლით და ის „მესემიჩკე“ მეტყვის — „ქოხთა გოგო“, — არაერთხელ მითქვამს ჩემი მეგობრებისთვის... სიტყვას ვერ ვამთავრებდი, შორიდანვე მესმოდა...

— „ქოხთა გოგო მოდის“...

სიცილით იხოცებოდნენ ჩემი თანამგზავრები.

— რა გაცინებთ, არ ვარ კოხტა?

— მეცინებოდა მეც... მორიგი ჩვეულებადქცეული მისალმების შემდეგ მოხუცს პატარა შავტუხა ბავშვებმა ჰკითხეს: „ბაბო, ეს ოვა?“

„ლავ ახჩიკა, შად სირუმემ“, — უპასუხა...

წინადადება ყურში კარგად გამიჯდა და სახლში დაბრუნებულმა ჩემს თათარ მეზობელს — აზიზას ვკითხე.

— აზიზ, „ლავ ახჩიკა, შად სირუმემ“ — რას ნიშნავს?

— გოგო, ეს სომხურია, ვინ გითხრამს, იცი, რას გეტყვი... თუ კაცია, მნახოს!..

— არა, მოხუცი ქალია, აზიზ, — დავამშვიდე...

— ჰო... ქალი თუა, მოსულა... მარა, რათ გითხრა? — ისევ ეჭვი შეეპარა და დაუმატა, — ეგ რომ ჩემ ცოლს უთხრან...

— რა დროს შენი ცოლია, წადი, ჯერ ბიოლოგიის ორიანი გამოასწორე,— ვუთხარი და გაისუსა კიდეც...

ერთ დღესაც მისი ეზოს ჭიშკარი ღია დამხვდა და ყური შორიდანვე შეეჩვია ტირილს...

მზესუმზირას აღარავინ ყიდდა... ჩავიარე... პირველად „ქოხთა გოგოს“ გარეშე... თანდათან ვეჩვეოდი უცხო, მაგრამ ამავე დროს, საოცრად ნაცნობი მოხუცის გარეშე ცხოვრებას...

ერთ მშვენიერ დღესაც შორიდან დავლანდე ნაცნობი ჩანთა...

— სად არის ჩემი ქოხთა გოგო, ავათ იყო? — მითხრა ჩემმა „გამოტირებულმა“ მოხუცმა, სულ შავებში გამოწყობილმა...

— თქვენ, თქვენ, როგორ ხართ?... — ჩავიმუხლე და ვკითხე...

— ეჰ, შუღო... ნინა მოკდა... ჩემი პადრუგა რა... ჩემზე ხუთი წლით ცოტა იყო... — ატირდა ისიც, თან გაოგნებული მიყურებდა — ამას რაღა ატირებსო...

— შენ გიცნობდი ნინა?...

— არა... — ამოვილუღლუღე...

— ეჰ, შუღო...

იმ დღეს ყველა „მესემიჩკეს“ ღიმილით ვესალმებოდი... უკვირდათ, ზოგს ნაცნობი ვეგონე...

მას შემდეგ, ყოველდღე ისევ მესმის.

— ჩემი ქოხთა გოგო...

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, მგონია, რომ ყოველი დღე ღამაზი იქნება... დღემდე არ ვიცი მისი სახელი... რა მნიშვნელობა აქვს, რა ჰქვია...

ზის, ოქროს კბილებს მომანათებს და მლოცავს...

მის შემხედვარეს, ყველა მზესუმზირის გამყიდველი ასეთივე კეთილი მგონია და... მიხარია...

ეკა მახარაშვილი

სტრასბურგის სასამართლოს რეკომენდაციამ ჩეჩნებს ვეღარ მოუსწრო

ჩეჩენი პატიმრები შეიძლება შეიწყალონ?!

სპეცრეისი გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით მინვოდის აეროპორტში დაეშვა

ჩეჩენი პატიმრების ოთახში ტელევიზორი არ იყო, მაგრამ მათ გვერდით საკანში სასჯელს იხდის ჩეჩენი, პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტში ეჭვმიტანილი პაიკაევი. სწორედ მისგან შეიტყვეს ჩეჩენმა პატიმრებმა, რომ მეორე დღეს შეიძლებოდა მათი რუსეთში გაგზავნა მომხდარიყო.

გათენებისას, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მეხუთე იზოლატორის ალაყაფის რკინის კარი ღრჭიალით გაიღო. იქიდან დიდი სისწრაფით დახურული სპეცავტომანქანა გამოვარდა და ბადრაგის ექსკორტის თანხლებით გეზი ალექსეევკის აეროდრომისაკენ აიღო. იზოლატორის წინ თავმოყრილი სამიოდე ათეული ჩეჩენი ლტოლვილი, ძირითადად, ქალები და ბავშვები „შაითან მაშინის“ გზის გადაღობვას ამაოდ შეეცადნენ. მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის თანამშრომლებმა მათ ამის უფლება არ მისცეს. „შაითან მაშინაში“, როგორც ჩეჩენი ლტოლვილები უწოდებენ პატიმრების გადასაყვანად განკუთვნილ სპეციალურ ავტომანქანას, მათი ქმრები, ძმები და ნათესავები ისხდნენ, რომლებიც აგვისტოს დასაწყისში, საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩნეთიდან გადმოსვლის შემდეგ დააკავეს. რუსეთის გენერალური პროკურატურა დაპატიმრებული 13 ჩეჩენის გადაცემას ორ თვეზე მეტხანს ითხოვდა და ამ მოთხოვნას იმით ამაგრებდა, რომ ისინი არა ჩეჩენი ლტოლვილები, არამედ კრიმინალური ელემენტები იყვნენ. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, რამდენიმე დღის წინ, რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ თავის ქართველ კოლეგებთან საქმის „ჩასაწყობად“ ქართული ეროვნების რუსეთის გენერალური პროკურატურის საგარეო ურთიერთობების სამართველოს თანამშრომელი, ვინმე წურწუმია გამოაგზავნა, რომელსაც თან ხუთი დაკავებული ჩეჩენის კრიმინალური მოღვაწეობის დამადასტურებელი საბუთები ჰქონდა. როგორც ჩანს, სწორედ ამის შემდეგ ქართველი ძალოვნები ხუთი ჩეჩენის რუსეთში ექსტრადირებას დათანხმდნენ. ამ ინფორმაციამ პროკურატურიდან გამოჟონა, მეხუთე იზოლატორის წინ ჩეჩენმა ლტოლვილებმაც მოიყარეს თავი. მათ იჩქერიის დროშითა და ტრანსპარანტებით ხელში ე. წ. საპროტესტო აქცია გამართეს.

დაახლოებით ათი საათიდან იზოლატორის წინ ადვოკატები, არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო წითელი ჯვრის საზოგადოების, პროკურატურის და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები გამოჩნდნენ. ამ დროს იზოლატორის წინ შეკრებილმა ჩეჩენმა ლტოლვილმა ქალებმა საქართველოს პრეზიდენტის სახელზე მიმართვა გააკეთეს. ისინი აცხადებდნენ, რომ პატიმრები რუსეთიდან ცოცხლები აღარასოდეს დაბრუნდებოდნენ და ითხოვდნენ, რომ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალისათვის გადაეცათ დაკავებულები. შეკრებილებში აქა-იქ საყვედურიც გაისმოდა: „ახლა არ გჭირდებათ ჩეჩნები, როცა ჩვენ ფული აღარ გვაქვს, თორემ ადრე რაც მოგვინდებოდა, იმას გვიკეთებდით. ახლა რუსებს მიეყიდეთ.“

ჩეჩნების ადვოკატ გოგიტა გაბაიძის განცხადებით: „რუსეთის პროკურატურამ ქართველებს ყალბი საბუთები წარუდგინა და ამათაც არ აწყენინეს თავიანთ რუს კოლეგებს. დარწმუნებული ვარ, რომ რუსებმა პატიმრების იდენტიფიკაციაც ვერ მოახერხეს. აბა, სხვა რა უნდა ვიფიქრო, რატომ არ გვიშვებენ ციხეში პატიმრებთან და არ გვაჩვენებენ რუსების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს. სად არის გარანტია, რომელსაც გვპირდებოდნენ პროკურორები. მოკლედ ყველა უფლება დარღვეულია, მათ შორის ჩემიც, როგორც ადვოკატის“.

ჩეჩნეთის სათვისტომოს წარმომადგენელი **ხიზრი ალდამოვი**: „სამიოდე დღის წინ საქართველოს გენერალურ პროკურორს ბატონ ნუგზარ გაბრიჩიძეს პირადად ვესაუბრე და არაფერი უთქვამს, რომ აპირებდნენ რუსეთისთვის პატიმრების გადაცემას. რად უნდოდა პროკურორს ასეთი აჟიოტაჟი. კატეგორიულად ეთქვა ჩემთვის და გარწმუნებთ, ასეთი ამბავი არ ატყდებოდა და პანკისშიც ხალხი გაგებით შეხვდებოდა პატიმრების რუსეთისთვის გადაცემის საკითხს.

ხალხს გული დასწყდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი რუსებმა და სხვებმაც შეცდომაში შეიყვანეს, თორემ ვიცი, ბატონი შევარდნაძე არ დათანხმდებოდა მათ ექსტრადირებას“.

— შეცდომაში შეყვანაში რას გულისხმობთ?

— ის რომ დაპატიმრებული ჩეჩნების უკან არავითარი ბნელი წარსული არ დგას. საქართველოში მართალია იარაღით ხელში გადმოვიდნენ, მაგრამ ხელისუფლებას წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ჩაბარდნენ და თავშესაფარი ითხოვეს.

როდესაც ჩვენი თანამშრომლები ჩხრეკის ჩასატარებლად საკანში შევიდნენ, პატიმრები „მომზადებულნი“ დაგვხვდნენ. კედლიდან აგურები გამოუძვრიათ, გაუხდიათ შარვალი, შიგ აგურები ჩაუწყვიათ და ტოტების ბოლოები თასმებით შეუკრავთ, შარვალს ხელში ატრიალებდნენ და საწოლიდან მომტვრეული რკინის ნაჭრებით შეიარაღებულნი დანებებას არც აპირებდნენ.

საუბარში ქისტი ქალბატონი **მარინე ხანგოშვილიც** ჩაერთო: „ქართველმა პოლიციელებმა, როცა ჩეჩენი მებრძოლები თავისი ნებით ჩაბარდნენ, საქმე ისე წარმოადგინეს. თითქოს სპეცოპერაციის დროს შეიპყრეს ჩეჩენი მებრძოლები, თანაც თურმე ალყა შემოურტყამთ. ხალხი ნებით ჩაბარდა, თავშესაფარი ითხოვა და პოლიციელებმა თითქოს მათი შეპყრობით პრეზიდენტის თვალში ქულები დაიწერეს.“

— ხეობაში რა მდგომარეობაა, რას ამბობს ხალხი?

— რა მდგომარეობა იქნება. ჩვენ განა არ გვესმის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რუსების ზეწოლას ვერ გაუძლო. საქართველო სუსტი ქვეყანაა და ამ კაცი-ჭამია რუსებთან რას გააწყობს, მაგრამ მაინც იმედს არ ვკარგავდით.

„კვირის პალიტრა“ ესაუბრა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს პაატა მხეიძეს.

— პატონო პაატა, ვისი განკარგულებით მოხდა ხუთი ჩეჩენი პატიმრის გადაყვანა?

— განკარგულება გენერალური პროკურატურიდან მივიღეთ. რუსული თვითმფრინავი პატიმრების წასაყვანად დილით, 9 საათზე უნდა ჩამოფრენილიყო (სპეცრეისი მოსკოვიდან მხოლოდ 21.40 სთ-ზე. ჩამოფრინდა. — მ.ჯ.). მათი ექსტრადიცია კი მინსკის კონვენციაზე გადაწყდა. ჩეჩნების რუსეთისთვის გადაცემის საკითხი უპირველესად პრეზიდენტების დონეზე შეთანხმდა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოვალეობაში კი მხოლოდ პატიმრების გამოყვანა, აეროპორტში გადაყვანა და რუსეთის მხარისთვის გადაცემა იყო.

— თვითმფრინავი 9 საათზე უნდა ჩამოფრენილიყო. პატიმრები კი გაცილებით უფრო ადრე გაიყვანეს, რა იყო ამის მიზეზი?

— პატიმრებმა ადვოკატისგან იცოდნენ, რომ რუსეთის მხარესთან მათი ექსტრადიციის შესახებ მოლაპარაკება მიმდინარეობდა, ისინი ამის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და ამიტომ, მათი გაყვანის რამდენიმე ვარიანტი შევიმუშავეთ. ერთ-ერთი მათგანი ასეთი იყო: ჩეჩნებმა მოითხოვეს კამერის დეზინფექციის ჩატარება ტარაკნების დასახოცად. და რადგან დეზინფექციის დროს ოთახში ადამიანის გაჩერება რამდენიმე საათის განმავლობაში შეუძლებელია, ამ საბაბით უნდა გამოგვეყვანა ისინი კამერიდან და საბადრაგო მანქანაში უხმაუროდ ჩაგვესვა. მოხდა ინფორმაციის გაჟონვა. ჯერ 3 ოქტომბერს დილით, რუსეთის საინფორმაციო სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია ამის შესახებ, შემდეგ 9 საათზე „კურიერმა“ და ადვოკატმა გაბაიძემ განაცხადეს. ჩეჩენი პატიმრების ოთახში ტელევიზორი არ იყო, მაგრამ მათ გვერდით საკანში სასჯელს იხდის ჩეჩენი, პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტში ეჭვმიტანილი პაიკაევი. სწორედ მისგან შეიტყვეს ჩეჩენმა პატიმრებმა, რომ მეორე დღეს შეიძლებოდა მათი რუსეთში გაგზავნა მომხდარიყო. ამ ინფორმაციამ პატიმრებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და მივხვდით, რომ გადაყვანისას დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევდნენ. ვინ იცის, პატიმრების გადაყვანაში მათ გულშემატკივრებს ხელი რომ შეეშალათ, იქნებ საბადრაგო მანქანების ბორბლებსაც ჩავარდნოდნენ. ერთი სიტყვით, ყოველივე გავითვალისწინეთ და გადავწყვიტეთ პატიმრები გაცილებით ადრე, თანაც სულ სხვა გზით გადაგვეყვანა.

— მაგრამ პატიმრების მხრიდან წინააღმდეგობას მაინც წააწყდით.

— დიახ. როდესაც ჩვენი თანამშრომლები ჩხრეკის ჩასატარებლად საკანში შევიდნენ, პატიმრები „მომზადებულნი“ დაგვხვდნენ. კედლიდან აგურები გამოუძვრიათ, გაუხდიათ შარვალი, შიგ აგურები ჩაუწყვიათ და ტოტების ბოლოები თასმებით შეუკრავთ, შარვალს ხელში ატრიალებდნენ და საწოლიდან მომტვრეული რკინის ნაჭრებით შეიარაღებულნი დანებებას არც აპირებდნენ. საკანში სასწრაფოდ შევიყვანეთ სპეცდანიშნულების რაზმი და ხუთ წუთში ხუთივე პატიმარი განვაიარაღეთ. ჩემი ბიჭები საკნიდან ხელმოცარულნი რომ გამობრუნებულიყვნენ, მე მორალური უფლება არ მექნებოდა, სამსახური გამეგრძელებინა.

(გაგრძელება იხ. გვ.11)

ორ სკამზე მსხდომი ქართველებო, ორივე არ დაკარგოთ!..

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ბათიაშვილის შიში, კოდორს სერიოზული საფრთხე ელისო, საბედნიეროდ, არ გამართლდა, თუმცა საფრთხე კვლავაც აქტუალურია. რუსები ახალ პროვოკაციას გეგმავენ ქართველებისა და აფხაზების წასაკიდებლად. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ხეობის ახლოს, აფხაზთა და რუს სამშვიდობოთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, შეიარაღებულ ძალთა გადაადგილება შეიმჩნევა. ამასთანავე, თანდათან იძაბება სიტუაცია ე.წ. სამხრეთ ოსეთში, რუსი „ქართველთმოყვარე“ ჟირინოვსკი კი ჩვენს გასაგონად ახალ-ახალ ამბებს ავრცელებს. ამჯერად მის მიერ შედგენილი საქართველოს დაქუცმაცების საიდუმლო გეგმა გულგრილს არ დატოვებს მტერსაც და მოყვარესაც. საქართველოზე ზრუნვით „დამაშვრალ“ რუსს პრეზიდენტ პუტინისთვისაც გადაუშლია გული, რომელსაც ამ დიდი მოღვაწის ჩანაფიქრი ერთობ მოსწონებია. საქართველოს დაქუცმაცების გეგმა კი ასეთია: ცენტრალური მთავრობის იურისდიქციის ქვეშ დარჩება თბილისი და ქუთაისი, დანარჩენი საქართველო კი აფხაზეთის, სამეგრელოს, აჭარის, ოსეთის, მესხეთის რესპუბლიკებად გარდაიქმნება. პანკისში იჩქერიის ციცქნა რესპუბლიკა შეიქმნება, სამცხე-ჯავახეთს სომხეთს უფეშქაშებენ, გარდაბნის და მარნეულის რაიონებს „ნიუ აზერბაიჯანი“ დაერქმევა. ჟირინოვსკის გეგმის თაობაზე საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ **ავთანდილ იოსელიანს** ვთხოვეთ კომენტარი.

— მსგავსი ინფორმაციები არაერთხელ მსმენია. ამჯერად ჟირინოვსკის და საერთოდ, რუსეთის რეაქციულ ძალებს, რომლებსაც საქართველოს დაშლის იდეა დიდი ხანია აწუხებთ და გამუდმებით ცდილობენ, რაიმე გვავნონ, შევახსენებ, რომ ამგვარივე გეგმები მეც შემიძლია მათ შევთავაზო რუსეთთან მიმართებაში.

— თქვენი აზრით, როდემდე მოგვწევს რეაქციონერი რუსების და თუნდაც ჟირინოვსკის ყოველგვარ ლოგიკასა და აზრს მოკლებული ინფორმაციების მოსმენა?

— მანამდე, ვიდრე საქართველოში იარსებებს ორ სკამზე მჯდომი ხალხი. როცა ქართველები დასხდებიან ერთ სკამზე და საკუთარ ქვეყანას აღარ უღალატებენ, მსგავსი დეზინფორმაცია არ მიაღწევს საზოგადოების ყურამდე, ან კაცშვილი ყურადღებას აღარ მიაქცევს ამგვარ ნაბოდვარს. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რუსეთში ბლომად არიან საქართველოს დაშლის მოსურნე დამთხვეულები, მაგრამ „გიჟები“ არც ჩვენ გვაკლია, რომლებიც ყველა ღონეს იხმარენ რუსეთის დასაშლელად.

— მოლალატე ორ სკამზე მჯდომ ქართველებში რუსული სპეცსამსახურების ქართველ აგენტებს გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა. მაგათ ჰგონიათ, თუ რუსეთს თან გადაჰყვებიან და მიელაქუცებიან, ცხოვრებასაც უკეთ აიწყობენ. დარწმუნებული ვარ, რუსეთი სამშობლოს ერთგულ ქართველს უფრო გაუგებს, ვიდრე მოღალატეებს.

— კოდორზე რას იტყვით? რას ეყრდნობოდა თქვენი ამასწინანდელი განცხადება — კოდორს სერიოზული საფრთხე ემუქრება რუსული ასკაციანი სამხედრო რაზმის სახით?

— ვეყრდნობოდი კვაშნინის განცხადებას — კოდორის ახლოს 100-კაციანი რუსული სამხედრო რაზმის გადასხმის შესახებ, რაც თურმე, მისი აზრით, კოდორში ჩეჩენი მებრძოლების შეყვანის აღსაკვეთად გაკეთდა.

კოდორში პროვოკაციის საფრთხე არსებობდა, მაგრამ ჩატარდა შესაბამისი მუშაობა. ჩვენი ახსნა-განმარტებების შემდეგ შეიძლება ვთქვათ, რომ აფხაზები გონს მოეგნენ და ყველაფერს გააკეთებენ, რათა არ დაუშვან ზოგიერთი რეაქციონერი რუსი გენერლის გეგმების განხორციელება, ანუ მგონია, რომ აფხაზები პროვოკაციაზე არ წამოეგებიან.

— ცხინვალის თაობაზე რას გვეტყვით, რეგიონში ძალიან დაიძაბა სიტუაცია.

— აფხაზეთში დაძაბულობის განახლების კვალდაკვალ ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც იძაბება მდგომარეობა, რაც ჯერ კიდევ პანკისში ანტიტერორისტული ოპერაციების დაწყებისას შეიმჩნეოდა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა რეგიონში, სადაც ჯერჯერობით, რუსებს, ასე თუ ისე, მყარი პოზიციები აქვთ.

კოდორის უსაფრთხოებაში უკეთ დასარწმუნებლად ტელეფონით დავუკავშირდით ხეობის რწმუნებულს ***ემზარ კვიციანს:***

— ასეთი სიმშვიდე აქ კარგა ხანია არ ყოფილა. მტრისგან მაინცდამაინც დიდი საშიშროება არ იგრძნობა. ამას ჩვენი, საკმაოდ შორს წასული დაზვერვის ჯგუფები გვატყობინებენ.

— აბა, რატომ ისმის ყოველდღე, კოდორში საფრთხეა მოსალოდნელიო?

— პანიკის არავითარი საფუძველი არ არის.

— როგორ აფასებთ გაეროს დამკვირვებლების კოდორში მუდმივად ყოფნას?

— მუდმივად არსებული პროვოკაციების გამო გაჩნდა ამის აუცილებლობა. აფხაზებს აშინებენ, კოდორიდან გესხმიან თავსო. ჩვენ გვატყობინებენ, აფხაზები აპირებენ თავდასხმასო. ჩვენ რომ წამოვეგოთ და საბრძოლო მზადება დავიწყოთ, რუსები ამ ფაქტს გამოიყენებენ და წაქეზებულ აფხაზებს ალბათ პროვოკაციაზეც წამოაგებენ, მაგრამ ეს გამორიცხულია, აფხაზები ჩვენ არასოდეს აღარ დაგვიწყებენ ომს. პირიქით, ისინი ფიქრობენ, რომ შევრიგდეთ და ერთად ვებრძოლოთ საერთო მტერს.

ეკა ლომიძე

საქართველოს მღვიმეებიდან მოპარული სტალაქტიტებით რუსეთის სუვენირების მაღაზიები მარაგდება

სათაფლიაში დინოზავრთა კვალი გაქრობის საფრთხის წინაშე დგას

ჩემი უმცროსი ვაჟი ექსკურსიიდან შთაბეჭდილებებით აღსავსე დაბრუნდა. აღფრთოვანებული გვიყვებოდა გელათის და ბაგრატის ტაძრების განუმეორებელ სილამაზეზე. მერე თავი ვერ შეიკავა და გულდაწყვეტილმა მითხრა, — სათაფლიის მღვიმის სანახავად ავტოინსპექტორებმა ნაშუადღევს ასვლა აგვიკრძალეს — ყაჩაღობაა და ექსკურსანტებს უმოწყალოდ ძარცვავენო, სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალამდე გზა დანგრეულია, სპელეოლოგიური მუზეუმი — გაპარტახებული, დინოზავრთა ნაკვალევი ადრინდებურად მკაფიოდ აღარ ემჩნევა მიწას, მღვიმეში რამდენიმე მთვრალი მამაკაცი ცდილობდა მშვენიერი სტალაგმიტის, ე. წ. „პიზის კოშკის“, მოტეხვას და ვიღაც ფეხმსუბუქი რუსის დედაკაცისთვის სუვენირად მირთმევასო. სათაფლიის ნაკრძალის ხელმძღვანელობის დიდი მცდელობის შემდეგ მთვრალებმა „პიზის კოშკს“ თავი დაანებეს, მაგრამ მღვიმეში სხვა, არანაკლებ ლამაზი სტალაქტიტი მოტეხეს და ქალს დიდი ამბით გადასცესო.

წელს, ზაფხულში, წყალტუბოს რაიონში, ერთ-ერთ კასტრულ მღვიმეში (ამ მღვიმეებს, როგორც ბუნების ძეგლებს, სახელმწიფო თითქოს იცავს, სინამდვილეში კი უყურადღებოდ არის მიტოვებული, — ზ.ჩ.) ბავშვები შეპარულან, გზა დაბნევიათ და სიცივითა და შიმშილით გასავათებულებს რამდენიმე დღე წყვდიადში გაუტარებიათ. ბოლოს, ერთ გლეხს მოუფიქრებია და ბავშვების მოსაძებნად მღვიმეში შესულა.

რომ არა მისი მიხვედრილობა, უთუოდ უბედურება დატრიალდებოდა...

ამ ამბებმა ისე ამაფორიაქა, რომ მეორე დღესვე ქუთაისს მივაშურე.

და აი, უკვე ოლასქურაზე ავტობუსს ველოდები სოფელ ბანოჯაში გასამგზავრებლად. იქიდან კიდევ 3 კმ მთა-მთა უნდა ვიარო სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალამდე.

როგორც იქნა, ავტობუსიც მოლოდა... უვარგისი გზის გავლას ერთი საათი მოვუნდით, შემდეგ აღმართს ფეხით შევუყევი.

სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი სამგურალის ქედზე, ზღვის დონიდან 500 მ-ზე მდებარეობს. დაარსდა 1935 წელს და 354 ჰა-ს მოიცავდა. ამ კომპლექსურ ნაკრძალში შედის გეოლოგიური, სპელეოლოგიური, ზოოლოგიური და ბოტანიკური ძეგლები. მთა-გორები დაფარულია რელიქტური კოლხური ტყით, სადაც წითელ წიგნში შეტანილი უამრავი მცენარე ხარობს, მათ შორის, ძელქვაც. ნაკრძალის ტერიტორიაზე, ქვედა ცარცულ კირქვებში, დერეფნული ტიპის მღვიმეა განშტოებებითა და დარბაზებით, რომელიც მდიდარია სტალაქტიტებით, სტალაგმიტებით და „ფარდებით“. მღვიმიდან ნაკადული გამოდის. სწორედ ამ ნაკადულს შეჰყვა სათავისკენ მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანი და ეს მღვიმეც აღმოაჩინა. სამგურალის ქედზე ერთ დროს მსოფლიოში ყველაზე გრძელნესტრიანი კოლხური ფუტკარი ბინადრობდა... მოგვიანებით ჭაბუკიანმა მღვიმის ახლოს დინოზავრთა ორასამდე უნიკალურ ნაკვალევს მიაგნო, რომელიც მერგულოვან კირქვებზეა აღბეჭდილი და მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება...

მოტეხილი სტალაქტიტის კვალი სათაფლიის მღვიმეში

ოღროჩოღრო გზითა და სექტემბრის ხვატით არაქათგამოცლილმა ის იყო, უკან დაბრუნება დავაპირე, რომ ტყიდან მოულოდნელად მწყემსი გამოვიდა, რომელიც **ვიტალი შვანგირაძედ** გამეცნო:

— აფერუმ, რომ ამ უკაცრიელში 3 კილომეტრის მარტოდმარტო გავლა გაბედე. ეტყობა, არ იცი, რომ ამ ტყეში უამრავი ნადირი ბინადრობს, ოთხფეხაც და ორფეხაც. ოთხფეხა, მაგალითად, მგელი და ფოცხვერი, საქონელს ერჩის, ადამიანს ერიდება; ორფეხა ყაჩაღები კი... ხშირად მთელი ავტობუსი ექსკურსანტებისა, მათ შორის, უცხოელებიც, გაუძარცვავთ. პოლიცია კი დადის, მაგრამ მისი დაჭერილი ყაჩაღები მე ჯერ არ მინახავს და არც გამიგონია. გუშინწინ „მერსედესით“ სათაფლიის მთაზე ამოსული ქალი და კაცი პირწმინდად გაძარცვეს და მგონი, ქალითაც ისიამოვნეს, — „დამამშვიდა“ მწყემსმა.

რა ბიჭი ვიყავი, ამ სიტყვების შემდეგ შვანგირაძე სადმე გამეშვა! სანამ ნაკრძალის ჭიშკრამდე თავი არ მივაცილებინე, მანამ არ მოვეშვი.

რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა შებინდებულზე სათაფლიის ნაკრძალის თანამშრომლები ადგილზე დამხვდნენ.

ნაკრძალი-მღვიმის მეცნიერ-თანამშრომელი **მინა იაკობაშვილი**: *„ადრე, მავანთა სურვილით, ნაკრძალი ორ ნაწილად გაიყო. მღვიმეთა კომპლექსი, სპელეოლოგიური მუზეუმი და დინოზავრთა ნაკვალევი გადაეცა ბუნებრივი ძეგლების დაცვის საზოგადოებას. მან ვერ მოუარა და ნაკრძალისთვის დაბრუნების მაგივრად, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს გადასცა. საბჭომ მუზეუმის შენობა უყურადღებოდ მიატოვა. დიდთოვლობის შემდეგ სახურავი ჩაიქცა და თითქმის ყველა ექსპონატი განადგურდა. მის აღდგენაზე არავის უფიქრია. რაც შეეხება დინოზავრთა ნაკვალევს, ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ დანაშაულებრივი ექსპერიმენტი ჩაატარა. გარედან შემოიტანეს მიწა და დინოზავრთა ნაკვალევს დააყარეს, ნუ იტყვით და, კონსერვაციის მიზნით! ეს მიწა ისეთი შემადგენლობისა აღმოჩნდა, რომ ნაკვალევი დააზიანა. ადგნენ, მოიყვანეს ტრაქტორი და როცა ჩვენ ექსკურსანტებს ნაკვალევზე ფაჩუჩებით ვატარებდით, მათ ტრაქტორი მიუშვეს მიწის გადასახვეტად. ამან უარესი დამართა აქაურობას. მერე, ვითომ ნიაღვრისგან დასაცავად, რაღაც ბეტონის პატარა რკალები გაუკეთეს თითოეულ ნაკვალევს და ყველაფერი საბოლოოდ დაამახინჯეს. სამაგიეროდ, ამ საქმიანობაში უზარმაზარი ფული დაიხარჯა, უფრო სწორად, მავანთა ჯიბეში მოხვდა.*

ასთმით დაავადებულები თეთრას მღვიმეში საკუთარი ინიციატივით მკურნალობენ

დირექტორმაც და თანამშრომლებმაც თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურის მისამართით საყვედურები გამოთქვეს.

ნაკრძალის დირექტორი **თემურ ჩხეიძე**: *„კაციშვილს არ ადარდებს სათაფლიის უნიკალური სილამაზის მღვიმის მდგომარეობა. ჩვენი გროშებითა და ძალებით რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვუვლით, მაგრამ რომელ ერთს გავწვდეთ? ნაკრძალების დეპარტამენტიდან მცირე ფინანსურ დახმარებას გვპირდებოდნენ, მაგრამ ისიც ვერ გაიმეტეს. არადა, დრო არ ითმენს. სათაფლიის სატკივარი არც გუბერნატორის ყურამდე აღწევს.“*

— ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები არსად ჩანს. სინათლე თუ არა გაქვთ, მღვიმეს როგორ ანათებთ?

— გენერატორით. მაგრამ იგი იმდენად სუსტია, რომ წესიერად მღვიმეს კი არა, ერთ ოთახს ვერ გაანათებს. რაც შეეხება ელექტროგადამცემ ხაზებს, იგი სოფლის მოსახლეობამ მოიპარა. ასეთივე ბედი ეწია ბანოჯიდან გამოყვანილ წყლის მილებს.

ერთ დროს სათაფლიის თავზე მფრინავი ხვლიკი დანავარდობდა

ფერდობზე ბილიკით დავეშვით, რომელმაც მღვიმის შესასვლელ კარამდე მიგვიყვანა. დირექტორმა კარი გააღო და ზარი დარეკა — ზემოთ დარჩენილებს ანიშნა, გენერატორი ჩართეთო...

თვალი მბჟუტავ სინათლეს მიეჩვია და უკვე ნათლად ვხედავდი ჭერიდან ჩამოშვებულ ულამაზეს სტალაქტიტებს და მიწიდან სოკოებივით ამოზრდილ სტალაგმიტებს. ზღაპრული სამყაროა, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ბავშვობიდან ჩამრჩა მეხსიერებაში სათაფლიის მღვიმე. მაშინ განათება საკმარისი და თანაც ფერადი იყო, რომელიც აქაურობას საარაკო სილამაზეს ანიჭებდა.

რაც უფრო ღრმად შევდივართ მღვიმეში, მით უფრო სუსტდება სინათლე და ძლიერდება ბინდი. გულისებრ დარბაზში ვართ, სადაც მართლაც ადამიანის გულის მსგავსი უზარმაზარი სტალაგმიტია, რომელზეც დამოკლეს მახვილივით ჩამოშვებულა წვეტიანი სტალაქტიტი. „ისინი ერთმანეთს 130 ათასი წლის შემდეგ შეუერთდებიან“, — მესმის თემურ ჩხეიძის ხმა და ვფიქრობ, თუ რა ცოტას ცოცხლობს ადამიანი. აქ, მღვიმეში, დროის შეგრძნება ქრება.

აი, ესეც „პიზის კოშკი“, რომლის მოტეხვასაც ცდილობდნენ თურმე მთვრალები. მართლაც ისეთი ფორმისაა და ღერძიდანაც იმდენითაა გადახრილი, როგორც მისი სეხნია...

არაერთი სტალაქტიდი და სტალაგმიტი მოუტეხიათ, აშკარად ვამჩნევ ძველ და ახალ ნაყაჩაღარს. ბატონი თემური ჩემს მზერას იჭერს და მეუბნება: *„რას იზამ, არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ყველაფერ ლამაზის მითვისება უნდათ. ეს სტალაქტიტები აქ, მღვიმეში, არიან იდუმალად მომხიბლავები, თორემ გარეთ ჩვეულებრივ ფერად ქვის კეტებად იქცევიან... ერთმა მეტად ცნობილმა მოსკოველმა აკადემიკოსმა მთხოვა სტალაქტიტის მოტეხვის ნება — ბლომად გადაგიხდითო. ცივი უარით გავისტუმრე.“*

...გარეთ გამოვედით. დამთავრდა ზღაპარი, რომელსაც მართლაც გაქრობა ემუქრება, თუ სახელმწიფომ არ მიხედა.

ნაკრძალის თანამშრომლებს ერთი, როგორც თავად ამბობენ, უტოპიური ოცნება არ ასვენებთ — იქნებ ვინმე უცხოელი ინვესტორი გამოჩნდეს და სათაფლია „დისნეილენდად“ აქციოსო.

როგორც აღვნიშნეთ, წყალტუბოს რაიონში უამრავი მღვიმეა. მათგან ბევრი, მაგალითად, „თეთრა,“ „ცუცხვათი“ „ნავენახევი“ და სხვა, ბრონქიალური ასთმის დაავადების სამკურნალოდ გამოიყენებოდა, პაციენტების მისაღებად მეტ-ნაკლებად კეთილმოწყობილიც იყო, მაგრამ დღეს გაპარტახებულია, უმრავლესობას კარიც არა აქვს, რომ შიგ ბავშვები არ შევიდნენ.

ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტიც უნდა მოგახსენოთ, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობია: 1984 წელს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიის განყოფილების თანამშრომელმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა წყალტუბოს ახლოს, მდინარე ყუმისთავის მიდამოებში, აღმოაჩინა უზარმაზარი მღვიმე, რომელსაც „ყუმისთავის მღვიმე“ ეწოდა. ამ გიგანტური მღვიმის მხოლოდ 15 კმ-ია გამოკვლეული. ქართველი სპელეოლოგების მტკიცებით, იგი სტალაქტიტების, სტალაგმიტების, „ფარდების“, ნაღვენთების ზღაპრული სილამაზით გამოირჩევა და მსოფლიოს ვერც ერთი „მიწისქვეშა დარბაზი“ ვერ შეედრება. საბჭოთა პერიოდში აქ ადმინისტრაციული შენობაც იდგა. მღვიმეში, ერთ კილომეტრზე, დამთვალიერებლებისათვის ბილიკები და განათებაც გაკეთდა, მაგრამ ამჟამად ყველაფერი ეს გაძარცულ-გაჩანაგებულია. „ყუმისთავის მღვიმეს“ ერთი ადგილობრივი, ტყაბლაძეების ოჯახი მეთვალყურეობს. მათი მოვალეობა მხოლოდ ის არის, რომ მღვიმეში ზედმეტად ცნობისმოყვარე ტურისტი არ შეუშვან.

როგორც შევიტყვეთ, ამჟამად ქუთაისის რეგიონში ახალი ბიზნესი წამოუწყიათ — მღვიმეებიდან მოპარულ სტალაქტიტებს სათუთად ფუთავენ და მოსკოვისა და სანქტ-პეტერბურგის სუვენირების მაღაზიებს უგზავნიან. ამ საქონელს იქ საკმაოდ დიდი ფასი ადევს და რაც უფრო დიდი, იშვიათი ფერის და უცნაური მოყვანილობისაა სტალაქტიდი, ფასიც მეტი აქვსო. თუ ასე გაგრძელდა, მალე საქართველოს მღვიმეებში კედლებიღა დარჩება.

სახელმწიფომ მღვიმეებს ერთი ხეირიანი რკინის კარი ვერ შეაბა, რათა ვისაც მოესურვება, შიგ არ შეეხეტოს და იქაურობა არ წარყვნას. ამას რომ თავი დავანებოთ, ბავშვებს მაინც დავიცავთ საშიშროებისაგან. სპელეოლოგიური მუზეუმის აღდგენასა და სხვა პრობლემებზე აღარაფერს ვამბობ...

ზვიად ჩაკვეტაძე

ჩრდილოეთ ოსეთში დატრიალებული ტრაგედია საქართველოშიც შეიძლება განმეორდეს?!

კავკასიის მყინვარებს სრული გაქრობა ემუქრება

ჩრდილო ოსეთში, კერძოდ კი კარმადონის ხეობაში, ჩამოზვავებულ მყინვარს, რომელმაც შეაგუბა მდინარეები, საშინელი ღვარცოფი მოჰყვა. ტალახიან-ყინულიანმა ნაკადმა, რომლის მასა, სავარაუდოდ, 20 მლნ ტონაზე მეტი იყო, მიწასთან გაასწორა და ცოცხლად დამარხა ქვემო კარმადონის საკურორტო დასახლება, დღევანდელი მონაცემებით, 119 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

— ის საშინელება, რაც ჩრდილოეთ ოსეთში მოხდა, მყინვარების ინტენსიური დნობის შედეგია, — გვითხრა საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ტატაშიძემ**, — და ადვილი შესაძლებელია, კავკასიის მთიანეთის სამხრეთ ფერდობებზე ანუ საქართველოში განმეორდეს. არავის შეშინებას არ ვაპირებ, მაგრამ ცხადია, რომ ამჟამად საქართველოს კავკასიის მყინვარები სწრაფი ტემპით განაგრძობენ დნობას. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ბოლო ხანს საქართველოში გახშირებული შიდა დინამიკური პროცესების უჩვეულო გააქტიურების კვალდაკვალ, როგორიცაა მიწისძვრები, დიდი საფრთხე ემუქრება ჩვენს სამშობლოს. ათიოდე წლის წინ საქართველოს ტერიტორიაზე ათი ათასი მეწყრული სხეული იყო, ამჟამად ასეთი დასამეწყრი ადგილების რაოდენობამ 70 ათასს მიაღწია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ქართველი მეცნიერები ვამტკიცებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის თითქმის 7 მლნ ჰა და სამასზე მეტი დასახლებული პუნქტი ბუნების კატასტროფული მოვლენების მაღალი რისკის ქვეშ აღმოჩნდა. ყოველ წელიწადს მყინვარი შეიძლება რამდენიმე ასეული მეტრიდან რამდენიმე ათეულ კმ-მდე გაიზარდოს ან შემცირდეს. ის, შეიძლება ითქვას, ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც მუდმივი დაკვირვება და კონტროლი სჭირდება, რათა თავიდან ავიშოროთ ტრაგედია. უფრო მეტიც, მყინვარების ინტენსიური დნობა საფუძველს მაძლევს, ვივარაუდო, რომ კავკასიის მყინვარებს გლობალური დათბობის პირობებში, რაც ამჟამად მიმდინარეობს, სრული გაქრობა ემუქრება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს უამრავი მდინარე მყინვარებიდან იღებს სათავეს და საზრდოობს, მაშინ ბევრ მათგანსაც იგივე ელის, რაც მყინვარებს.

— მყინვარების ინტენსიური დნობის დროს წესით, მდინარეების დონემ უნდა მოიმატოს...

— ასეც გახლავთ. დააკვირდით, მაგალითად, მდინარე ენგურის ზაფხულისა და შემოდგომის ჩამონადენს. აშკარად თვალში საცემია მისი მოცულობის ზრდა. ამას ენგურის კაშხლის მაჩვენებელიც დაგიდასტურებთ. ასეთივე მდგომარეობაა რიონზეც და იმ მდინარეებზეც, რომლებიც სათავეს კავკასიის სამხრეთ ფერდობებზე იღებენ.

— დავუშვათ, სახელმწიფომ დააფინანსა მყინვართა გამოკვლევა. რას მოგვცემს ეს — ექსპედიციის წევრები ხომ ვერ შეაჩერებენ მყინვარის დნობას?

— რა თქმა უნდა, ვერა, მაგრამ ხელთ გვექნება უტყუარი პროგნოზი, რომელი მყინვარის მოწყვეტაა სავარაუდო, რათა რაც შეიძლება ნაკლები ზარალი მივიღოთ და თავიდან ავიცილოთ ადამიანთა მსხვერპლი. ეს კი არც ისე ცოტაა.

(გაგრძელება იხ. გვ.13)

ვის მოსაკლავად სთავაზობდნენ 100.000 დოლარს დავით ასანიძეს...

„ჩემი სპეცსამსახურები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მუშაობენ ამგვარი მნიშვნელოვანი დოკუმენტების მოსაპოვებლად“

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ბოლოდროინდელ პროცესებს თუ გაადევნებთ თვალს, ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის საკითხი ქართველებზე მეტად უცხოელებს უნდა აღელვებდეთ. როცა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის გარდა აფხაზეთის პრობლემით საფრანგეთიც დაინტერესდა, საქართველოში კვლავ „ძმამ მოუდო ძმასა ყისტი“. გაუთავებელი ჩხუბითა და კომპრომატების ფრიალის „მარათონში“ გართულ ქართველებს, ძნელი სათქმელია, რა უფრო აწუხებთ — სამშობლოს ბედი თუ დაქუცმაცების პირას მისული ქვეყნის ტერიტორიებზე გავლენის არეალის გაფართოება და ძალაუფლებისათვის ბრძოლა. საზოგადოების დიდ ნაწილში სწორედ ამგვარ ეჭვს ბადებს ბოლო პერიოდში „თამაზისტებისა“ და „ასლანისტების“ დაპირისპირება, რომელიც კიდევ უფრო ამწვავებს ცენტრსა და აჭარას შორის ურთიერთობას.

პრეზიდენტი შევარდნაძე თავის პირად წარმომადგენელს აფხაზეთის საკითხებში — ასლან აბაშიძეს მოღვაწეობის 10 თვის თავზე საყვედურს უცხადებს. ამის მიზეზი აფხაზეთის კონფლიქტი ხდება. მოგვიანებით აჭარის ლიდერი შევარდნაძეს უგზავნის წინადადებათა პაკეტს, რომელშიც აფხაზეთის დაბრუნების აბაშიძისეული გეგმაა მოცემული. არც შევარდნაძე და არც აბაშიძის გარემოცვა წერილის შინაარსს არ ახმაურებენ. კულუარებში ამბობენ, რომ პრეზიდენტმა აბაშიძის წერილი კონფიდენციალურად გადასცა თამაზ ნადარეიშვილს, რამაც აჭარისა და აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას შორის ბრალდებების ახალი ტალღა ააგორა. აჭარულ „უსტარზე“ სავალდებულოდ მის ავტორს ედუარდ შევარდნაძე თბილისში ეპატიჟება და აცხადებს, რომ აბაშიძის თბილისში ჩამოუსვლელად მათი ურთიერთობა უპერსპექტივოა. ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო იძაბება. ამის თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ „აღორძინების“ ლიდერს **ჯემალ გოგიტიძეს**:

— შევარდნაძემ მშვენივრად იცის, რომ აბაშიძე თბილისში არ ჩამოვა და ამის მიუხედავად, მაინც აკეთებს ამგვარ განცხადებებს. გაუგებარია, რატომ! აბაშიძე ის კაცი არ არის, ვინც შევარდნაძის ფარატინა ქალაღდის გულისთვის თბილისში ჩამოირბენს. თანაც, ჩვენთვის მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის სტატუსი. ვფიქრობ, შევარდნაძის განცხადება წააგავს იმ სასოწარკვეთილი ადამიანის განცხადებას, რომელსაც ქვეყნის ნგრევის გეგმები ღამის ჩაეშალოს. პრეზიდენტმა ნათლად დაინახა, რომ გაჩნდა აფხაზეთის დაბრუნების და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რეალური პროგრამა და მიხვდა, რომ პირადი წარმომადგენლის რანგში ასლან აბაშიძემ სერიოზული საფრთხე შეუქმნა მის ავტორიტეტს. ამერიკაში წასვლამდე ორი დღით ადრე აბაშიძეს შევარდნაძესთან სატელეფონო საუბარი ჰქონდა. ამის შემდეგ კი პრეზიდენტმა ღიად მიანიშნა, რომ აბაშიძის მისიის გაგრძელება დედაქალაქში მის ჩამოსვლა-არჩამოსვლაზე იყო დამოკიდებული. როდესაც თვითონ შევარდნაძეს სჭირდებოდა რაიმე საკითხზე მოლაპარაკება, ფაციფუცით ჩაბრძანდებოდა ხოლმე ბათუმში. კეთილი ინებოს და ამჯერადაც თვითონ ჩამობრძანდეს ბათუმში! აბაშიძე კი თბილისში იქამდე არ ჩამოვა, ვიდრე ეს ხელისუფლება იქნება და ტერაქტის განხორციელების საშიშროება იარსებებს!

— რა საფუძველი გაქვთ განაცხადოთ, რომ შევარდნაძის ასლან აბაშიძის ფიზიკური განადგურება სურს, ან რომ საეჭვოა აჭარის ლიდერი თბილისში ჩამოვიდეს და ცოცხალი დარჩეს?

— სამწუხაროდ, არსებობს ამის რეალური საშიშროებაც და ეჭვიც. ერთხელ, საუბრისას, ბატონი ასლანის რეპლიკას, რომ შევარდნაძის დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები მასზე თავდასხმას გეგმავდნენ, იცით, როგორ უპასუხა პრეზიდენტმა? — არ გამოვრიცხავ, რომ ეს ასეც იყოს, რადგან ისინი მეც კი მესხმიან თავსო!... გამოდის, თვით პრეზიდენტიც ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ ასლან აბაშიძის ლიკვიდაცია არ მოხდება. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ეს „მანქანა“ სწორედ მისი საშუალებით იმართება. გაიხსენეთ არშემდგარი ტერაქტები. ეს იყო სპეციალური სცენარით

აბაშიძე თუ ერთხელ მაინც ჩამოვა თბილისში, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩამოვა მეორედაც, მესამედაც და ა.შ. რა გარანტია აქვს, რომ მეოთხე ან თუ გნებავთ, მეხუთე ჩამოსვლაზე ცოცხალი და უვნებელი დარჩება? საკუთარ ქვეყანაში უსაფრთხოების არანაირი პირობები არ არსებობს.

გათამაშებული ზუსტად გათვლილი სპექტაკლები, რომლებიც ვიღაც-ვიღაცების პოლიტიკური მიზნების განხორციელებას ისახავდა მიზნად. ამიტომაც ვეჭვობთ, რომ აბაშიძის დაცვას თბილისში ჩამოსვლის შემთხვევაში ვერავინ შეძლებს.

— ვერც სამთავრობო დაცვა?

— ვერც სამთავრობო დაცვა, ეს საკმაოდ რთული ფუნქციაა. თანაც უკვე არაერთხელ გაცხადდა, რომ ტერორისტულ აქტებს გეგმავენ და ახორციელებენ სწორედ ის სპეცსამსახურები, ვისი ფუნქციაც სახელმწიფო მოხელეების დაცვაა. აბაშიძე თუ ერთხელ მაინც ჩამოვა თბილისში, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩამოვა მეორედაც, მესამედაც და ა.შ. რა გარანტია აქვს, რომ მეოთხე ან თუ გნებავთ, მეხუთე ჩამოსვლაზე ცოცხალი და უვნებელი დარჩება? საკუთარ ქვეყანაში უსაფრთხოების არანაირი პირობები არ არსებობს. დღემდე ცოცხალია პიროვნება, ვინც სპეციალური დაცვის სამსახურში მუშაობდა და ვისაც ასლან აბაშიძეზე ტერაქტის განხორციელებას ავალებდნენ. ის კაცი დღესაც პარლამენტში ზის.

— და ვინ არის ეს პარლამენტარი?

— ეს გახლავთ დეპუტატი როსტომ დოლიძე. მსჯავრდებული დავით ასანიძე (თენგიზ ასანიძის ნათესავი) აცხადებს, რომ როსტომ დოლიძე 100.000 დოლარს თავაზობდა ასლან აბაშიძის ფიზიკური განადგურებისთვის. ჩვენი არაერთი მიმართვისა და განცხადების მიუხედავად, არავინ, არც შინაგან საქმეთა სამინისტრო, არც პროკურატურა, არც სხვა ძალოვანი სტრუქტურები და არც თავად პრეზიდენტი არ დაინტერესებულან და არ უკითხავთ დოლიძისთვის — მართლა სთავაზობდა თუ არა 100.000 დოლარს დავით ასანიძეს ან საერთოდ, ვინ აძლევდა დავალებებს... არავის აზრად არ მოსვლია ამ საქმის გამოძიება, არადა ამ ამბავს ხურჯინში თავმოკრულს არ ვინახავდით. ამის შემდეგ არ უნდა გვქონდეს რეალური შიში, რომ აბაშიძის ლიკვიდაცია იგეგმება და არ უნდა ვფრთხილობდეთ?

— ბატონო ჯემალ, მაინც რა წერია იმ წერილში — უფრო ზუსტად წინადადებების პაკეტში, რომელიც ასლან აბაშიძემ პრეზიდენტს გამოუგზავნა და რომლის შინაარსსაც რატომღაც ყველა ასაიდუმლოებს?

— ვიდრე კონკრეტულად ამ კითხვაზე გიპასუხებთ, გავიხსენებ, ვიღაც-ვიღაცების მიერ თბილისში აჭარის წარმომადგენლობის გადაწვის ამბავს. ამგვარი გაფრთხილებები და მუქარები ხელისუფლებისა და ნადარეიშვილის კონტრაბანდისტი მეგობრების მხრიდან მოდიოდა, რადგან ისინი გემრიელ ლუკმას კარგავდნენ. ამის ნებართვა კი შევარდნაძემ თავისივე კაბინეტში გასცა. შევარდნაძე ყველაფერს აკეთებს აბაშიძის დისკრედიტაციისთვის. ახლაც ღამის უკვე ყბადაღებულად ქცეული წერილი ნადარეიშვილს გადაუგზავნა. ფაქტობრივად, პრეზიდენტი ჩიხში მოექცა. პრაქტიკულად მას წინ უდევს აფხაზეთის დაბრუნების რეალური გეგმა და ყველაფერს აკეთებს, რომ როგორმე ეს პროცესი შეაყოვნოს; ცდილობს, რომ მოსკოვში აბაშიძის ყველა ვიზიტი ჩაშალოს. ამისთვის კი ვაჟა ლორთქიფანიძეც აქტიურობს და ისიც დანამდვილებით ვიცი, რომ შევარდნაძეს არათუ არ სურს აფხაზეთის დაბრუნება, არამედ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ აფხაზეთი საბოლოოდ დავკარგოთ! ვფლობ საკმაოდ სერიოზულ ინფორმაციას ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის მოღალატური ქმედებების შესახებ.

— არ გაგვიმხელთ, მაინც რა ინფორმაციაა ასეთი?

— ამ ყველაფერს იცით, როდის გავამხელ? თუ შევარდნაძე განაცხადებს, რომ ასლან აბაშიძე აღარ არის მისი პირადი წარმომადგენელი, ვიტყვი, რომ აფხაზეთი დავკარგეთ და იმ ყველაფერსაც გამოვამზეურებთ. პრეზიდენტი ორმაგ თამაშს თამაშობს — ამბობს იმას, რასაც არ აკეთებს...

— ასლან აბაშიძე ამ ეტაპზე აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განხილვის შეწყვეტას მოითხოვს, რაც მიუღებელია თუნდაც იმავე თამაზ ნადარეიშვილისთვის...

— იცით რა, ვერავის დავეთანხმები, ვინც ასე ფიქრობს... მთავარი ნდობის აღდგენაა! სტატუსის განსაზღვრაზეც მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება საუბარი, როდესაც აფხაზურ მხარეს დაველაპარაკებით და ჩვენ შორის რაღაც ნდობა გაჩნდება. კი, ბატონო, ბოლოს და ბოლოს, თუ აფხაზეთის დაბრუნების აბაშიძისეული ვარიანტი არ მოსწონთ, თავიანთი ვარიანტი დადონ და მერე ვილაპარაკოთ.

რატომ გაღიზიანდნენ იცით აფხაზეთისთვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნით — აფხაზეთიდან სერიოზული კონტრაბანდა შემოდის. ბლოკადის მოხსნით კი, უბრალოდ, კონტრაბანდისტი ნადარეიშვილი აღარ გვეყოლება და იმ ფულით, რომელიც საქართველოს ბიუჯეტში ოფიციალურად შევა, აფხაზეთიდან დევნილებისთვის დახმარებების გაცემას მაინც შევძლებთ...

ვესაუბრებით აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელს **თამაზ ნადარეიშვილს**:

— ბატონო თამაზ, ხმები დადის, რომ ასლან აბაშიძის წერილი თავად პრეზიდენტმა გადმოგცათ.

— სიცრუეა. ჩემი სპეცსამსახურები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მუშაობენ ამგვარი მნიშვნელოვანი დოკუმენტების მოსაპოვებლად. სწორედ მათი მეშვეობით მოვიპოვე ეს წერილი, რომლის შინაარსიც ჩემდა გასაოცრად, არ გახმაურდა პრეზიდენტის მხრიდან. აღმაშფოთა ბატონი ასლანის მოთხოვნამ, რომ მოიხსნას აფხაზეთის სტატუსის განხილვა და გაუქმდეს აფხაზეთის მიმართ საქართველოს მხრიდან განხორციელებული ეკონომიკური ბლოკადა. გაუგებარია აბაშიძის ამგვარი ულტიმატუმი.

— ეკონომიკური ბლოკადის მოხსნაში რა იგულისხმება? და საერთოდ, არსებობს კი ასეთი სანქცია ფიზიკურად?

— როგორც ჩვენ გვინდა, ისე არა, მაგრამ პოლიტიკური გადაწყვეტილების სახით აფხაზეთზე ეკონომიკური ბლოკადა არსებობს; აბაშიძე მოითხოვს მათთვის რკინიგზის აღდგენას, რაც აფხაზეთს მარტო საბაჟო შემოსავლებით მოუტანს საქართველოს ბიუჯეტისოდენა თანხებს. აფხაზეთის საჰაერო სივრცის გახსნისთანავე კი სოხუმის აეროპორტი რუსეთის თვითმფრინავებით აივსება. რა იქნება მათი მიზანი, ყველასთვის ნათელია. ასე რომ, თუ აფხაზეთის სტატუსს დღის წესრიგიდან სამუდამოდ მოვხსნით და აბაშიძის ულტიმატუმებს დავაკმაყოფილებთ, გამოდის რომ აფხაზებს სრულ დამოუკიდებლობას მივცემთ და ჩვენივე ხელით მივართმევთ არძინბას და რუსეთს აფხაზეთის საჭეთმპყრობლის გასაღებს.

ეს უშუალოდ აბაშიძისა და შევარდნაძის წერილია. უახლოეს ხანებში რომელიმე მათგანმა უნდა გამოაქვეყნოს იგი, თუ არადა, მაშინ მე გამოვაქვეყნებ.

— როდის გამოგზავნა აბაშიძემ წერილი თბილისში?

— ზუსტად 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს.

— წერილი თუ გაქვთ, რატომ არ აქვეყნებთ?

— ჯერჯერობით თავს ვიკავებ იმის გამო, რომ ეს უშუალოდ აბაშიძისა და შევარდნაძის წერილია. უახლოეს ხანებში რომელიმე მათგანმა უნდა გამოაქვეყნოს იგი, თუ არადა, მაშინ მე გამოვაქვეყნებ.

— როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტმა რატომ შეიკავა თავი და არ გაამჟღავნა წერილის შინაარსი?

— არ ვიცი, ამ თემაზე საუბარი არ გვქონია. ვცდილობ შევხვდე და აუცილებლად დავუსვამ ამ შეკითხვას.

— ბრალს დებთ აბაშიძეს, რომ მან რუსეთის სახელისუფლებო წრეების მითითებით დაწერა ეს წერილი... ამ ბრალდებამ ისე გაანაწყენა გოგიტიძე, რომ განცხადებაც კი გააკეთა, აბაშიძე არავის კარნახით არ მოქმედებს, მსგავსი განცხადების ავტორები ავად მყოფები არიანო.

— თავს უფლებას არ მივცემ, გოგიტიძეს ვუწოდო გიჟი ან არანორმალური, მას არ ვიცნობ. ის აზრი კი, რომ აბაშიძე რუსულ და სეპარატისტული აფხაზეთის საქმეს აკეთებს, გამოვთქვი იმიტომ, რომ 1996 წელს თბილისში ჩამოსულმა არძინბამ და პრიმაკოვმაც ზუსტად ამ შინაარსის მოთხოვნები წამოაყენეს. ამგვარ მოთხოვნებს გვიყენებდნენ რუსეთში ხელისუფლების მაღალ პირებთან შეხვედრის დროსაც. იგივე ვარიანტები შემოგვთავაზა თბილისში ჩამოსულმა პასტუხოვმაც. ამიტომაც შემექმნა აზრი, რომ აბაშიძის წერილი მოსკოვში დაიწერა და მისი გამოგზავნის თარიღიც ბატონი ასლანის მოსკოვიდან ჩამოსვლის თარიღს ემთხვევა. როგორც ჩვენი საინფორმაციო წყაროებიც ადასტურებენ, ივანოვთან და ლოშინინთან შეხვედრაზე საუბარი იყო იმაზე, რომ ქართული მხარე შეწყვეტს აფხაზეთის სტატუსზე საუბარს, რომ აჭარისა და აფხაზეთის დელეგატები შეხვდებიან ერთმანეთს სოხუმში და დაიწყება აფხაზეთის ეკონომიკური აღორძინება.

— აბაშიძის წერილი რომ საჯაროდ გამოააშკარავეთ, ჯონდი ბაღათურია თქვენ შესახებ არსებულ კომპრომატებზე ალაპარაკდა.

— ეს ძველი სიმღერაა. უბრალოდ შემსრულებელია ახალი. სისულელეა ბრალდება, რომ ლტოლვილებისთვის განკუთვნილი თანხები მივითვისე, რომ კონტრაბანდასთან მაქვს კავშირი, რომ ჰუმანიტარულ ტვირთებს ვითვისებ და ა.შ. ჩვენ დავიწყეთ საქმეების შესწავლა და დამნაშავეებიც გამოვავლინეთ. მათ არანაირი შეხება არ აქვთ აფხაზეთის ხელისუფლებასთან. მე რომ ამ ბრალდებებში სუფთა არ ვიყო, 50-ჯერ გამკოჭავდნენ და 50-ჯერ მომთხოვნდნენ პასუხს.

— ხმები დადის, რომ თქვენ პრეზიდენტი შევარდნაძე გმფარველობთ.

— მე რომ ასეთი ურთიერთობა მქონდეს პრეზიდენტთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგანგებო საქმეთა სამინისტროს მსგავს პოზიციას დავიკავებდი და არავის არ დავუპირისპირდებოდი, მივესალმებოდი აფხაზეთის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას.

— კაკუბავას თქმით, აბაშიძე არ არის ის კაცი, ვინც დაწყებულ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს, თქვენ როგორ ფიქრობთ, შეუძლია აბაშიძეს ნაკისრი საქმის შესრულება?

— არა.

ეკა ლომიძე
ნინო ჯავახიშვილი

რუსული „მეხუთე კოლონა“ ნიშანს ელოდება

ამჯერად „მეხუთე კოლონაში“ ვგულისხმობთ არა იმ შენიღბულ აგენტებს, რომლებიც რუსეთის სპეცსამსახურებს საკმაოდ ჰყავთ საქართველოში (სხვათა შორის, ისევე, როგორც მეზობელი თურქეთისა და სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს), არამედ რუსულ სამხედრო ბაზებს და იქ მომსახურეთ.

მიუხედავად იმისა, რომ სამი წლის წინ სტამბოლის სამიტზე მიღწეულ იქნა შეთანხმება რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან ეტაპობრივად გასვლაზე, საქართველოში კვლავ რჩება რუსეთის 4.527 სამხედრო მოსამსახურე (ამ რიცხვში არ შედის ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში მდგარი ე.წ. სამშვიდობო ძალების კონტინგენტები).

ეს რამდენიმე ათასი კაცი, რომლებიც ემორჩილებიან თავიანთი უმაღლესი მთავარსარდლის — რუსეთის პრეზიდენტის ნებისმიერ ბრძანებას, ასევე ნებისმიერ დროს შეიძლება ძალზე სახიფათონი გახდნენ საქართველოსთვის. ამის დასამტკიცებლად ეს ფაქტიც კმარა: გასულ კვირას თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა ქუთაისთან დააკავეს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების — ГРВЗ-ს ავტოკოლონა, რომელიც საჭირო ნებართვის გარეშე მიემართებოდა ბათუმისკენ. ამ ინციდენტმა, ისედაც მძიმე ქართულ-რუსული ურთიერთობები კინაღამ პიკამდე მიიყვანა და არ არის გამორიცხული, რომ მორიგი რუსული ბრალდებების და, რაც ყველაზე საშიშია, უარესის საბაბი გამხდარიყო.

თუკი რუსეთმა ველარ მოასწრო „ჩეჩნური“ საბაბის გააქტიურება, სამაგიეროდ, ჩვენთან დარჩენილი მათი სამხედრო ბაზები ყოველთვის იძლევა ამის საშუალებას. ნებისმიერი პროვოკაცია, რუსი სამხედროების ან მათი ოჯახების მიმართ, შეიძლება გამოიყენოს საბაბად — საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვის მოტივით, მოსკოვი კვლავ გააძლიერებს საინფორმაციო-პოლიტიკურ ზეწოლას თბილისზე და შეიძლება არც პრევენტულ დარტყმებზე თქვას უარი.

რას წარმოადგენს დღეისათვის რუსული სამხედრო დაჯგუფება საქართველოში...

ჩვენი დოსიე: ГРВЗ-ს 4.572 კაცი უმთავრესად ბათუმის მე-12 (2.774) და ახალქალაქის 62-ე (1.788) სამხედრო ბაზებშია განაწილებული. მის არსენალშია — 82 ცალი T-72 ტიპის ტანკი; 222 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი (БТР-70 და БТР-80) და ქვეითთა საბრძოლო მანქანა (БМП-1 და БМП-2); 263 ცალი ჯავშანმანქანის მსგავსი (მოძრავი რადიოსადგურები, მართვის პუნქტები, სარემონტო მანქანები); 140 საარტილერიო სისტემა (მათ შორის 63 ჰაუბიცა Д-30, 33 Град-ი და 40 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი) და 6 ერთეული ხიდამგები.

იმასთან შედარებით, რაც სულ ათიოდე წლის წინ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს საქართველოში გააჩნდათ, დღევანდელი მონაცემები ბევრად მცირეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ГРВЗ-ს ამჟამად გააჩნია ძალა, მნიშვნელოვნად შეცვალოს საქართველოს უახლესი მომავალი.

სწორედ ГРВЗ-ს საქართველოში დარჩენა მოსკოვს საშუალებას აძლევს, არ გაიმეოროს 1921 წლის სცენარი და ჩვენს ქვეყანას სამი მიმართულებით კი არ შემოუტიოს, არამედ საქართველოს შიგნითვე არიოს სიტუაცია, რაც აშკარად არ გამოაჩენს გარედან ინტერვენციას.

საქართველოს შიგნით კი ყველაფერმა შეიძლება უფრო ფარულად ჩაიაროს, მით უმეტეს, რომ რუსული სამხედრო ბაზების მეთაურებს გააჩნიათ საიდუმლო გეგმა, როგორ იმოქმედონ პირობითი სიგნალის მიღების შემდეგ. ამ ბაზებში მყოფი რუსული სამხედრო დანაყოფების მთავარ ამოცანად იქცევა საქართველოს სტრატეგიული ობიექტების — პირველ რიგში კი აეროდრომების, ხიდების, მაგისტრალური გზების, კავშირგაბმულობის ცენტრებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების ბლოკირება.

ბათუმის სამხედრო ბაზის მობილური ჯგუფი, ეტყობა, ეცდება ხელში ჩაიგდოს სენაკის აეროდრომი, რაც საშუალებას მისცემს რუსეთიდან მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით დამატებითი პირადი შემადგენლობის გადმოსროლას. ახალქალაქის ბაზიდან ანალოგიური ოპერაციები განხორციელდება სამხრეთ საქართველოში, ხოლო ცხინვალში მყოფი ე.წ. სამშვიდობო ძალები ეცდებიან, გადაკეტონ თბილისი-სენაკის ავტომაგისტრალი (რისი მცდელობაც იქ მყოფი რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ ამჟამინდელ სარდალს გენერალ პრიზემლინს ამ ერთი თვის განმავლობაში უკვე ორჯერ ჰქონდა). აფხაზეთში მდგარი ე.წ. სამშვიდობო ძალებიც გამოიღებენ ხელს და გააკონტროლებენ სამეგრელოს გზებს, მათ შორის თბილისი-ფოთის რკინიგზის ხაზს. ასევე არ არის გამორიცხული რომელიმე რუსული სადაზვერვო ნაწილის (მაგალითად, ხელვაჩაურში მდგარი 773-ე ცალკეული სადაზვერვო ბატალიონიდან) გამოჩენა რიკოთის უღელტეხილზე, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, ერთმანეთს მოსწყვიტონ დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო. რუსული „მეხუთე კოლონის“ შესაძლებელი მოქმედების ამ სცენარში (რაც, სხვათა შორის, ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, არამედ გარკვეულ მონაცემებს ეყრდნობა) მთავარი როლი ვაზიანის სამხედრო ბაზას ეკისრებოდა, რომელსაც პირველი კლასის აეროდრომიც გააჩნდა ყველა სახის თვითმფრინავის მისაღებად და თბილისთან ყველაზე ახლოსაც იმყოფებოდა, თუმცა, ჩვენდა საბედნიეროდ, დღეისათვის ეს რუსული ბაზა გაუქმებულია. საქართველოში არსებულ რუსულ სამხედრო ბაზებს რაიმე სიკეთე რომ მოჰქონდეთ ჩვენი ქვეყნისთვის, კაცი კიდევაც დაფიქრდებოდა მათ მომავალზე, მაგრამ ისინი არათუ რაიმე კომპენსაციის თანხებს, არამედ მიწის დაკავებისა თუ სხვა კომუნალურ ხარჯებსაც არ იხდიან.

დანარჩენი პოსტსაბჭოური რესპუბლიკები, სადაც დარჩენილია რუსული სამხედრო ობიექტები, მოსკოვს იჯარის მნიშვნელოვან თანხებს ახდევინებენ. მაგალითად, ბაიკონურის კოსმოდრომისთვის მოსკოვი ასტანას ყოველწლიურად 105 მლნ დოლარს ურიცხავს, სარი-შაგანის საგამოცდო პოლიგონის გამოყენებისთვის ყაზახეთს უკვე გადაუხადა 200 მლნ დოლარი, თუმცა, რაღა შორს წავიდეთ, როდესაც მეზობელი აზერბაიჯანი ყოველწლიურად 7 მლნ დოლარს მიიღებს იმისათვის, რომ რუსეთს მისცა გაბალინის შორეული მოქმედების ფაზირებული რადიოლოკაციური სადგურის გამოყენების უფლება.

არანაკლებ საჭირბოროტო საკითხია ის, რომ ორივე სამხედრო ბაზაში, თბილისში, ГРВЗ-ს შტაბში, ცხინვალსა და აფხაზეთში განთავსებული 7 ათასამდე რუსი სამხედრო ხელფასს კვლავ რუსული რუბლით იღებს, რაც ერთგვარი „ეკონომიკური შეტევაა“ ეროვნული ვალუტის — ლარის გამყარების წინააღმდეგ.

უბრალოდ, სირცხვილია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან მე-11 წელს საქართველოში კვლავ უცხო ქვეყნის (თანაც იმისი, რომელიც დღედაღამ დაბომბვით გვაშინებს და მუქარას ასრულებს კიდევაც) სამხედროები იდგნენ და მუდმივად მზადყოფნაში იყვნენ შენი ქვეყნის მომავლის ძალით განსასაზღვრავად...

შეიძლება თბილისსაც მოსწვდნენ...

რამდენიმე დღის წინ საქართველო-რუსეთის საზღვრისპირა რაიონში ორი აფეთქება მოხდა.

ადგილობრივ მცხოვრებლებს აფეთქებამდე არც საბრძოლო თვითმფრინავების რეაქტიული ძრავების გუგუნი გაუგიათ და არც დამრტყმელი შვეულმფრენების სისინი.

აფეთქება ერთმანეთის მიყოლებით გაისმა, რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ჩრდილოეთიდან საზღვარს მომდგარმა რუსულმა საველე არტილერიამ ჭურვები სასაზღვრო ზოლს გადმოაცილა. არადა სწორედ წინა ნომერში ვწერდით იმ საფრთხეზე, რაც შეიძლება მოეტანა ითუმ-ყალესთან გადმოსროლილი რუსული თვითმავალი საარტილერიო დანადგარებისა და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების მეზობლობას საქართველოს საზღვრისპირა რაიონებისა და უპირველესად, შატილისთვის.

სამწუხაროდ, უსაფრთხოდ თავს ვერც საქართველოს დედაქალაქი იგრძნობს, რომ არაფერი ვთქვათ სხვა, უფრო ჩრდილოეთით მდებარე ჩვენს დასახლებულ პუნქტებზე.

უახლოეს პერიოდში საქართველომ ასპროცენტიანი ეფექტურობის საჰაერო თავდაცვის სისტემაც რომ შექმნას (რაც შეუძლებელია, არათუ საქართველოსთვის, არამედ უმდიდრესი ამერიკისთვისაც), გეოგრაფიული და ტერიტორიული ფორმაზე მდგარი უზარმაზარი „დიდი ბერტა“, რომელიც 100 კმ-ში ტყორცნიდა მძიმე ჭურვს). ყველაზე შორსმსროლელი რუსული თვითმავალი საარტილერიო დანადგარი — 203 მმ კალიბრის 2С7 Пион-ი (ან მისი მოდიფიცირებული ვარიანტი 2С7М Малка) მხოლოდ 37,5 კმ-ზე ისვრის 110-კგ-იან მსხვრევად-ფუგასურ ჭურვებს, ხოლო აქტიურ-რეაქტიულ ჭურვებს — 10 კმ-ით შორს. ეს მსხვილკალიბრიანი „მონსტრები“ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ატომური ჭურვების გასასროლად იყვნენ განკუთვნილი. ერთი Пион-ი ყოფილი თავდაცვის მინისტრის ვარდიკო ნადიბაიძის წყალობით ჩვენც გვაქვს, მაგრამ საჭირო 203 მმ კალიბრის ჭურვები დღემდე არ კმ-ზე მიფრინავენ. სამი წლის წინ „კვირის პალიტრას“ საშუალება მიეცა, მოსკოვის ახლოს თავად ენახა გაუმჯობესებული Смерч-ები.

მაგრამ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის არსენალში ასევე რჩება ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსები Точка და Точка-У. თუკი Точка-ს რაკეტის სროლის სიშორე 70 კმ-ს არ აღემატება, Точка-У-ს (ასო У გაუმჯობესებულს აღნიშნავს) 2-ტონიანი ბალისტიკური რაკეტა 120 კმ-ზე მიფრინავს. ეს სრულიად საკმარისია, რომ ითუმ-ყალეში გადასროლილმა ამ ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსით ნასროლმა რაკეტამ, რომელსაც თითქმის ნახევარტონიანი საბრძოლო ქობინი უყენია (შეიძლება ბირთვული ქობინის დაყენებაც), საქართველოს დედაქალაქამდეც მოაღწიოს. ალბათ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ უკრაინელმა სამხედროებმა ასეთივე Точка-У-ს რაკეტა 130 კმ-ით დაშორებულ პოლიგონს გადააცილეს და საცხოვრებელ კორპუსს მოარტყეს.

ნიუანსებიდან გამომდინარე, მის დედაქალაქს მაინც დაემუქრება მუდმივი დარტყმის საფრთხე.

თუ ათწლეულების განმავლობაში რეალურად განიხილებოდა სამხრეთელი მეზობლის, თურქეთის ტერიტორიიდან ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების მოღწევის შესაძლებლობა, ამჟამად იმავე სახის იარაღს უკვე ჩრდილოეთიდან უნდა ვუფრთხოდეთ.

ითუმ-ყალედან, სადაც რუსეთის ყველაზე ძლიერი სასაზღვრო და საარმიო დაჯგუფება დგას, პირდაპირი ხაზით თბილისამდე დაახლოებით 120-130 კმ-ია. ამ მანძილს ვერც ერთი ჩვეულებრივი საარტილერიო დანადგარის ჭურვი ვერ გადალახავს (თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებს ჰქონდათ რკინიგზის პლატგველირსა.

მართალია, რუსული Пион-ები თუ Малка-ები თბილისს ვერ მოაღწევენ, მაგრამ მოსკოვს მარაგში კიდევ აქვს ზალპური ცეცხლის მსხვილკალიბრიანი რეაქტიული სისტემა 9К58 Смерч-ი. იგი 38 წმ-ში ისვრის თორმეტივე, 300 მმ კალიბრის და 800 კგ მასის რაკეტას მაქსიმალურ სიშორეზე — 70 კმ-ზე (მისი წინამორბედი 9К57 Ураган-ი 16 ცალ 220 მმ-იანი კალიბრის რაკეტას 20 წმ-ში მაქსიმალურ — 34 კმ მანძილზე ისროდა. მათ საბჭოთა არტილერისტები იყენებდნენ ავღანეთის ომში).

ერთი შეხედვით, არც Смерч-ის 70 კმ-ია თბილისისთვის მთლად საშიში, თუმცა ბოლო წლებში რუსმა კონსტრუქტორებმა რაკეტები გააუმჯობესეს, ახლა ისინი 90

ზემოთ ჩამოთვლილი რუსული საარტილერიო სისტემებისგან განსხვავებით, Точка-У-ს ბალისტიკური რაკეტა მართვადია და მიზანს შეიძლება ასცდეს არა უმეტეს 100 მ-ით. ჩეჩნეთის მეორე ომის დროს რუსმა სამხედროებმა ერთი ასეთი Точка გუდერმესის ცენტრს მაშინ ესროლეს, როდესაც ქალაქის აღებას ჩეჩენი მებრძოლები ცდილობდნენ. რაკეტის აფეთქებამ დიდი ზიანი და მსხვერპლი გამოიწვია.

დღეს შეიძლება ძნელად წარმოსადგენი იყოს, რომ მეზობელი, თუნდაც არამეგობრული ქვეყნის, დედაქალაქს მოსკოვის ბრძანებით, ბალისტიკური რაკეტა ესროლონ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორიოდე წლის წინ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რუსული, Р-300 Scad-ის ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების ბალისტიკური რაკეტა ჩამოვარდა, რომლის 1-ტონიანმა საბრძოლო ქობინმა აზერბაიჯანის მიწის ეს მონაკვეთი მთვარის პეიზაჟს დაამსგავსა. ეტყობა, ბოლომდე გამოსარიცხი დღევანდელ არაპროგნოზირებად სიტუაციაში არაფერია.

200 დოლარად — ომის მონაწილე?!

თურმე ასეც ხდება

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის გამართული ბრძოლის მონაწილეთა ის კატეგორია, რომლებიც დღესაც იხდიან სასჯელს სხვადასხვა დანაშაულისთვის (არ არის გამორიცხული, ზოგიერთი მათგანი უმიზეზოდაც იჯდეს ციხეში), შეიძლება მალე გაათავისუფლონ, რადგან პარლამენტარმა, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა გია ყარყარაშვილმა და მისი თაოსნობით შექმნილმა კომისიამ (მის შემადგენლობაში არიან სხვადასხვა რანგის მეთაურები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ბრძოლებში) საპყრობილეებში მსხდომ ყოფილ მეომართა სიები შეადგინა. ასეთი აღმოჩნდა 700-მდე კაცი. მაგრამ კომისიის წევრთა ყოფილ მეომრებთან გასაუბრების შემდეგ, იგი 200-მდე შემცირდა და იცით, რატომ? უმეტესობას ომში მონაწილეობის ყალბი საბუთი აღმოაჩნდა, ზოგიერთმა ისიც არ იცოდა, სად და როდის „იბრძოდა“.

უბრალოდ, აქაც თავი იჩინა წმინდა ქართულმა ფენომენმა — ზოგიერთი მოსამართლე ყალბ ცნობას თურმე სულ რაღაც 100-200 დოლარად იძლეოდა.

სასამართლოებს ომში მონაწილეობის დამადასტურებელი ფაქტის გამოვლენა 1999 წლიდან დაავალეს, მანამდე ასეთ დადასტურებას თავდაცვის სამინისტრო გასცემდა მას შემდეგ, თუკი არქივში მოიძებნებოდა ერთი დოკუმენტი მაინც, სადაც მითითებული იქნებოდა ამა თუ იმ პიროვნების ბრძოლებში მონაწილეობის, დაჯილდოების ან დაჭრის ფაქტი.

არავინ გამორიცხავს, რომ ყალბ ცნობებს თავდაცვის სამინისტროშიც შეიძლება გასცემდა ვინმე, მაგრამ რეფორმაგავლილი ზოგიერთი მოსამართლისგან ამგვარს ნამდვილად არავინ მოელოდა. ნეტავ, რას იკლავდნენ თავს (პირდაპირი გაგებით!) ბიჭები აფხაზეთში, მსხდარიყვნენ შინ და თუ დასჭირდებოდათ, დღეს სულ რაღაც 200-ოდე დოლარად ომის მონაწილის ცნობასაც იოლად „იყიდდნენ“ მოსამართლისგან.

სეპარატისტულ სოხუმსა და ცხინვალს მოსკოვი თბილისზე ზეწოლისთვის ისევ იყენებს

მიუხედავად იმისა, რომ პანკისის გარკვეულწილად ხელოვნურად შექმნილი პრობლემა მეტ-ნაკლებად მოვაგვარეთ, კვლავ ფეთქებადსაშიშ ბომბს მოგვაგონებს კოდორის ხეობა.

ამ ხეობის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი და ხშირად დამაბნეველი ინფორმაციები ვრცელდება ისევ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ, მაგრამ კოდორი მაინც რჩება შესაძლებელ სამიზნედ (იხ. გვ. 5).

არაერთხელ გვითქვამს, რომ ერთი წლის წინ ამ ხეობიდან განხორციელებულმა ჩეჩნურ-ქართულმა შეიარაღებულმა რეიდმა ძალზე შეაშფოთა სეპარატისტები და დაარწმუნა იმაში, რომ სანამ ბოლომდე არ აიღებენ კოდორის ხეობას, მანამდე დარჩება საშიშროება ამ მხარიდან სოხუმზე შეტევისა.

ვრცელდება ინფორმაციები გულრიფშის რაიონში დამატებითი ძალების გადასროლაზე, სოხუმში რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენელთა მოზღვავებაზე. თუ ეს ინფორმაციები სიმართლეს შეეფერება, მაშინ ხეობის დამცველებმა იგი უნდა გაითვალისწინონ და მოემზადონ ბრძოლის ტაქტიკის ასარჩევად, რადგან კოდორი პირდაპირ მისწრებაა ეფექტური თავდაცვითი ბრძოლების საწარმოებლად, ასევე იმ შეუღმფრენების ჩამოსაგდებად, რომლებითაც მოწინააღმდეგეს შეუძლია ამ ხეობის ზურგში საჰაერო დესანტის გადასხმა.

სხვა მხრივ, საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, ხეობის დამცველებს დიდ დაბრკოლებას შეუქმნის უგზოობა, რადგან ჭუბერ-საკენის შემაერთებელი ხიდას უღელტეხილი მალე მთლიანად ჩაიკეტება და ტყვია-წამლით, თუ დამატებითი ცოცხალი ძალით მომარაგება მხოლოდ ჰაერიდან იქნება შესაძლებელი. არადა გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კოპლექსებით შეიარაღებული მეზენიტეები რუსებსაც და აფხაზებსაც შეუძლიათ გადასხან მთებში, ქართული შვეულმფრენების ფრენის მარშრუტის ახლოს.

ამჯერად კოდორის ხეობას დაძაბულობის კერის მეწყვილეობას ტრადიციული პანკისის ხეობის ნაცვლად, ცხინვალის რეგიონი უწევს. ადგილობრივ სეპარატისტულ ხელისუფლებას ძალზე აშფოთებს შიდა ქართლში მსხვილმასშტაბიანი ანტიკრიმინალური ოპერაციის დაწყება. არადა ასეთი ოპერაცია რომ დიდი ხნის წინათ უნდა ჩატარებულიყო ამ რეგიონში, ამას ჩვეულებრივი მოქალაქეებიც ხვდებიან (ქართველებიც და ოსებიც), რომლებიც შეწუხებულნი არიან ყველა ეროვნების დამნაშავეთა თარეშით.

ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლება შეიძლება არცთუ ისე უსაფუძვლოდ შიშობს, რომ ანტიკრიმინალური ოპერაციის დაწყება და მისი გააქტიურება მათ დააკარგვინებთ მთავარ შემოსავალს — კონტრაბანდას. ამიტომაც სეპარატისტები ცხინვალის შესასვლელთან მძიმე სამხედრო ტექნიკას უყრიან თავს. რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორისა და ქვეითთა საბრძოლო მანქანის გარდა, უფრო სერიოზული ძალაა ის თვითმავალი საარტილერიო დანადგარები, რომლებიც სეპარატისტებს ზუსტად ათი წლის წინ ჩრდილო ოსეთიდან შემოუტანეს. მათი საარტილერიო ჭურვების სროლის დიაპაზონში გორის რაიონის ბევრი სოფელი ხვდება.

დღეს „გაყინული“ ცხინვალის პრობლემის გალხობა არ იქნებოდა სწორი, რადგან მთლიანად საქართველო ჩაებმება ახალ შეიარაღებულ კონფლიქტში, რაც, თავის მხრივ, მორიგ ეკონომიკურ კრიზისს გამოიწვევს.

მკითხველის სვეტი

„გთხოვთ მოკლედ დაგვიხასიათოთ რუსული T-62, T-72, T-80 და T-90 ტიპის ტანკები. ამათგან რომელი ტიპის ტანკები აქვს შეიარაღებაში ქართულ არმიას?

პატივისცემით ს. ჭონქაძე“

სიმართლე რომ ითქვას, ყველა საბჭოთა, ომის შემდგომი ტანკი ლეგენდარული T-34-ის ერთგვარ მოდერნიზებულ ვარიანტს წარმოადგენს. თანამედროვე რუსული ტანკების დიზელის ძრავები ძალიან წააგავს ნახევარი საუკუნის წინანდელ B-2 ძრავებს, რომ-

ქართული არმიის შეიარაღებაში მყოფი T-72 ტიპის ტანკები

ლებიც T-34-ებს ეყენა.

საშუალო ტანკის — T-62-ის შემუშავება 1957 წელს დაიწყეს და 1975 წლამდე 20 ათასამდე ცალი გამოუშვეს. იგი 37,5 ტ-ს იწონის და აღჭურვილია 115 მმ კალიბრის გლუვლულიანი ქვემეხით. მას 580 ცხ.ძ-ის სიმძლავრის დიზელის ძრავი უყენია.

T-72 და T-90 ტიპის ტანკები შეიძლება ერთ ჯგუფშიც განვიხილოთ. საბჭოთა არმიამ T-72 შეიარაღებაში 1973 წელს მიიღო და მას შემდეგ ათზე მეტი მისი მოდიფიკაცია გამოვიდა სერიულად, როგორც ნიჟნი ტაგილში, ისე საზღვარგარეთ.

T-90 ტიპის ტანკი რუსეთის არმიამ შეიარაღებაში 1993 წელს მიიღო. იგი T-72-ის ერთგვარი მოდერნიზაციაა. T-72 44,5 ტ-ს იწონის, T-90 მასზე ორი ტონით მეტია, რაც იმითაა განპირობებული, რომ T-90-ს დამატებითი დინამიკური დაცვის ელემენტები უყენია, ასევე გაუმჯობესებულია მართვისა და დამიზნების ელექტრონული სისტემები.

T-80 კი განსხვავებული კონსტრუქციისაა, რადგან მასზე, დიზელის ნაცვლად, 1250 ცხ.ძ-ლის სიმძლავრის აირტურბინიანი ძრავია დამონტაჟებული (T-72-ისა და T-90-ის დიზელის ძრავების სიმძლავრე 840 ცხ.ძ-ს არ აღემატება), რაც 46-ტონიან T-80U-ს საშუალებას აძლევს, გზატკეცილზე 70 კმ/სთ სიჩქარე განავითაროს (T-72-ისა და T-90-ის მაქსიმალური სიჩქარეა 60 კმ/სთ). სამივე მათგანზე 125 მმ კალიბრის ქვემეხია დამონტაჟებული.

აირტურბინის გამოყენებამ T-80U სწრაფი და ერთგვარად უხმაუროც გახადა, მაგრამ სამაგიეროდ, გაიზარდა ძვირად ღირებული საავიაციო ნავთის ხარჯიც.

საბჭოთა კავშირი უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა შეიარაღებაზე და განსაკუთრებით ტანკების საწარმოებლად. საბჭოთა არმიას შეიარაღებაში ერთდროულად გააჩნდა ხუთი — T-55, T-62, T-64, T-72 და T-80 ტიპის ტანკი, რის უფლებასაც თვით მდიდარი ამერიკაც ვერ აძლევდა თავს.

ზემოხსენებული ტანკებიდან სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა არმიას, უკანასკნელ დღემდე T-64-ისა და T-80-ის გარდა, ყველა ტიპის ტანკი ჰყავდა.

1992 წლის ივლის-აგვისტოში ახალციხის მე-10 კადრირებული დივიზიიდან 108 ცალი T-55 ტიპის ტანკი მივიღეთ, რომელთა დიდი ნაწილი აქამდე არ მოგვყვა.

დღეისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებაში 90 ერთეული ტანკი ითვლება. მეორე უწყება, რომელსაც ტანკები ჰყავს, შსს-ს შინაგანი ჯარებია, მაგრამ რადგანაც შინაგანი ჯარების, ისევე როგორც სასაზღვრო ძალების მძიმე შეიარაღებას თავის კვოტებში არ სვამს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულება (რომლის წევრიც არის საქართველო და ვალდებულია, ყოველწლიურად ოფიციალურად გაანცხადოს, რა სახის მძიმე შეიარაღება გააჩნია მის თავდაცვის სამინისტროს), ამიტომ შინაგან ჯარებში შენახული ტანკების (მათ შორის T-72-ისაც), რომლებიც ახლა პანკისშია გადასროლილი, ზუსტ რაოდენობაზე არაფერს ვიტყვით.

თავდაცვის სამინისტროს 90 ტანკიდან 31 ცალი T-72Б1 ტიპისაა და ისინი ვარდიკო ნადიბაიძეს „უფეშქაშეს“ რუსებმა 1998 წლის გაზაფხულზე. 11 ცალი T-55AM2 ორიოდე წლის წინ ჩეხეთში ვიყიდეთ. დანარჩენი ტანკები კი T-55AM ტიპისაა და კოშკურაზე დამატებითი ჯავშანი უყენია. ისინი 1992 წლიდან შემოგვრჩა და მათ სხვანაირად „ავღანურ“ ვარიანტსაც უწოდებენ.

ზოგიერთი სამხედრო და პოლიტიკოსი თვლიან, რომ მთაგორიან საქართველოს ტანკები არ სჭირდება. ეს მცდარი შეხედულებაა, რადგან ტანკები მთავარ, კარგად შეჯავშნულ დამრტყმელ ძალას წარმოადგენენ და შეუცვლელნი არიან შეტევით ოპერაციებში.

ნაღმებით „დახუნძლული“ ტერიტორიების განაღმვაში NATO დაგვეხმარება

მარტო ბოლო ორ წელიწადში ვაზიანში 81 ადამიანი აფეთქდა

2 ოქტომბერს NATO-მ და საქართველომ ბრიუსელში გააფორმეს მემორანდუმი, რომელიც ზურგის დარგში თანამშრომლობის საკითხს შეეხება. იგი ითვალისწინებს NATO-ს დახმარებას საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილ ყოფილ რუსულ სამხედრო ნაწილებში არსებული ფეთქებადსაშიში, რადიოაქტიური ნივთიერებებისა და მომწამვლელი სარაკეტო საწვავის უტილიზაციას, აგრეთვე ამ ტერიტორიების მომზადებას სამოქალაქო პირებისთვის გადასაცემად.

ამ ძუნწი ინფორმაციის უკან უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იმალება, რაც ქართული მიწის მრავალგვარი საშიშროებისგან ნელ-ნელა გაწმენდას ნიშნავს.

რაღა დასამალია და, გასულ წლებში, განსაკუთრებით კი ცხინვალისა და აფხაზეთის ომის დროს, ჩვენ თვითონ „დავხუნძლეთ“ საქართველოს ტერიტორია აუფეთქებელი ჭურვებით, რაკეტებით, მივიწყებული ქვეითსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებით, რადიოაქტიური და ძალზე საშიში ქიმიური ნივთიერებებით.

თუკი ჩვენვე არ ვუფრთხილდებით ჩვენივე სამშობლოს, რატომ დაინდობდა მას გადამთიელი?! ამიტომაც, რუსი სამხედროები, ნაწილების დატოვების შემდეგ იქაურობას ხშირად დანაღმულსაც კი ტოვებდნენ, ხოლო ნაღმური ველის დეტალურ რუკას უკვალოდ აქრობდნენ (თუმცა, რას ვერჩით მათ, როდესაც ხშირად ყოველგვარი რუკის გარეშე, სპონტანურად ვნაღმავდით და ორ დღეში გვავიწყდებოდა ის ადგილები).

ყველა დანაღმული ტერიტორიის განაღმვის ერთდროულად დაწყება შეუძლებელია, ამიტომაც სავარაუდოდ პირველი განაღმვითი ოპერაცია ყოფილ საბჭოთა სამხედრო ბაზა ვაზიანის ტერიტორიაზე დაიწყება.

ჩვენი ინფორმაციით, ვაზიანის სამხედრო ბაზის პოლიგონზე მიმოფანტულმა აუფეთქებელმა ბომბებმა 2001-2002 წლებში 81 ადამიანის სიკვდილი და დაზიანება გამოიწვია. — დაჭრილია 44 უფროსი ასაკის ადამიანი და დაღუპულია 21, ხოლო 12 დაჭრილი და 4 დაღუპული — ბავშვია.

მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოს ნავთობისა და გაზის მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს დაკვეთით ფეთქებადსაშიში საგნებისგან გაიწმინდა 24 ათასი მ სიგრძისა და 12 მ სიგანის ფართობი, გასანაღმი ჯერ კიდევ ბევრი დარჩა.

„კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა შპს „ჯანი“-ს წარმომადგენელს, რომლის პროექტმაც გაიმარჯვა გასანაღმი სამუშაოების შემდგომი წარმოების საქმეში. მისი თქმით, ფირმას NATO გადასცემს 480 ათასი აშშ დოლარის ღირებულების საჭირო აღჭურვილობას — თანამედროვე ნაღმმძებნებს, დამცავ ჯავშანკოსტიუმებს, რადიაციის მზომ დოზიმეტრებს, საავტომობილო ტექნიკას, რომელთა საშუალებითაც ამ ფირმის სპეციალისტებმა (რომლებიც ყოფილი მესანგრე ოფიცრები არიან და ანალოგიური საქმიანობის დიდი გამოცდილება მიიღეს ცხინვალსა და აფხაზეთში) ერთი წლის განმავლობაში მთლიანად უნდა გაასუფთაონ ფეთქებადსაშიში საგნებისგან ვაზიანის პოლიგონის ტერიტორია.

საგულისხმოა, რომ ამ ტერიტორიის გაწმენდისა და შემოწმების შემდეგ იგი გამოყენებულ იქნება სასოფლო-სამეურნეო საჭარგლად და საძოვრებად.

ამ განაღმვით ალბათ კიდევ ერთი კარგი საქმეც გაკეთდება — ვაზიანის პოლიგონზე აღარ იძრომიალებს და აღარც აფეთქდება ადგილობრივი მოსახლეობა, რომელმაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო აფეთქებული თუ აუფეთქებელი ბომბებისა და რაკეტების ნარჩენების ჯართად ჩაბარება საბედისწერო ბიზნესად აქცია.

ეთნოკონფლიქტების მოსაგვარებლად ევროპა სწრაფი რეაგირების ძალებს ქმნის

დაგვეხმარებიან თუ არა ისინი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში?!

გერმანული ბუნდესვერი მომავალი ევროპული სწრაფი რეაგირების ძალების ბირთვი გახდება

გასულ კვირას, ხმელთაშუა ზღვის ერთ პატარა ბერძნულ კუნძულზე, ძალზე მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწიეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა.

2003 წლისათვის ევროპაში უნდა შეიქმნას 60 ათასი კაცის რიცხოვნობის სწრაფი რეაგირების ძალები, რომელთა მთავარი ამოცანა იქნება ბალკანეთსა და შუა აზიაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარება.

ამ გადაწყვეტილებით ევროპა კიდევ ერთხელ აკეთებს სერიოზულ განაცხადს მსოფლიო მასშტაბის ერთიანი ზესახელმწიფოს კანდიდატობაზე, რითაც, პირველ რიგში, გარკვეულწილად აშშ-ს დაუპირისპირდება.

სწრაფი რეაგირების ძალების შექმნაც, რომელშიც ევროპის 15 სახელმწიფოს სამხედრო დანაყოფები გაერთიანდებიან, ამ მიზანს ემსახურება — ფაქტობრივად ევროპა იტოვებს შანსს, ბრმად არ აჰყვეს ამერიკის სურვილებს, რომელიც ხშირად აღიზიანებს „ბებერ“ ევროპას. ამის მაგალითია ბოლო მოვლენებიც — გერმანიისა და საფრანგეთის პირველი პირები აღარ მალავენ უკმაყოფილებას ერაყის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყების მიმართ.

მეორე მხრივ, თუკი ევროპის სწრაფი რეაგირების ძალები მართლაც ჩაერევიან ჯერ კიდევ ჩაუმქრალ ეთნოკონფლიქტებში თუნდაც ბალკანეთში, ამით გარკვეულწილად უკანა პლანზე გადაიყვანენ NATO-ს, რომელშიც აშკარად დომინირებს აშშ.

ჩაერევა თუ არა ახალშექმნილი ევროპული სწრაფი რეაგირების ძალები კავკასიაში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტებში? მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო რეგიონებს შორის კავკასია არ სახელდება, არ არის გამორიცხული, რომ ევროპელი „რეინჯერები“ კავკასიაშიც გამოჩნდნენ. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ინტერესებისთვის ალბათ უფრო მისაღები იქნება, რომ ცისფერ ჩაფხუტები ცხინვალში და აფხაზეთში რუს სამხედროებს კი არ ეხუროთ, არამედ ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს, რომელთა მეთაურებიც აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ერაყის გარშემო ამერიკული რკალი იკვრება

ერაყის ახლოს პენტაგონი კვლავ თავს უყრის სამხედრო შენაერთებს. ქუვეითში, ერთობლივი სამხედრო მანევრების ჩატარების მომიზეზებით ამერიკელი ჯარისკაცები გადაისროლეს, კატარში კი საცაა, დასრულდება აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცენტრალური სამეთაურო შტაბის შენობის მოწყობა. ალბათ ამერიკელი გენერლები სწორედ აქედან უხელმძღვანელებენ ერაყში შეჭრას. ნოემბერში პენტაგონს ამ რეგიონში არანაკლებ 50 ათასი სამხედრო მოსამსახურე ეყოლება. ამის გარდა, ფრანგებმა ამერიკელებს დროებით დაუთმეს თავიანთი სამხედრო ბაზა აფრიკის კონტინენტის აღმოსავლეთით, ჯიბუტში.

სამაგიეროდ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობა არ აპირებს მონაწილეობის მიღებას მომავალ ომში. NATO-ს გენერალური მდივნის მოადგილე ხუან ესპარზა ამას იმით ხსნის, რომ აშშ-ს არ მიუმართავს შესაბამისი თხოვნით NATO-სთვის და NATO-შიც არ არსებობს ერთიანი აზრი ერაყის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის აუცილებლობაზე.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

„ყაჩაღობა“ გენაცვალე-შენი ქირიმეს თანხლებით...

„ჩვენ ხომ გახსოვვართ, ქალბატონო“

თენდებოდა, კარზე რომ დააკაკუნეს. ბინიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. კაკუნი განმეორდა.

მოგვიანებით დედა-შვილმა ისიც გარკვევით გაიგონა, კარს უკან მდგარმა როგორ შეიკურთხა — ეცი ახლა ამისთანებს პატივი... წამოდი, თუ ძმა ხარ, კისერიც უტეხიათ თავისი ვახტანგიანად. რაც მოუვათ, საკუთარ თავს დააბრალონო.

ცუდად ენიშნა ეს სიტყვები ქალბატონ მარგოს. ხალათი მოიხურა და მოსულებს შეეხმიანა, — ვინ ბრძანდებითო.

— ქალბატონო, — ხმადაბლა შეეპასუხა უცნობი, — ბატონი ვახტანგი დააკავეს. ჩვენ მისი თანამშრომლები ვართ. კარს თუ გააღებთ, ყველაფერს აგიხსნით...

— ვაიმე, ეს რა მითხარით? შინ მარტო მე და ჩემი გოგონა ვართ... მობრძანდით, — აკანკალებულმა ქალმა კარი გააღო და მამაკაცებს სასტუმრო ოთახში შეუძღვა.

— თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, რა მოხდა?

— ღამის ცვლაში ვმუშაობდით. ვახტანგიც ჩვენთან იყო. უცებ მილიციელები შემოცვივდნენ — აქ „ლევ“ პროდუქციას ამზადებთო, გვითხრეს და დალუქეს ყველაფერი, ოქმიც შეგვიდგინეს და გარეთ გამოგვყარეს, თქვენი მეუღლე კი მილიციის განყოფილებაში წაიყვანეს...

— ღმერთო, რა მეშველება, — აცახცახებულმა ქალმა კომოდიდან ვალერიანის ფლაკონი აიღო, თავის მოხდა დაუპირა, მაგრამ ხელიდან გაუვარდა და სითხე იატაკზე დაიღვარა, — დავიღუპე! დავიღუპე!.. სად წავიდე, რა გავაკეთო!

— დაწყნარდით, ქალბატონო. ბატონმა ვახტანგმა, ვიდრე მილიციელები აქტს წერდნენ, მოახერხა და გაგვაფრთხილა, — თუ დამაკავეს, ჩემს მეუღლესთან გაქანდით და უთხარით, თუ რამე ფასეულია, გადამალოსო. ჩვენ ხომ გახსოვვართ, ქალბატონო? რამდენჯერ მოგვიტანია აქ ბატონი ვახტანის მიერ გამოტანებული სურსათ-სანოვაგე. თუმცა, კარს, მგონი, ყოველთვის მოახლე გვიღებდა.

თავზარდაცემულ მარგოს ახლა ამ ადამიანებზე ახლობელი არავინ ეგულებოდა. ერთ-ერთ მათგანს მხარზე ხელიც კი მოუთათუნა და თითქოს ბოდიშის მოხდით უთხრა, — როგორ არა, მახსოვხართ. ყოველთვის იმ დროს მოდიოდით, როცა ვახტანგი შინ არ იყო და ამის გამო ვერ გეპატიჟებოდითო...

— ჰოდა, ქალბატონო, თუ გვიცნობთ, აქ ვართ და გვიმსახურეთ. თქვენი ხმალი და ჩვენი კისერი. ამ წუთში აქვე რომ დაგვაპატიმრონ, მაინც ვერ ვუღალატებთ ბატონ ვახტანგსა და მის ოჯახს. ოღონდ ცოტა უნდა ვიჩქაროთ, თორემ თუ დაგვათენდა, აქედან გასვლა გაგვიჭირდება. ალბათ გასაჩხრეკად მალე მოვლენ.

— კი, კი, ახლავე... ჰო, ფული, მგონი, იქაა, სერვანტის უკან, კედელში რომ სეიფია. გასაღები კი, ჩემი ქოლგის ტარშია. ბიჭებო, ეს სერვანტი გამომაწევინეთ. აქეთ, აქეთ, ჩემკენ, ცოცხლად, — გონს მოსულ მარგოს მბრძანებლური ტონი დაუბრუნდა. ახლა მეუღლეზე მეტად ოჯახის ქონების გადარჩენა აფიქრებდა.

ვიდრე ბიჭები ვერცხლისა და ბროლის ჭურჭლით გამოტენილ სერვანტს ვაი-ვაგლახით დაძრავდნენ, მარგომ ქოლგა მოარბენინა, სახელური მოახრახნა, იქიდან გასაღები ამოიღო და კედელში ჩაშენებული სეიფი გახსნა. გიგომ და რეზომ გაოცებისგან პირი დააღეს — სეიფი სავსე იყო ასმანეთიანებით, ამერიკული დოლარებითა და ინგლისური გირვანქა სტერლინგებით. მარგომ მეორე გასაღებით სეიფის შიგა, მცირე უჯრა გამოაღო. ოქრომ და ბრილიანტმა იქაურობა უფრო გააჩახჩახა. ქალმა ხელი გაჰკრა ირანულ მუთაქას, პირი გადააძრო, ცალი მხარე გამოუნასკვა და შიგ ჯერ ძვირფასეულობა ჩაყარა, შემდეგ ფულის დასტები.

— ეს ფული და ძვირფასეულობა, მაგრამ დანარჩენს რა ვუყოთ, ქალბატონო, — ამოილუღლუღა რეზომ და ანტიკვარულ ნივთებს დაადგა თვალი.

— ლეიბის პირებში გადავახვიოთ, — ბრძანა მარგომ და დატრიალდა. ორიოდე წუთში ვეებერთელა ფუთებით დატვირთული გიგო და რეზო ფაცხაფუცხით გაცვივდნენ ბინიდან, დიასახლისს კი დაუბარეს: — ვიდრე ჩაიცვამთ, მანქანაში დაგელოდებით, ოღონდ იჩქარეთ, აქ რომ მოგვისწრონ, ყველანი დავიღუპებით...

— ახლავე, — გასძახა მარგომ, პირდაპირ ხალათზე მოიცვა პალტო და კარადას ეცა ფეხსაცმლისათვის...

— სად ჯანდაბაშია ეს ოხერი ფეხსაცმელი, — ჩაილაპარაკა.

ახლა ყოველი წამი ძვირფასი იყო და ქოშებით დაეშვა კიბეზე. მანქანა იქვე იდგა, სადარბაზოსთან. უკანა კარს ეცა, მაგრამ ვერ გამოაღო, წინა კარიც დაკეტილი დახვდა, მეორეს ეცა, მესამეს რომ დაეჯაჯგურა, სირენა ჩაირთო, დაფეთებულმა მიიხედ-მოიხედა — რიჟრაჟზე იმდენი კი გაარჩია, რომ ირგვლივ ყველა მანქანა ცარიელი იყო, მისი სტუმრების კვალიც გამქრალიყო.

ცივმა ოფლმა დაასხა, სუნთქვა შეეკრა, თვალთ დაუბნელდა და ჩაიკეცა...

— ცოტა უხერხულად კი გამოგვივიდა ქალბატონ მარგოსთან, მაგრამ მგონია, ჩვენ უფრო საიმედოდ გადავმალავთ ამ ფულს, ჩემო რეზო, — ჩაიღიმა გიგომ.

— ჰო, რა. სამაგიეროდ, გაიხარებს, როცა წუხანდელი ნაგულავები მეუღლე დაუბრუნდება და დარწმუნდება, რომ ვახტანგის დაჭერას არავინ აპირებს. თუ ძმა ხარ, ფანჯარა ჩამოსწიე და ეს ფეხსაცმელი გადაყარე.

— საქმეც ამას ჰქვია. ყოჩაღ, ძმაო. რაფიკას ასეთი „ცვეტნოი“ საქმე მის დღეში არ ჰქონია, მაინც რა ზუსტად გაუანგარიშებია ყველაფერი. თურმე ზოგჯერ არიფსაც უნდა დაუჯერო. ჩვენც კარგად გავითამაშეთ როლები.

— ჭკვიანი ბიჭია. რაც თავი მახსოვს, ამ საამქროში მუშაობს ოსტატად. დღისით სახელმწიფოსთვის იკლავენ თავს, ღამე კი ზედმეტი გასამრჯელოს ფასად „ლევს“ უშვებენ. ღამის ცვლა მაგათი არ არის, ამიტომაცაა, ტელეფონებს რომ თიშავენ და შუქსაც ნიღბავენ, გარედან რომ არავინ შენიშნოს. რამდენიმე დღეა, ნაქურდალი ძაფი გაუთავდათ და საქსოვ დაზგებს ველარ ამუშავებენ. ვახტანგმაც ამით ისარგებლა და საყვარელთან რჩებოდა ხოლმე. ამ დილით კი მარგოს რომ დაუბრუნდება „ნაშრომ-ნაჯაფი“, კარგ ამბავსაც შეიტყობს.

— შენ მაგაზე ნუ იდარდებ, იმ ბინაში კიდევ იმდენი ქონება დარჩა, რამდენიმე წელს თავზე საყრელად ეყოფათ. ბოლოს და ბოლოს, ერთი გოგო ჰყავთ შესანახი და, რაც მთავარია, საამქროს დაზგები კი არ შეგვიწერია... ვახტანგი კიდევ მოაჭრევინებს იმ დაზგებს ფულსა და ძვირფასეულობას, ოღონდ ეგაა, შემდეგში ასე ადვილად ველარ მოატყუებ მარგოს.

— ამაზეც მადლობელი უნდა ვიყოთ. ჯერ არ მსმენია, ვინმეს გენაცვალე-ჭირიმეთი მთელი ავლადიდება თავისი ხელით რომ ჩაეწყოს ქურდებისათვის. ერთი ეს ტვირთი მშვიდობიანად დავაბინაოთ და მერე ვიცინოთ გულიანად. თუ ჭკვიანად ვიქნებით, კარგა ხანს აღარ მოგვიწევს ხელის განძრევა.

ჯერ არ მსმენია, ვინმეს გენაცვალე-ჭირიმეთი მთელი ავლადიდება თავისი ხელით რომ ჩაეწყოს ქურდებისათვის. ერთი ეს ტვირთი მშვიდობიანად დავაბინაოთ და მერე ვიცინოთ გულიანად. თუ ჭკვიანად ვიქნებით, კარგა ხანს აღარ მოგვიწევს ხელის განძრევა.

ციოდა, თოვდა კიდეც. ავტოინსპექციის ზაჰესის საგუშაგოს უახლოვდებოდნენ. რეზომ გულის ჯიბეზე მოისვა ხელი.

— ვაიმე, სადაა ჩემი მართვის მოწმობა და მანქანის საბუთები, შენ ხომ არ მეხუმრე, გიგო?

— ხომ არ გაგიჟდი, რა დროს ხუმრობაა. აკი გუშინვე გაგაფრთხილე, საბუთები არ დაგვრჩეს-მეთქი.

— არ დამრჩენია. აგერ აქ, გულის ჯიბეში ჩავიდე და ისიც კარგად მახსოვს, მარგოსთან რომ ავდიოდით, ერთხელ კიდევ შევამოწმე, თან მქონდა თუ არა.

— გგონია, საბუთები მარგოს ბინაში დაგივარდა?

— ალბათ ეგრეა. იმ დასაწვავ სერვანტს რომ ვექაჩებოდით, მაშინ თუ ამომივარდა. ერიჰაა! მგონი, დავიღუპეთ. არა, ნამდვილად ასეა. რაღაც უნდა მოვიფიქროთ, გიგო!

ამ თავზედის წყევლაში ავტოინსპექციის საგუშაგო გაიარეს. ბედად, არავის გაუჩერებია მანქანა.

კვალი უნდა წაიშალოს

„ვინ იცის, ახლა მარგოს რეზოს მართვის მოწმობა უჭირავს ხელში და მილიციაში რეკავს. მაგრამ არა, ქმრის დაუკითხავად ვერ დარეკავს. ვახტანგის ასავალ-დასავალის გარკვევამდე პატარა იმედს ჩაებღაუჭება — ეგებ, ბიჭები რაღაცამ თუ ვიღაცამ აიძულა, უჩემოდ გასცლოდნენ იქაურობასო. მაგრამ ვახტანგი თუ უკვე შინაა ან სადაცაა, მივა, მაშინ?“ — ფიქრობდა გიგო.

— გიგო, რამე მოიფიქრე, თორემ გავთავდი კაცი, — სასოწარკვეთილი ხმით მიმართა რეზომ.

— ამას აღარაფერი ეშველება... უკვე გვიანაა. თუმცა, არის ერთი გამოსავალი. მილიციაში ბრალის აღიარებით გამოცხადება.

— ხომ არ გაგიჟდი!

— არა, ჯერ არ გავგიჟებულვარ, მაგრამ...

და გიგოს ხმაში პირველად გაკრთა სიცივე. რეზოს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მხილების შემდგომი შედეგები უფრო აღელვებდა და გადაწყვეტილებაც მიიღო.

— სადმე უნდა გადავიკარგოთ! თანაც დღესვე, გადაუდებლად. ფულიც ბლომად გვაქვს და ძვირფასეულობაც. არ გაგვიჭირდება.

— ასე, ამ ბარგი-ბარხანით? ჯერ იფიქრე და მერე ილაპარაკე, — შეუღრინა გიგომ.

მანქანა საგურამოს გასცდა და ნავდარაანთკარის განაპირას გაჩერდა.

— საღამომდე აქ უნდა დავრჩეთ, ყველაფერი დავაბინავოთ და მოვიფიქროთ, რა გზას დავადგეთ. ახლა მთავარია, ისე დავცალოთ მანქანა, რომ არავინ შეგვამჩნიოს.

— კი, მაგრამ მანქანას ხომ შენიშნავენ!

— იფიქრებენ, ვიღაცას ქალი ჰყავს ამოყვანილიო... ნომერი კი შეუძლიათ ჩაიწერონ. ხომ მითხარი, თვითმცლელს ავაძრე სოლანლუღშიო.

— კი, ასე იყო.

— ჰოდა, ჯერჯერობით, ვერ მოგვაგნებენ. ამ სახლის პატრონმაც კი არ იცის, რომ აქა ვართ. საღამომდე კი რაღაცას მოვიფიქრებთ.

გზის მარცხენა მხარეს მდგარი ძველი, ქარწვიმისაგან დაფხავებული ერთსართულიანი სახლი რამდენიმე წლის წინ იყიდა გიგოს ნაცნობმა. ვერ იქნა და ვერ გაარემონტა. გიგომ, ორი წლის წინ, ქალაქში ბინა ვერ იშოვა და ნაცნობს სთხოვა, თუ უხერხული არ იქნება, ქალს წავიყვან იქ, არ მინდა ქალაქში გამოვჩნდეო. პატრონმა ისე ზუსტად აუხსნა სახლის ადგილმდებარეობა, გიგოს მიგნება არ გასჭირვებია. კარიც ადვილად გააღო, მაგრამ ისეთი სიბინძურე დახვდა, უმალვე უკან იბრუნა პირი და დილომში კემპინგს შეაფარა თავი. მაგრამ ეს მაშინ იყო. ახლა სიბინძურეს რაღას დაგიდევდათ, სამალავი იყო საჭირო და უკეთესს ვერც ინატრებდა — სახლი სოფლის განაპირას იდგა და მაინცდამაინც თვალში არ ხვდებოდა მეზობლებს.

გიგომ და რეზომ მანქანა სწრაფად დაცალეს. სახლი ოროთახიანი იყო, აშკარად ჩანდა, ნესტისაგან აფუებულ მიწურ იატაკზე დიდი ხანია ფეხი არავის დაედგა. გიგომ კედელთან მიყრილი იარაღებიდან ბარი გამოარჩია და იქვე, კუთხეში, ორმოს ამოთხრას შეუდგა. რეზომ ცოტა ხანს უყურა, მერე თვითონაც ნიჩაბს წამოავლო ხელი, რამდენადაც სიღრმეში მიდიოდნენ, ორმო იმდენად მეტ სიგრძე-სიგანეს მოითხოვდა. მიწა არც ისე ძნელი საჭრელი იყო, თუმცა რეზოს მაინც უკვირდა, ამოდენა ორმო რა საჭიროაო, მაგრამ იცოდა, გიგოს წინაშე დამნაშავე იყო და ხმას ველარ იღებდა — ისედაც ბევრი საზრუნავი გაუჩინა მეგობარს. გიგო წყნარად, აუღელვებლად მუშაობდა, ვიდრე ორმომ მთელი ტანით არ დაფარა, მანამდე ხმა არ ამოუღია, მერე ზემოთ ამოვიდა და ნიჩაბი რეზოს შეაჩეჩა: — ეგაა, მოვრჩით. ამოასუფთავე და განძი დავაბინავოთ, რაც ღრმად იქნება მიწაში, მით უფრო მშვიდად ვიგრძნობთ თავსო, — მერე მოტრიალდა, ბარს დაებჯინა და ორმოს ჩააშტერდა. რეზო თავაუღებლად მუშაობდა. მონგრეული მიწის უკანასკნელი ნარჩენებიც ამოყარა და ის იყო, ზემოთ ამოსვლა დააპირა, რომ გიგომ უკნიდან გამეტებით ჩაარტყა ბარი. რეზო უხმოდ ჩაიკეცა ორმოში. ორად გაპობილი თავიდან სისხლი თქრიალით მოსდიოდა. გიგომ ცოტა ხანს უყურა და მიწის მიყრას შეუდგა. გვამი მიწის სქელი ფენით რომ დაფარა, ნაალაფარსაც ორმოში უკრა თავი, მხოლოდ საბჭოთა ფულის რამდენიმე დასტა დაიტოვა. კარგა მოსაღამოებულზე კი რეზოს მანქანა დაქოქა და ქალაქში დაბრუნდა.

არამი ლუკმის ფასი

შინ დილით დაბრუნებულ ვახტანგს მეზობლები კიბეზე დაუხვდნენ — მარგო ეზოში ვიპოვეთ გულწასულიო.

— ახლა როგორ არის, ექიმი იყო?

— სტრესული მოვლენაა, მაგრამ გაივლისო...

ვახტანგი შინ აჩქარებით შევიდა. გადაადგილებულ სერვანტს რომ მოჰკრა თვალი, ყველაფერს მიხვდა.

ნინო დედას ადგა თავზე.

— გამაფრთხილა — საძინებლის კარი არ გააღოო და მარტო შეეგება მოსულებს. ცოტა ხანს აქ გაჩერდი, მამა. დროდადრო გონზე მოდის და შენ გკითხულობს. რომ გნახავს, გაეხარდება.

— კი, შვილო, ამიერიდან ღამით შინიდან ფეხის გამდგმელი აღარა ვარ, მაგრამ ეს გამოცარიელებული სეიფი ხომ არავის უნახავს სამეზობლოდან?

— არა, მაგ ოთახში არავინ შესულა, ყველანი აქ, საძინებელში ვტრიალებდით.

— დაიძინე, შვილო. არავის გავუძარცვივართ. უბრალოდ, დედაშენი ცუდად გახდა, ჰაერზე გაისეირნა და ეზოში გონი დაკარგა... დანარჩენს მე მივხედავ... ყველაფერს ეშველება, — დაამშვიდა გოგონა ვახტანგმა.

...გიგომ გულის ხეთქვით გადაჭრა ქალაქი და გაჩიანის ახლოს, გაჯის მომპოვებელთა მიერ მიტოვებულ თხრილში ჩააყენა რეზოს დაფეხვილი მოსკვიჩი. ჯერ მიტოვებას ფიქრობდა, მერე გადაწყვიტა — თუ კვალის წაშლაა, ბარემ დავწვავო და საბარგულის გასახსნელს სავარძლის ქვეშ დაუწყო ძებნა. ხელში საფულე მოხვდა. აილო, მაგრამ სიბნელეში ვერაფერი გაარჩია. სალონში ნათურა აანთო... „დაკარგული“ მართვის მოწმობიდან რეზო საყვედურით უმზერდა. მოეჩვენა, რომ ფოტოსურათი ალაპარაკდა, ხმაც ჩაესმა: — ეს რა ჩაიდინე, შე არაკაცო. როგორ გამიმეტე. წყეულიმც იყავ! წყეულიმც იყავ!

„დაკარგული“ მართვის მოწმობიდან რეზო საყვედურით უმზერდა. მოეჩვენა, რომ ფოტოსურათი ალაპარაკდა, ხმაც ჩაესმა: — ეს რა ჩაიდინე, შე არაკაცო. როგორ გამიმეტე. წყეულიმც იყავ! წყეულიმც იყავ!

ბევრი აღარ უფიქრია, მანქანას ბენზინი გადაასხა და ცეცხლი მისცა.

P.S. იმ ღამით მილიციის ოპერატიული ჯგუფები ქალაქის გარეუბნებში რეიდს ატარებდნენ. გაჩიანისკენ ფეხით მიმავალი გიგო ერთ-ერთ ჯგუფს ჩაუვარდა ხელთ. მილიციელთა ეჭვი, ამ მთვარეულივით მობოდიალე ახალგაზრდის მიმართ, მის ჯიბეებში აღმოჩენილმა ფულის დასტამ უფრო გაამძაფრა.

...რამდენიმე დღის შემდეგ მთელმა ქალაქმა იცოდა, ვინ გაძარცვეს და ვინ მოკლეს...

ვაჟა გავაშელი

გამოხმაურება

გაზეთ „კვირის პალიტრის“ მთავარ რედაქტორს

30 სექტემბერი — 6 ოქტომბრის „კვირის პალიტრის“ ნომერში წავიკითხე ინტერვიუ ქალბატონ ნანა დევდარიანთან. სტატიაში „გია ჯიქიას გადაყენებას თუ ვერ მივაღწევთ, ინფარქტამდე მივიყვანთო“ ქალბატონი ნანა დევდარიანი აცხადებს, თითქოს ჩემი ხელმოწერა „ძალიან საეჭვოა, რადგან ჩვენ გვაქვს ამ პიროვნების (ფავლენიშვილი) ორი სხვადასხვანაირი ხელმოწერა“ — ციტირებულია.

მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ მე არა მარტო საბრძოლო მოკვლევის დროს, არამედ სასამართლოშიც და პირად საუბრებშიც არაერთგზის დავადასტურე ბატონ გია ჯიქიას მონაწილეობა აფხაზეთის კონფლიქტში, აღნიშნული ფაქტი ჩემთან ერთად დაადასტურა არაერთმა ჩვენმა თანამებრძოლმა და სამხედრო პოლიციის იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ. ყველა დოკუმენტზე ხელმოწერები ჩემ მიერ არის შესრულებული.

ცილისწამებად და შეურაცხყოფად მიმაჩნია, როდესაც სახალხო დამცველს ჩემს ხელმოწერაში ეჭვი შეაქვს.

თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამხედრო ინსპექციის ოპერატიული რეაგირების ჯგუფის უფროსი ინსპექტორი ლევან ფავლენიშვილი

02.10.2002 წელი (იბეჭდება შემოკლებით)

ოპერაცია „პიტერ შოუ“ შეიძლება მალე დამთავრდეს?

გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებული არიან უცხოელი ბანკირის პიტერ შოუს გატაცებაში ეჭვმიტანილი პირები. სავარაუდოა, რომ ოპერაცია „თავისუფლება პიტერ შოუს“ მალე დასრულდება. თუმცა, უფრო კონკრეტული კომენტარისთვის მივმართეთ შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელს ***პაატა გოგელაურს****:*

— მძევალთა გათავისუფლების საკითხზე უშუალოდ შს მინისტრი მუშაობს. დღეს-დღეობით საქართველოში ოთხი პიროვნებაა უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი. მათ შორის, ერთ-ერთია პიტერ შოუც. გამორიცხული არ არის, რომ შსს-ს მიერ რამდენიმე ხნის წინ დაკავებული ხალხი გარკვეულ კავშირში იყოს პიტერ შოუს გატაცებასთან.

პიტერ შოუს ოჯახს იმედი აქვს მისი დაბრუნების

— პიტერ შოუს პანკისში ყოფნის თაობაზეც გავრცელდა ინფორმაცია.

— პიტერ შოუს შესახებ შსს-ს ხელმძღვანელობას არ დაუკონკრეტებია, სად იმყოფება გატაცებული. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გარკვეული სახის ოპერატიულ ინფორმაციას არ ვფლობთ. უბრალოდ, თავიდანვე არ გამოვრიცხეთ, რომ იგი პანკისში იმყოფებოდეს.

— დიდი ხანია გვესმის, რომ პიტერ შოუს მალე გაათავისუფლებენო, მაგრამ...

— ვერაფერს ვიტყვით მძევალთა გათავისუფლების კონკრეტულ ვადებზე, ეს უბრალოდ არასერიოზული იქნება ჩვენი მხრიდან. ეს ჩვენი ყოველდღიური მუშაობის საგანია.

— მაგრამ ამ პროცესის გაჭიანურება საკმაოდ ძაბავს საერთაშორისო ურთიერთობებს.

— სამწუხაროდ, ადამიანის გატაცება ცივილიზებული და დემოკრატიული ქვეყნებისთვისაც არ არის უცხო. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან: 2001 წელს მარტო ლონდონში ადამიანის გატაცების 77 შემთხვევა დაფიქსირდა.

— შეგიძლიათ დარწმუნებით თქვათ, რომ პიტერ შოუ ცოცხალია?

— რამდენიმე დღის უკან შს მინისტრმა თქვა, რომ პიტერ შოუ ცოცხალია.

ანა ჩაჩუა

ისინი პროცესუალურად ამ საქმეში ეჭვმიტანილები არ არიან და ამ ეტაპზე მათ შესახებ სხვა ინფორმაციის მოცემა, სამწუხაროდ, არ შეიძლება. ვინაიდან ადამიანის გატაცება სპეციფიკური დანაშაულია, ჩვენთვის პირველ რიგში მნიშვნელოვანია მძევლის ჯანმრთელობაზე და სიცოცხლეზე ზრუნვა.

— ვინ არის დანარჩენი სამი მძევალი და იცით თუ არა რაიმე მათ შესახებ?

— ესენი გახლავთ ლევან კალაძე, ბასილ მაჩიტიძე და თამუნა გოგინაშვილი (წყნეთიდან გატაცებული გოგონა). მათ დასახსნელად მიმდინარეობს მუშაობა.

— შსს-ს მიერ ამჟამად დაკავებული პიროვნებები ქართველები არიან?

— სამწუხაროდ, ამ ეტაპზე პასუხების გაცემა არ შემიძლია.

სტრასბურგის სასამართლოს რეკომენდაციამ ჩეჩნებს ვეღარ მოუსწრო

ჩეჩენი პატიმრები შეიძლება შეიწყალონ?!

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

— როგორ ექცეოდნენ რუსული სპეცდანიშნულების რაზმის წევრები პატიმრებს, როდესაც ეს უკანასკნელნი უკვე მათ ხელში აღმოჩნდნენ?

— ორივე მხარემ მოვაწერეთ გადაცემის ოქმს ხელი. შემდეგ პატიმრებს ჩხრეკა ჩაუტარდათ და მშვიდად აიყვანეს თვითმფრინავში. იქ მათ როგორ მოექცევიან, უკვე აღარ ვიცი. სიკვდილით დასჯაზე რუსეთშიც მორატორიუმია გამოცხადებული. როგორც პრეზიდენტმა შევარდნაძემ აღნიშნა, შესაძლოა მათ შეწყალებაზეც იყოს საუბარი.

მამუკა არეშიძე:

— როგორ ფიქრობთ, ამ ფაქტის შემდეგ შეიცვლება თუ არა ჩეჩნეთ-საქართველოს ურთიერთობა?

— 5 კაცის გამო არ შეიძლება შეიცვალოს ქვეყნებს შორის დამოკიდებულება, როგორც არ შეცვლილა იმის გამო, რომ ჩეჩნებმა მიიღეს აფხაზეთის ომში მონაწილეობა და არაერთი ტკივილი მოგვაყენეს.

P.S. *უკანასკნელ წამს შევიტყვეთ, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სასამართლოდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 4 ოქტომბერს, 23.30 სთ-ზე მოსულმა რეკომენდაციამ 11 ჩეჩენის რუსეთში ექსტრადიციის თაობაზე, ვეღარ მოუსწრო რუსეთში ექსტრადირებულ ხუთ ჩეჩენ ტყვეს (მოგეხსენებათ, ისინი 4 ოქტომბერს 22.30 სთ-ზე გადააფრინეს მოსკოვში). თბილისის მე-5 იზოლატორში დარჩენილ 8 ჩეჩენს კი, თუ სრულებით არა, ალბათ გარკვეული პერიოდით მაინც გადაუვადებენ რუსეთში ექსტრადიციის ვადას; თუმცა, გაურკვეველი რჩება სტრასბურგის სასამართლოში სარჩელის შემტანი 11 ჩეჩენიდან უკვე რუსეთში გადაყვანილი 4 ტყვის ბედი. საქართველოში დარჩენილებთან დაკავშირებით კი, იუსტიციის სამინისტროში ამბობენ, რომ საქართველოს ხელისუფლება, გენერალური პროკურატურა და სხვა უწყებები განიხილავენ და მხედველობაში მიიღებენ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოდან მიღებულ დოკუმენტს და იმოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით. იუსტიციის სამინისტრომ 14 ოქტომბრამდე უნდა გაგზავნოს სტრასბურგში შესაბამისი დოკუმენტაცია და გადაწყვეტილების პასუხი, რაც ალბათ ნებისმიერ შემთხვევაში სერიოზული განხილვის საგანი გახდება.*

რატი ახალაძე
მარი ჯაფარიძე

www.tavisupleba.org

RADIO LIBERTY

ვხედავთ, გვესმის, ვამბობთ

- პოლიტიკა
- ეკონომიკა
- კულტურა
- სამხედრო სფერო
- სპორტი
- ახალგაზრდობა

RADIO FREE EUROPE • RADIO LIBERTY

გვისმინეთ ყოველდღე

20:00 - 21:00 ▸ FM 100.9, AM 1044 ● 00:00 - 01:00 ▸ FM 102.6, AM 1044 ● 09:00 - 10:00 ▸ FM 107.4

...ველურმა კოვბოებმაც რომ არ იცოდნენ, მაშინ ისროდა დათიკო შევარდნაძე „ხელუკუღმა“.

...„სანამდე უნდა ვიცადოო“ – ასეთია გურულის ხასიათი.

...გურულები სცივს და ღომს ჭამდნენ და რუსეთის იმპერატორი – კატლეტს მიირთმევდა.

...„მუა“ სექტემბერში თოვლი გურიაში?

... მოადგილე გურული სინამდვილეში თავის უფროსზე მეტია.

...ფული რომ მომცა, მთელ ქვეყანას დავანახვებდით გურულები მარტო ფიშტოს სროლაში რომ არ იყვნენ მარჯვე.

№1 თანამდებობაზე ბევრი გურულია...

(ამათმა წინაპარმა ცოლს თავზე კვერცხი დააღო, 60 ნაბიჯი გადათვალა და ის კვერცხი ერთი გასროლით გახვრიტა)

თბილისიდან ოზურგეთამდე გვარიანი გზაა, მაგრამ სანამ ჩემი თანამგზავრი გურულები პოლიტიკას თავის ჭკუაზე გადაალაგებენ, ჯერ ქართლს გავივლი, მერე იმერეთს, გურიას მივადგები და სამტრედია-ჩოხატაურის გზაგასაყარზე უკვე აღმართებზე სავჯანჯღაროდ ვემზადები. ამ გზაგასაყარის მარჯვნივ პრეზიდენტისა თუ ბათუმური ელიტის ხათრით დაგებული ლანჩხუთი-ბათუმის ტრასაა, მარცხნივ — ოზურგეთი-ჩოხატაურის აღმართი. იმ ტრასასთან შედარებით ოზურგეთისკენ ორმოებში ჩასხმული ასფალტი ავი დედინაცვლისგან გადმოგდებულ გამხმარ პურის ყუას მაგონებს და ცუდ ხასიათზე ვდგები. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ცოტა ხანში ჩოხატაურში „ბერძნის წყარო“ შემხვდება. იქ გურული ქალები „ადესის“ ფელამუშში ამოვლებულ ჩურჩხელებს ყიდიან. აი, აქედან იწყება ნამდვილი გურია — ზამთარში ხის კენწეროზე გარჩენილი კარალიოკი, ზაფხულში — ცხენიანი კაცის სიმაღლე ყანები და ალაგ-ალაგ სანადიროდ მიმავალი ფიშტოგადაკიდებული გურულები, რომლებიც კილო ყველს 2 ლარად ყიდიან და ამ ფულით 4 ჰილზს ყიდულობენ (ცალს 50 თეთრად). როგორი მსროლელები არიან, არ ვიცი, მაგრამ ერთმა გურულმა, ენვერ გოგუაძემ მიამბო, — ამათმა წინაპარმა, დათიკო შევარდნაძემ ცოლს თავზე კვერცხი დაადო, 60 ნაბიჯი გადათვალა და ის კვერცხი ერთი გასროლით შუაზე გახვრიტაო.

მართალია, **ენვერ გოგუაძე** თვითონ ფირალი არ არის, მაგრამ ერთ დროს მეტის-მეტად „ნოვატორული იდეების“ გამო სკოლიდან გამოაგდეს. მოსწავლეები „გააბდღა“, ვიღაც-ვიღაცების ეზოებიდან სამშენებლოდ გამოყენებულ ეკლესია-მონასტრების ქვებს ხსნიდნენ და მუზეუმში მიჰქონდათ.

ეს კაცი დღესაც ოზურგეთის მუზეუმში მუშაობს და შემოჩვეულ კატის კნუტს ცხელი თონის პურით ამარაგებს.

— ბატონო ენვერ, ეგ დათიკო შევარდნაძე, შემთხვევით, ჩვენი პრეზიდენტის ნათესავი ხომ არ იყო?

— ეგ ამბავი ჯერ არ გამომიკვლევია, მაგრამ იყო ცნობილი მხატვარი, დიმიტრი შევარდნაძე... მასზე ექვთიმე თაყაიშვილი ამბობდა, ეს დიმიტრი ნამდვილად დათიკო შევარდნაძის ნათესავია, ისე კარგად ისვრის ფუნჯს მიზანშიო.. სხვათა შორის, ფირალი შევარდნაძე განსწავლული კაცი იყო, ფირალებს შორის ერთადერთმა იცოდა რუსული და თანაც ლექსებს წერდა. მან შემოიღო განსაკუთრებული სროლის ტექნიკა, რომელსაც „ხელუკუღმა“ სროლა ეწოდებოდა. ასეთი რამ ველურმა კოვბოებმაც არ იცოდნენ.

— ველურ კოვბოებს არც იმდენი ფირალი დაქსიზმრებათ, რამდენიც გურულებს ჰყავდათ. რა იყო გურიის „გაფირალების“ მიზეზი?

— გრიგოლ რობაქიძეს აქვს ეს ფენომენი კარგად ახსნილი, „სადამდე უნდა ვიცადოო“ — ასეთია გურულის ხასიათი. ამას დაუმატე სწრაფად გაბრაზების უნარი და ფირალიც მზად არის. 1870-იან წლებში ფოთიდან შემოტანილმა რევოლუციურმა ლიტერატურამ ისე აიყოლია გურულები, იმდენად გაუჭირდა რუსეთს ჩვენი დამორჩილება, იმპერატორის კარზე სერიოზულად დადგა საკითხი — მთელი გურია ციმბირში ხომ არ გადაგვესახლებინაო. სულ მსოფლიოში სამი კომუნისტური მანიფესტი დაიწერა და მესამე აგერ, ბახვში ჩაანიკწიკეს. ამ მანიფესტმა გადარია ლენინი — საკაცობრიო მოვლენააო, გაიძახოდა.

ჩვენში დღესაც ვხუმრობთ, — გურულებმა იმპერატორი იმიზა ჩამოვაგდეთ, კატლეტს რომ ჭამდაო.... აბა? ასე იყო — დადიოდნენ თურმე აგიტატორები სოფლებში და ხალხს ეუბნებოდნენ: თქვენ რომ საცივსა და ღომზე ხართ, იმპერატორი კატლეტს ჭამსო... რაო, კატლეტს ჭამსო? — აბა, მაგას ვუჩვენებთ სეირსო და... აჯანყდა გურია. გამოუცხადეს მემამულეებს ბოიკოტი — თქვენს ყანებს აღარ დავამუშავებთო. ვინც მაინც გაბედავდა და ამას იზამდა, გოუგზავნიდნენ ქაღალდს, ზედ ეხატა თოხი, ხანჯალი, და კუბო... მორჩენილი იყო მერე ამ კაცის საქმე — გაასაღებდნენ.

— თქვენი გამკვირვებია, იმპერატორს კატლეტის ჭამა არ აპატიეთ და ახლა ვიღაც-ვიღაცებმა მთელი გურია რომ გადაჭამეს და თან ზედ ხალხის პენსიები დააყოლეს, ამაზე ხმას რატომ არ იღებთ?

— გინდათ ერთი საინტერესო ამბავი გითხრათ? ხომ არ გგონიათ, გურულები სიღარიბის გამო გარბოდნენ ტყეში? — არა, ბატონო! — ფირალის ცოლ-შვილს სასმელ-საჭმელი არ აკლდა. იქნებოდა ის კაცი ტყეში რამდენ ხანსაც უნდოდა, აბა რა! ახლა ადამიანი იმაზე ფიქრობს, ბაღნებს რა აჭამოს და რა ჩააცვას — დაბმულია... შენ ნუ მომიკვდები, კაი მეთოდია მოფიქრებული ხალხის დასაწყნარებლად, მარა რამდენ ხანს გაგრძელდება ასე, არ ვიცი. ამას წინათ ლანჩხუთში მივდიოდი. ერთი დედაბერი დამემგზავრა, სად მიხვალ ახლა ნენამეთქი, ვკითხე. მეო რაიკომში მივალო — მიპასუხა. იქ, რა გინდა, ვისთან მიდიხარ-თქვა, რომ ჩავეძიე: — ჯერ შენ მითხარი, სექტემბერში თოვლი თუ მუაო?.. გაკვირვებულმა შევხედე. — მითხრეს, ივლისში და აგვისტოში პენსიები გეიყინა, ახლა იმის გასაგებად მივდივარ, სექტემბერში თოვლი თუ მუაო... ჯერ ვიფიქრე, ეს თოვლის მოსვლის საკითხი სერიოზულად აინტერესებს-მეთქი, რომ დავაკვირდი, მივხვდი, ხუმრობდა. ამ ხუმრობაზე ერთი ანეკდოტიც გამახსენდა, მე ძალიან მომწონს. ეს ის არის, გურულს რომ ჰკითხეს, როგორ ცხოვრობთო, უპასუხა — მგლებივითო. ვერ გევიგეთო — უთხრეს. მაშინ ნიკოია მივიდა ღობესთან და დოუძახა მეზობელს: — გოგია უუუ!.. — უუ! — გამოეპასუხა გოგიე. რამდენი წელია პენსია არ მიგიღიაო?.. — უუუო — გამოსძახა გოგიემ. ა, ესაა მგლებივით ცხოვრება...

— გამიგია, ადრე გურიაში ბრინჯი მოჰყავდათო. ჩაისა და ციტრუსის მოსავალი თვითონ მახსოვს. ახლა, არაფერი აღარ არის. რით ცხოვრობენ გურულები?

— სიმინდით, ლობიოთი და ჩალის ფასად გაყიდული თხილით. რას გეტყვი თუ იცი? — კიევი რუსეთის დედად ითვლებოდა და სავაჭრო გზა რომ ასცილდა, დაეცა. ოზურგეთში ახლა ერთი-ორი ავტობუსი თუ ჩამოვა, ეგ არის და ეგ. მთავარი ტრასა ლანჩხუთიდან ბათუმში გადის. ოზურგეთი და ჩოხატაური გზის გარეთ დავრჩით. ამ გაჭირვებაში ეს გვინდოდა? ახლა რომ გითხრათ, გურია 1905 წლამდე კახეთის შემდეგ პირველი ღვინის მწარმოებელი იყო-მეთქი, დამიჯერებთ?.. იყო და რა ვქნა?! ძველი მოგზაურები რომ წერდნენ, გურული ღვინო, ეს ბურგუნდიული ღვინოაო, „ადესას“ ხსენებაც არ იყო მაშინ. „ადესა“ ანუ „იზაბელა“ 1832 წელს ესპანეთიდან ოდესის გავლით ჩამოიტანა ნიკო მარის მამამ და გურიელების ბაღში დარგო. მანამდე და მის მერეც, გურიაში 60 ძვირფასი ჯიშის ვაზი ხარობდა, მათი თითოოროლა ძირი ახლაც არის გურიის სოფლებში. მოვძებნე და აღვწერე. რომ ნახოთ კლარჯული ან თეთრი და შავი კამური რა ჯიშებია, მათ გარეშე სიცოცხლე დაგეზარებათ. კლარჯული გურიელებს ტაო-კლარჯეთიდან შემოჰქონდათ. თითო მტევანი ზოგჯერ ერთ კილოს იწონის. ახლაც ვიცი ერთი გლეხი, 800 ფუთ კამურს აყენებს. კამურის ზოგიერთი ჯიში, დეკემბერი რომ დადგება და ყინვა დაჰკრავს, მაშინ იკრიფება. ისეთი ჯიშიც არის, ივლისში რომ მწიფდება. ა, ამფერი სიმდიდრე გვქონდა, მარა რათ გინდა?

— რატომ რად გვინდა, ამ ჯიშების აღდგენა არ შეიძლება?

— როცა მოვინდომეთ დაგვედგინა, ვინ მოგვეხმარებოდა სიძველეების აღდგენაში, მოვძებნეთ მდიდარი გურულები და გაკვირვებულები დავრჩით, იმდენნი აღმოჩნდნენ. მათ შორის ბევრს უჭირავს №1 თანამდებობა. უმრავლესობა მოადგილეა, მაგრამ სინამდვილეში თავის უფროსზე მეტია. ამ ხალხს ოზურგეთისთვის თითი არ გოუქანებია. რა უნდა ქნას კაცმა? — ერთმა ბაღანამ ერთ ფოლკლორულ საღამოზე ერთხელ ლექსი თქვა, ის ლექსი მახსენდება, დავდივარ და გულში ვიმეორებ ხოლმე: *„მე კი მოგძახით შორიდან, მოგყივით მთათა წვერითა, თუკი სოფელი დასტოვეთ, მის ჯიქანს რათა სწველითა?“*

— რას იზამთ, ისტორიული ქვები ხომ მაინც შეუნარჩუნეთ გურიას...

— თქვენ გურულები მარტო ფირალები ან თანამდებობის კაცები ხომ არ გგონიათ? ექვთიმე თაყაიშვილი გურული იყო, მარა მთელი საქართველოს ქონება გადაარჩინა, დიდი ამბავი, ენვერა გოგუაძემ ერთი-ორი ჩუქურთმებიანი ქვა თუ შეინახა. იყო გურიაში კაი ხალხი... მამია გურიელმა გაჭირვების გამო მთელი მამული 28.000 მანეთად გაყიდა და რომ უთხრეს, ოზურგეთში სასულიერო აკადემიას ვაშენებთ და ფული გვჭირდებაო, 13.000 იმ ხალხს მისცა. ერკეთის ეკლესიის წინამძღვარმა, მგალობლიშვილმა, 1905 წელს გურიაში ალიხანოვის დამსჯელი რაზმი რომ შემოდიოდა, აყარა ეკლესიის იატაკი და მთელი ეკლესიისა და სოფლის ძვირფასეულობა შიგ შეინახა. მთელმა სოფელმა იცოდა ეს საიდუმლო და არავის გაუცია. დიდი სიმდიდრე ჰქონდა გურიის ეკლესია-მონასტრებს. 9 მილიარდ დოლარად შეფასებული ჯუმათის ეკლესიის ორი პატარა მედალიონი ახლაც ამერიკის მეტროპოლიტენ მუზეუმში ინახება. ჯუმათში მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ხატზე 22 ასეთი მედალიონი იყო. თბილისელმა სომეხმა, ვინმე საბინგუსმა, რომელიც მხატვრობას იჩემებდა, რუს ეგზარქოსთან ერთად, მედალიონები, ვითომდა რესტავრაციის მიზნით, პეტერბურგში წაიღო. იქ იმპერატორის კოლექციონერს მიჰყიდეს. იმან კიდევ, ცნობილ მრეწველს — მორგანს. ამ გზით მოხვდა ამერიკაში. მერე ამერიკა შეელია ამ მედალიონების ნაწილს და ზოგი მათგანი ვენეციის წმინდა მარკოზის ტაძარში მოხვდა, ზოგი — ფინეთის ეროვნულ მუზეუმში. ნაწილი — მადრიდში. არავინ უარყოფს, რომ ეს მედალიონები საქართველოსია, მაგრამ ჩვენ რა?

აბა, მე ვინ დამათვლევინებს საქართველოს განძს, მაგრამ ამბობენ, 3 მილიარდ დოლარად არის შეფასებულიო. აგია სამართალი? თუ ამერიკაში ჩვენი 2 ციცქნა მედალიონი 9 მილიარდი დოლარი ღირს, მთელი საქართველოს ქონება 3 მილიარდი როგორ იქნება?

— საინტერესოა, ასეთ მდიდარ გურულებს გარეგნულად თუ ეტყობოდათ სიმდიდრე?

— რას ჰქვია, ეტყობოდათ? არაერთ ძველ ჩანაწერში წამიკითხავს, გურული გლეხი თავადსა და აზნაურს ჩაცმაში ტოლს არ უდებდაო. ასე ამბობდნენ თურმე: მე იგი მეყოფა, გლეხი რომ ვარ და მაგი დევივჯინო ახლა თავზე კიდოო? ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უკეთ ჩაცმულ-დახურული და შეიარაღებული წევიდოდა ომში. 1829 წელს შეკვეთილთან, თურქების წინააღმდეგ ომში, იმპერატორი ნიკოლოზ II თითო გურულს დღეში 1 ჩერვონეცს აძლევდა (დაახლოებით 10 მანეთს უდრიდა) და ომის შემდეგ ერთი მოკლულის ჩაცმულობა რომ აღწერა, რუსი ისტორიკოსი გაოცებული დარჩა — მოკლულს 1700 მანეთის ჩაცმულობა და აღჭურვილობა ჰქონდა თან: 3 შარვალი, საცვლები, გრძელი და მოკლე ყამა, თოფ-იარაღი, მოვერცხლილი ლეკური ხანჯალი... შეკვეთილში 1500-მა რჩეულმა გურულმა ისე იომა, იმპერატორმა მოოქრული ბაირაღი და „გრამოტა“ გამოუგზავნა: მადლობელი ვარ, ჩემო მამაცო და ვაჟკაცო გურულებოო. ამ ომში დაზერვაზე გასულ ვინმე ბოლქვაძეს 8 თურქი გადაეყარა. ამ რვიდან 4 საიქიოს გაისტუმრა და 4 ტყვედ აიყვანა. რუსი ისტორიკოსი წერს, იმპერატორმა ეს ბოლქვაძე დიდი ჩინით დააჯილდოვაო. ეს ერთი ბოლქვაძე რომ რუსებისათვის იბრძოდა, მეორემ, მისმა ნათესავმა, 16 წლის იოთამ ბოლქვაძემ შემოქმედის ციხესთან თავისი ნათლიის, ქაიხოსრო გურიელის აუგად მოხსენიებისთვის ყელი გამოსჭრა რუს გენერალს, პუზირევსკის. მოკლულს შემოქმედის მონასტერში აკლდამა აუგეს, მიუყვანეს შემოქმედელი ქალები და ატირეს. რა ეტირებოდათ? იჯდნენ თურმე და მოთქვამდნენ „ვაი, ვაი, ძმაო რუსო, რა გიტიროთ, რომ არ გვსურსო?“ მას შემდეგ დროის ათვლას გურულები პუზირევსკის მკვლელობიდან იწყებდნენ.

— საინტერესო ამბები მიამბეთ გურულებზე, მგონი ღირს, გურულებს „განსაკუთრებული“ თვალით შევხედო.

— ჰო, „განსაკუთრებულები“ კი ვართ. ის ამბავი არ იცით, კახელი რომ გურულების ქორწილში მოხვდა და დაფიქრდა — რომ გავგიჟდე, როგორ მიხვდებიანო? — ეს ხუმრობით... ყველა ამ ამბიდან ნამდვილად განსაკუთრებული ის არის, რომ ბოლო წლებში პატარა გრანტი ჩაგვივარდა ხელში ისტორიკოსებს და ძალიან საინტერესო ადგილი გავთხარეთ ლანჩხუთისა და ოზურგეთის შესაზღვრებაზე. აქ, სუფსა-ერგოსის მიდამოებში დამარხული უნდა იყოს დიდი ქალაქი. ეს ადგილი რომაელებს ძველ სავაჭრო-ეკონომიკურ რუკაზე, პენტენგენიარეზე აქვთ აღნიშნული. ამას ტყუილად ხომ არ გააკეთებდნენ? — აქ დიდი სავაჭრო ცენტრი უნდა ყოფილიყო. ახლა ერთი ამბავი რომ ატყდა, ამერიკის პრეზიდენტმა სუფსა ახსენაო, ათასი წლის წინანდელი რომაელი იმპერატორები რით იყვნენ ამერიკელ პრეზიდენტებზე ნაკლები? მე და ჩემს მეგობარ ისტორიკოსებს რომ ფული გვქონდეს და ამ ადგილების სრულფასოვანი შესწავლა შეგვეძლოს, მთელ ქვეყანას დავანახვებდით, რომ გურულები მარტო ფიშტოს სროლაში კი არ იყვნენ მარჯვე, კაი ვაჭრებიც გახლდნენ და კაი ფულის შემომტანებიც. ახლა რომ ზოგიერთს უცხოეთი უკვირს, ის უცხოეთი გურულებს თათრის ხალიჩასავით ჰქონდათ გადავლილ-გადმოვლილი...

ეთერ ერაძე

რას გვეტყვი, მამაო?

— მათეს სახარება შეგვაგონებს: „ნუ განიკითხავ, რათა არა განიკითხნეთ“ (მათე 7,1)— საკმარისია, მავანი პიროვნების სიავკაცე ვამხილო, ჩემი მორწმუნე მეგობრები სწორედ მათეს ზემოხსენებულ სიტყვებს ამაფარებენ ხოლმე თვალებზე. ესე იგი, რა გამოდის, მათი თქმით, ყველანი უნდა გავჩუმდეთ, უმსგავსობა და ბოროტება ვაპარპაშოთ ქვეყანაზე?

— იმისათვის, რათა სწორად გავერკვეთ წმინდა წერილის არსში, არ უნდა დავენდოთ ჩვენს საკუთარ აღქმასა და გააზრებას და მივმართოთ ეგზეგეტიკოსებს — განმმარტებლებს. წმინდა გრიგოლ ნოსელი ბრძანებს: „უფალი არ კრძალავს კეთილგანზრახულ განკითხვას, არამედ გვიკრძალავს განსჯას შეუწყალებელს“. წმინდა ათანასე ალექსანდრიელი კი თითქოს საგულდაგულოდ თქვენ გაძლევთ პასუხს: „ერეტიკოსები მზად არიან დაამტკიცონ, რომ არ უნდა განვიკითხოთ ისიც კი, ვინც სასიკვდილო ცოდვა ჩაიდინა, რადგან უფალი ამბობს: „ნუ განიკითხავ, რათა არ განიკითხნეთ“, მაგრამ თუ ეს მართლა ასეა, როგორც ისინი ამტკიცებენ, მაშინ მართალი ნოეც უნდა მისცემოდა სასჯელს, რადგან მან მამის სასაცილოდ ამგდები ქამი დასაჯა და დაუდგინა თავისი ძმების მონად ყოფნა... თუ ღვთის მართალნი სჯიდნენ და თავად არ განისაჯნენ, რატომ არ შეიძლება განსჯა და განკითხვა, როგორც ამას ამბობენ ერეტიკოსები? როცა უფალმა თქვა: „ნუ განიკითხავ, რათა არ განიკითხნეთ“, მხედველობაში ჰყავდა ფარისევლები და მწიგნობრები, რომლებიც სხვებს განიკითხავდნენ, მაგრამ არ მართავდნენ საკუთარ თავებს“.

— მართალია თუ არა, რომ მაგები და ჯადოქრები ეშმაკის დახმარებით ახორციელებენ თავიანთ ქმედებებს?

— ცხადია — მაგები და ჯადოქრები სწორედ ეშმაკის სამსახურში იმყოფებიან და ასრულებენ ბოროტი ძალების მიერ მიცემულ დავალებებს. თავად ბოროტი ძალები ეძებენ ადამიანებს, ვინც ამ ბინძურ სამუშაოს შეასრულებს, პოულობენ მათ და უქმნიან ხელსაყრელ პირობებს.

— ჩემი პატარა შვილიშვილი კითხულობდა წიგნს, რომელშიც წააწყდა ტერმინს: „პირმოთნე“ და მთხოვა განმემარტა. მე გამიჭირდა ზუსტი ახსნა მომეძებნა ამ სიტყვისათვის და გთხოვთ, ქრისტიანობის პოზიციიდან, დამეხმაროთ და მისთვის გასაგებ ენაზე განმამარტებინოთ.

— თქვენს პატარას უთუოდ გამოადგება დავით წინასწარმეტყველის — მეფისა და მეფსალმუნის დახასიათება ასეთი ადამიანებისა, „რომელნიც მოყვასებთან მშვიდობაზე ლაპარაკობენ, გულში კი სიავე უდევთ“. მკლავები გაუშლიათ თანამოძმის გულში ჩასახუტებლად და ამავე დროს მზადა აქვთ მშვილდი, რათა „სიბნელიდან ესროლონ გულმართლებს“. როდესაც გვეხვევიან, სწორედ მაშინ გვღალატობენ, როდესაც ფეხქვეშ გვგებიან, სწორედ მაშინ გვაპარტახებენ... და რადგან არსებობენ ქვეყნად ასეთი დიდი ცოდვის მატარებლები, განმარტებისას ისიც უთხარით თქვენს პატარას, რომ წმინდა მამებს უთქვამთ: „პირმოთნე კაცის ენას მტრისაგან დამიზნებული სატევარი გერჩივნოსო“.

— უფლის მცნება შეგვაგონებს: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“... ყველას თავისებურად ესმის ეს „პატივისცემა“. რა ღვთისნიერ ქმედებებში გამოიხატება იგი?

— პირველ რიგში იმით, რომ შვილებმა არ გაუბედონ მშობლებს უხეშად და ყვედრებით მიმართვა, მეორე — ყველაფერში ბეჯითად გამგონენი იყვნენ, რაც არ ეწინააღმდეგება ღვთისა და სამოქალაქო კანონებს. მესამე — ემსახურონ მშობლებს და შემწედ ექმნენ მათ ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებით მათი მოხუცებულობის ჟამს, მეოთხე — ლოცულობდნენ მშობლებისათვის სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც.

— შეიძლება თუ არა ღმერთს ვთხოვო, რომ დასაჯოს ჩემი შეურაცხმყოფელები?

— ღმერთს ნუ სთხოვთ შეურაცხმყოფელის დასჯას; ნუ ისურვებთ სხვათათვის იმას, რასაც შენთვის არ ისურვებდი. თუ გაწყენინოს, მიენდეთ უფლის ბრძნულ განგებულებას — მან უკეთ უწყის, როგორ მიაგოს მაწყენინებლებს. „ჩემი არს შურისგება, და მე მივაგო, იტყვის უფალი“.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.

მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.

ჩრდილოეთ ოსეთში დაფრიალებული ფრაგედია საქართველოშიც შეიძლება განმეორდეს?!

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

შეიძლება მოვაწყოთ ხელოვნური და ბუნებრივი ჯებირები და ზვავს და ღვარცოფს გზა ზღვისკენ მივცეთ. კიდევ ვიმეორებ, არავის არ ვაშინებ, მაგრამ საფრთხე რეალურია და სერიოზულ დამოკიდებულებას მოითხოვს. კარმადონის ხეობაში მომხდარი ტრაგედია საქართველოსთვის გამაფრთხილებელი სიგნალი უნდა იყოს.

შეშფოთებულებმა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურს მივაკითხეთ, სადაც დაახლოებით იგივე გვითხრეს. გვესაუბრება ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ბერაძე:**

— დღე არ გავა, რომ მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად არ იფეთქოს სხვადასხვა სტიქიურმა უბედურებამ. მოსალოდნელი საფრთხის შესახებ წინასწარი პროგნოზის გაკეთება ჩვენისთანა ქვეყნებში ჭირს, კიდევ უფრო ძნელია, პროგნოზის არსებობის შემთხვევაში სათანადო რეაგირება. გლობალური დათბობის გამო, მსოფლიო კატასტროფის წინაშეა და თუ უახლოეს მომავალში ეს პროცესი არ შეჩერდა, დედამიწაზე ყველაფერი შეიცვლება და შეიცვლება უარესობისკენ.

— ბევრს საუბრობენ გლობალურ დათბობაზე, მაგრამ კონკრეტულად რას ნიშნავს ეს, რა პროცესთან გვაქვს საქმე და რამდენად გვეხება იგი ჩვენ?

— გლობალური დათბობა ნიშნავს იმას, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში დედამიწაზე ტემპერატურამ საშუალოდ 1 გრადუსით მოიმატა. ეს ძალიან ბევრია. საწარმოებიდან გამოტყორცნილმა ემისიებმა და ტრანსპორტის გამონაბოლქვმა დედამიწის გარშემო შექმნა აფსკი. მზიდან წამოსულ ენერგიას ეს აფსკი ატარებს, მაგრამ დედამიწიდან არეკლილი ენერგიის ნაწილი უკან ვეღარ გადის. ხდება სითბოს აკუმულირება დედამიწაზე და სწორედ ეს სითბო არის იმ გვალვების, წყალდიდობების, ვულკანების, ქარბორბალებისა და წვიმების გამომწვევი, რომელიც კატასტროფულად ყოველწლიურად 600 მილიარდი დოლარის ზარალს აყენებს. ახლახან გამოქვეყნდა უაღრესად ავტორიტეტული, კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო ექსპერტთა კომიტეტის დასკვნა, რომლის თანახმადაც კლიმატური ცვლილებების პროცესი შემდგომ წლებში უფრო ინტენსიური გახდება. ტემპერატურა ჯერ 1 გრადუსიდან 3 გრადუსამდე მოიმატებს, შემდეგ 6 გრადუსამდე, 50 წლის შემდეგ კი — 7 გრადუსამდე, თუ რა თქმა უნდა, მსოფლიო და რაც მთავარია, განვითარებული ქვეყნები უარს არ იტყვიან მრეწველობის განვითარებისა და ნავთობის გადამუშავების ასეთ ტემპებზე. თუ არ გამოვდევნით ნახშირბადის შემცველ საწვავს, რომელიც გარემოს აბინძურებს და დედამიწას კატასტროფის წინაშე აყენებს, დაიწყება პოლუსების ირგვლივ ყინულის დნობა, აგრეთვე მყინვარების დნობაც, კატასტროფულად მოიმატებს წყლის დონე, რაც განსაკუთრებულ საფრთხეს შეუქმნის ზღვისპირა და ოკეანისპირა ქვეყნებს. კუნძულოვანი ქვეყნები შეიძლება საერთოდ ჩაიძირონ. ეს პროცესები უკვე დაწყებულია და თავის სავალალო შედეგებს 50 წლის შემდეგ გამოიღებს. საქართველოში 5 გრადუსით რომ მოიმატოს ტემპერატურამ, ტროპიკულ ქვეყნად ვიქცევით. გარეგნობითაც შევიცვლებით და ისეთი შესახედავები ვიქნებით, როგორებიც არიან ტროპიკული ქვეყნების მცხოვრებნი. დადგენილია, რომ ის ზარალი, რაც სტიქიურმა უბედურებებმა მოუტანა დღევანდელ მსოფლიოს, უკვე დედამიწაზე მცხოვრებ ყოველ მეხუთე ადამიანს ეხება.

— გვაქვს თუ არა ტექნიკური შესაძლებლობა დაკვირვების საწარმოებლად და წინასწარი პროგნოზის მისაღებად. რამდენად სარწმუნოა ჩვენი მეტეოროლოგიური სადგურების მიერ გაცემული ინფორმაცია?

— ამჟამად საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის შემადგენლობაში ფუნქციონირებს 25 მეტეოროლოგიური სადგური და საგუშაგო. ამას ემატება თბილისის აეროპორტში მოქმედი მეტეოროლოგიური რადიოლოკატორი. სტიქიურ უბედურებათა 80% ჰიდრომეტეოროლოგიური ხასიათისაა. ჩვენი დეპარტამენტის ძირითადი ფუნქცია კი ის არის, რომ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ დროულად გააკეთოს ინფორმაცია, რათა მოესწროს შესაბამისი რეაგირება. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მაღალი დონის პროფესიული კადრი გვყავს, ჩვენს ფუნქციას, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ ვასრულებთ. არა მარტო წინასწარი დეტალიზებული პროგნოზების, ზოგჯერ არსებული მდგომარეობის შესახებაც ვერ ვფლობთ ინფორმაციას. ეს ყველაფერი იმ მწირი დაფინანსების შედეგია, რაც ჩვენს დეპარტამენტზე და მთლიანად სისტემაზე მოდის.



ნიკოლოზ ბერაძე

— როგორია მომავლის პროგნოზი, რა მოხდება საქართველოში?

— არსებული მონაცემების მიხედვით, მომავალ 50 წელიწადში ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მოსალოდნელია ჰაერის საშუალო ტემპერატურის მატება 2-დან 3,5 გრადუსით. ეს მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ტყეთა ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. იქ, სადაც ტემპერატურის მატება და ნალექების კლებაა ნავარაუდევი, მოიმატებს გვალვის სიხშირე და ხანგრძლივობა, ამის შედეგად შემცირდება ტყეების არეალი, გაღარიბდება დენდროფლორა, გაიზრდება შედარებით გვალვაგამძლე მცენარეების ხვედრითი წილი. რაც შეეხება წყლის რესურსებს: კლიმატის მოსალოდნელი ცვლილება გაამძაფრებს საშიშ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებს. გაიზრდება გვალვების, წყალმოვარდნების სიხშირე, გახშირებული გვალვების გამო, ადგილი ექნება წყლის დეფიციტს. ჩვენი პროგნოზით, შეიცვლება კავკასიონის მაღალმთიანეთიც: მოხდება თოვლის საფრის რედუქცია (დნობა) და ქვედა სარტყელში მოსალოდნელია წყლის სიუხვე; მყინვარები უკან დაიხევს. თოვლის მასა გალღვება; ტბებსა და მთის ხეობებში მოსალოდნელია წყლის ჩამონადენის საერთო მარაგის მატება.

ქალაქ ფოთს შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას ზღვის დონის აწევამ რიონის არხის მხრიდანაც. რიონის არხში წყალგამტარობა 300 კუბ.მ/წმ-მდე შემცირდა, შტორმული მოდელის მაღალი ტალღის შემოჭრისა და მდინარის შეგუბების გამო, წყლის დონე 1,5 მ-ით აიწევს, რაც არხისპირა უბნებს დატბორვით ემუქრება. ფოთში ზღვამ წინ წამოიწია და 600 ჰა პლაჟი ჩაირეცხა. ამ უბანზე ზღვა ხმელეთის სიღრმეში 50-70 მ-ით შეიჭრა და 2030-2050 წლებში მოსალოდნელია კიდევ დიდი მანძილით შემოიწიოს.

ყოველივე ეს, რაც შეიძლება არასასიამოვნო წასაკითხი იყოს თქვენი მკითხველისთვის, თავიდან იქნება არიდებული, თუკი მსოფლიო ყურად იღებს მეცნიერთა რჩევებს და დედამიწაზე სიცოცხლის გადასარჩენად ყველა ქვეყანა ერთნაირად იზრუნებს.

მარტო საქართველომ ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერაფერს გახდება. ეს ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებითაც გაგრძელდება, რაც პირველ რიგში ტექნიკური პროგრესით განისაზღვრება და რა თქმა უნდა, ჩვენ (საზოგადოება) თუ დედამიწის შენარჩუნება გვინდა, ყველამ ერთად უნდა გამოვნახოთ საშუალება ამ ყოველივეს თავიდან ასაცილებლად.

ნანა ქებიშაური
ზვიად ჩაკვეტაძე

სხეულის ფორმის კორექცია – რა გზა ავირჩიოთ?

ალბათ ყველა ადამიანი ოცნებობს უნაკლო და პროპორციულ სხეულზე, მაგრამ ხშირად იძულებული ხდება შეეგუოს არასასურველ ფორმებს.

ის, ვისაც საკუთარ თავზე გამოუცდია, დაგვეთანხმება, რომ სხეულის მოვლის ტრადიციული მეთოდები – მასაჟები, მექანიკური თუ ელექტროტრენაჟორები, სხეულის დამუშავების თერაპიული თუ აპარატული დამუშავება – ხანმოკლე ეფექტს იძლევა. ამასთან, ეს მეთოდები ძირითადად მიმართულია ცელულიტის დაშლისაკენ. მიღწეული შედეგის შესანარჩუნებლად აუცილებელია პროცედურების ხშირი გამეორება, რომელთა დაუმთავრებელ სერიას ადამიანი ხშირად ნევროზამდე და სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს.

არასასურველ ადგილებზე მდებარე ცხიმოვანი ფენა, – გამოკვეთილი "გალიფე", ნაკეცები და ცხიმგროვები მუცელზე, ბარძაყებზე, მნიშვნელოვანი ნაკლია, რომლის გამოსწორება დიეტით, ვარჯიშით და კრემებით პრაქტიკულად შეუძლებელია.

მთელ მსოფლიოში, უკვე ყველამ აღიარა, რომ სხეულის ფორმის გარანტირებული და სტაბილური კორექცია შესაძლებელია მხოლოდ ქირურგიული ჩარევით, რომლის ეფექტურობაც დამოკიდებულია არჩეულ ქირურგიულ მეთოდზე.

კორექციის ქირურგიული მეთოდებისთვის უპირველესი მოთხოვნებია უსაფრთხოება, სწრაფი რეაბილიტაცია და მინიმალური კვალი სხეულზე ოპერაციული ჩარევის შემდეგ. სადღეისოდ ყველა ამ პირობას მხოლოდ ლიპოსაქცია აკმაყოფილებს, რაც ნიშნავს ზედმეტი ცხიმის მოშორებას სპეციალური ტექნიკით, კანის გაჩხვლეტით განაკვეთების გარეშე.

მას შემდეგ, რაც **ლიპოსაქციისთვის გამოიყენება უახლესი ულტრაბგერითი აპარატურა**, ეს ოპერაცია პრაქტიკულად უსაფრთხო გახდა. აღნიშნული ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, ოპერაცია ჩატარდეს ამბულატორიულად,



რამდენიმე საათის განმავლობაში, ისე, რომ ადამიანი არ გამოეთიშოს ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

საქართველოში, ულტრაბგერითი ლიპოსაქცია პირველად დაინერგა და წარმატებით ხორციელდება სამედიცინო ცენტრში **"მედი"**. ეს უნიკალური მეთოდი უახლესი მიღწევაა კოსმეტიკურ ქირურგიაში და ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მოწინავე კლინიკებში.

ულტრაბგერითი ლიპოსაქციის დროს, ცხიმოვანი ქსოვილი, ულტრაბგერის ზემოქმედებით იშლება, გადადის ემულგირებულ მდგომარეობაში და იმავდროულად ხდება მისი ამოტუმბვა. ამ დროს, ჩვეულებრივი ლიპოსაქციისგან განსხვავებით, არ ზიანდება სისხლძარღვები, ლიმფური სადინარები და ნერვული ბოჭკოები, რის გამოც მას გართულებები პრაქტიკულად არ ახლავს. ოპერაცია მიმდინარეობს ადგილობრივი გაუტკივარებით, ნარკოზის გარეშე, არ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას და ადამიანი არ ეთიშება ცხოვრების ჩვეულ რიტმს. ერთადერთი, რამაც მას შეიძლება დისკომფორტი შეუქმნას, კომპრესიული თეთრეულის (ბანდაჟის) ტარებაა, რაც აუცილებელია ოპერაციის შემდეგ ერთი-ორი კვირის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია, რომ, ულტრაბგერითი ლიპოსაქციის დახმარებით, ერთხელ მოშორებული ცხიმოვანი უჯრედები, მომავალში აღარ ვითარდება და სხეულის სასურველი ფორმა უცვლელი რჩება წლების მანძილზე. ამასთან ერთად, ოპერაციის დროს, ცხიმების დაშლის გარდა, თავს იჩენს ულტრაბგერის კიდევ ერთი თვისება – კანის ელასტიკურობის აღდგენა. რის შედეგად კანი თვითონვე იბრუნებს პირვანდელ სახეს და არ ვითარდება ნაკეცები, რომელთაც მოშორება ან მოკვეთა სჭირდება.

როდესაც ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას, შეცვალოს თავისი გარეგნობა ქირურგიის საშუალებით, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ მაქსიმალური შედეგის და წარმატების გარანტი მხოლოდ მაღალი კატეგორიის სოლიდური სამედიცინო ცენტრი და მაღალკვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტებია.

"მედი" კოსმეტიკური ქირურგიის მხოლოდ მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებს გთავაზობთ.

უცხოელი პარტნიორების დახმარებით, აპარატურა, რომელიც აქ გამოიყენება, ყოველწლიურად ახლდება და იცვლება უფრო თანამედროვე, ტექნიკურად სრულყოფილით.

2002 წელს სამედიცინო ცენტრი "მედი" დაფუძნდა ახალ ოფისში, რომელიც აღიჭურვა უახლესი დანადგარებით. განახლდა ყველა არსებული აპარატი და შეიცვალა 2001 წლის მოდელებით. ყველა ეს სიახლე აქ ჩატარებული ოპერაციების საუკეთესო შედეგებს უზრუნველყოფს.

განახლებული ოფისის მყუდრო და კომფორტული გარემო, პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და გულისხმიერება, თქვენ შეგიქმნით მკურნალობისთვის იდეალურ ატმოსფეროს.

სამედიცინო ცენტრი
მედი
25-02-02 93-89-75
ალ. ყაზბეგის გამზ.№1

ოპერატორი: გია გვარამია

საკუთარი მასალის დემონსტრაცია კომპიუტერული გრაფიკის გარეშე.

პუტინი უთუოდ განდიდების მანიით არის შეპყრობილი

პუტინის მიერ საქართველოსადმი წაყენებული „ულტიმატუმის“ მკაცრი ტონი კრიტიკას ვერ უძლებს და უამრავ კითხვას ბადებს. მათგან უმთავრესი ორია: რად დასჭირდა რუსეთის პრეზიდენტს ყოველივე და რით დასრულდება ეს?

კი, ბატონო, ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკა საკმარისად უსულგულოა რუსეთის მიმართ (ამის საფუძველიც აქვს — მაგრამ ეს სხვა თემაა), საქართველოდან რუსეთში ბოევიკები გადადიან, საქართველოს მთავრობა სეპარატისტების ლიდერებთან თანამშრომლობს და არ ჩქარობს დაკავებული ბოევიკების გადაცემას, მაგრამ განა ასე არ იყო წინა წლებშიც, როცა რუსეთი არავითარ ულტიმატუმებს არ აყენებდა? შეიცვალა რამე? არაფერი, გარდა საერთაშორისო მდგომარეობისა, რომელიც პუტინმა ულტიმატუმისთვის ხელსაყრელ დროდ მიიჩნია.

ძნელი დასაჯერებელია, რომ საქართველო (დამოუკიდებლად ან რუსეთთან ერთად) შეძლებს პანკისის ხეობიდან მებრძოლების გამოდევნას, ისევე როგორც დაუჯერებელია, რომ ეს რუსეთმა მოახერხოს (საქართველოს თანხმობით ან მის გარეშე), რადგან ჯერჯერობით ჩეჩნეთიდანაც ვერავინ განდევნა.

კრიტიკოსები პუტინს აყვედრიან — 2001 წლის 11 სექტემბრიდან 2002 წლის 11 სექტემბრამდე გატარებული საგარეო პოლიტიკით უფრო ყარზაის ჰგავდი, ვიდრე დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელმძღვანელსო. მე ყარზაი კი არა, უფრო ბუში ვარო, — აშკარად იგრძნობოდა მისი ულტიმატუმიდან.

სიმართლე კი ის არის, რომ პუტინს შევარდნაძის დასჯა უნდა ან მისი შეცვლა რომელიმე რუსეთუმე პოლიტიკოსით. ისე, რუსეთს შევარდნაძის დასჯის უფრო ჰუმანური და ეფექტური საშუალებაც გააჩნია: ნუ მიჰყიდის საქართველოს იაფად გაზს. ეს ადრეც უნდა ექნა. თავის საზარალოდ ვაჭრობა საბჭოთა იმპერიული პოლიტიკის ისეთივე გადმონაშთია, როგორც დანჯღრეული შეუღლმფრენებით ხალხის დაშინება.

მაგრამ, რატომღაც, გაზზე ჩამიჩუმი არ ისმის. ეტყობა, კრემლი შევარდნაძის შემცვლელს უნახავს სარფიან ფასებს.

პუტინი მარტო თითის ქნევას არ დასჯერდება, შეიძლება ბუშის მიერ ირანზე თავდასხმით ისარგებლოს და საქართველოში შეიჭრას იმ იმედით, რისიც ჟირინოვსკის აქვს, — სპეცსამსახურებში მყოფი ქართველი პატრიოტები შევარდნაძეს გადააყენებენ.

ასე ეგონათ ჯოჰარ დუდაევთან დაკავშირებითაც მაშინ, როცა 1995 წლის დეკემბერში ჩეჩნეთის ომი წამოიწყეს.

პუტინი აშკარად განდიდების მანიითაა შეპყრობილი, მაგრამ იმედია, პათოლოგიის მსუბუქ შეტევასთან გვაქვს საქმე, რომელსაც ადვილად განკურნავენ ვაშინგტონელი ფსიქოანალიტიკოსები ტელეფონითაც კი.

რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტის გარემოცვას — სამხედროებს, ჩეკისტებს, დეპუტატებს, რომლებიც დიდი ამბით ემზადებიან ომისათვის — ეს მათ სრულ სიგიჟეზე მეტყველებს — ვერც ავღანეთმა და ვერც ჩეჩნეთმა ჭკუა ვერ ასწავლა.

ვლადიმირ პრიბილოვსკი,
რუსკაია მისლ, პარიზი

ვარს არ ვიზყოდი ოლიგარქობაზე

ლევან უჩანეიშვილი და ვლადიმირ მაშკოვი

ოსკოვში გაიმართა რეჟისორ პავლე ლუნგინის ფილმის „ოლიგარქის“ პრემიერა. განსაკუთრებული ინტერესი ფილმისადმი გამოიწვია იმან, რომ მთავარი გმირის — ოლიგარქის პროტოტიპი ბორის ბერეზოვსკია, ხოლო მისი მეგობრისა — ბადრი პატარკაციშვილი.

მთავარ როლს (ანუ ბერეზოვსკის) ცნობილი მსახიობი ვლადიმირ მაშკოვი თამაშობს, ერთგულ მეგობარს (ანუ პატარკაციშვილს) კი ქართველი ლევან უჩანეიშვილი ასახიერებს. ის ეკრანზეა მთელი ფილმის მანძილზე, თავად ოლიგარქი კი სურათის მესამედში თუ ჩანს. ერთგულ ლარის (ასე ჰქვია უჩანეიშვილის გმირს) ევალება ყველაფერი — „კრიშის“ მოძებნიდან, ტელეარხის ყიდვამდე. ამ თავდაჯერებულ, მომხიბვლელ ქართველს არაფერი ეშლება. იგი გამოჩენისთანავე გულს სტაცებს მაყურებელს, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ჩვენ ხალხს შორის მტრობის ჩამოგდება არავის ძალუძს.

უჩანეიშვილი ამერიკაში, ჰოლივუდში ცხოვრობს და მუშაობს, „ოლიგარქის“ პრემიერაზე ლოს-ანჯელესიდან ჩამოვიდა, ჟურნალისტებსაც შეხვდა და სამ დღეში ნიუ-იორკში გაფრინდა.

— მსახიობობაზე ბავშვობიდან ოცნებობდით თუ შემთხვევით დაადექით ამ გზას?

— ვერ ვიტყვი, რომ დავიბადე თუ არა, მაშინვე მსახიობობა გადაწყვიტე, მაგრამ ამას დიდად შეუწყო ხელი სახლმა, სადაც ვცხოვრობდი. მას „მსახიობთა სახლს“ ეძახდნენ. ასე რომ, როდესაც თეატრალურ ინსტიტუტში ვაბარებდი, მთელი ეზო მხარს მიჭერდა.

ამერიკაში ფილმ „სტალინის“ პრემიერაზე ჩავედი, დარჩენა და მუშაობა შემომთავაზეს. დამაინტერესა, რა გამომივიდოდა. მანამდე კი საქართველოში თეატრსა და კინოში აქტიურად ვმოღვაწეობდი.

— უფრო როგორ როლებს თამაშობთ?

— ყოველთვის იმას არა, რაც მინდა. მაგრამ ჩემმა აგენტმა იცის, რომ არ ვთამაშობ როლებს, რომლებიც არ შეესაბამება ჩემს ეროვნულ, პოლიტიკურ და სექსუალურ მრწამს. ბოლო 5-6 წლის მანძილზე სულ ჯიბგირების და მაფიოზების ნათლიების როლები მერგო, პროდიუსერს შევჩივლე, ერთი წესიერი კაცის როლი მაღირსეთ-მეთქი. მან კი მიპასუხა — ოსკაროსან რობერტ დე ნიროს, ალ პაჩინოს, მარლონ ბრანდოს კინობიოგრაფიას თუ გადახედავ, ნახავ, რომ ისინი ან მაფიოზებს, ან მათ მადევარ პოლიციელებს თამაშობენო. ახლაც სპაიკ ლისთან ვთამაშრებ გადაღებას. იქ ამერიკული კინოს ახალი თაობის ვარსკვლავები მონაწილეობენ. იქაც „ნათლია“ ვარ. თავადაც გადავიღე მუსიკალური ფილმი — ჩემს ძმასთან ერთად.

— პაველ ლუნგინმა ოლიგარქები წარმოადგინა ადამიანებად, რომლებმაც არა მარტო საკუთარი, არამედ თავისი ქვეყნის ცხოვრებაც კი შეცვალეს.. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ისინი?

— ჩემთვის ოლიგარქი არის ადამიანი, რომელიც ქონებას არა მარტო თავისთვის იყენებს, არამედ სხვის საკეთილდღეოდაც.

— ფილმში ისინი საკმაოდ ინტელექტუალურ და ზნემაღალ ადამიანებადაა წარმოჩენილი, განსაკუთრებით, ლარი. თუ იცნობთ თქვენი გმირის პროტოტიპს?

— პატარკაციშვილი ფილმის გადაღების შემდეგ გავიცანი. ეს კაცი ძალიან ბევრს აკეთებს საქართველოსთვის, ეხმარება ხალხს, მთელი ქვეყნის გაზის ვალი გადაიხადა, რომ დედებს დილით რძე გაეთბოთ შვილებისათვის.

— ოლიგარქობის სურვილი ხომ არ გაგიჩნდათ? „ძველბიჭური“ მანერები ხომ არ დაგიტოვათ როლებმა?

— მაგაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი შემთხვევა კი მქონდა ამერიკაში. ფილმში იაპონჩიკის როლს ვთამაშობდი (ახლა ციხეში ზის). სან-დიეგოდან მოხუცმა რუსმა ქალმა დამირეკა — მეზობლის ბიჭები მაწუხებენ და იქნებ მიშველო რამეო. ჯერ ხუმრობა მეგონა. ჩემს სიცილიელ მეგობრებს ვთხოვე, გამიგეთ, რა ხდება-მეთქი. დამირეკეს — მართლა არსებობს ეს ქალიო. მაშინ უხმაუროდ მოაგვარეთ ყველაფერი-მეთქი... ცოტა ხანში მოხუცმა დამირეკა, მადლობა მითხრა და დაუმატა, — იმ ბიჭებმა თავი დამანებეს კი არა, რაღაც დღესასწაულიც კი მომილოცესო....

ამერიკაში იმიტომ ვარ, რომ ვცდილობ, ყველაფერი გავაკეთო, რათა ოლიგარქივით თუ არა, ისე მაინც ვიცხოვრო, რომ ჩემს ახლობლებსა და მეგობრებს დღესასწაული მოვუწყო ხოლმე, ისე, ტყუილად, უმიზეზოდ...

ფილმის ჩვენების შემდეგ საზოგადოებისთვის ცხადი გახდა, რომ: უჩანეიშვილმა მაშკოვი დაჩრდილა!

სობესედნიკი №39

რუსული დიპლომატიის სტრასბურგული ფიასკო

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მკაცრად გაილაშქრა რუსეთის მიერ დაგეგმილი საქართველოს ტერიტორიის პრევენტული დაბომბვის წინააღმდეგ. ევროპელმა პარლამენტარებმა უარყვეს რუსეთის წინადადება „კალინინგრადის საკითხზეც“. ამას მოჰყვა კიდევ ერთი დიპლომატიური დარტყმა ოკეანის გაღმიდან — აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა რუსეთთან ჭიდილში თბილისს დაუჭირა მხარი. რით აიხსნება ეს ანტირუსული განწყობილებანი, რფ-ის საგარეო პოლიტიკის კრახით თუ დასავლეთმა აითვალწუნა რუსეთი? ამ კითხვას პასუხობენ ექსპერტები:

სერგეი მარკოვი (პოლიტიკური გამოკვლევების ინსტიტუტი): — დასავლეთი რომ განზე გაგვიდგა, ეს ჩვენი ბრალია. საქართველოზე შეტევა მოუმზადებლად მოხდა. მაგალითი ამერიკელებისგან უნდა აგვეღო. ჯერ პროპაგანდა უნდა წამოგვეწყო და მერე კონკრეტული ქმედება. ევროსაბჭოს საერთაშორისო ასამბლეა იმდენად პუტინის განცხადებამ კი არ გააღიზიანა, რამდენადაც მედიაში გამართულმა ბაკქანალიამ და რუსი გენერლების ბაქიბუქმა, რომლებმაც სერიოზულად დაიჯერეს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლებელია საომარი მოქმედებების დაწყება, რაც დღეს უთუოდ უხეში პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა.

ანდრეი პიონტკოვსკი (სტრატეგიული გამოკვლევების ცენტრი): — არ ვიცი, ვინ ურჩია ხელისუფლებას, პანკისში შეჭრა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლად ჩაგვეთვლებაო, მაგრამ საპარლამენტო ასამბლეაში საკითხის ჩავარდნამ გვაჩვენა, რომ ეს უაზრო ვარაუდი იყო.

იგორ ბუნინი (პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრი): — ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში კრახი იდეოლოგიურმა განსხვავებულობამ გამოიწვია. ევროპა თავის იდეოლოგიას, თავის ფასეულობებს უფრთხილდება. ეტყობა, შევარდნაძე ერთ-ერთი მათგანია. ის ევროპისთვის თავისებური სიმბოლოა — ადამიანი, რომელმაც გერმანიის გაერთიანებას და 80-იან წლებში მშვიდობის დამყარებას შეუწყო ხელი. ამიტომაც შევარდნაძის გაიგივება სადამ ჰუსეინთან შეუძლებელია. ეს მიუღებელია დასავლეთისთვის. ამიტომაც შევარდნაძეს არავინ უღალატებს. საოცარია, რომ ჩვენს დიპლომატიას ეს არ ესმის.

ნეზავისიმაია №207

საქართველოს მისივე სივრციდან განდევნას უპირებენ, მას აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის იარაღის დახმარებით განუდგნენ. მოსკოვში კახი კავსაძემ ბანკეტზე მაღალჩინოსან სამხედროს ჰკითხა:

— რატომ არის, რომ ქართველის გაწვდილ ხელში რუსები ქვებს და ბომბებს დებენო?

სამხედრომ უპასუხა:

— ყველაფერს დავთმობთ, მოსკოვსაც კი, მაგრამ საქართველოს — არასოდეს.

მაშინ მეგობნა შექეიფიანებული გენერალი ხუმრობდა. ახლახან გავიგე მოსკოვში ძერჟინსკის ძეგლს თავის ადგილას აბრუნებენო. სწორედ ეს, ყველაფრის უკან დაბრუნების სურვილი თამაშობს საბედისწერო როლს ბოლოდროინდელ მოვლენებში.

რეჟისორი რობერტ სტურუა
მოსკოვსკიე ნოვოსტი №36

ვაშა, კოლხო და კოლხეთო!

ეს რეკორდი გინესის წიგნის ღირსია. საქართველოს ეროვნული უშიშროების ანალიტიკური სამსახურის ხელმძღვანელმა, ვიცეპოლკოვნიკმა ჰენრი კუპრაშვილმა, ავდარში, ხელ-ფეხშეკრულმა გადალახა დარდანელის სრუტე, ახლა განზრახული აქვს ლა-მანშის გადაცურვაც... ამ საოცარი ექსპერიმენტის დაძლევაში ჰენრის მეუღლე, ექიმი ლუდმილა კოვალეცი ეხმარებოდა, რომელიც მოცურავეს დამკვირვებლებთან და მსაჯებთან ერთად კატერით მიჰყვებოდა.

— ნაკლებად სჯეროდათ, რომ ვინმე დარდანელს გადაცურავდა, თანაც ხელ-ფეხშეკრული. ზღვაში დელფინივით ვგრძნობდი თავს, — თქვა ბატონმა ჰენრიმ.

ლუდმილა: — ჩანაყალედან ეჯეაბადამდე დაუბრკოლებლად მიცურა და დაამტკიცა, რომ ადამიანსაც შეუძლია დელფინივით სწრაფად და უხმაუროდ ცურვა. ეჯეაბადში, ზღვიდან ამოსვლა გაუჭირდა, რადგან თავთხელში ფსკერი შლამიანია და ბასრი ნიჟარებით მოფენილი. ჰენრიმ ფეხიც გაიჭრა, მაგრამ ექსპერიმენტი რომ არ ჩავარდნილიყო, არავინ მიხმარებია.

ჰენრი: — წყალი ცივი იყო, ძლიერი ქარი უბერავდა, წვიმდა. ქარი რეზინის ქუდის მოგლეჯას ლამობდა, წყალი სათვალეში ჩამივიდა და ორიენტაცია კინაღამ დავკარგე. ძლივს ვარჩევდი წინ მიმავალი კატერის სილუეტს და გუმანით მივდევდი.

ლუდმილა: — შორიდან შევამჩნიე, რაც სჭირდა. კატერით მივუახლოვდით და ისე, რომ სვლა არ შეგვიჩერებია, ქუდის და სათვალის გასწორება მოვახერხე.

— რამდენი კილომეტრი გასცურეთ და რამდენ ხანში?

ჰენრი: — 3 საათსა და 15 წუთში 12 კილომეტრი. შეიძლება ძველი კოლხები უფრო შორსაც მიცურავდნენ. სამწუხაროდ, კოლხური სტილით ცურვის (და ბევრი საბრძოლო ილეთის) ტრადიცია დაკარგულია... ძველი კოლხები შვილებს სპარტანულად ზრდიდნენ. მომავალ მეომრებს მოქნილობასა და წყალში უჩუმრად სრიალს ასწავლიდნენ, ხელ-ფეხს უკრავდნენ. ეს საშუალებას აძლევდათ, მოულოდნელად მიჰპარვოდნენ მომხდურს. ჩემი ცდის მიზანი სენსაციის გამოწვევა და გინესის წიგნში შესვლა კი არ იყო, არამედ ის, რომ მსოფლიოს გაეგო, ეს ორიგინალური მეთოდი ქართველების წინაპრების გამოგონილია. გარდა ამისა, იმის დამტკიცებაც მინდოდა, რომ არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა. იმ ერის შვილს, რომელსაც ხელ-ფეხშეკრულს შეუძლია დარდანელის სრუტის გადაცურვა, არ უნდა აშინებდეს არანაირ მტერთან შერკინება!

— ქართული დროშა საფრანგეთისა და ნისლიანი ალბიონის გამყოფ სრუტესაც გადაკვეთს?

— დიახ. მთელი ამ ხნის მანძილზე ქართული დროშა ჩემს ცოლს გულში ჩაკრული მოჰქონდა. ამ დროშით გადავიარეთ დარდანელი და ლამანშსაც გადავცურავთ.

— როგორც ვხედავ, თქვენი მეულლე მშვენივრად ლაპარაკობს ქართულად.

— რასაკვირველია. ლუდმილას უყვარს ის ქვეყანა, სადაც ცხოვრობს, ის ენა, რომელზეც მისი ქმარ-შვილი ლაპარაკობს...

ნოვიე იზვესტია №174

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენ გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

ჰკითხეთ გენიოსობენ

4 წლის მარიამ ბახტაძე და დედამისი სამარშრუტო ტაქსით მგზავრობენ. **5 წლის ანაც** დედასთან ერთად ამ ტაქსით მგზავრობს.
მარიამის დედა ანას ეკითხება:
— რა გვარი ხარ?
— ცელ-ქე-ზიშვილი, — პასუხობს ანა.
შემდეგ ანას დედა ეკითხება მარიამს:
— შენ რა გვარი ხარ?
მარიამი დედას გადახედავს და პასუხობს:
— დედიკოსშვილი!

***

4 წლის ანანო მუკბანიანი დაინტერესდა:
— რატომ ჰქვია სავარცხელს სავარცხელი — რომ დაიბადა, ცხელი იყო?

***

6 წლის სანდრო გენდელიანი წელს სკოლაში შეიყვანეს. ეტყობა ძალიან უჭირდა ბაღის მეგობრებთან დაშორება და დედას სთხოვა:
— დედიკო, სკოლაში კი წავალ, მაგრამ არ შეიძლება საბავშვო ბაღშიც რომ ვიარო?

***

7 წლის ქეთი ჯანგველაძე ბებია-ბაბუასთან ისვენებდა ზაფხულში. ერთ დღეს ნახეს, რომ დედა ინდაური რაღაცას დაეგლიჯა. მეორე დილით ქეთი ეკითხება ბებიას:
— ბები, ინდაურის ჭუკებს შავი არ აცვიათ, — მაგათ ხომ გუშინ დედა მოუკლეს?

***

7 წლის თათა სკოლიდან დაბრუნდა და **3 წლის** დას, **ანას** ასწავლის:
— ანანო, იცი, ჩვენ პლანეტა დედამიწაზე ვცხოვრობთ.
— პლანეტაზე კი არა, იოსიბიძეზე ვცხოვრობთ, — უპასუხა ანამ.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი ანდაზიდან გამოტოვებულ სიტყვას: „ავი... არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო“.



II

ბავშვებო და მშობლებო!

ერთი წიგნი-ზღაპარი
1 ღარი და 20 თეთრი ღირება
„კვირის პალიტრა“ სულ მალე შემოგთავაზებთ საუკეთესო ქართულ და უცხოურ ზღაპრებს, ფერადი ილუსტრაციებითა და გასაფერადებლებით

რა შეგდომები დაუშვა მხატვარმა





იპოვე განსხვავებული გოჭი, კნუტი და ქათამი.



მიიყვანე ლოკოკინა ნიჟარამდე

III ანა, გამოიცანი

1. რა ეწოდება 8 მუსიკოსისაგან შემდგარ ანსამბლს?
ა) კვარტეტი; ბ) კვინტეტი; გ) სექტეტი; დ) ოქტეტი.
2. რა ჰქვია სახელისა და გვარის პირველ ასოებს?
ა) ინიციალები; ბ) ინიციატივა; გ) ინტერვალი; დ) ინკუბაცია.
3. ვინ დაწერა ოპერა „ქეთო და კოტე“?
ა) ვიქტორ დოლიძემ; ბ) ნიკო სულხანიშვილმა; გ) ზაქარია ფალიაშვილმა; დ) ოთარ თაქთაქიშვილმა.

IV

იპოვე სახლი, რომელიც მიიღება ისრების მიხედვით ფურცლის დაკეცვის შედეგად



V

გამოიცანი, ქვემოთ მოცემული სურათები რომელ ციფრებიან წრეებში უნდა განთავსდნენ

I რებუსი

ჭიკჭიკი

ერთმანეთის პირდაპირ, ანუ ...	ყვავილი	შენობის წინა ნაწილი	თურქული ვალუტა	რამდენი იყვნენ ძმანი ხერხეულიძეები?	ნოტი

„წვიმა იყო, გადაიღო, მზემ ... დაიბანა“ | მაგარი აქროლადი ალკოჰოლი | ლითონის ჭურჭელი რაიმეს შესაწვავად | საუზმე, ... ვახშამი | „... მოგივა დავითაო“ | კლდოვანი ღრმა ხევი

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

ინტერპოლის ეკრანული აგენტის ცხოვრებისეული თავგადასავლები

ცნობილი პოლიტიკური ურთიერთობების მიუხედავად, როგორც ჩანს, რუს და ქართველ ხელოვანთა ურთიერთობა თითქმის უპრობლემოდ გრძელდება. შედეგიც არ აყოვნებს. ერთი კვირაა, რაც რუსულ ტელეარხებზე უჩვენებენ ახალ მრავალსერიიან მხატვრულ ფილმს — „დრონგო“, რომელშიც მთავარი როლის შემსრულებელს, ცნობილ ლატვიელ მსახიობს ივარ კალნინშს პარტნიორობას უწევენ პოსტსაბჭოურ სივრცეში მცხოვრები კინოსა და თეატრის ვარსკვლავები, მათ შორის, ქართველებიც: მარინე კახიანი, ოთარ კობერიძე, გურამ ფირცხალავა, ზურა ყიფშიძე, გოგი ქავთარაძე, კახი კავსაძე, გუჯა ბურდული და ა.შ. გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანთან, **მარინა კახიანთან** ინტერვიუს:

— „დრონგო“ ინტერპოლის აგენტის მეტსახელია. ეს არის არა ტელესერიალი, არამედ 13-სერიიანი მხატვრული ფილმი, დეტექტივი, სადაც ებრძვიან რუსულ, ქართულ და აზერბაიჯანულ მაფიოზურ დაჯგუფებებს. ფილმში ნაჩვენებია, რომ მაფიას ეროვნება არა აქვს.

— თქვენი პერსონაჟი ვინ არის?

— ერთ-ერთი ქართველი მაფიოზის რძალი, რომელსაც ქმარი მოუკლეს, მუშაობს ტურისტულ ბიუროში, თუმცა სინამდვილეში ინტერპოლის აგენტია.

— როგორ მიგიწვიეს გადაღებაზე?

— გადამღებ ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა რეჟისორი ზინოვი, შევხვდით ერთმანეთს და... ფილმში თამაშობენ შესანიშნავი ქართველი მამაკაცები. გადაღების პროცესი ძალიან სასიამოვნო იყო, ეს ყველაფერი მონატრებული მქონდა ქართულ კინოში გამეფებული მძიმე მდგომარეობის გამო. როლიც ძალიან მომეწონა. ქართველი მსახიობების მიმართ განსაკუთრებული თბილი დამოკიდებულება სუფევდა გადამღებ ჯგუფში. სულ აღნიშნავდნენ, რომ ქართველი მსახიობები მსოფლიოში საუკეთესონი არიან. მათ ასე მიაჩნიათ, ქართველები კი ასე არ ვთვლით. უფრო პრეტენზიულები, კრიტიკულები ვართ ბუნებით.

— ამჯერად ახალ სპექტაკლზე, ახალ როლზე მუშაობთ. უფრო კონკრეტულად რას გვეტყვით ამის შესახებ?

— თავისუფალ თეატრში რეჟისორი ციცინო კობიაშვილი დგამს კომედიას დარიო ფუალის „თავისუფალი სიყვარულის“ მიხედვით. ამ კომედიაში სულ ორი მოქმედი პირია. ჩემთვის აბსოლუტურად განსხვავებული ამპლუაა ეს როლი.

კადრი ფილმიდან „დრონგო“. მარინა კახიანი და ივარ კალნინში

— „დრონგოს“ გადაღებისას ხომ არ გაგახსენდათ შემთხვევა, რომლის დროსაც შეხვდით დამნაშავეთა სამყაროს, იქნებ გამოგადგათ რამეში ამგვარი გამოცდილება?

— დიახ, ორჯერ მქონდა ასეთი შემთხვევა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისთვის საუკეთესო მასწავლებელი ცხოვრებისეული გამოცდილებაა, „დრონგოს“ გადაღების დროს რაიმე კონკრეტული შემთხვევა არ გამხსენებია. არადა, სტუდენტობის დროს, მე და ჩემი მეგობარი ნათია კავსაძე მივდიოდით ქუჩაში დინამოს სტადიონთან. ბინდი იყო. არ ბნელოდა. ორი ყმაწვილი მოგვიახლოვდა. ერთმა მათგანმა ნათიას ხელი ჰკრა, მომადო დანა და მითხრა — ყველაფერი მოიხსენიო. მხოლოდ საყურე მეკეთა. არ დავიბენი. თითები ვუჩვენე, გადავატრიალ-გადმოვატრიალე და ვუთხარი, აი, ნახე, არაფერი არ მიკეთიამეთქი. ამ დროს დანის წვერს ვგრძნობდი კუჭის არესთან. საყურეებს არ მიაქცია ამ ბიჭმა ყურადღება და მეორემ უთხრა — დაანებე თავიო.

— გადარჩენილხართ.

— მაშინ კი, მაგრამ შარშან ნამდვილად ველარ გადავურჩით ჯიბგირებს. ჩემი ავტომანქანით ვერაზე, ფილარმონიასთან ჩავდიოდი, საცობი იყო გზაზე. რაღაც დროით შევჩერდი. რომ უნდა დამეძრა მანქანა, მაშინ გადმიდგა გზაზე ვიღაც ბიჭი, ამ დროს ჩემ გვერდით კარი გაიღო და ვიღაცა შემოვარდა, ჩანთას ხელი დასტაცა და გაიქცა. ჩანთაში საბუთები, გასაღებები და უამრავი რამ მქონდა. შევძრწუნდი. საშინელი ხმით ვიკივლე, მაგრამ რას ვიზამდი. ვერ გადავხტებოდი და ვერ გავეკიდებოდი. თვალის დახამხამებაში მოხდა ყველაფერი და დავრჩი გაოგნებული და შეურაცხყოფილი.

— ასე დაკარგეთ ყველაფერი?

— ახლობლები მირჩევდნენ, განცხადება გაეკეთე ტელევიზიით, ეგებ საბუთები მაინც დაგიბრუნონო, მაგრამ არ გავაკეთე. საბუთები მაინც დამიბრუნეს, ნაწილ-ნაწილ, ზოგი ვინ მომიტანა და ზოგი ვინ. ძალიან მადლობელი ვარ იმათი, ვინც არ დაიზარა და ჩემი საბუთები მომიტანა. საბედნიეროდ, არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც უცნობებისთვისაც არ იშურებენ ყურადღებას და გულისხმიერებას.

— ისევ „დრონგოს“ დავუბრუნდეთ, რა გახსენდებათ ისეთი, რაც კადრს მიღმა ხდებოდა?

— ბაქოში გვქონდა გადაღებები. შესანიშნავად შემხვდნენ, გადაღებაც არაჩვეულებრივად მიმდინარეობდა და თავს ძალიან კარგად, ბედნიერად ვგრძნობდი პირველ დღესვე. მეორე დღესაც ძალიან სასიამოვნოდ გამოთენდა დილა. მოგვიანებით უნდა წავსულიყავი გადაღებაზე. ჩავედი სასაუზმოდ. უგემრიელესი კერძები მომიტანეს, ნამცხვარიც მომართვეს, ჩავკბიჩე და დამრჩა კბილი შიგ. გავოგნდი. უცნობ ქალაქში, ორ საათში გადაღება იწყება, სად უნდა ვეძებო კბილის ექიმი? ისტერიული სიცილი ამიტყდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ბედისწერამ ფეხი დამიდო. საოცარი ყურადღება გამოიჩინეს ჩემ მიმართ და ყველაფერი სასწრაფოდ მომიგვარეს. მაგრამ ამ შემთხვევამ მიჩვენა, რომ განგება მუდმივად გალაღების საშუალებას არ მოგცემს და ერთ მშვენიერ დღეს შეგახსენებს, რომ ყველაფერი მუდმივად კარგად არ შეიძლება იყოს.

— იბნევით ხოლმე ასეთ შემთხვევაში? გარეგნულად ძლიერი ქალი ჩანხართ, არა მგონია მშიშარა იყოთ.

— არ ვიცი, რამდენად ძლიერი ვარ. სასიამოვნოა, როცა აღმოაჩენ, რომ სირთულეების ატანა შეგიძლია, მაგრამ... ვიყავი საკმაოდ განებივრებული ბავშვი, შემდგომ საკმაოდ განებივრებული ქალი, ცოლი. ჩემი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ გვერდით აღარ მყავს ძვირფასი ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტად მანებივრებდა. ამის შემდეგ უნდა შემეცვალა ცხოვრების სტილი, ეს პროცესი იოლი არ აღმოჩნდა. ჩემი შინაგანი სიძლიერის შეგრძნება მესიამოვნა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, დავიღალე.

— თქვენს სახლში უამრავი ფოტოა, უმრავლესობაზე თქვენ ხართ გამოსახული. ალბათ ძალიან გიყვართ ფოტოკამერის წინ პოზირება.

— მართლა ძალიან მიყვარს ფოტოს გადაღება, ფოტოზე ფიქსირდება წამი, სულიერი მდგომარეობა, მთელი ისტორია. არის ფოტო, რომელიც ცხოვრების ისტორიაა. ზოგი მათგანი განსაკუთრებულად მიყვარს, ზოგი იმიტომ, რომ მათზე უფრო მშვენიერი ვარ, ვიდრე სინამდვილეში, ზოგზეც აღბეჭდილია ძვირფასი წამი, რომელსაც ვეღარასოდეს მოაბრუნებ. უცხო ოჯახებში შესვლისას ჩემი საყვარელი გასართობი ფოტოების თვალიერებაა, უამრავ ინფორმაციას ვიღებ მათგან.

— ტელევიზიაში თქვენი მოღვაწეობის საქმე როგორ იქნება, „ტელე-სინე-ვიდეოში“ ისევ გამოჩნდებით წამყვანად?

— არ ვიცი, ეს გადაცემა ისევ გავა თუ არა ამ სეზონში. მე კი ძალიან მიყვარს იგი.

— ჩაცმულობით, გამომეტყველებით ხშირად ჰბაძავდით იმ მსახიობებს, ვისზეც „ტელე-სინე-ვიდეოში“ მოგვითხრობდით.

— დიახ, ნამდვილად მქონდა ამის მცდელობა. ვნახოთ, რა იქნება მომავალში. ახლა, მალე რუსთაველის თეატრთან ერთად გასტროლებზე წავალ.

— რთული ეკონომიკური პირობების გამო უცხოეთში წასვლაზე ხომ არ გიფიქრიათ?

— დროებით ყველგან სიამოვნებით წავალ სამუშაოდ, მაგრამ იმდენად მიყვარს ეს ქალაქი, ეს ქუჩები, მთები, ადამიანები, რომლებიც სამწუხაროდ ყოველთვის არ არიან სანდონი, რომ აქედან მუდმივად წასვლა არ შემიძლია.

ეკა ლომიძე

გოგა გველესიანს „გოდოს მოლოდინში“ შეძლოგა დასჩემდა

„გოდოს მოლოდინში“ თითქოს მთელი საუკუნე გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ არავინ იცის, ვინ არის გოდო და იგი არც არასდროს მოდის, სპექტაკლი მაინც შედგა. რუსთაველის თეატრში კიდევ ერთი საპრემიერო ოვაცია გაიმართა... მაყურებელი დიდხანს არ უშვებდა სცენიდან სპექტაკლის ხუთ მონაწილეს — ზაზა პაპუაშვილს, ლევან ბერიკაშვილს, ამირან ამირანაშვილს, გოგა გველესიანს, დათო გოცირიძეს და მათ „დირიჟორს“ და წარმოდგენის სულის ჩამდგმელს, დიდ მაესტროს — ბატონ რობერტ სტურუას... სამუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“ ის სპექტაკლია, რომლის წარმატებული დადგმის პრეცედენტი მსოფლიოში არ არსებობს... ეს მოხერხდა აქ, ჩვენს ქალაქში, სანახევროდ დანგრეულ რუსთაველის თეატრში. სწორედ ამიტომ დიდხანს არ მიატოვებს სპექტაკლის მონაწილე თითოეულ მსახიობს და მაყურებელს ბედნიერების განცდა...

აღსანიშნავია ისიც, რომ პიესის ორი მონაწილე — ამირან ამირანაშვილი და გოგა გველესიანი ბატონი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის დასიდან მოვიდნენ რუსთაველის თეატრში: საფრანგეთმოვლილი ამირანი — ახლახან („გოდო“ მისი პირველი სპექტაკლია რუსთაველის თეატრში), გოგა გველესიანი კი ცოტა ხნით ადრე... მან უკვე ითამაშა რამდენიმე როლი სპექტაკლებში — „ლამარა“, „მაკბეტი“, „ქალი გველი“ და „მეთორმეტე ღამე...“

„კვირის პალიტრა“ საპრემიერო ციებ-ცხელების პერიოდში სწორედ **გოგა გველესიანს** დაუკავშირდა...

— როგორ მოხდა თქვენი რუსთაველის თეატრში მოსვლა, როგორ გადაიტანეთ „აკლიმატიზაცია“?

— ბატონი მიშას გარდაცვალების შემდეგ მივხვდი, რომ იმ თეატრში ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა, ჩემი თავი ველარ დავინახე პერსპექტივაში. რვა თვის განმავლობაში ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი და მივიღე გადაწყვეტილება, საერთოდ წამოვსულიყავი კინომსახიობთა თეატრიდან, თუმცა „ზაფხულის ღამის სიზმარში“, „ამფიტრიონში“ და „იდიოტში“ ჩემს როლებს ისევ ვასრულებდი. რაც შეეხება „ჩვენს პატარა ქალაქს“, იქ პატარა ბიჭს ვთამაშობდი და ასაკით უკვე შეუფერებელი ვიყავი ამ როლისთვის... ჩემი უმთავრესი სურვილი და ამოცანა ის გახლავთ, რომ ვიყო იმ რეჟისორის გვერდით, რომელიც საინტერესო სახეების განსახიერების საშუალებას მომცემს... ერთი წელი უმუშევარი ვიყავი. ძალიან აქტიური ადამიანი ვარ და საშინლად გამიჭირდა. ერთ მშვენიერ დღეს, მივედი ბატონ რობიკოსთან და ვუთხარი — ძალიან ცუდად ვარ, თუ თქვენ გვერდით ვიქნები, თქვენს თეატრში, ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ არა და, მსახიობობაზე საერთოდ უარს ვაცხადებ-მეთქი... მოხდა ისე, რომ მალევე შემიყვანეს „ლამარაში“, „მაკბეტში“, „ქალი გველში“ და შემდეგ საჩუქრად მივიღე როლი „მეთორმეტე ღამეში“...

— რამდენად განსხვავდებიან ბატონი მიშა და ბატონი რობიკო მუშაობის სტილით?

— მე აბსოლუტურად ვერანაირ სხვაობას ვერ ვხედავ. ვთვლი, რომ განსაკუთრებულ ადამიანებს ერთი რამ აერთიანებთ — გენიალურობა და უზარმაზარი ნიჭი. უბრალოდ, შეიძლება ერთმა მარჯვნიდან მოუაროს, მეორემ მარცხნიდან: შედეგი ერთია — წარმატება...

(გაგრძელება იხ. გვ.23)

„არა მაქუს ჩუენ აქა საყოფელად ქალაქი..."

1. ...
2. ...
3. **სრული დედაკაცი**
4. **სრული კაცი**
5. **არ განიკითხო!**
6. **„არა მაქუს ჩუენ აქა საყოფელად ქალაქი..."**

• • •

„ — გამარჯობათ, — თქვა პატარა უფლისწულმა. მის წინაშე მთელი ვარდნარი გადაშლილიყო.

— გაგიმარჯოს, — მიესალმნენ ვარდები.

— ვინა ხართ? — იკითხა გაოგნებულმა.

— ვარდები, — მიუგეს ვარდებმა.

— აჰ! — აღმოხდა პატარა უფლისწულს.

და უცებ იგრძნო, რომ ძალიან უბედურია. მისი ყვავილი კი ეუბნებოდა, ერთადერთი ვარ და ჩემნაირს მთელ სამყაროშიც ვერ იპოვიო. და, აი, ახლა მის წინაშე ხუთი ათასი ვარდი იყო მხოლოდ ერთ ბაღში".

არსებობს ძველებრაული ლეგენდა:

უფალმა პირველად ქალი ცეცხლისაგან შექმნა და უწოდა სახელი ლილიეთი. მიწისგან შექმნილი ადამი როგორ არ ეცადა მის დამორჩილებას, საშინლად შეუყვარდა კიდეც, მაგრამ ლილიეთი ახლოსაც არ იკარებდა, სადღაც უჩინარდებოდა... ერთხელაც, დაუწყო ძებნა. სამოთხეში რომ ვერ იპოვა, საზღვართან მივიდა, ჯოჯოხეთს გადახედა და შეძრწუნდა — ლილიეთი სატანასთან ნებივრობდა.

მწარედ ატირდა ადამი. უფალს შეჰღაღადა — მიშველეო! უფალი დაამინებს. დაძინებულს საკუთარი ნეკნისგან შეუქმნის მიწიერ ევას. ვაი, რომ ვერც მას მოუარა კაცმა. სატანა კვლავ აცდუნებს ქალს.

შემდგომ ამისა იწყება ჩვენი მოდგმის ისტორია.

ასე მგონია ამ უკიდეგანო, უზარმაზარ სამყაროში, ჩვენი დასჯილი, მიწიერი ცივილიზაცია გამოკეტილია დედამიწაზე, ვითარცა პატიმარი კარცერში და წარმოდგენაც არა აქვს, კარებს იქით თუ არსებობს რაიმე.

დავუშვათ (ერთი წუთით), თუ ღმერთმა შექმნა ჩვენი მიწიერი ცივილიზაცია, არ შეეძლო, ან არ შეუძლია (ძველებრაული ლეგენდისა არ იყოს) სხვანაირი შეექმნა ან შექმნას? ჩვენს შექმნამდე უამრავი ცივილიზაცია არსებობდა, უამრავი არსებობს და ჩვენს მერეც უამრავი იარსებებს. მე ამას არ ვამტკიცებ (ღმერთმა დამიფაროს), უბრალოდ წარმოსახვაში ვუშვებ და ვიცი, რომ ვცდები. სინამდვილეში სამყარო გეოცენტრისტულია.

„მე მეგონა ერთადერთი და განუმეორებელი ყვავილის მფლობელი ვიყავი, ის კი ჩვეულებრივი ვარდი ყოფილა. ერთი ვარდი და სამი ვულკანი, რომლებიც მუხლებამდე ძლივს მწვდებიან და თანაც ერთი ჩამქრალია, ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც. — აი, მთელი ჩემი ავლადიდება... ვითომ მეც უფლისწული ვარ?!

მდელოზე დაემხო და მწარედ ატირდა" (ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი).

• • •

„მე დღეის აქეთ სიზმარს ვუწოდებ,
რაც აქამომდე მეგონა ცხადი.
დიაღ, სიცოცხლე
ზმანება გახლავთ
გგონია ცხოვრობ? სიზმარსა ხედავ".

(კი-ნო ცურაიკი)

რა არის სიცოცხლე?! სად გადის ზღვარი დროსა და მარადისობას შორის? — მართლაც, სიზმარი ხომ არ არის ჩვენი ცხოვრება?!

რა არის დრო? — „დრო მოუხელთებელი სუბსტანციაა, დრო საიდუმლოა, ამიტომ მისი გამოხატვა, დაფიქსირება შესაძლებელია მხოლოდ სიმბოლოებით" (არქიმანდრიტი რაფაელი).

რაღაც საშინელი ფარდაა ხილულ და უხილავ სამყაროებს შორის. ადამიანი — ხატად და მსგავსად ქმნილი ხიდი იყო, დამაკავშირებელი ორი სამყაროსი. სამწუხაროდ „იყო", რამეთუ ვკარგავთ სულიერებას და ვრჩებით ოდენ ხორციელნი. მხოლოდ ხორცში დარჩენილს, მეჩვენება — მკვდარი ვარ; მეჩვენება, დედამიწაც მკვდარია და ეს უზარმაზარი სამყარო ხანგრძლივი სიზმარია. ალბათ საოცრება იქნება მარადისობიდან დანახული დრო: წარსული, აწმყო და მომავალი ერთად.

რა არის სიკვდილი?! — „სიკვდილი საზღაურია ცოდვის, არა სიცოცხლის ნაკლებობის, არამედ სიცოცხლის სიწმინდის ნაკლებობის შედეგი" (გ. ჭანტურია). „სადა არს სიკვდილო! საწერტელი შენი?" (1 კორ. 15,55).

სადაც არის დრო, იქ სიკვდილია. დროს სჩვევია გარდაცვალება და მარადისობაში გადასვლა.

სრული დედაკაცი
(იოან. 20, 11-18)

სანამ უფალი იესო ქრისტე მარიამ მაგდალელს განკურნავდა, მარიამი შვიდი ეშმაკით იყო შეპყრობილი (მარ. 16,9). განკურნების შემდეგ, ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფილებისაგან. იგი გაჰყვება და დაემოწაფება იესოს. მასში ხორციელი სჭარბობს სულიერს. უყვარს იესო ქრისტე, მაგრამ ეს სიყვარული ჯერ არ არის ზეციური. მოციქულების მსგავსად იესოში ისიც მომავალი იუდეის ხორციელ მეფეს ხედავს, ქალის წარმოსახვაში დანახულ გმირს.

მაცხოვრის ჯვარცმისა და დაფლვის შემდეგ — „მარიამ ჰსდგა გარეშე საფლავსა მას

თანა და ჰსტიროდა". ტიროდა ქალის ცრემლებით — ძალიან უყვარდა იესო.

„დედაკაცო! რასა სტირ, ვისა ეძიებ" — მარიამი ვერ ცნობს მკვდრეთით აღმდგარ ქრისტეს, უბრალო მებაღე ჰგონია.

„უფალო, უკეთუ შენ აღიღე იგი, მითხარ მე, სადა დაჰსდევ, და მე წარმოვიღო იგი".

„მარიამ!" — მიმართა უფალმა.

„მოძღვარ" — მან იწამა მკვდრეთით აღმდგარი. მისი ხედვა გასცდა ხორციელ საზღვრებს, მიწიერი სიყვარული ზეციურმა შესცვალა. ...და იქმნა მარიამ მაგდალელი სრული დედაკაცი დედაკაცთა შორის.

დედაკაცნო! მიჰბაძეთ სიყვარულში წმინდა მარიამ მაგდალელს.

სრული კაცი

მღვდელმთავარი, სინედრიონის წევრი ნიკოდიმოსი ღამით მიდის იესო ქრისტესთან. აშკარად ხედავს — ღმერთი არს მასთან, თუმც როგორც მესიას არ აღიარებს. საუბრისას უფალი ამხელს ურწმუნოებაში:

„შენ ხარ მოძღვარი ისრაელისა, და ესე არა იცია?.. უკეთუ ქუეყანისა გითხარ თქუენ და არა გრწამს; ვითარ უკუე ზეცისა გითხრა თქუენ და გრწმენეს?" (იოან. 3.10.12).

მაცხოვარი ორი ბუნების მქონეა — სრული ღმერთი და სრული კაცი. ადამიანებს მხოლოდ კაცური ბუნება გაგვაჩნია. იესო კაცურ ბუნებაში აბსოლუტურად შეუშლელია, სრულია. ჩვენ, კაცებს ბევრი რამ გვეშლა, რა ბუნებაც გაგვაჩნია, იმაში ვართ სუსტები. ქვეყნისას გვეუბნება, არ გვრწამს, ამ დროს გვინდა ქრისტეს ღვთიურ ბუნებას ვჭვრეტდეთ — ზეციურზე გვაქვს პრეტენზია.

მივბაძოთ იესოს სრულ კაცობაში. სიტყვით და საქმით ვიყოთ შეუშლელი კაცები: „რომელი სიტყვითა არა ჰსცთებოდეს, იგი სრული კაცი არს" (იაკ. 3,2).

არ შეიძლება კაცს ხილულში ეშლებოდეს და ამ დროს უხილავს, ზეციურს ასწავლიდეს!

„იყვენით თქუენ სრული, ვითარცა მამა თქუენი ზეცათა სრულ არს" (მთ. 5.48).

არ განიკითხო!

უფალმა მოციქულებს ასწავლა ლოცვა, რომელსაც საუფლო ლოცვას — „მამაო ჩვენოს" ვუწოდებთ. ლოცვაში არის მუხლი — „მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა". თუ ამ მუხლს არ ვასრულებთ, ან არ ვცდილობთ შევასრულოთ, საუფლო ლოცვის თქმას აზრი ეკარგება, რამეთუ უფალს ვთხოვთ არ მოგვიტევოს ცოდვები.

„ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ. რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ" (მთ. 7, 1-2).

რა სიმკაცრითაც სხვას განვიკითხავთ, იმ სიმკაცრითვე განვიკითხებით.

ერთხელ, გამოვიდა მამა მაკარი სენაკიდან, იხილა ძმა, რომელიც ცოდავდა და არ განიკითხა, არამედ თქვა: „თუ ღმერთი არ დაწვავს, რომელმან დაბადა და ხედავს, მე ვინ ვარ, რომელმან ვიკადრო მისი დაბადებულის განკითხვა".

ჩვენ კი — რა გვემართება?! ყველას და ყველაფერს განვიკითხავთ, ისე მივეჩვიეთ, განკითხვას ჩვეულებრივად აღვიქვამთ, გვავიწყდება, არსებობს ღმერთი!

ერთხელ, მამა ისაკი მივიდა მონასტერში, იხილა იქ ბერი, ვინმე ცთომილი და განიკითხა იგი. როდესაც დაბრუნდა თავის სენაკში, გამოეცხადა მას ანგელოზი და უთხრა: „ღმერთმან მომავლინა შენთან, სად ბრძანებ იმ ბერის შთაგდებას, რომელიც განიკითხე?" ხოლო მამა ისაკი დაემხო მის წინაშე და ღაღადჰყო ტირილითა დიდითა: „ვცოდე, უფალო, შემინდე". მაშინ უთხრა ანგელოზმა: „აღდეგ, შეგინდოს უფალმა. ამიერიდან ნურავის განიკითხავ, უწინარეს განკითხვისა ღმრთისა".

ადამიანებო! რა ადვილად ვიმეტებთ ერთმანეთს ჯოჯოხეთისთვის, რამეთუ როდესაც განვიკითხავთ, ვბრძანებთ მათ შთაგდებას, ანუ დასჯას. „რომლითა ჰსჯი მოყვასსა, თავსა თვისსა დაისჯი, რამეთუ მასვე იქმ, რომელსაცა სჯი" (რომ. 2,1). სხვისი განსჯით თავს განვისჯით, იმასვე ვჩავდივართ, რისთვისაც სხვას განვსჯით. ვილაცასში ვხედავთ ამპარტავანს ან მრუშს — ეს ჩვენ ვართ ამპარტავანნი და მრუშნი, ჩვენ თავს ვხედავთ სხვაში. არ მოგვწონს და განვიკითხავთ საქართველოს პარლამენტს, ჩვენი თავი არ მოგვწონს სარკეში, რამეთუ ის ორასი კაცი ჩვენივე წიაღიდან არიან გამოსულნი. ვთქვათ დავითხოვეთ, ავირჩიეთ სხვა ადამიანები. ანგელოზთა იერარქიის მთავრობანის დასიდან არავინ გამოგვიგზავნის ორას ანგელოზს, ისინიც ჩვენი წიაღიდანვე უნდა გამოვიდნენ — რაც ერი, ის ბერიო.

უბრალო ფორმულაა — ნუ განიკითხავთ და არ განიკითხებით, მიუტევეთ და მოგეტევებათ, ნუ განსჯით და არ განისჯებით. ვინმეს განკითხვის, გინების და წყევლის ნაცვლად ვთქვათ გულსა შინა ჩვენსა — უფალო, შეეწიე!

„არა მაქუს ჩუენ აქა საყოფელად ქალაქი"...

ბიბლია გვასწავლის: „ბოროტისკენაა მიდრეკილი ადამიანის გულისთქმა" (დაბ. 8,21). ეს ქვეყანა ბოროტსა ზედა სდგას. ბოროტებას სუბსტანცია (არსი) არ გააჩნია. იგი არის ანგელოზთა მსოფლიო წესრიგის თავისუფალი ნების დამახინჯება.

დამახინჯდა და მიიდრიკა ბოროტისაკენ ერთ-ერთი მთავარანგელოზი, ღვთის მოწინააღმდეგედ (სატანად) შეიქმნა. ღვთის წინააღმდეგ წასვლამ მისი ბუნება შეცვალა — ლამაზი იქცა მახინჯად, სინათლე იქცა სიბნელედ; უარსო, შექმნილი, მოწყდა სიყვარულის ორბიტას, სიძულვილად ჩამოყალიბდა.

ბოროტს შეშურდა ადამიანის ბედნიერება სამოთხეში, ყველანაირად ეცადა დაერღვიათ მათ უფლის აღთქმა — მიეღოთ ნაყოფი ხისგან — ცნობადისა, კეთილისა და ბოროტის.

ადამიანი ხილული სამყაროს გვირგვინად იყო შექმნილი. დაცემისას ცოდვა და სიკვდილი შევიდა მასში — ხილული სამყაროც დაეცა, მთელი სამყარო ადამიანშია, ბუნებრივია, მისმა მიდრეკამ ბოროტისაკენ გამოიწვია სამყაროს ხრწნადობა.

მიუდგა ადამი ევას და იშვა ბოროტი თესლის ნაყოფი — კაენი. ცოდვა არ დაიკარგა (ნაყოფის მიღების შემდეგ მათ შეიცნეს ბოროტი). გაბატონდა სატანა ხილულ სამყაროზე — „ესე ყოველი მოგცე შენ, უკეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე".

„წარვედ ჩემგან მართლ-უკუნ სატანა" (მთ. 4. 9-10).

სატანა ყოველთვის გვთავაზობს მოჩვენებითი სილამაზით ცოდვას, ფერებში გვიხატავს, თუმც დაძალების უფლება არა აქვს. ჩვენ, უფლისგან მონიჭებული თავისუფალი ნებით ვიღებთ გადაწყვეტილებას, ვცოდოთ თუ არა!

თუ სუსტნი აღმოვჩნდით და ვცოდეთ, ესე იგი დავვარდით — თაყვანი ვეცით მას.

განვედ ჩემგან სატანა!

„მეძავნო და მემრუშენო, არა უწყითა, რამეთუ სიყუარული სოფლისა ამის მტერობა არს ღმრთისა? აწ უკუე, რომელსა უნდეს მეგობარ-ყოფად ამის სოფლისა, მტერად ღმერთსა აღუდგების" (იაკ. 4,4). წუთისოფლის სიყვარული მისი ბატონის სიყვარულს ნიშნავს... და ეს სოფელი ნელ-ნელა აპოკალიფსურ წითელ კაბაში შემოსილ მეძავ დედაკაცს ემსგავსება. „სოფელი — მეძავია. ის თავისი მშვენიერებით იზიდავს მისდამი სიყვარულით განწყობილთ, სოფლის სიყვარულის ბადით გამოჭერილნი და მასში გახლართულნი, სოფლის მშვენიერებით მოჯადოებულნი, ვერ შესძლებენ მისი ხელიდან თავის დაღწევას, სანამდე არ დაკარგავენ სიცოცხლეს. სოფელი, როდესაც სრულიად გააშიშვლებს ადამიანს, — სულს ამოხდის მის სახლიდან (სხეულიდან) სიკვდილის დღეს, მაშინ გულისხმაჰყოფს ადამიანი, რომ იგი (ეს ქვეყანა) ცრუ და ამაოა" (ისაკ ასური).

ასე რომ, — „არა მაქუს ჩუენ აქა საყოფელად ქალაქი, არამედ მერმესა მას ვეძიებთ" (ებრ. 13,14).

უცნობი ბერი
(ბერ-დიაკონი ანთიმოზი)

მეუფე თადეოზი (იორამაშვილი)

ბოლნისისა და დმანისის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი

ნეტარ არიან მორწმუნენი... ნეტარ არიან

ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან,
რადგან სიკვდილიც ვერ აშინებთ, რაც მთავარია,
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან,
შვილნი ნათლისა, ცის მამულში, ღმერთთან არიან...
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან,
რადგან სიკეთეს ასხივებენ მზეებრ არიან,
რადგან სიხარბემ მათი გული ვერ გადარია,
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
ჰყავაის მათ სულში სიყვარული, მშვიდი დარია,
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
უღვთოდ რამდენი სიბრმავე და სიმწუხარეა?..
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
ვინ გვცეს ნუგეში, როცა სულში ავი ბზარია?
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
მამულო, შენთვის თავდადება ზეცის კარია, —
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
რწმენავ მომავლის, იმედები შენ გაბარია,
ნეტარ არიან, მორწმუნენი, ნეტარ არიან.
შენი სამკვიდრო ღმერთს შეჰვედრე —
დედავ, მარიამ...
ნეტარ არიან მორწმუნენი,
ნეტარ არიან...

დედა ნინოს – ნათელსა საქართველოისასა

რომელმან ნათლით შემოსე
მოდგმა კოლხთა და იბერთა,
ქართვლის დედავ და ქალწულო,
გული კვლავ არ დაგიბერდა,
ზეგარდმო ცვარი აპკურე,
იწყე მესხით და ლაზითა
და ღვაწლმან შენმან მამული
ოქროს ხანამდე აზიდა...
რომელმან სცვალე საწუთრო
უხრწნელი სილამაზითა...
საუკუნეებს აპურებს
სურნელი შენი ვაზისა.
მე ვით შეგამკო, როდესაც
ძალნი გამკობენ ცისანი,
თავსაც რომ კრძალვით გიხრიან
ყვავილნი სამოთხისანი,
საკუთარ მამულს, ვარდობას
შემოხველ, როგორც ხიზანი, —
ცად აგვამაღლე და ზეცით
ლოცვა-კურთხევას გვიგზავნი.
ქალწულმა ჰბაძვე ქალწულსა
ქართველთა ტკბილო დედაო,
შენგან, შენ მიერ, შენს მამულს
სიკეთე დაებედაო,
ავმაღლებულვართ იმ ჟამად —
სადაც სიყვარულს ვხედავო...
არცა დაღლილხარ, ღირსეულთ
ცად მიუძღვები მხნედაო.
დაგვლოცე, მწყემსო კეთილო,
გამოგვაფხიზლე მძინარნი,
აწ უდარდულნი, ბოლო ჟამს
ავაჰმე, რამდენს ვინანით...
შემოგვაბრუნე მზისაკენ, —
ვიდრე სიცოცხლე წინ არი, —
რომ უფლის მოსვლას, საკვირველს,
ჩვენც შევხვდეთ სახე მცინარნი.

•••

სულმა არ იცის დრო და მანძილი,
ღვთით ემსგავსება ყოვლისშემძლებელს,
იქ ღვიძილია და აღარ ძილი,
იქ ყოველს ხედვენ, არვის ეძებენ...
გამჭვირვალეა სივრცე მინაზე,
შვება, ნათელი და სიწყნარეა...
ბედო, ცუდ-ბედო, აქ რაც ინავსე,
იქ ხომ კეთილნი ნეტარ არიან...

— ჩემს პირველ სიყვარულზე გიამბობთ... ეს იყო ლევან აბაშიძე

ამ ინტერვიუში **ეკა კახიანი** *არც ლელა დეკანოსიძეზე ან ლალა ვაჩნაძეზე ისაუბრებს და არც „მზიურის" დროინდელ თავგადასავლებსა თუ თეატრალურ ცხოვრებაზე. იგი უბრალოდ ბავშვობას გაიხსენებს, თავისი ცხოვრების უმშვენიერეს ხანას. ერთი შეხედვით, მშვიდ გოგონას, თურმე საკმაოდ უჩვეულო და ცუღლუტური აზრები ებადებოდა. ჩემი რესპონდენტი ამჯერად საჯაროდ ინანიებს ბავშვობის დროინდელ „ცოდვას" და ამით კიდევ უფრო აშკარავდება მისი მნიშვნელოვანი თვისება — თავმდაბლობა. მრავალი წლის შემდეგ ეკა სევდიანად იგონებს პირველ სიყვარულს, პატარა ბიჭს, რომელიც შემდეგ ტრაგიკულად დაიღუპა. თავად ეკას მოუსმინეთ:*

— რომ არა ბობოქარი და ენერგიული ლელა დეკანოსიძის პერსონაჟი, ალბათ მუდმივად წყნარი და უხმაურო ქალის იმიჯი გექნებოდა. ბავშვობაშიც ასე გაწონასწორებული და მშვიდი იყავი?

— მე მუსიკალურ სკოლაში ვსწავლობდი, უმეტესობა გოგონები ვიყავით, ასე რომ, სკოლაში სწავლის პერიოდიდან განსაკუთრებული სიცელქე არ მახსოვს.

— და მაინც, ნუთუ არაფერი გაგონდება სკოლიდან ისეთი, რასაც მერე მხიარულად იხსენებ ხოლმე.

— ო, მახსენდება. მგონი მე-8 კლასში ვიყავი მაშინ. ალგებრის გაკვეთილი გვქონდა. მასწავლებელი მთელი სერიოზულობით გვიხსნიდა რაღაცას. თავიდანვე არ მიყვარდა მათემატიკა. იმ დღესაც დამტანჯა რიცხვებმა და ფორმულებმა. თავის შესაქცევად დავიწყე სასიყვარულო წერილის წერა, თითქოს ალგებრის მასწავლებელზე შეყვარებული ვიყავი.

— კაცი იყო მასწავლებელი?

— არა. ქალი, ახალგაზრდა. წარმოვიდგინე, რას მისწერდა შეყვარებული ვაჟი და გავუტიე. დავიწყე მისი აღწერა წერილში თმის ღერიდან დაწყებული ფეხის თითებით დამთავრებული.

— თქვენ გაგიჟებდათ „მისი თვალები, გამოხედვა, ბროლის კბილები..."

— ჰო, სხეულის მცირეოდენი ნაწილიც კი არ დამიტოვებია, ხოტბა რომ არ შემესხა. ისეთი რაღაცები ჩავწერე, მერე რომ წავიკითხე, მეც შემრცხვა, თუმცა უხამსად არაფერი დამიწერია. არ ვიცი, რა დამემართა. წერილი წასაკითხად გადავეცი მეგობარს და სწორედ ამ დროს წაართვა მასწავლებელმა. გაშალა, წაიკითხა და ვხედავდი, როგორ ეცვლებოდა სიბრაზისგან სახეზე ფერი. მიხვდა, ჩემი დაწერილი რომ იყო. იმ წუთში სიკვდილს ვნატრობდი. ძალიან შემრცხვა. სამასწავლებლოში წაიღო წერილი. ერთი ამბავი ატყდა. რა საშინელი ბავშვი ყოფილა ეკა კახიანიო, ამბობდნენ მასწავლებლები.

— მშობლები დაიბარეს სკოლაში?

— რა თქმა უნდა, მათაც წააკითხეს წერილი. მამა იშვიათად ბრაზდება, მაგრამ ისეთი გააფთრებული არ მახსოვს. ჩემ თვალწინ დაფხრიწა წერილი და მითხრა, — დიდი საშინელება ჩაიდინეო. დღესაც მრცხვენია ამდენი ხნის წინანდელი ამბის გამო და მინდა თქვენი საშუალებით ბოდიში მოვუხადო ჩემს ალგებრის მასწავლებელს.

— თავის დროზე როგორ შერიგდით?

— არ შემრიგებია, სხვა სკოლაში გადავედი. ველარ ვისწავლიდი მასთან, ჩემი ბოროტი ხუმრობის გამო.

— მოდით, ამ ამბავს ბავშვობის დროინდელი მწარე მოგონება დავარქვათ. ახლა კი რაიმე კარგი გაიხსენეთ.

— ჩემს პირველ სიყვარულზე გიამბობთ. ეს იყო ლევან აბაშიძე — ჩემი მეგობრის კლასელი, პირველ სკოლაში. დაბადების დღეზე გავიცანი ლევანი. მახსოვს, მისი შემოსვლა ოთახში, ეს იყო ულამაზესი ბიჭი — პატარა პრინცი. ძალიან მომეწონა, მივხვდი, რომ ისიც მეპრანჭებოდა, მერე, დრო რომ გავიდა, ერთმანეთს სუფრებზე ვხვდებოდით ხოლმე. ყოველთვის სვამდა სადღეგრძელოს — „ჩემს პირველ სიყვარულს გაუმარჯოსო". მე მგულისხმობდა, ჩემს სანახავად ჩემს სკოლასთან მოდიოდა ხოლმე, მე კი, იმის მაგივრად, რომ მივსალმებოდი და გავპრანჭვოდი, ასე ვთქვათ „ნი ვიჟუს" ვუკეთებდი. რატომ ვიქცეოდი ასე, დღესაც ვერ გეტყვით. არადა, ძალიან მომწონდა და ერთი სული მქონდა დაველაპარაკებოდი.

— ე.ი. თქვენი რომანი არ შედგა?

— არა. რამდენჯერაც ეცადა ლევანი ჩემთან დაახლოებას, იმდენჯერ სულელურად მოვიქეცი, ვითომ ვერ ვხედავდი. ვერ ვამჩნევდი. ისიც ეტყობა, დაიღალა და დამანება თავი. ამის გამო საშინელ განცდებში ვიყავი. მერე, უკვე წლების შემდეგ რომ მხვდებოდა, გული მიფანცქალებდა ხოლმე, ბავშვობა მახსენდებოდა. ძალიან ლამაზი ბიჭი, ლამაზი ადამიანი იყო ლევანი...

— შენს ბავშვობას, სიყრმის პერიოდს ერთი სიტყვით როგორ შეაფასებდი?

— ულამაზეს ხანად. თუნდაც იმიტომ, რომ „მზიურელი" ვიყავი. რაც გამორჩეული ბავშვის ამპლუაში ყოფნის საშუალებას მაძლევდა. მერე 18 წლისამ ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც დაიწყო მეორე, ძალიან კარგი ხანა ჩემს ცხოვრებაში.

— მგონი, კვლავ გრძელდება ის ხანა.

— ჰო, ჯერაც ყმაწვილი, თინეიჯერი ვარ გულში და ჩემი შვილის მეგობრებთან სიახლოვეც შესანიშნავად გამომდის. მათ გარემოცვაში ძალიან კარგად ვგრძნობ თავს.

— ისე, რომ ზოგჯერ ნინიშიც კი ეშლებით ხალხს, არა?

— მახსოვს, ორი თუ სამი წლის წინ აჩიკო მეფარიძის დაბადების დღეზე ჩემ გვერდით მყოფ ლიზა ბაგრატიონს ეუბნება ვიღაც ბიჭი ჩემზე — ეს გოგო ნინი ბადურაშვილს როგორ ჰგავსო. ლიზამ უპასუხა — ეს გოგო ნინის დედააო. ბიჭი დაიბნა, შერცხვა. მე კი ძალიან გამიხარდა. ბოდიშის მოხდა რომ დაიწყო, დავამშვიდე — შესანიშნავი კომპლიმენტი იყო და საბოდიშო არაფერი გაქვს-მეთქი.

— თუ აპირებ, რომ ნინის კომპოზიტორობაც სცადო?

— კომპოზიტორობის რა მოგახსენო, უფრო სიმღერების ავტორს ვუწოდებდი საკუთარ თავს. ნინის შესრულებით ახლახან ჩავწერეთ ჩემი ახალი სიმღერა, მაია ჯაბუასაც დავუწერე ერთი ახალი სიმღერა. ისიც მალე ჩაწერს და მერე, უკვე როგორც 8 სიმღერის ავტორი, ჩემი სიმღერების კასეტას ჩავწერ.

— ახლახან „უცნობთან" ერთად შეასრულეთ ახალი სიმღერა, მალე კლიპსაც ხომ არ ვიხილავთ?

— ვერაფერს გეტყვით. შეიძლება, გია აპირებს რამეს.

— ეკა, ჭორები დადის, რომ ახალი წლისთვის „ძილის წინ" დამთავრდება.

— ძალიან მინდა, ეს რომ მოხდეს. მინდა მანამ დამთავრდეს სერიალი, სანამ ხალხს უყვარს მისი პერსონაჟები.

— როგორ დასასრულს ისურვებდი?

— „ჰეფი ენდს", სადაც ლელა, ლალა, გია, ნინო და ყველანი ერთ სახლში იცხოვრებენ. ეს იქნება სასიამოვნო აბსურდი, რომელიც მგონი ძალიან მოუხდება „ძილის წინს".

— სხვა სერიალში ხომ არავის მიუწვევიხარ?

— „არტ-იმედთან" მაქვს მოლაპარაკებები, რაღაცას აპირებენ. თუმცა, კონკრეტულად ჯერ ვერაფერს გეტყვით.

ეკა ლომიძე

ორშაბათი 7 ოქტომბერი
სამშაბათი 8 ოქტომბერი
ოთხშაბათი 9 ოქტომბერი
ხუთშაბათი 10 ოქტომბერი
პარასკევი 11 ოქტომბერი
შაბათი 12 ოქტომბერი
კვირა 13 ოქტომბერი

რაც მომბეზრდება, იმას ჩემს სხეულს ვერ დავუთმობ...



ერთი-ორჯერ ტელეეკრანზე გამოჩენა, თანაც გასართობი ან პოლიტიკური ტოკ-შოუს წამყვანად საკმარისია, რომ ხალხს თვალში მოხვდე და მერე შენზე ჭორაობაც ჩვეული ტემპით წავა. ზოგი ერთობა საკუთარ თავზე ჭორების მოსმენით, ზოგიც ცოფდება, ზოგსაც მოსმენაც არ უნდა. ამ ბოლო კატეგორიას მიეკუთვნება ჩემი რესპონდენტიც, მეტსახელად „ბახალა", სინამდვილეში კი ***გიორგი გიორგანაშვილი****, ან უკვე პოპულარული გადაცემის „იმღერე რამეს" წამყვანი. რომ ვუთხარი, შენ შესახებ ჭორი უნდა გითხრა-მეთქი, ქვა არ აუგდია და თავი არ შეუშვერია, მაგრამ მოსმენა რომ არ უნდოდა, აშკარად გამოხატა ჟესტებით. მაინც ვამცნე „ბახალას", რას ჭორაობენ მასზე: თუ ვასასებს დავუჯერებთ, საბრალო „ბახალა" უპატრონო ბავშვთა სახლში მიგდებული, მშობლებისა და საყვარელი ოჯახის გარეშე გაზრდილი ბიჭუნა ყოფილა, რომელიც უგულო, ბოროტი მშობლების მოქმედებამ კი არ გააბოროტა, არამედ, გადაწყვიტა სახელოვანი კაცი გამხდარიყო, რომ მერე თავში ხელი ეწყათ და ტუჩები მწარედ დაეკბინათ ბახალას მიმტოვებელი „ყვავებივით" მშობლებს, ჭორის ადრესატმა ხალხის ფანტაზიას ამგვარი განმარტება მისცა:*

— შეიძლება ეს ჭორი იმიტომ გაჩნდა, რომ ერთხელ ხუმრობით ვთქვი, საწყალი და მიუსაფარი ვარ-მეთქი, ან კიდევ ხალხს უყვარს საწყლები, გაჭირვებულები და ამიტომაც შეთხზეს ჩემზე ასეთი გულის ამაჩუყებელი ამბავი. სინამდვილეში მშვენიერ ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. ძალიან მზრუნველი მშობლებიც მყავს.

— „ბახალათი" ვინ მოგნათლა?

— ლევან ჩიქვანაიამ, ჩემი ბავშვობის მეგობარმა. პატარები ვიყავით მაშინ. კი გამიკვირდა, რაღა „ბახალა" დამარქვა, მაგრამ ვთქვი, ჯანდაბას-მეთქი და დავრჩი „ბახალად".

— მსახიობობა რატომ გადაწყვიტე „ბახალ"?

— თუნდაც იმიტომ, რომ დედაჩემის ძმა ცნობილი მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილია. თუმცა, ბიძაჩემს არ უნდოდა ასეთი არჩევანი გამეკეთებინა, დღეს თეატრის მსახიობისთვის და საერთოდ მსახიობისთვის საქართველოში არსებული მძიმე პირობების გამო.

— შენ კი ოპტიმისტურად განეწყვე და „სარისკო" ნაბიჯი შედგი თეატრალურში?

— დიახ. ოპტიმისტი ვარ. მჯერა, რომ გაივლის მძიმე პერიოდი.

— „იმღერე რამეში" გამოჩენამდე არავინ არ გიცნობდა. რას აკეთებდი?

— ვსწავლობდი თეატრალურ ინსტიტუტში, ქეთი დოლიძის და ნანა კვასხაძის ჯგუფში. ახლა ვმუშაობთ სადიპლომო ნამუშევრებზე. სპექტაკლებს ვდგამთ. „იმღერე რამეში" გამოჩენის შემდეგ ვთვლი, რომ ახალი პროფესია შევიძინე. მუსიკალურ-სატელევიზიო პროგრამის წამყვანობა ჩემთვის ახალი პროფესიაა. ეს არ ნიშნავს მსახიობობას.

— ღელავდი გადაღებების დაწყების წინ?

— კი. უხერხული, რაღაცნაირი მტკივნეული დაძაბული განცდა მქონდა, ძალიან ბევრი საფიქრალი გამიჩნდა. ტელევიზია სხვა სამყაროა. გადაცემის წამყვანობა სხვა რამეს მოითხოვს. პატარა იაღლიშიც თუ მოგივიდა, თავიდან იწყება გადაღება, გადაცემის ჩაწერა.

— ეკრანზე პირტიტველა, 22 წლის ბიჭი ხარ. ახლა კი წვერ-ულვაში მოგიშვია. იმიჯმეიკერმა გირჩია სტილის შეცვლა?

— არა, სულ ასე მქონდა. გადაცემის ჩაწერის დროს შემკრიჭეს თუ გამპარსეს წვერ-ულვაში (ხელს ისვამს ნამუსზე, ე.ი. ულვაშზე). ახლა მალე განახლდება გადაღება და მეც ისევ გამოვეთხოვები „ნამუსს".

— შენი თაობის ბიჭები სამკაულასხმულნი დადიან. შენ რაღაც გაძარცულს ჰგავხარ.

— სამკაულებს ვერ ვიტან. ასეთი სადა და სევდიანი ვარ. არც ტატუირება არ მომწონს. იცი რატომ? მომბეზრდება და იმიტომ და რაც მომბეზრდება, იმას ჩემს სხეულს ვერ დავუთმობ.

— შენს ოთახში ისეთი წიგნები დევს, რომლებსაც თურმე სიყრმის ასაკში კითხულობდი. ბავშვობას უბრუნდები? ანტუან სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწული" ალბათ ბალიშის ქვეშ გიდევს.

— ეგზიუპერის ნაწარმოებებზე უნდა გაზარდო ბავშვები.

— „ბახალ", შენს თავზე რომ გკითხონ, „ბახალა" როგორი ბიჭიაო, რას იტყვი სამი სიტყვით?

— ჩემს თავზე ლაპარაკი რა ვაჟკაცობაა. „მაღალი, უხვი, მდაბალი"... ვარ. ვხუმრობ. მინდა ასეთი ვიყო. შეიძლება ვარ კიდეც, არც ვიპრანჭები, თავს ვუვლი. ფეთხუმი არ ვარ, მაგრამ მაინც არ ვიპრანჭები.

— ქუჩაში გცნობენ?

— თან კი, თან ვერა. წვერულვაშიანი ბიჭი თუ „ბახალაა", ვერ იჯერებენ და ხმამაღლა ერთმანეთს ეკითხებიან, — ვაა, ბახალაა? მეც ვუღიმი და ვუდასტურებ — „ბახალა" ვარ, „ბახალა".

— თურმე მოლხენა გყვარებია. ე.ი. „ღვინო, დუდუკი, ქალები", შენთვისაც საყვარელი დევიზია?

— სხვანაირი ინტერპრეტაცია აქვს ჩემთვის მაგ დევიზს, ჯაზი, დუდუკი, ქალები და ღვინოც. ოღონდ ახლა არავის და არაფრის თავი არა მაქვს. შენთან შეხვედრის გამო, ადრე გავიღვიძე და თავში ღრუბლები მიტრიალებენ. ცოტა მაკლია, როგორც მოსწავლემ მასწავლებელს ხელის აწევით გთხოვო: — აუ, მასწ, გავალ რა გარეთ. აი, ჩემი მანქანის სიგნალია, ვაიმე, მგონი ვიღაცას უშლის ხელს ქუჩაში, ან იქნებ უკვე ზევიდან გადაუარეს. წავედი, მაპატიე, წავედი...

და „ბახალა" თვალის დახამხამებაში გაფრინდა. აი როგორები არიან „ყვავები".

ეკა ლომიძე

ჟურნალ-გაზეთების გამოწერა

თბილისის მასშტაბით
სახლიდან გაუსვლელად
ტელ: 33-26-73

მამამ შვილის სიცოცხლეს ფული არჩია!..

56 წლის ამირან ძ-მ თავი ჩამოიხრჩო. დატოვებულ წერილში მხოლოდ ერთს ითხოვდა: „გეხვეწებით, ჩემი შვილის გვერდით დამასაფლავეთ“. არადა, უკანასკნელ ნებას აღსრულება არ ეწერა: მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ლალიმ სასტიკი უარი განაცხადა ქმარყოფილის სურვილის შესრულებაზე და არავითარმა თხოვნამ არ გაჭრა...

ფაქტი: 20 წლის სტუდენტი გიორგი ძ. უცნობმა პირებმა გაიტაცეს ფულის გამოძალვის მიზნით და როცა ოჯახისგან უარი მიიღეს, ბიჭი სასტიკი წამებით მოკლეს, ცემაში ამოხადეს სული. მოგვიანებით გამტაცებლები დააკავეს და მომხდარი უბედურება უფრო დიდ ტრაგედიად იქცა მას შემდეგ, რაც ბოროტმოქმედთა შორის აღმოჩნდა ოჯახის ახლობელი, ქალბატონი ლალის დისშვილი მერაბ ნ. სწორედ მას ენდო და ჩაუჯდა მანქანაში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გიორგი.

მერაბის ჩვენების თანახმად, ბოროტმოქმედები არ აპირებდნენ გიორგი ძ-ს მოკვლას, რომ არა ამ უკანასკნელის მუქარა: „თუ არ გამიშვებთ და თმის ერთი ბეწვიც ჩამომვარდება, სუყველას დაგასმენთ!“...

გიორგი ძ-ს მამასთან საკმაოდ რთული ურთიერთობები ჰქონდა და ამას ბევრი ადასტურებს, მათ შორის, ქალბატონი ლალიც. მამას ფული ჰქონდა, მაგრამ შვილს არათუ ძვირფასი საჩუქრებით ანებივრებდა, გიორგის ხშირად ჯიბის ფულიც არ ჰქონდა, რის გამოც თანატოლები ხშირად დასცინოდნენ. მერაბ ნ. ირწმუნება: „თავიდან გიორგის სურვილიც იყო, მამამისისთვის ფული წაგვეგლიჯა და თანაბრად გაგვეყო, ბოლო მომენტში გადაიფიქრა!“...

— ქალბატონო ლალი, მართლა იყო მამა-შვილს შორის ფულის გამო უკმაყოფილება?!

— იყო და ყველაფერი ჩემი ქმრის ბრალია. ერთი ბიჭი გვყავდა, რომ გეკითხათ, ყველაფერი მისთვის უნდოდა და ამ დროს, ბავშვს იმის ფულს არ აძლევდა, რომ ქალაქში ბინის და საჭმლის პრობლემა არ ჰქონოდა. თავად არაფერს იკლებდა, ყოველ საღამოს რესტორანში ვახშმობდა, თავს იმით იმართლებდა — სტუმრები მყავს, ყველა თავის წილს ითხოვს, ისე ბიზნესს ჩამიშლიანო!...

— რა სახის ბიზნესს ეწეოდა?!

— ვაჭრობის სფერო იყო. არ მინდა ამაზე ლაპარაკი. მისი გარდაცვალების შემდეგ ისეთ დაკითხვებს მიწყობდნენ, აშკარად სხვა ცოდვების აკიდებაც უნდოდათ მისთვის, რაშიც ხელს არავის შევუწყობ, ამირანის სულს შვილის სიცოცხლეც ეყოფა დასამძიმებლად!...

— რამდენს ითხოვდნენ გამტაცებლები?

— ორასი ათას დოლარს! არც კი ვიცი, ბევრია თუ ცოტა. ვიცი, რომ ჩემს ქმარს ჰქონდა გადახდის საშუალება. ნახევარ მილიონზე მეტი ედო სეიფში, მისი გარდაცვალების შემდეგ რომ გახსნეს. ეს ფული მხოლოდ მისი არ იყო, საქმეში მეწილეებიც ჰყავდა, მაგრამ, როცა საქმე ბავშვის სიცოცხლეს ეხებოდა, ყველა უნდა დასდგომოდა გვერდით.

— რა რეაქცია ჰქონდა თქვენს მეუღლეს, როცა ბავშვის გატაცება შეატყობინეს?

— მობილურით დაურეკეს. გინება ატეხა, რასაც მუქარა მიაყოლა: თუ საღამომდე ბავშვს არ მოიყვანთ, პოლიციას დაგაყენებთ თავზე და ჩემი ხელით დაგხოცავთო!... ასეც მოიქცა და მაშინვე პოლიციას შეატყობინა, არ შეისმინა ჩემი მუდარა...

— რას ეხვეწებოდით?

— პოლიციის იმედი არ მქონდა. ჩემი შვილი კი არა, მართლა პატრონიანი ვერ უპოვიათ... რა ვიცი, იქნებ დედური ინსტინქტი მკარნახობდა: დარწმუნებული ვიყავი, თუ ჩემი ქმარი პოლიციას მიმართავდა, შვილს ცოცხალს ვეღარ ვიხილავდით. როცა შვილის სიცოცხლეზეა ლაპარაკი, განა შეიძლება სხვა რამეზე იფიქრო კაცმა?!. ვეუბნებოდი: „მიეცი ფული, შვილი დავიბრუნოთ და პოლიციას მერე შეატყობინე, არც ფული შეარჩინო იმ არაკაცებს და არც ჩვენი განერვიულება-მეთქი!“... პასუხად რა მივიღე იცით: ფული თუ გადავიხადე, გამტაცებლებს რომც წაართვან, პოლიცია მიითვისებს, იქნებ პრეტენზიის გამოთქმისას, ციხის კედლებიც მახეხინონ — ამდენი ფული სად გქონდაო?! — მე კი ჩემს ნაწვალებს ვერც პოლიციას დავახვრევინებო!... — ციხეში გაგზავნას ვინ გაგიბედავს, კაცი პატიოსნად წვალობ, დღე და ღამე გაერთიანებული გაქვს-მეთქი! — პატიოსანი ბიზნესი სად ნახე შენო!.. — მიყვირა და ხმის ამოღება ამიკრძალა.

— ნახა პოლიციამ თქვენი შვილი?

— კი, მკვდარი და განწირული... მოგვიანებით გამტაცებლებიც დააკავეს და მეორე შვილიც მომიკვდა, როცა მათ შორის, ჩემს ხელში გაზრდილი დისშვილი მერაბ ნ. აღმოჩნდა. ჩემი ქმრისაგან არაფერი სიკეთე ახსოვდა, მაგრამ მე როგორ გამიმეტა, ორი წელი იყო მათ შორის სხვაობა, ძმებივით ვზრდიდით მე და ჩემი და...

— გიორგის დაკრძალვის შემდეგ თუ ნახეთ მერაბი?

— არა, ხომ გითხარით, ჩემთვის ისიც მკვდარია, სასამართლოზეც არ მივედი, რა უნდა მიუსაჯონ ისეთი, ძმის სისხლს რომ გამოისყიდის?! ეს ცოდვა ხომ მის შორეულ შთამომავლებსაც დაუკარგავს სიმშვიდეს და ბედნიერებას!...

— თქვენმა ქმარმა თავი ჩამოიხრჩო, წინა დღეებში როგორ იქცეოდა?

— არ ვიცი, შვილის დასაფლავების შემდეგ ამირანი აღარ მინახავს, ავუკრძალე ჩემთან ურთიერთობა. დავემუქრე: შვილის სიკვდილს შენ გაბრალებ და საკუთარ საქციელზე პასუხს არ ვაგებ, შეიძლება სასიკვდილოდ გაგიმეტო, შენს ფულებში დაგმარხავ-მეთქი!..

— არ გიფიქრიათ, რომ სინდისის ქენჯნით შეწუხებულ კაცს თქვენი ბრალდებითაც შეუწყვეთ ხელი თვითმკვლელობაში?!

— ეს ბრალდება კი არა, სიმართლე იყო. სიმართლე, რომელსაც ადრე თუ გვიან, ყველამ უნდა გაუსწოროს თვალი და თავად გადაწყვიტოს, აქვს თუ არა სიცოცხლის უფლება... ამირანმა იგრძნო, რომ აზრი არ ჰქონდა მის სიცოცხლეს...

— ამბობენ, მიცვალებულის უკანასკნელი ნების აღსრულება აუცილებელიაო.

— არა, მე მას ჩემი შვილის გვერდით არ დავმარხავდი. ეს დიდი პატივია, რომელიც არაფრით დაუმსახურებია. შვილს ფული არჩია და დაიმარხოს იმ ქაღალდებთან ერთად, მარმარილოს სასახლეც დაადგან გულზე — სიცოცხლეში ეს უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ვიდრე ახლობელი ადამიანების სიხარული და ვფიქრობ, ამისთვისაც დასაჯა განგებამ!

— განგებამ თქვენც დაგსაჯათ...

— ორმაგადაც ალბათ და, თავს თუ არ ვიკლავ, მხოლოდ ჩემი გიორგის საფლავისთვის, კაბის კალთით ვუგვი, მიწას ცივი წყლით ვურწყავ, იქნებ გავაგრილო და შევამსუბუქო. ცოცხალთა სამყარო ჩემთვის აღარ არსებობს!...

— სახელმწიფოც ახსენეთ...

— ის სახელმწიფოც სასიკვდილოა, სადაც ფულით ადამიანის სიცოცხლის ყიდვაც შეიძლება და არ მგონია, საქართველოს მომავალი ნათელი ჰქონდეს. ძალიან ბევრი უცოდველი სისხლია ამ მიწაზე დაღვრილი, მაგრამ ჩემთვის ახლა არც ამას აქვს მნიშვნელობა, მე სიცოცხლესთან ყველა ანგარიში გავასწორე. ამაზე თქვენ იფიქრეთ, ვისაც ისევ გგონიათ, რომ მარტო ჩვენი — შვილმკვდარი დედების უბედურებაა, რაც ამ ქვეყანაში ხდება...

...ერთში უეჭველად ვეთანხმები ქალბატონს: მისი ტრაგედია ნამდვილად არ არის ერთი ოჯახის ტრაგედია და არავინ იცის, დაუსჯელობით გათამამებულები ხვალ და ზეგ ვის შვილს მოიტაცებენ და რამდენ დოლარად შეაფასებენ ღმერთისგან ბოძებულ ყველაზე დიდ საჩუქარს — სიცოცხლეს...

სამწუხაროდ, ყველანი იმ „ბედკრული საქართველოს შვილები ვართ“, სადაც ვიღაცას შეუძლია ადამიანის გატაცება ბიზნესად აქციოს!...

ინგა ჯაყელი

სასარგებლო რჩევა

ერთი სიგარეტი სიცოცხლეს 11 წუთით ამოკლებს; ერთი სასიყვარულო კონტაქტი — 15 წუთით ახანგრძლივებს.

არჩევანი თქვენზეა...

გვეკითხებიან:

ჩემი ვაჟი კარატეზე აპირებს სიარულს. გამაგებინეთ, რა არის ეს კარატე, გავუშვა თუ არა ბავშვი ხელ-ფეხის საქნევად?

ანეტა ქამუშაძე, თერჯოლა

კარატე, ანუ შიშველი ხელი

კარატე იაპონურად „ცარიელ, შიშველ ხელს“ ნიშნავს (კარა — ცარიელი, შიშველი, ტე — ხელი). ეს ხელით ბრძოლის უძველესი სახეობაა. ისე, ბრძოლა ფეხების მოშველიებითაც მიდის და ამ ნატიფი ხელოვნების ოსტატები ისე იქნევენ ხელ-ფეხს, რომ ხანდახან გეგონება, ვენტილატორი თავაწყვეტილი ბრუნავს და ტრიალებსო.

ხელოვნება, უიარაღოდ ადამიანის დამარცხებისა, აღმოსავლეთში ათასი წლის წინ ჩაისახა და განსაკუთრებული ეფექტურობის გამო, ჩვენამდეც მოაღწია.

„შიშველი ხელი“ ნიშნავს მებრძოლის არა მარტო უიარაღობას, არამედ მისი აზრის სიწმინდეს, სისუფთავესაც. ანუ ამ ორთაბრძოლის ოსტატი მოწინააღმდეგის წინაშე წარდგება „შიშველი“ — ძენ-ბუდიზმის თანახმად, მან გონება განიწმინდა ეგოიზმისა და ღვარძლისაგან და შინაგანი ძალების მობილიზება მოახერხა. კარატეს ფუძემდებლების აზრით, მხოლოდ ასეთი კეთილი ალტრუისტი შეძლებს მოწინააღმდეგის დამარცხებას.

საქართველოში ძველად მტრის უიარაღოდ დამარცხების არანაკლებ საინტერესო ხერხები არსებობდა. ბრძოლის ამ კომლექსს „ხრიდოლი“ ჰქვია.

სად სჯობს დასვენება — ჰავაიზე, ქობულეთში, სვანეთში, თუ აფრიკაში დათო თევზაძესთან ერთად?

გართობისა და ფათერაკების მოყვარული მამაკაცების ფანტაზია უსასრულო ყოფილა. რა აზრები აღარ მოსდით თურმე თავში, რაზე აღარ ოცნებობენ. ნამდვილად ვერ დავფარე აღტაცება თუ გაოცება მათთან საუბრის დროს, როცა ერთადერთ კითხვაზე პასუხის გაცემა ვთხოვე — ვისთან ერთად და როგორ ისურვებდით შვებულების გატარებას-მეთქი. დაუკვირდით, ქალბატონებო მამაკაცების პასუხებს, იქნებ მათი დამორჩილების რაღაც ხერხსაც კი მივაგნოთ. აქვე იმასაც ნახავთ, ერთ-ერთმა მათგანმა კინაღამ როგორ ამიხსნა სიყვარული.

ლევანი (36 წლის): — პოლიტიკაზე და რაღაც სისულელეებზე კითხვების დასმას ასეთ თემებზე ლაპარაკი აჯობებს. მოიცა,

ცოტას დავფიქრდები... შვებულებას ნოემბერში ავიღებ და სადმე თბილ ქვეყნებში გავფრინდები. მაგალითად, ჰავაის კუნძულზე. რა თქმა უნდა, მარტო წავალ, დავივიწყებ ოჯახურ და სამსახურებრივ მოვალეობებს და ფერადკანიან ქალებთან ვნების მორევში გადავეშვები. ბუნგალო, ჰამაკი, ოკეანე და გვერდით შოკოლადისფერი ქალი. ისე, არც ქათქათა ქალზე ვიტყოდი უარს. მაგალითად სიამოვნებით ავახევდი ტომ კრუზზია თუ ჯანდაბა, პენელოპა კრუსს. რას მოვლენ მაგასთან ისტერიჩკა ნიკოლ ქიდმანი, შეშლილი ჯულია რობერთსი ან თუნდაც მტაცებელი ქეთრინ ზეტა-ჯონსი. ქალი მარტო გარედან კი არა, შიგნიდანაც უნდა იყოს ლამაზი, რომ მის დანახვაზე მართლა დაეცე.

შალვა (38 წლის): — შვებულება უკვე მქონდა. ქობულეთში, ლიკანსა და ნიცაში გავატარე. დამატებით შვებულებასაც ავიღებ, თუ ძალიან მომინდება. ვისთან ერთად და სად წავალ? თუ თანახმა იქნებით, თქვენთან ერთად სიამოვნებით წავალ რომელიმე თბილ ქვეყანაში. იახტით გასეირნებთ ზღვის ტალღებზე. საღამოს მუსიკოსთა გუნდს დავიქირავებ და კოცონის პირას თქვენთვის ვამღერებ თუნდაც მთელი ღამე. დილით იადონების გალობა გაგაღვიძებთ და ვარდების სურნელი დაგახვევთ თავბრუს (შალვას ავუხსენი, რომ რედაქცია არსად მიშვებს დიდი ხნით და ვერსად წამოვალ, იქნებ სხვა ქალზე გეფიქრა-მეთქი). არ წამოხვალთ? აი, ასეთები ხართ ქართველი ქალები, ნუ წამოხვალთ. მარტო წავალ გაისად. ისე, ხშირად მიფიქრია იმ პლაჟზე მოხვედრა, სადაც ნაომი ქემფბელი ბანაობს. მოვპარავდი ტანსაცმელს და ვაკვნესებდი კაი გვარიანად... უჰ, რას გადაირეოდა! დიდი გიჟი ქალია. ძმაკაცებთან ერთადაც კარგია შვებულების გატარება. წელს ქობულეთში ისე გამოვთვერი პლაჟზე, რომ მზის დარტყმას ძლივს გადავურჩი და თანაც ასე უგონოდ დაყრილები პირწმინდად გაგვძარცვეს ჯიბგირებმა.

ირაკლი (27 წლის): — შვებულებას სიამოვნებით გავატარებდი ლალი ტოტიკაშვილთან ერთად. თუ თანახმა იქნება, მასთან ერთად მთელი ცხოვრების თუ არა, რაღაც ნაწილის გატარებაზეც არ ვიტყოდი უარს. წავიყვანდი, სვანეთში ვაცხოვრებდი კოშკში, რომელიც მგონი, ბაბუაჩემის მამას და მის წინაპრებს ეკუთვნოდათ. მოკლედ, მაგარ დროს გავატარებდით რა, მთელ სვანეთს მოვატარებდი ტოტიკაანთ გოგოს. ეს ერთმა კახელმა მასწავლა „ტოტიკაანთ გოგო“. ძალიან მომეწონა და ასე ვეძახი ლალის. თუ ხმას მიაწვდენთ, უთხარით, ირაკლი შენზე გიჟდება და თუ თანახმა იქნება, მასთან ერთად სიამოვნებით გავატარებ შვებულებას. არ ეგონოს ვიღაც ამბობდეს ამას. ქალები ჩემთვის გიჟდებიან.

ალექსი (52 წლის): — შვებულებას სიამოვნებით გავატარებ აფრიკაში და ლომებზე ვინადირებ. ვისთან ერთად წავიდოდი? დათო თევზაძესთან — თავდაცვის მინისტრთან, ემზარ კვიციანთან, ვალერი ხაბურძანიასთან, კობა ნარჩემაშვილთან, ვალერი ჩხეიძესთან, ავთო იოსელიანთან, მიშა სააკაშვილთან, ზურიკოსთან (ჟვანიას გულისხმობს — ე.ლ.) და კიდევ სხვებთან ერთად. იქ ვნახავდი, რა კაცები არიან, როგორი გულადები და უშიშრები, მერე ჩამოვიდოდი და მაგათ „საქმეთა საგმირონს“ თქვენ და „კვირის პალიტრას“ მოგიყვებოდით სიამოვნებით. ისე, აფრიკაში რომ არ წავიდე მაგათთან ერთად, ისეც კარგად ვიცი, ვინ ვინ არის, მაგრამ თვალის სეირიც კარგია.

დათო (42 წლის): — შვებულებასაც და მთელ ცხოვრებასაც სიამოვნებით ვატარებ ჩემს ცოლ-შვილთან ერთად. წელს ეგვიპტეში ვიყავით და დიდად ნასიამოვნები დავრჩით. გაისად ინდოეთში წავალთ და მერე სიამოვნებით გავიხსენებთ ნანახს და განცდილს...

ეკა ლომიძე

ვეხმაურები სანდროს

„კვირის პალიტრა“, 16-22 სექტემბერი, 2002

სანდრო, სიმართლე გითხრა, როდესაც შენი წერილი წავიკითხე, გელას მიმართ სიძულვილით განვეწყვე. მაგრამ როდესაც ძველი გაზეთი მოვიძიე და გელას აღსარებას გავეცანი, სულ სხვა თვალით შევხედე ყოველივეს. მე თითქმის შენი ტოლი ვარ და ვიცი, რა ძნელია შენს დღეში მყოფს დამნაშავის შებრალება სთხოვო, მაგრამ ნუ დამძრახავ, თუ რამდენიმე ფაქტს მივაქცევ შენს ყურადღებას: ჩემი აზრით, იმ ავადსახსენებელ ღამეს გელას რომ არ მოეტყუებინა ყაჩაღები, — ეზოს მარცხენა კუთხეში საეჭვო მოძრაობა შევნიშნე, უნდა გავასწროთო, ვფიქრობ, გაცილებით მეტი მსხვერპლი იქნებოდა (აკი, წერს: „ჩანს, თანხა და ოქროულობა ეცოტავათ და ქალებს დაუწყეს წვალება, უთოც ჩართეს“). თანაც ქრისტინე ბებო პირადად გელას არ მოუკლავს, პირიქით, დანაშაულის თანამონაწილემ, რითიც შეძლო, საბოლოო დახმარება სასწრაფოს გამოძახებით გაუწია.

ვფიქრობ, ადამიანებმა ერთმანეთს შანსი უნდა მივცეთ გამოსწორებისა.

თქვენს სახლს გელას თანხლებით თუ მის გარეშე, ბანდიტები მაინც დაეცემოდნენ, ამიტომ იფიქრე პატიებაზე, ამით ხომ ერთი ადამიანის სულს გადაარჩენ.

ნათია

ყურმოკრული ფრაზა

ნამდვილი ინტელიგენტი არასოდეს მოგახლით — შენი დედაცო, თავაზიანად გეტყვით — მე თქვენ მამად გეკუთვნითო...

— გინახავთ ადამიანი ცამდე აყვანილი და მერე მიწაზე დანარცხებული? — მეკითხება ეკა, პასუხს არ უცდის და აგრძელებს, — ასეთი მე ვარ. სიყვარულმა, რომელიც ერთი წლის წინ მეწვია, ყველა და ყველაფერი დამავიწყა. საკმაოდ ბევრი დაბრკოლება შემხვდა ამის გამო. არც მშობლებს და არც ახლობლებს არ მოსწონდათ ჩემი არჩევანი, მაგრამ განვაცხადე: ან ის, ან არავინ-მეთქი და მიხვდნენ, რომ სიტყვას აღარ გადავიდოდი.

— რატომ იყვნენ ახლობლები წინააღმდეგნი?

— იმიტომ, რომ იცოდნენ — მირიანი ნარკომანი იყო, უმუშევარი და უპერსპექტივო.

ნუთუ ქველაფქრი მირაჟი იყო?!.

— უხერხული კითხვაა, მაგრამ შენ რითი მოგაწონა თავი?

— ბევრი ნაკლი ჰქონდა... მაგრამ გულს ხომ ვერ უბრძანებ, ის შეიყვარე, ეს კი — არაო?! საოცრად მოსიყვარულე და თბილი ადამიანი აღმოჩნდა. გაცნობიდან რამდენიმე დღეში მივხვდი, რომ მირიანი იყო ის ადამიანი, რომელსაც მთელი სიცოცხლე ვეძებდი. მასაც ძალიან ვუყვარდი, მუდამ ეშინოდა, სხვაში არ გამეცვალა, არ მომეტყუებინა. ურთმანეთოდ ვერ ვძლებდით. მირიანი დედისერთაა. დედამისმა როცა გაიგო, მის შვილს მე ვუყვარდი, ამითვალწუნა და ყველანაირად ცდილობდა, დავემცირებინე. მაინც რატომ ერევიან მშობლები შვილის პირად საქმეში, ვერ გამიგია. არც ჩემებს ამოსდიოდათ მზე მირიანზე, მაგრამ მისი გულისთვის ვიბრძოლე და გავიმარჯვე კიდეც.

— ეკა, შენი მშობლების პოზიცია ნაწილობრივ გასაგებია, რადგან ნარკომანია ახსენე, მაგრამ მირიანის დედას რატომ არ მოსწონდი?

— ჯერ ერთი, მდიდარი ქალიშვილი ჰყავდა სარძლოდ შერჩეული. აბა, მე, მრავალშვილიანი ოჯახის შვილი, რად ვჭირდებოდი? მართალია, ვმუშაობ, მაგრამ მას სულაც არ სურდა მირიანს მშობლიური ქალაქი დაეტოვებინა და ჩემთან ერთად ეცხოვრა თბილისში. თანაც... ეტყობა, ბავშვობის დროინდელი ჩემი შერცხვენა აქვს გაგონილი.

— ბავშვობაში რა გადაგხდა ასეთი?

— კლასელები ღამისთევით ვიყავით ერთ მეგობართან (მაშინ 15 წლის ვიყავი). იმ ღამით ერთმა ბიჭმა მომიტაცა და ძალა იხმარა... მე ის არ მიყვარდა. მართალია, ცოლად ვუნდოდი, მაგრამ მასთან არ დავრჩი, გამოვექეცი. ეს საშინელი ამბავი მშობლებს დავუმალე. მათ ეს დღემდე არ იციან. მირიანს კი ყველაფერი გულახდილად ვუამბე. გამიგო, დამამშვიდა და მანუგეშა — ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მიყვარხარ და ჩემთვის ეს არის უმთავრესიო. იმ გარეწარმა, ეტყობა, გაიგო ჩვენი ურთიერთობის შესახებ და იმდენი ქნა, დედამისის ყურამდე მიიტანა ათი წლის წინ მომხდარი ამბავი. რაღა თქმა უნდა, სადედამთილოს აღარ მოუნდა „უწესო“ რძლის შინ შეყვანა. სამწუხაროდ, ადამიანებს ცუდის დაჯერება უფრო ეიოლებათ, სხვის უბედურებას არად აგდებენ და იმ სახელს არქმევენ, რაც თვითონ უნდათ.

როგორც კი გავიგე, რომ დედამთილი უარს ამბობდა ჩემს რძლობაზე, მირიანს შევთავაზე: დავშორდეთ, დედაშენმა ისედაც ბევრი ტანჯვა გაიარა ცხოვრებაში (მის ქმარს სხვა ქალი უყვარდა, მერე კი 38 წლისა გარდაიცვალა. ადრე დაქვრივებულმა მირიანის დედამ მარტომ გაზარდა შვილი) და არ მინდა დედა-შვილს შორის ჩავდგე-მეთქი. კინაღამ გაგიჟდა, ამას როგორ მეუბნები, იცოდე, მოვკვდები, თუკი მიმატოვებო. ჩვენ ისე ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, რომ უკვე სახელებსაც კი ვარჩევდით შვილებისთვის. წელს, ზაფხულის მიწურულს, თბილისში წამოვედი — შვებულება დამიმთავრდა და სამსახურში უნდა გამოვცხადებულიყავი (მეც და მირიანიც ორივე დასავლეთ საქართველოდან ვართ, ერთი ქალაქიდან). წამოსვლისას შემომფიცა, — ნარკოტიკებს აღარ გავეკარებიო. მართლაც, ჩემი გაცნობის შემდეგ ნელ-ნელა გადაეჩვია, სურდა, საბოლოოდ აელო ხელი ამ მავნე ჩვევაზე. სექტემბრის შუა რიცხვებში ვერ გაძლო და თბილისში ჩამომაკითხა. ვთხოვე, ჩემს მოძღვართან აღსარება ეთქვა. სიხარულით გამომყვა. მოძღვართან ცოდვები მოინანია, მერე კი იმაზეც შეუთანხმდა, ცოტა ხანში ჩამოვალ და ჯვარი უნდა დაგვწერო მე და ეკასო. დღეებს თითებზე ვითვლიდი, ისე ველოდი მის გამოჩენას.

რამდენიმე დღის წინ კი ჩემმა დამ დამირეკა. ისეთი გაბზარული ხმა ჰქონდა, მივხვდი, ჩემს თავს ცუდი რამ იყო. ხომ მშვიდობაა თქვენკენ, ჩვენები როგორ არიანმეთქი? ძლივს ამოღერღა: გუშინ მირიანმა ცოლი მოიყვანაო. ყურმილი შემაცივდა ხელში. ყველაფერს ვიფიქრებდი და ამას არა. ვერ ვიჯერებდი. ნუთუ შეიძლებოდა ისეთი სიყვარულის უარყოფა? მირიანს რამდენჯერ დაუნახავებია ჩემთვის ქუჩაში: აი, ის გოგო მოსწონს დედაჩემს სარძლოდ, მე კი დანახვაც არ შემიძლიაო. მაშ, ახლა რა მოხდა? რამ აიძულა, რომ უსიყვარულოდ მოეყვანა ცოლი? მეგობრებმა დამამშვიდეს: თავს კარგ ბიჭად გაჩვენებდა, თორემ ეგეც ბევრ სხვასავით ალფონსი ყოფილა, სხვის ქონებაზე დახარბებულიო. ძალიან მიჭირს ამის დაჯერება. ნუთუ, ყველაფერი მირაჟი იყო? მისი ალერსიანი თვალები, თბილი სიტყვები, ყურადღება — როგორ დავიჯერო, რომ მოჩვენებითი იყო? თუკი სხვის შერთვას აპირებდა, რად სჭირდებოდა ჩემთან თვალთმაქცობა? დღე ღამედ მექცა. პირველი დიდი ტკივილი ძლივს მოვინელე, ისიც მირიანის დახმარებით. დღეს კი ისე ილაჯწართმეული ვარ, რომ ჩემს თავს ველარ ვერევი. არადა ბავშვებთან მაქვს ურთიერთობა და მე, ნდობადაკარგულმა ქალმა, რა ვასწავლო ბავშვებს — არავის ენდოთ, ყველას ეჭვით უყურეთ, რომ მერე იმედგაცრუებულნი არ დარჩეთ-მეთქი? როგორ მოვიქცე, რა ვუყო ამ სიყვარულს, რომელმაც ჯერ უსაზღვრო ბედნიერება მაგრძნობინა, მერე კი გამაუბედურა?!

— იქნებ სჯობს, შეეხმიანოთ მირიანს და ჰკითხოთ, რატომ მოიქცა ასე?

— არა, ამას ვერ ვიზამ. მას უკვე ცოლი ჰყავს და ცოლ-ქმარს შორის ვერასოდეს ჩავდგები.

— დრო ყველაფრის მკურნალიაო, — ნათქვამია...

— ყველაფრის — არა! დრო ჭრილობას გაგიწყებს, თორემ ნაიარევი რჩება! მე რომ ახლა მირიანის ხმა გავიგონო, შეიძლება გულიც გამისკდეს. არ ვიცი, რა მჭირს. მოჩვენებებიც კი დამეწყო. გუშინ, ქუჩაში, ერთი ბიჭი მივამსგავსე და ლამის სისხლი გამეყინა ძარღვებში, ფეხის გადადგმაც ვერ მოვახერხე.

შემზიზღდა ყველა მამაკაცი, ტრანსპორტშიც კი, შემთხვევით რომ შემეხებიან, ისტერიკაში ვვარდები... ვიცი, რომ ხშირად იღებთ მკითხველთა წერილებს. ხალხი ბრძენია. იქნებ ვინმემ მირჩიოს გონივრული რამ. მე თავად მიჭირს იმის გაანალიზება, რაც მოხდა...

და მაინც, როგორ მოვიქცე?

მარინა ბაბუნაშვილი

ნათქვამია, მამაკაცს თვალებით უყვარს, ქალს — ყურითო. მართლაც, რაღას არ აკეთებს სუსტი სქესის წარმომადგენელი, რომ თავი მოაწონოს სასურველ მამაკაცს, ის კი გაუთავებლად ამკობს ქალს ქათინაურებით.

მაგრამ სულ ამაოდ ირჯებიან. თურმე არსებობს სხვა საშუალებაც... ცხვირი, რითაც შეიძლება ვიპოვოთ ჩვენი ნახევარი.

სწავლულთა აზრით, ქალები და მამაკაცები ინტუიციით ცდილობენ, სუნით განსაზღვრონ, ღირს თუ არა ბედი დაუკავშირონ ამა თუ იმ ადამიანს, მიიღონ მისგან თაყვანისცემა, თუ უარი უთხრან მათთვის არასასურველი სუნის მქონე ცხოვრების მეგზურობის კანდიდატს...

მაგრამ ქალებს შეუძლიათ გააცურონ მამაკაცები საგანგებო „სექსუალური სუნამოებით“, რომლებსაც დამატებული აქვს ატრაქტანტი. ეს ნივთიერება იზიდავს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს (საერთოდ, აპელენტი და ატრაქტანტი — ცხოველებისა და მწერების მისატყუებელი საშუალებაა), — ასკვნიან ამერიკელი სწავლულები.

ცდის შედეგებით, ეს პრეპარატი მოქმედებს, როგორც „სექსუალური მაგნიტი“. კვლევა მიმდინარეობდა 3 თვე, მასში მონაწილეობდნენ 19-დან 48 წლამდე ასაკის ქალები, რომლებსაც დაურიგეს უფერო სითხით სავსე ფლაკონები სუნამოებზე დასამატებლად. ერთმა ჯგუფმა მიიღო ატრაქტანტიანი ფლაკონები, მეორემ — ჩვეულებრივი წყალი, მაგრამ ამის თაობაზე არც ერთმა არა იცოდა რა.

იმ ჯგუფის წევრთა უმრავლესობაში (74%), რომლებიც იყენებდნენ ატრაქტანტებიან სუნამოს, გაიზარდა ინტიმური ურთიერთობები, მეორე ჯგუფში კი არაფერი შეცვლილა.

საბოლოო ჯამში, მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ატრაქტანტი რეალურად ზემოქმედებს მამაკაცის ტვინზე და ამაღლებს მის სექსუალურ პოტენციას.

სუნამოთა ზოგიერთი მწარმოებელი უკვე ამატებს ამ ნივთიერებას თავის პროდუქციას.

სურნელით შეყვარება

„სარკმე, აბა, მეპასუხე, ვინ არის ყველაზე ლამაზი?..

„ფიფქიასა და შვიდი ჯუჯას“ ზღაპარი თუ არ წაგიკითხავთ, მულტფილმი მაინც გექნებათ ნანახი და გეცოდინებათ, თუ როგორ ბოროტდება დედინაცვალი, როცა ჯადოსნური სარკე ამცნობს, — ამქვეყნად ყველაზე ლამაზი მხოლოდ ფიფქიააო. ეს, ერთი შეხედვით თითქოსდა უმნიშვნელო ნიუანსი თურმე ძალიან საინტერესო რამეზე მიუთითებს — თუ ფსიქოლოგებს დავუჯერებთ, დედინაცვლის სარკის მიმართ დამოკიდებულება ზღაპარში რეალობის ნათელი ანარეკლია. ყველა ქალი სარკესთან ჩახედვისას, მისთვის განუკრძალი ნივთისგან არა, მაგრამ ქვეცნობიერი „მესაგან“ გამუდმებით ითხოვს იმის მტკიცებას, რომ ის ამქვეყნად მჯობნის მჯობნია. ტრადიციული გამოკითხვის თემა ამჯერად სარკეა და მანდილოსნებს მივმართეთ კითხვით — რა აზრები მოგდით სარკეში ჩახედვისას-მეთქი.

ნინო (22 წლის) — ლამაზი რომ ვარ, ამას ყველა აღნიშნავს, მაგრამ სურვილი, ყველაზე ლამაზი მე უნდა ვიყო-მეთქი, არასდროს მქონია. სარკეში კი იმიტომ ვიხედები, რომ ვნახო ცხვირზე მური ხომ არ მაცხია ან ჯადოქარივით ხომ არ ვარ გაჩეჩილი. ისე, თუ სადმე სარკის მაგვარს მოვკარი თვალი, შიგ ვიჭყიტები და ვკეკლუცობ. ამას წინათ ქუჩაში მეგობარს ველოდებოდი. იქვე, გაზონთან, მანქანა იდგა, დაბურული, გასარკული მინები ჰქონდა. კარგა ხანს ვათვალიერე, შიგ სულიერის ჭაჭანება რომ ვერ ვიგრძენი, „სარკეში“ პრანჭვა დავიწყე და უცებ სახტად დავრჩი — აღმოვაჩინე, რომ ჩემი სახის მაგივრად სხვას ვუყურებდი. ჯერ შემეშინდა, მერე კი ისეთი სიცილი აგვიტყდა მეც და იმ ბიჭსაც, რომ მთელი ქუჩის ყურადღება მივიქციეთ.

თეა (29 წლის): — ძალიან მიყვარს ვიტრინებში ცქერა, ვტკბები საკუთარი თავით და თუ დამიჯერებთ, ჩემ წინ და უკან არსებულ სიტუაციებსაც მშვენივრად ვაკონტროლებ იმ დროს, არ გეგონოთ, რომ ფეხი ამერიოს. ერთხელ, ვაკეში მივდივარ, ჭავჭავაძის გამზირზე და თან ვიტრინებში ვიპრანჭები. თვალი მოვკარი — უკან ვიღაც ბიჭი მომყვება და ჩემს ანარეკლს უყურებს. უცებ ფეხი რაღაცას წამოჰკრა და ძირს გაიშხლართა. უნებლიეთ მოვბრუნდი. წამოხტა, შარვალი დაიფერთხა და სიცილით მითხრა: — ახლა კი დავრწმუნდი, ქალების გადამკიდეს, როგორ შეიძლება დაეცეს თვალებიო. სულელმა მე დამაბრალა მარცხი. თუმცა, მერე ყავაზე დამპატიჟა და საერთოდ კარგი ბიჭი აღმოჩნდა.

ეკა (27 წლის): — პიონერთა ბანაკში დავდიოდი ბავშვობაში. ყველა პრანჭიად მთვლიდა და იცოდნენ, რომ თუ სადმე სარკეს დავინახავდი, ერთი ხუთი წუთი მაინც უნდა დამეყო მის წინ. დილით კი ეგრევე სარკეში უნდა ჩამეხედა — საწოლის გვერდით მედო, გადავწვდებოდი ჯერ კიდევ თვალებდახუჭული. ერთი სიტყვით, სარკეში ვიღვიძებდი. ერთ დილას გავიღვიძე, გადავწიე ხელი, და, სად არის შენი სარკე! წამოვდექი, ვეძებე. ვერ ვნახე. გავედი სააბაზანოში, სარკე აღარ არის. თანაც ვინც კი შემომხედა, ყველას გაეცინა. დავიბენი, რა ხდება-მეთქი. გავვარდი დერეფანში დიდ სარკეში ჩასაჭყეტად და იქვე შეყრილი ბიჭების გუნდი საეჭვოდ გაიყურსა. მივედი სარკესთან და... კინაღამ ჩავიკეცე. ბიჭები კი ისტერიკულად ახარხარდნენ. სახეზე სულ სხვადასხვა ფერის საღებავი მეცხო. იმ ღამით „გაპასტვის“ მაგივრად, აკვარელით და გუაშით გავუფერადებივარ ბიჭებს. მე კი გაღვიძებისთანავე სარკეს დავუწყე ძებნა და სულ არ შემინიშნავს საღებავებით დათხვრილი ბალიში. ეს ამბავი სულ მამხიარულებს ხოლმე, მაშინ კი კინაღამ გული გამისკდა.

ქეთი (47 წლის): — სარკე კარგი ნივთია, თუ თავში ყველაფერი რიგზე გაქვს და ობიექტური შეფასების უნარიც გაგაჩნია. სარკე დიდ ინფორმაციას მოგცემს საკუთარ თავზე, სარკის წყალობით ქალს იმდენი რამის შეცვლა შეუძლია, რომ გაოცდებით. მე, მაგალითად, საკუთარ თავთან ურთიერთობაში ძალიან მეხმარება. დილით ჩავიხედავ, გავუღიმებ ორეულს — აბა, შენ იცი-მეთქი, შევუძახებ და იმ დღეს ვცდილობ, დილით სარკიდან გამოყოლილი განწყობით ვიცხოვრო. მერე, საღამოს, ჩემი მეუღლეც რომ კარზე აკაკუნებს, წამიერად ვიჭყიტები სარკეში, ვიღიმები და ასე სიყვარულით სავსე ვხვდები ქმარს. ო, ძალიან ბევრ რამეში მეხმარება სარკე. შესანიშნავი ნივთია.

ეკა ლომიძე

რჩევები დიასახლისებს

— თუ გინდათ, რომ შემწვარი ხორცი იყოს წვნიანი, სუფრაზე მაშინვე ტაფით არ მიიტანოთ, 15 წუთი გააჩერეთ მდუღარეწყლიან ქვაბზე.

— დაბეგვილი კატლეტი და შნიცელი უფრო რბილი გამოვა, თუ შეწვამდე 1-2 სთ-ით ადრე ხორცს ძმრიან წყალს ან ზეთს მოასხურებთ.

— ნიორი არ გამოშრება, თუ გაფცქვნით, ჩაყრით პატარა ქილაში და ზემოდან ზეთს დავასხამთ.

იუმორი

— ამ ჩემს ქმარს ყოველთვის უმართლებს. გუშინ „ალდაგში“ დაეზღვია, დღეს აგური დაეცა თავზე...

რედაქციისაგან

დიდი მადლობა, ძვირფასებო!

ხომ გახსოვთ „კვირის პალიტრის“ №38-ში დაბეჭდილი ჟურნალისტ მარინა ბაბუნაშვილის წერილი **„სხვა გზა აღარ გამოჩნდა, გაზეთიდან უნდა გელაპარაკო“,** სადაც თინიკო მამას შერიგებას სთხოვდა. თინიკო დაგვპირდა, რომ „შედეგს“ (როგორიც არ უნდა ყოფილიყო იგი) აუცილებლად გაგვაგებინებდა.

ჰოდა, შაბათს საღამოს, 28 სექტემბერს, დაგვირეკა და სიხარულით გვამცნო:

— წერილის გამოქვეყნების შემდეგ ადგილს ვერ ვპოულობდი, ძალიან ვნერვიულობდი. სამსახურიდან ადრე დავბრუნდი შინ და აკანკალებული შევედი ოთახში. მეგონა, განრისხებული მამა დამხვდებოდა და კვლავ საყვედურით ამავსებდა: — შენი სირცხვილი ქვეყანას რატომ მოსდე, გაზეთში მეც როგორ გამომაჭენეო. ერთი სიტყვით, ორი დღე ჩუმად გავიდა. მერე ჩემმა შუათანა დაიკომ გამაგებინა, — მამამ წაიკითხა ის წერილი. მთელი ღამე არ ეძინა, დილით კი ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა, — ძალიან მკაცრად მოვექეცი თინიკოს, ეს რა დღეში ჩამიგდიაო. მგონი, შენთან მოსვლას აპირებსო.

სიხარულით ლამის დავმუნჯდი.

პარასკევს სამსახურში არ წავსულვარ, დილიდანვე ველოდი მამას, მაგრამ არ გამოჩენილა.

შაბათს კი საჩუქრებით ხელში გვესტუმრა.

მე ულამაზესი თავშალი და ყვავილები მომიტანა, მარიამს — ვეებერთელა თოჯინა, რომელიც ხან იცინის, ხან — ტირის.

იცით, რა მომივიდა? თითქოს მეორედ დავიბადე. იმ თოჯინასავით მეც ხან ვტიროდი, ხან ვიცინოდი. უზომოდ ბედნიერი ვარ. სად ვიყავი აქამდე?! ნეტავ, ადრევე დაგკავშირებოდით.

დიდი მადლობა გულისხმიერებისთვის.

გულწრფელად ვუერთდებით მამა-შვილის სიხარულს.

ההיסטוריה של המשחק



ტრიო თბილისი“ თბილისიდან უცხოეთში თამადობს

მარცხნიდან მარჯვნივ: რამაზ გუნიავა, ნუგზარ აფხაიძე, ზაზა მამალაძე

სიმღერას რომ უდიდესი ძალა აქვს, მაჩაბლის ჩამომავალ ქართველებს არ ესწავლებათ, მაგრამ გიფიქრიათ ოდესმე, რომ ჩვენს უცხოელ მეგობრებთან ხშირად სწორედ ქართული სიმღერა გვაახლოებდა? ან იმაზე თუ დაფიქრებულხართ, რომ ხალხს, ვისაც საქართველოს არსებობის შესახებ წარმოდგენაც კი არ აქვს, ქართული სიმღერების მოსმენა აიძულებთ, რუკასთან მივიდნენ და მოძებნონ ამ ჯადოსნური ხმების მშობელი ქვეყანა... მერე მის ისტორიას ეძებენ ცნობისწადილით, მერე დასასვენებლად ჩამოდიან საქართველოში... მერე ძალიან, ძალიან შეუყვარდებათ ჩვენი სამშობლო.

თამამად შეიძლება ვუწოდოთ ტრიო „თბილისსა“ და ანსამბლ „თბილისს“ სიყვარულის დესპანები. რატომ? ამას თავად მიხვდებით წერილის წაკითხვის შემდეგ.

მალე ტრიო „თბილისი“ 20 წლის გახდება. მის წევრებს — ზაზა მამალაძეს, რამაზ გუნიავას და ნუგზარ აფხაიძეს სტუდიაში ვესტუმრეთ და ამ 20 წლის წინანდელი ერთად ყოფნის დასაწყისის გახსენება ვთხოვეთ. ერთი შეხედვით, ყველაფერი უბრალოდ დაიწყო. ზაზა მამალაძე და ნუგზარ აფხაიძე პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა კაპელაში შეხვდნენ ერთმანეთს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი მივიდნენ ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლში, სადაც დახვდათ რამაზ გუნიავა. ასე დაიწყო...

ამბები, რომლებსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, ბატონმა რამაზმა, ზაზამ და ნუგზარმა მიამბეს. შეგნებულად არ გამოვყოფთ, ვინ რა გაიხსენა, რადგან ოცი წელია უკვე, რაც ისინი ერთნი არიან — ტრიო „თბილისი“.

ორ დღეში ჩაწერილი დისკი დენი ანდერსონთან

— სახელმწიფო ფოლკლორულ ანსამბლში ძალიან დატვირთული დღეები გვქონდა. წელიწადში 140 კონცერტს ვატარებდით. ასეთი იყო გეგმა! ცოტა რომ ამოგვესუნთქა და რეპერტუარიც მრავალფეროვანი გვქონოდა, პროგრამაში შევიტანეთ ქალაქური სიმღერები გიტარის თანხლებით... ეს აბსოლუტურად განსხვავებული ჟანრია და ხალხური სიმღერების შემდეგ, საკმაო მოწონებითაც სარგებლობს. „ოდოიას“ და „ჩაკრულოს“ ვასრულებთ, შემდეგ ქალაქური, მოსალხენი სიმღერები იწყება. განსაკუთრებით გამოყოფენ რამაზის პირველ ხმას, ამბობენ — ნემსის ყუნწში მიძვრებაო... უკვირთ, როგორ შეიძლება, კაცმა ასეთი ხმით იმღეროს.

ძალიან მოსწონდათ ჩვენი ანსამბლი შვედეთში. სათვალავიც კი აგვერია, აღარ ვიცით, რამდენჯერ ვიყავით იქ, 13-ჯერ თუ 17-ჯერ. ერთხელ ჩვენს კონცერტს დაესწრო ცნობილი შვედური ფოლკლორული ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელიც, „აბბა“-ს ყოფილი წევრი დენი ანდერსონი, რატომღაც ვერ მოვიდა კონცერტზე და შეუთვალეს: ძალიან ბევრი დაკარგე, ერთი შანსიღა გრჩება, „თბილისს“ ბოლო კონცერტი აქვს სტოკჰოლმში და იქ თუ დაესწრებიო. მართლაც, მოვიდა ბოლო კონცერტზე დენი ანდერსონი. მეორე დღეს კი უკვე სასტუმროში მოგვაკითხა ძღვენით — შამპანურითა და ტკბილეულით. შემოგვთავაზა: შემდეგ ჩამოსვლაზე ჩემს სტუდიაში ჩაწერეთ დისკიო. არ მინდა, ვინმემ ტრაბახად ჩამოგვართვას, მაგრამ მართლა საამაყოა — 2 დღეში ჩავწერეთ დისკი, როცა დღეს, ჩვენი „ვარსკვლავები“ ამბობენ, 10-12 დღე გვჭირდება ერთი სიმღერის ჩასაწერადო.

ქართული სიტკბო და ტყემალი

გასტროლებზე რომ ჩავდივართ უცხოეთში, ქართველები მოდიან ჩვენთან. უნდათ, პატივი გვცენ, გვასიამოვნონ. მოაქვთ ცხელ-ცხელი ხაჭაპურები. ცხადია, იქაური... შვედური თუ ამერიკული ყველით არ გამოდის ხაჭაპური და რა გინდა, რომ ქნა?! არადა, უარს ხომ ვერ ვეტყვით? გეახლებით ხოლმე და მერე 2-3 დღე კუჭი გვტკივა.

ამერიკაში ჩვენთან მოვიდა პეტრე ხვედელიძე, „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი. 1986 წელი იყო, გორბაჩოვი ხვდებოდა რეიგანს. მაშინ ამერიკაში ასე ხშირად და იოლად ვერავინ დადიოდა. თუკი ჩავიდოდა ვინმე, პეტრე ახლოს არ ეკარებოდა, პრობლემები რომ არ შეექმნა, „არ დაელუპა“. პირველი ქართველები ვიყავით, ვისაც შეხვდა, გამოელაპარაკა. როცა მისი მიწვევაც მივიღეთ და აღვუთქვით, შინ გესტუმრებითო, კინაღამ გაგიჟდა სიხარულით. ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ ანსამბლის ყველა წევრს საჩუქარი დაგვახვედრა. მამაკაცებს ტყავის საფულეები, მანდილოსნებს ხელჩანთები, შიგ სიმბოლური ერთდოლარიანებით. გვთხოვა: ჩემიანების არაფერი ვიცი, ადრე დიდუბეში ვცხოვრობდი, აღარავისთან მაქვს კონტაქტი, იქნებ ვინმე იპოვოთ და ამბავი მიუტანოთო. რამდენიმე ინტერვიუში ვახსენეთ პეტრე ხვედელიძე, მაგრამ არავინ გამოგვეხმაურა.

პეტრე ხვედელიძე ვაშინგტონში ცხოვრობდა. როცა ნიუ-იორკში მივდიოდით, დაურეკა თავის მეგობარს, ბონდო კეკელიას და გააფრთხილა: ქართველი ბიჭები მოდიან, კარგად მიმიხედეო. კეკელიას ტყემალი ჰქონდა ეზოში დარგული და მთელი ამერიკის ქართველებს ის ამარაგებდა ტყემლით. მანაც საოცარი მასპინძლობა გაგვიწია.

გაბუტული ქართველები ტაშს არ უკრავენ

ჰოლანდიაში გვქონდა ასეთი შემთხვევა. აღდგომა დღეს იყო დანიშნული კონცერტი. ორგანიზატორებმა გვახარეს: ქართველებმა შეიძინეს ბილეთები, მესამე რიგში ისხდებიან და მოგისმენენო. ჯერ კიდევ შესვენებამდე შემოვიდნენ კულისებში ქართველები და მოგვთხოვეს: აუცილებლად „შავლეგო“ იმღერეთო. ავუხსენით, რომ პროგრამა დგება თვეებით ადრე და თუკი მომღერლის ავადმყოფობის გამო რეპერტუარის შეცვლა გვიხდება, ორგანიზატორები ძალიან ნერვიულობენ. „შავლეგოს“ ჩვენთვის დიდი დატვირთვა აქვს, მაგრამ ჰოლანდიელები ამას ხომ ვერ გაიგებენ! ვთხოვეთ ქართველებს: ამისი უფლება არ გვაქვს და გნებავთ ანტრაქტზე, გნებავთ კონცერტის შემდეგ რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ გიმღერებთ „შავლეგოს“. ვერ გაგვიგეს. ისხდნენ მესამე რიგში გაბუტულები, კონცერტის ბოლოს მთელმა დარბაზმა ოვაცია გაგვიმართა. ისინი კი ისხდნენ, ტაშსაც კი არ უკრავდნენ... გული გვეტკინა...

სადღეგრძელოები ფაქსით

შვედეთში ერთი მეგობარი შევიძინეთ, ტომას სალმსტრომი — არნახულად უცნაური კაცი. გვიამბო: თქვენ რომ მოგისმინეთ, პირველი ჩემი შთაბეჭდილება იყო დადებითი შოკი. სპეციალურად წამოგყევით სხვა ქალაქში კონცერტზე, რომ მეორედ მომესმინეთ და შოკი გამნელებოდაო... მეორე ნახვაზე შოკი გამიძლიერდაო. მაშინ ვნახე პირველად რუკაზე, სად იყო საქართველოო. აიღო ბილეთი და ჩამოვიდა საქართველოში მეგობართან ერთად. მერე მეორედაც გვეწვია, მესამედაც. ისე გაიტაცა საქართველომ და ქართულმა სიმღერამ, თავი დაანება მუშაობას ვოლვოს ქარხანაში, სადაც ინჟინრად იყო და დაგვყვება ჩვენ.

ყოველი კონცერტის შემდეგ 70-კაციან წვეულებას მართავს. მოგეხსენებათ, ყველაფერი ძვირია, რაღა მოგება დარჩება? მაგრამ მისთვის ეს არ არის მთავარი. ამბობს: ადამიანმა რომ დაისვენოს, ხომ უნდა აიღოს შვებულება, იყიდოს საგზური, იმოგზაუროს... ჩემი დასვენება თქვენი მოსმენაა და ეს სიამოვნება მიღირს ზარალადო.

იცით, როგორ უნდა ქართველობა? რთველზე გვყავდა კახეთში და ახლა თვითონ წურავს ყურძენს შვედეთში. ქართული ღვინო უნდა მოგიმზადოთო. აქედან რომ წავიდა პირველად, უზარმაზარი არყის სახდელი აპარატი წაიღო! ახლა ქართული ტრადიციული სუფრა როგორ მოსწონს! აქ ნახა პირველად, რა არის თამადობა. ზაზა მამალაძის თამადობამ კი ისე მონუსხა, რომ გადაწყვიტა შვედეთში წვეულებები გამართოს, თვითონ ითამადოს და შვედებს ის საოცრება აჩვენოს, რასაც ქართული სუფრა ჰქვია. შვედეთიდან თბილისში უგზავნის ზაზას ფაქსს: რა სადღეგრძელოები უნდა ვთქვა, მომწერეო. ზაზაც მთელი სერიოზულობით უგზავნის პასუხს.

უცნაური კაცია ტომას სალმსტრომი. ერთხელ გასტროლებზე რომ ვიყავით, ორი მიკროავტობუსით წავედით კონცერტზე. უცებ გადაახვევინა მძღოლებს და „პროფილაქტიკაში“ შეგვიყვანა. აქ ჩემი მექანიკოსი მუშაობს და „მრავალჟამიერი“ უნდა უმღეროთო. ვუმღერეთ. ამის შემდეგ ტრადიციად გვექცა — შვედეთში ჩავდივართ და ერთ „მრავალჟამიერს“ აუცილებლად „პროფილაქტიკაში“ ვმღერით. შარშან მექანიკოსმაც სიურპრიზი მოგვიწყო. დიდი მიკროავტობუსის ფორმის ტორტი დაგვახვედრა იქიდან გადმოყოფილი ჩვენი თავებით. ასეთ დიდ სითბოს გვიწილადებენ ამ ჩრდილოეთის ქვეყანაში. და არა მარტო იქ... ჰოლანდიაშიც, ესტონეთშიც, თითქმის ყველგან.

ერთადერთხელ და ისიც მკაცრი სასჯელით

საერთოდ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით ფონოგრამით სიმღერას. პირველად რომ ჩატარდა „თბილისური გაზაფხული“ და მიგვიწვიეს ფილარმონიაში, გამოვცხადდით გიტარით რეპეტიციაზე. მტკიცე უარი გვითხრეს: ყველა ფონოგრამით მღერის, თქვენც ფონოგრამა მოიტანეთო. რა გვექნა? თავს ზემოთ ძალა არ იყო. დაიწყო კონცერტი. ზუსტად ჩვენს ნომერზე აპარატურა გაფუჭდა და „ჩაიხვია“. კი არ გაწყდა სიმღერა, რაღაც საშინელი ხმა გამოუშვა. აა... აა... სცენაზე ვიდექით. გვერჩივნა მიწა გაგვსკდომოდა. მსგავსი გრძნობა არასოდეს გვქონია. კიდევ კარგი, ზაზა მამალაძეს სულ უდევს მანქანაში გიტარა სათადარიგო საზურავივით. ჩავიდა, ამოიტანა და შევასრულეთ სიმღერა. გამოვისყიდეთ დანაშაული, იმ ერთადერთხელ ფონოგრამაზე სიმღერას რომ დავთანხმდით. საერთოდ, ფონოგრამაზე სიმღერა — ეს არის უზნეობის აპოგეა! მაგრამ მეორე მხარეც არის. რა ქნან ამ საწყალმა მომღერლებმა, ქვეყანა იტყუება, ვინც ყველაზე მეტს იტყუება, ყველაზე მეტ ტაშს უკრავენ. ესენიც იტყუებიან და ამათაც უკრავენ ტაშს...

ცხელ-ცხელი ხუმრობები

ყველაზე დიდი იუმორით ანსამბლ „თბილისში“ ჩვენი ტრიო გამოირჩევა. ერთხელ ფილიპინებზე ვიყავით ზაფხულში. საშინელი სიცხე იყო, სასტუმროში ისეთი ძლიერი კონდიციონერები ეყენა, რომ ჩემოდნებს კედლებზე აკრავდა. გავნაწილდით ოთახებში, ზაზა მამალაძე და ნუგზარ აფხაიძე ერთად, რამაზ გუნიავა და მაესტრო — რობერტ გოგოლაშვილი ერთად. მთელი დღე მაესტროს ოთახში ვერთობოდით, ვთამაშობდით, ვჭვარტლავდით იქაურობას. გამოსვლისას ნუგზარი კონდიციონერს სითბოზე ჩართავდა. ჩვენ ვიძინებდით ჩვენს გრილ ოთახში. მაესტრო და რამაზი კი მთელი ღამეს „ცხლად“ ათენებდნენ. ორი ღამე ვაწვალეთ. მერე შევიბრალეთ. ძალა გამოეცალათ და კონცერტი ხომ უნდა ჩაგვეტარებინა. საერთოდ, ჩვენს ტრიოში ყველაზე მიამიტი, პატიოსანი რამაზ გუნიავაა. ყოფილა შემთხვევა, გამოვსულვართ სცენაზე, გავჩუმებულვართ და მხოლოდ რამაზს დაუმთავრებია სიმღერა ბოლომდე. რა ვქნათ, ჩვენი „ხალტურა“ ეს არის (რა თქმა უნდა, ხუმრობით), „ლევი“ კი იცით, რა არის? ქართული სუფრა.

და მაინც სიმღერა გადაგვარჩენს

აფხაზეთის ომის დროს სოხუმში ჩავედით კონცერტის ჩასატარებლად. გვახლდა 58 მოცეკვავე, სულ ბავშვები, 18-19 წლის გოგო-ბიჭები. СНГ-ს პანსიონატში გავჩერდით. რუსი იყო დირექტორი. ერთი ღამე გავათენეთ. მეორე ღამით რომ დავბრუნდით, უცნაურად მოგვხვდა თვალში: ტერიტორია უკაცრიელი იყო, კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ღამის 3 საათზე სროლა დაიწყო. 3 საათის განმავლობაში ზღვიდანაც და ჰაერიდანაც გვესროდნენ. ბავშვები პანიკამ მოიცვა. კიდევ კარგი, კარი დაკეტილი იყო და პანიკაში ჩავარდნილები გარეთ ვერ გაცვივდნენ, თორემ ერთი არ გადარჩებოდა. ღმერთმა დაგვიფარა, რომ არავინ დაიღუპა... შენობა მთლად განადგურდა. მერე ერთმა მოხუცმა ქალმა გვითხრა: ყველა შეგნებულად წავიდა და დაგტოვათ, რომ დაებომბეთო... ასეთი ფაქტი მომხდარა: ქართველებთან ვითომ შესარიგებლად წამოსულ აფხაზებს წინ გამოუძღოლებიათ ანსამბლ „ჩარატინის“ წევრები, ბერიკების მსგავსად, მოდიოდნენ წინ თურმე. უკან აფხაზები მოსდევდნენ შეიარაღებულები. ვიღაცას გაუსვრია. ჩვენებსაც უპასუხიათ და „ჩარატინის“ რამდენიმე წევრი ემსხვერპლა თურმე. ამ ტრაგედიის გამო შურისძიება სწყუროდათ...

...ისევ გვბომბავდნენ, როცა ზაზა მეორე სართულზე ავარდა და გიტარა ჩამოიტანა. ჩვენ სხვანაირად არ შეგვიძლია. ღმერთმა გადაგვარჩინა, სულს სიმღერა გადაგვირჩენს! ამიტომაც ვიმღერეთ მაშინვე...

ლელა ჯიყაშვილი

გოგა გველესიანს „გოდოს მოლოდინში“ უძილობა დასჩემდა

(დასაწყისი იხ. გვ.16)

— ვიცი, რომ ბეკეტის რეპეტიციების დროს ყველა ერთად წახვედით თურქეთში, სადაც ისვენებდით და მუშაობდით კიდეც...

— ამ მოგზაურობამ უდიდესი სიამოვნება მოუტანა თითოეულ ჩვენგანს. ერთად ცხოვრება დიდი ბედნიერება იყო. გასტროლები კიდევ სხვა რამეა... იქ მარტო ვისვენებდით, იყო ზღვა, მზე და დაუზოგავი რეპეტიციები... სულ სპექტაკლის შესახებ ვსაუბრობდით, სულ „გოდოზე“ ვფიქრობდით — კარტის თამაშისას, სადილობისას თუ სეირნობისას... ეს არის იდეალური ვარიანტი...

— როგორია ბატონ რობიკო ჩვეულებრივ ყოფით ურთიერთობებში?

— ძალიან თბილი, კეთილი, მოსიყვარულე. მეუხერხულება ამის თქმა, მაგრამ... არაერთხელ გამჩენია სურვილი, მივპარვოდი, ხელები მომეხვია და ჩავხუტებოდი, როგორც მამას ან ძალიან ახლობელ ადამიანს...

— პრემიერის წინ როგორი განწყობა გქონდათ?

— ბატონი რობერტი ბოლომდე ძალიან გაწონასწორებული იყო, მე კი ისტერიულ მდგომარეობაში ჩავვარდი. საერთოდ არ მეძინა... ამას დაემატა ის, რომ ვერ მოესწრო ქუდის შეკერვა. ამიტომ იძულებული გავხდი დამეხურა სხვა ქუდი, რომელიც დიდი მქონდა და ნერვებს მიშლიდა... ისე მოვიდა 29 სექტემბერი, ისე დაიწყო პრემიერა, ისე გაგრძელდა და დამთავრდა, რომ არ მახსოვს არაფერი... მინდა გითხრათ, რომ ისტერია გრძელდება — დღესაც არ მძინავს...

— რუსთაველის თეატრი მალე რემონტის გამო იხურება. თუ გრძნობთ უკვე ნოსტალგიას სცენის მიმართ?

— შენობაში გვექნება ადგილი, სადაც შევიკრიბებით ხოლმე... რეპეტიციები გაგრძელდება, ახალი სპექტაკლებიც დაიდგმება... რუსთაველის თეატრი ჩვეული ტემპით გააგრძელებს ცხოვრებას. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ზუსტად ერთი წლის შემდეგ — 29 სექტემბერს ბატონმა რობიკომ მაყურებელს შესთავაზოს „გოდოს მოლოდინში-2“, ესეც არ არის გამორიცხული.

— პრემიერის შემდეგ?...

— იყო საშინელი ოვაციები... სახლში ვერავინ წავიდა... სპექტაკლზე მომუშავე ჯგუფის ყველა წევრი ვიყავით ერთად... საერთოდ უცნაური რამ მოხდა... ყოველ წუთს ვეძებდით და ვურეკავდით ერთმანეთს... ისე დაგვაახლოვა რეჟისორმა, რომ ერთმანეთის გარეშე გაძლება გვიჭირს...

— რას იტყოდა ბატონი მიშა, „გოდოს მოლოდინში“ რომ ენახა?

— ძალიან ძნელია ამის თქმა. რადგან საოცრად ამოუცნობი ადამიანი იყო, მაგრამ... ზუსტად ვიცი, რომ უბედნიერესი იქნებოდა... სხვათა შორის, ეს განცდა პირველად თურქეთში ზღვასთან განმარტოებულს დამეუფლა. ვიგრძენი, რომ იმ ქვეყნად უხაროდა ჩვენი ერთად ყოფნა, მუშაობა, ფიქრი... ბატონი რობიკოს წარმატებით ძალიან გაიხარებდა. ბატონი მიშა და მე ერთად ვიყავით „ცხოვრება სიზმარიას“ პრემიერაზე და მახსოვს მაშინ ასეთი რამ მითხრა — „ბედნიერი ვარ, რომ რობიკო არსებობს“...

— და მაინც, კინომსახიობთა თეატრის სცენა არ გენატრებათ ხოლმე?

— ბატონი მიშას გარეშე — არა. მე მენატრება ის საოცარი ადამიანი, მისი რეპეტიციები... ჯერ დაკრძალულიც არ იყო, რომ იმ თეატრში უჩვეულო სიცარიელე ვიგრძენი. მიშა თუმანიშვილი არასდროს განმეორდება, ისევე როგორც რობერტ სტურუა... ასეთი ადამიანები არ მეორდებიან. ის სცენა, ბატონი მიშას გარეშე ჩემთვის ძნელი აღსაქმელია...

ეკა მახარაშვილი

ქვირის პალიტრა 7 - 13 ოქტომბერი, 2002

მედიცინა

შეკითხვა ექიმს

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.

მაწუხებს გული და ვეწევი ძალიან ბევრ სიგარეტს. კერძოდ რომელი დაავადების დროს არ შეიძლება სიგარეტის წევა?

გელა ნ.

სიგარეტის გადაგდება უპირველესად საჭიროა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, ზოგიერთი დაავადების მკურნალობა უეფექტო იქნება, თუ პაციენტი აგრძელებს მოწევას, ასეთებია: სიმსივნური, გულ-სისხლძარღვთა და ფილტვის დაავადებები. ასეთ შემთხვევებში ექიმები აუცილებელ პირობად უყენებენ ავადმყოფს სიგარეტზე უარის თქმას. ასე რომ, გირჩევთ, გადაეჩვიოთ ამ მავნე ჩვევას, ან უკიდურეს შემთხვევაში მინიმუმამდე შეამციროთ იგი.

რამდენადაც გავიგე, დღეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა ადამიანისათვის სისხლძარღვების დაზიანებაა, რაც ინფარქტისა და სხვა მრავალი საშიში დაავადების მიზეზი ყოფილა. როგორ შეიძლება დავიცვათ სისხლძარღვები მსგავსი დაზიანებისაგან?

პატივისცემით შალვა ბუღაძე

სავსებით მართალი ბრძანდებით. გულ-სისხლძარღვთა სისტემის სნეულებები ჯანმრთელობისათვის საშიშროების ხარისხის მიხედვით მეორე ადგილზეა. ამ დაავადებათა პროფილაქტიკისათვის უპირველესად უარი უნდა თქვათ სიგარეტზე ან მნიშვნელოვნად შეამციროთ დღის განმავლობაში მოწეული ღერების რიცხვი. კვების რაციონში უნდა შეიტანოთ მეტი ბოსტნეული და შეზღუდოთ მარილი, ცხოველური ცხიმი, ღორის, ცხვრის ხორცი უნდა შეცვალოთ ქათმის ხორცით, თევზით. უარი თქვათ ღუდზე, მაგარ ალკოჰოლურ სასმელზე. სისხლძარღვთა გასამაგრებლად დიდი მნიშვნელობა აქვს რეგულარულ ფიზიკურ ვარჯიშს.

მინდა სერიოზულად ვივარჯიშო კულტურიზმში, მაგრამ მეგობარი მიმტკიცებს, კულტურისტები იმპოტენტები არიანო. მართალია თუ არა ეს?

ლევან ჩ.

ზედმეტი ფიზიკური დატვირთვა მართლაც იწვევს სქესობრივი ლტოლვის დროებით დაქვეითებას, რადგან დაქანცულ ადამიანს სექსზე ფიქრისთვის დრო აღარ რჩება. მაგრამ დასვენების შემდეგ ყველაფერი მოწესრიგდება ხოლმე. უფრო რეალურია სხვა საშიშროება: კუნთების მასის გასადიდებლად კულტურისტები ხშირად იყენებენ სპეციალურ პრეპარატებს. თუ ეს სუფთა პროფეინია, იგი არ გავნებთ, მაგრამ არსებობს კოქტეილები ჰორმონული დანამატებით, რომლებიც თანდათანობით ჩაენაცვლება ორგანიზმის მიერ გამომუშავებულ ჰორმონებს (მათ შორის სასქესოსაც). დროთა განმავლობაში საკუთარი ჰორმონების პროდუქცია წყდება და ადამიანის პოტენციაც მკვეთრად ქვეითდება.

მყავს 4 თვის გოგონა. დაბადებიდან სახეზე აქვს მუქი წითელი ლაქა. პედიატრმა მითხრა, რომ ეს ჰემანგიომააო. ბავშვს ლაქა საკმაოდ აუშნოებს. მინდა გავიგო, რომელია დღეისათვის ყველაზე უმტკივნეულო მეთოდი ასეთი კოსმეტიკური დეფექტის მოსაშორებლად?

ლელა ქოიავა

ჰემანგიომა სისხლძარღვოვანი ქსოვილის თანდაყოლილი დეფექტია. იგი ორსულობის მე-3-4 თვეზე ვითარდება. როგორც ჩანს, ამ პერიოდში დედის ორგანიზმში რაღაც დარღვევებს ჰქონდა ადგილი, რაც გოგონას კანზე აისახა. ჰემანგიომა დაბადების შემდგომ გამოვლინდება ხოლმე, შეიძლება უმნიშვნელო ზომის იყოს, ანდა საკმაოდ დიდ ფართობს იკავებდეს. ნუ იჩქარებთ მის მოშორებას, რადგან სისხლძარღვოვანი სისტემა ამ ასაკში ჯერ ისევ ვითარდება (ასე გრძელდება 14-15 წლამდე) და შესაძლოა ამ პერიოდისათვის ჰემატომა თავისთავად გაქრეს. როდესაც მკურნალობის საკითხი დგება, ცალკე განხილვის საგანია ისეთი ჰემანგიომები, რომლებიც ამ ასაკშიც საშიშია. თუ ლაქა კავერნოზულია (ღრუსმაგვარი), ანთებითი ხასიათისაა ან ისეთ ადგილას მდებარეობს, სადაც ხშირია ტრავმის საშიშროება და ზოგჯერ სისხლდენაც კი ხდება, მაშინ მისი მოშორება აუცილებელია. ჰემანგიომის მოცილების შემდეგაც მოსალოდნელია გართულებები. ზოგჯერ ვითარდება ნაწიბური, რომელიც თვით ჰემანგიომაზე არანაკლებ უსიამოვნო შესახედია. რაც შეეხება მეთოდებს, ისინი საკმაოდ ბევრია (ლაზერო, კრიო, ქიმიოდესტრუქცია, ხოლო თუ ჰემანგიომა ძალიან დიდია — ქირურგიული ჩარევა). ყოველი მეთოდი თავისებურად კარგია, კონკრეტულ გადაწყვეტილებას კი ექიმი დიაგნოსტირების შემდეგ მიიღებს. გირჩევთ, მიმართოთ სპეციალიზებულ დაწესებულებას (და არა მეჭეჭებისა და ხალების მომშორებელ კერძო ფირმებს) და მხოლოდ ამის შემდეგ გადადგათ შემდგომი ნაბიჯი.

კარაბადინი

ყოველთვის მეშინოდა ვირუსების. უბრალო გაცივებაც ისე მირთულდებოდა ხოლმე, რომ რამდენიმე დღე ლოგინში მიწევდა წოლა. ნაცნობმა ისეთი რამ მასწავლა, რომ საბოლოოდ დავაღწიე თავი არა მარტო ვირუსულ ინფექციებს, არამედ საგრძნობლად გავიუმჯობესე ჯანმრთელობა. დილით, უზმოზე, ერთი სუფრის კოვზი მზესუმზირის ზეთი უნდა ჩაიგუბოთ პირში და წოვოთ 15-20 წუთის განმავლობაში. ჩაყლაპვა არ შეიძლება. ზეთი ფერს შეიცვლის და თეთრი-რძისფერი გახდება. გემოთიც დატკბებით. ამის შემდეგ უნდა გადაღვაროთ. თუ ამ მანიპულაციას ვირუსული ინფექციის დასაწყისში გააკეთებთ, დაავადება უკუქცევა და აღარ გაგირთულდებათ. ხოლო თუ ნებისყოფა გეყოფათ და ყოველდღიურად შეასრულებთ მოცემულ რეცეპტს, გარწმუნებთ, რა დაავადებაც არ უნდა გაწუხებდეთ, თავს უკეთ იგრძობთ.

მიხეილ ქოიაშვილი, თბილისი.

ექიმის კომენტარი: აღნიშნული რეცეპტი მრავალგზის გვხვდება აღმოსავლურ მედიცინაში. ამჟამად, იგი ჩვენშიც საკმაოდ გავრცელებულია, რადგან მართლაც ეფექტურ შედეგს იძლევა, რაც წოვის რეფლექსთანაა დაკავშირებული. ცნობილია, რომ წოვა ააქტიურებს ადამიანის ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლას, ჰორმონალურ სისტემას, ხელს უწყობს შხამების გამოყოფას ორგანიზმიდან და საერთო გაჯანსაღებას.

ჩემს შვილს პატარაობიდანვე ახველებდა ისე, რომ ვერაფერმა უშველა. შარშან ერთ-ერთ სამკურნალო ნიგნში წავიკითხე ასეთი რეცეპტი, რომლისთვისაც საჭიროა 675გ მაისის თაფლი, 375გ ალოე, 875გ წითელი ღვინო. ალოეს, მოჭრამდე 5 დღით ადრე, წყალი არ უნდა დაუსხათ, შემდეგ გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, აურიეთ თაფლი და ღვინო. ნარევი დადგით ბნელ და ცივ ადგილას 6 დღე. მიეცით ავადმყოფს პირველ ხუთ დღეს ერთხელ დღეში 1 ს/კ, ხოლო შემდეგ იმავე რაოდენობით სამჯერ დღეში, ჭამამდე 1 საათით ადრე. მკურნალობის ხანგრძლივობაა 2-3 კვირიდან 1,5 თვემდე. ეს ყველაფერი შევასრულე (ბავშვს პატარა კოვზით ვაძლევდი წამალს). საოცარი შედეგი მივიღე — მას შემდეგ ბავშვს აღარ დაუხველებია.

ა.ი.

ექიმის კომენტარი: თაფლი ხალხურ მედიცინაში ცნობილია, როგორც ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული და ორგანიზმის დაცვითი ფუნქციების ამწევი პროდუქტი. ალოე კი, ფიტოთერაპიაში გასაოცარი ანტიბაქტერიული თვისებებითაა ცნობილი. იგი ორგანიზმს აჯანსაღებს. ასეთივე ზემოქმედება აქვს სუფთა ღვინოს მცირე დოზებით. ასე რომ, მოცემული კომბინაცია უნიკალურია ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეს რეცეპტის მრავალნაცადია არა მხოლოდ ხალხურ მედიცინაში, არამედ მეცნიერულ მედიცინაშიც. რეცეპტს იყენებენ ქრონიკული დაავადებით დასუსტებული ორგანიზმის იმუნიტეტის გასააქტიურებლად, განსაკუთრებით ჩირქოვანი პროცესების, ტუბერკულოზის, ჰიპერტონიის, თირკმლების ქრონიკული დაავადებების, ჰაიმორიტის, თრომბოფლებიტის, რევმატიზმის და სხვა სნეულებების დროს.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

ბოლო ხანს ძალიან პოპულარული გახდა გოგრით მკურნალობა. მაგალითად, ინდოეთში გოგრით კურნავენ ტუბერკულოზს, იაპონელებს კი მიაჩნიათ, რომ მისი რეგულარულად მიღება — ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. გოგრა მდიდარია ვიტამინებით, ცხიმებით, ცილებითა და ნახშირწყლებით, ცელულოზით, გლუკოზით, მინერალური ნივთიერებებითა და მიკროელემენტებით — კალიუმით, კალციუმით, რკინით. კაროტინი კი, გოგრაში 5-ჯერ მეტია, ვიდრე სტაფილოში და 3-ჯერ მეტი, ვიდრე ღვიძლში. იგი კუჭში მსუბუქად გამხსნელი და შარდმდენია, რითაც ხელს უწყობს ორგანიზმიდან წიდების გამოდევნას, თანაც არ აღიზიანებს თირკმლებს. გოგრის კერძები, პროფილაქტიკის მიზნით, საუკეთესოა როგორც მწვავე ქრონიკული ნეფრიტის, პიელონეფრიტის, გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და ჰიპერტონიის დროს, ასევე სასარგებლოა ქრონიკული შეკრულობის, შარდსადენი სისტემის ანთებისას, ჰემოროისა და ნერვულ ნიადაგზე შეშუპების დროს. განსაკუთრებით სასარგებლოა ფეხმძიმობისთვის დამახასიათებელი ტოქსიკოზის დროს.

— თუ ყოველ დილას, უზმოზე 1 ჩ/ჭ გოგრის წვენს მიიღებთ, ის იმოქმედებს, როგორც მსუბუქი გამხსნელი;

— ერთი კვირის განმავლობაში სვით ყოველდღე თითო ჩაის ჭიქა გოგრის წვენისა და 1 ც ლიმონის წვენის ნარევი. ეს კოქტეილი კარგად მოქმედებს სახის კანზე.

ნარინჯისფერი მეფის თესლი ჭიების საწინააღმდეგო საშუალებაცაა. 200-250 გ უმი თესლის გული გახეხეთ ისე, რომ ერთგვაროვანი მასა მიიღოთ, გემოსთვის დაამატეთ მურაბა, თაფლი ან ცივი კაკაო (3 წილი გოგრის თესლი, 1 წილი მურაბა). ერთი საათის განმავლობაში მიიღეთ ფაფა პატარა ულუფებად.

უმი თესლის გულის რძე ძალიან სასარგებლოა თირკმლის, მენჯის, შარდის ბუშტის და ნაღველმდენი გზების დაავადებების დროს.

გოგრის რძე ასე მზადდება: 50 გ თესლის გული გახეხეთ, დაუმატეთ 80 მლ წყალი, 20 გ შაქარი და მიიღეთ უზმოზე.

გოგრის ემულსია სახის გასაწმენდად: უმი გოგრის თესლის გული დანაყეთ, დაასხით წყალი (1:10) და წაისვით სახეზე. 10-15 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

გოგრისგან ძალიან ბევრი გემრიელი და სასარგებლო ნუგბარიც მზადდება:

გოგრის პუდინგი: შეურიეთ ერთმანეთს 2 ჩ/ჭ ხორცსაკეპში გატარებული გოგრის რბილობი, 2 ს/კ მანანის ბურღული, 2 კვერცხი, 1 ს/კ ქიშმიში, 2-2 ს/კ ხაჭო და არაჟანი, მარილი გემოვნებით. მიღებული მასა მოათავსეთ მშრალ ფორმაში და დადგით წყლის ორთქლზე. ქვაბს დაახურეთ თავი, ხარშეთ 15-20 წუთი და პუდინგიც მზად არის. შეგიძლიათ მიირთვათ თბილიც და ცივიც.

გოგრის ფაფა: დაჭრილი გოგრის გული მოხარშეთ რძეში ან წყალში. შემდეგ გაქენით, დაუმატეთ გემოვნებით მარილი, შაქარი ან თაფლი, კარაქი.

ოქტომბერი №36

გოგრა – მცენარეთა მეფე

ოდითგან ცნობილია, რომ ყურძენს სამკურნალო თვისებები აქვს. ყურძნის რეცეპტები გვხვდება დიოსკორიდისა და ავიცენას, ძველეგვიპტურ და ჩინურ კარაბადინებში. დღეს განსაკუთრებული პატივით სარგებლობს ყურძნით მკურნალობა ანუ ამპელოთერაპია.

ყურძნის რბილობი ნახევრად წყლისგან შედგება, უხვად შეიცავს ნახშირწყლებს (უმთავრესად ადვილად ასათვისებელ გლუკოზასა და ფრუქტოზას), ორგანულ მჟავებს და მინერალებს (225 მგ კალიუმს). ამის წყალობით ყურძენი ითვლება შარდმდენ საშუალებად. ხელს უწყობს შარდმჟავას გამოდევნას.

ყურძნის წიწილი ჯიში გამოირჩევა პოლიფენოლების სიუხვით, როგორც რბილობში, ასევე კანში. შეგახსენებთ, რომ პოლიფენოლები ამაგრებს სისხლძარღვთან კედელს, ხელს უწყობს წნევის ნორმალიზებას. გარდა ამისა, ყურძენი არის კობალტის შესანიშნავი წყარო. ეს მიკროელემენტი შედის ვიტამინ B_{12}-ის შემადგენლობაში და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმუნური სისტემის მუშაობაში. აგრეთვე ყურძენი მდიდარია რკინითა და მარგანეცით. მისი პექტინური ნივთიერებები ხელს უწყობს სისხლში ქოლესტერინის დონის დაწევას. აქვს ანტიტოქსიკური მოქმედების უნარი. ყურძნის დიეტით იწმინდება ორგანიზმი და ზედმეტ ცხიმსაც იცილებს.

ყურძენს არაფერი მიაყოლოთ. ჭამეთ ყოველდღე 1-1,5 კგ. ჭამამდე ან ჭამის შემდეგ 2 საათის ინტერვალით. გაანაწილეთ 3-4 მიღებაზე. ყურძენი უკუჩვენებას იძლევა კუჭის წყლულის გამწვავების სტადიაში.

კომსომოლსკაია პრავდა №181

გემრიელი და სასარგებლო

გაითვალისწინეთ კვერცხი!

ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანისათვის აუცილებელ პროტეინებს, ვიტამინებსა და მინერალურ ნივთიერებებს მხოლოდ ქათმის კვერცხი შეიცავს.

ამ პროდუქტში ჩადებულია ადამიანის ჯანმრთელობისთვის აუცილებელი მაღალხარისხოვანი პროტეინები და 13 „მთავარი“ ვიტამინი. მათ შორის B_{12} და D.

ვინც დღეში თუნდაც ერთ კვერცხს ჭამს, მას ნაკლებად ემართება ჰიპერტონია, გულის რითმის დარღვევა, კუჭის წყლული...

კვერცხი აუმჯობესებს მხედველობას და მეხსიერებას, ანელებს ორგანიზმის დაბერების პროცესს.

ლიზა №37

პატარა სასკოლო ზურგჩანთა საშიშია!



ბოლო წლებში მოდაში შემოვიდა პატარა სასკოლო ზურგჩანთები. ისინი უნივერსალურია, მოსახერხებელია სკოლაში სასიარულოდ, სამოგზაუროდ. მაგრამ არცთუ უსაფრთხო ყოფილა. გერმანელი მეცნიერების გამოკვლევამ დაადასტურა, რომ აბგები, რომლებიც დამზადებულია ფრანგულ, თურქულ, ჩინურ და სხვა ქვეყნების ფირმებში, ბევრ მავნე ნივთიერებას შეიცავს, ამიტომ მათი ხანგრძლივი ხმარება აჩენს დერმატიტს. ზურგჩანთების მავნებლობა ძლიერდება სიცხეში, როცა შიშველ მხრებზე მოიგდებენ. ასეთ დროს ტოქსიკური შენაერთი ადვილად აზიანებს კანს. გარდა ამისა, არ შეიძლება ზურგჩანთის ტყავის თასმების გახსნა კბილებით — ეს სერიოზულ მოწამვლას იწვევს.

მეგაპოლის ექსპრესი №37

დასვენება ტვინის გახმე

გერმანელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ გრძელ და აქტიურ დასვენებას შესაძლოა პიროვნების გონებრივი დაძაბუნება მოჰყვეს. საკმარისია პლაჟზე 3 კვირა გაატაროთ, რომ თქვენი ინტელექტუალური კოეფიციენტი 20%-ით დაეცეს. ამიტომ, სამსახურში დაბრუნებულები ვერ ვასრულებთ უმარტივეს დავალებას და განუწყვეტლივ ვიმეორებთ — კალაპოტიდან ვარ ამოვარდნილიო. ამ დროს პასიური დასვენების მიზეზით ტვინი მოდუნებულია, თუმცა ერთი კვირის შემდეგ უბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას.

მაგრამ თუ ადამიანმა რამდენიმე თვე ან ერთი წელი დაისვენა, შესაძლოა ვეღარც აღადგინოს თავისი გონებრივი შესაძლებლობა.

ჟენსკოე დელა №11

როგორ გავწმინდოთ ორგანიზმი წიდებისაგან?

ი. იაშვილი, სამტრედია

სხეულის 70% წყალია. სითხე უზრუნველყოფს საკვები ნივთიერებების გადაადგილებას უჯრედისაკენ და იქიდან ნარჩენი ნივთიერებების გამოთავისუფლებას; ასევე ის ასრულებს უამრავ სხვა ფუნქციას. ორგანიზმში არსებული წყლის 10% სისხლსა და ლიმფაში შედის, დანარჩენი კი უჯრედშორის სითხეს წარმოადგენს. სწორედ ამ უჯრედშორის სითხეში ვრცელდება შხამიანი ნივთიერებების 83%, დანარჩენ 7%-ს სისხლი შეიცავს, ლიმფა კი 3%-ს.

უჯრედშორისი სითხის საშუალებით მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა. მისი კიდევ ერთი ფუნქციაა უჯრედების დაცვა შიმშილისა და „ჭარბი კვებისაგან". ის აკონტროლებს, რომ უჯრედისში არ შევიდეს ძალზე დიდი რაოდენობით საკვები ან პირიქით. ამ მაკონტროლებელი სისტემის ზედმეტად აქტიურობის გამო უჯრედი ვერ იღებს საკმარის საკვებს და შიმშილობს, ამიტომაც გზავნის იმპულსებს, მაგრამ სისხლში მოცირკულირე საკვები ნივთიერებები უჯრედამდე ვერ აღწევს, ისინი ორგანიზმში ცხიმის სახით გროვდება.

მაკონტროლებელი სისტემა თუ ცუდად მუშაობს, უჯრედი საჭიროზე მეტ საკვებს იღებს. ამ დროსაც წარმოიქმნება იმპულსები, სისხლში მოცირკულირე ნივთიერებები ორგანიზმიდან იდევნება და ადამიანი ხდება.

როდესაც უჯრედშორისი სითხე ტოქსინით ჯერდება, პროცესში ლიმფური სისტემა ერთვება. დასაწყისში ლიმფური კაპილარები იწოვს ტოქსინებს, რომელიც შემდეგ ტრანსპორტირდება ლიმფურ ძარღვებში, აქედან კი, ლიმფურ კვანძებში ჩაედინება. კვანძებში ჩაედინება „დაბინძურებული" ლიმფა და გამოედინება სუფთა. ყოველ ლიმფურ კვანძს შეესაბამება ორგანიზმში გარკვეული უბნები, ორგანო, ქსოვილი.

როდესაც ტოქსინების რაოდენობა ძალიან დიდია, კვანძი ვეღარ უმკლავდება, მათი ნაწილი გადადის სისხლში და მთელ ორგანიზმში ვრცელდება. შედეგად ვითარდება ქსოვილოვანი სითხის შეგუბება, ტოქსინების დაგროვება, შესაძლოა უჯრედების სიკვდილიც — „მოწამლული უჯრედები" ავადდება, ვეღარ ფუნქციონირებს, ირღვევა ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირება.

ტოქსინები ორგანიზმში მხოლოდ გარედან არ შეიღწევა. ტოქსინად შეიძლება მოგვევლინოს სისხლში მუდმივად არსებული შაქარიც.

გთავაზობთ ორგანიზმის დაბინძურების ხარისხის განმსაზღვრელ ტესტს, რომლის საშუალებით სუბიექტურად გაარკვევთ თქვენი ორგანიზმის დაბინძურების ხარისხს:

ჩამოთვლილი ნიშნების არსებობისას — დიახ — 1 ქულა; ზოგჯერ — 5 ქულა; არა — 0 ქულა.

მივხედოთ ორგანიზმს!

1. გიჩნდებათ თუ არა სხეულზე გამონაყარი, შეწითლებული უბნები?
2. ხომ არ ამჩნევთ, რომ ფიზიკურად უფრო დასუსტდით, გიჭირთ მუშაობა?
3. გეხვევათ თავბრუ?
4. გრძნობთ თუ არა თავს ზოგჯერ „გამოცლილად", „გამოფიტულად"?
5. გიჭირთ თუ არა სამსახურში ძალების მოკრება?
6. უჩივით თუ არა თავის ტკივილს, შაკიკს?
7. აღგენიშნათ თუ არა ტკივილი კუჭის არეში ან მუცლის სხვა რომელიმე ნაწილში?
8. ხომ არ გაწუხებთ კუჭ-ნაწლავი, შეკრულობა?
9. ხომ არ უარესდება თქვენი მხედველობის სიმახვილე?
10. გიჭირთ ერთ საკითხზე კონცენტრირება და ფიქრი?
11. ხომ არ გიჭირთ დაძინება?
12. ხომ არ მუშაობთ იძულებით?
13. გიჭირთ თუ არა ახალი ინფორმაციის ათვისება, სწავლა?
14. გარშემომყოფი ადამიანები გაღიზიანებენ უმიზეზოდ?

შედეგი: **0-30 ქულა** — შეგიძლიათ დამშვიდდეთ, ორგანიზმის მსუბუქი დაბინძურება გაქვთ. თუმცა ორგანიზმის გაწმენდა არ გაწყენდათ.

30-50 ქულა — ორგანიზმი საშუალოდაა დაბინძურებული, თუკი არ მიხედავთ, მდგომარეობა გაუარესდება.

60-80 ქულა — დაბინძურების მაღალი ხარისხია, ორგანიზმის გაწმენდა სასწრაფოდ უნდა დაიწყოთ.

დაბინძურების მსუბუქი ხარისხის დროს საკმარისია მცენარეული ნაყენების გამოყენება, საშუალო და ძლიერი დაბინძურების დროს ორგანიზმის გაწმენდა სქემის საშუალებით ხორციელდება, მაგ. პრეპარატ კატრელით, ასევე ნაღვლმდენ და ენტეროსორბენტებთან ერთად.

დაიწყეთ მცენარეული საშუალებებით:

თავშავა — მისი ნაყენი გამოიყენება ნაღვლის ბუშტის ანთების, მწვავე და ქრონიკული ბრონქიტის, ანგინის, ქრონიკული ტონზილიტის, დიათეზისა და კანის სოკოვანი დაავადებების დროს. ორგანიზმის გასაწმენდად უნდა მიიღოთ 3-4-ჯერ დღეში 1/2 ჭ. **უკუჩვენება:** ორსულობა.

სიმინდის მტვრიანა — ქოლეცისტიტის დროს ნაღვლმდენი და შარდმდენი საშუალებაა, ამცირებს შეშუპებას, რომელიც დაკავშირებულია გულისა და თირკმლის პათოლოგიებთან, ამცირებს მადას. ორგანიზმის გაწმენდას ის სისხლიდან იწყებს. **მიღების წესი:** 1/2 ჭიქა თბილი ნახარში ყოველ 3-4 სთ-ში ერთხელ. **უკუჩვენება:** სხეულის მცირე წონა, სისხლის შედედების მომატება, თრომბოფლებიტი. გირჩევთ ხსნარი საწრუპით დალიოთ.

კალენდულა — რეკომენდებულია ანტისეპტიკურ და ანტიანთებით საშუალებად ანგინის, პირის ღრუს ანთებითი პროცესების დროს, როგორც გამოსავლები საშუალება, საფენის სახით. კურნავს ეგზემას, მასტიტს, ჰიპერტონიას, თირკმლისა და გულის დაავადებებს. ახასიათებს გამწმენდი თვისება. **მიღების წესი:** 1/2 ჭიქა ყვავილების თბილი ნაყენი 3-4-ჯერ დღეში. **უკუჩვენება:** ალერგია.

ოხრახუში (სამეფო) — ინიშნება ნაღველკენჭოვანი დაავადებებისას, საკვების მონელების დარღვევისას, გულით გამოწვეული შეშუპების, პროსტატიტის დროს. ორგანიზმის გაწმენდისათვის უკეთესია ოხრახუშის ფესვები. **დოზირება:** 2 სუფრის კოვზი ფესვების ნახარში 3-4-ჯერ დღეში. **უკუჩვენება:** — ორსულობა, თირკმლების დაავადება.

მრავალძარღვა — მის წვენს ტრადიციულად იღებენ ქრონიკული გასტრიტისა და კოლიტის დროს. ის ამშვიდებს ნერვულ სისტემას და ახორცებს ჩირქოვან ჭრილობებს. წმენდს ორგანიზმს. **მიღების წესი:** 1/2 ჭიქა ფოთლების ნახარში ან 1 სუფრის კოვზი წვენი — 1/4 ჭიქა წყალში განზავებული 3-4-ჯერ დღეში. **უკუჩვენება:** კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება.

კატრელი — მცენარეული პრეპარატი ორგანიზმის გასაწმენდად. პრეპარატი მიიღება სქემის მიხედვით ნაღვლმდენ პრეპარატთან და ენტეროსორბენტებთან ერთად. ამ დროს გამწმენდი ეფექტი მნიშვნელოვნად ძლიერდება.

საორიენტაციო სქემა ორგანიზმის გასაწმენდად:

1. კატრელი: 15 დღე — 1 აბი 2-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წთ-ით ადრე. მიაყოლეთ 1/2 ჭიქა წყალი;
2. ნაღვლმდენი საშუალებები: — მიიღეთ ენტეროსორბენტების მიღების დროს. ნაღვლმდენი პრეპარატი — ალახოლი, ლიობილი და სხვა.
3. ენტეროსორბენტი — მიიღეთ 8-15 დღე, კატრელის მიღების პირველივე დღიდან. პრეპარატები — პოლისეპანი, ენტეროსგელი: დღიური დოზა 3-ჯერად მიღებაზე გაანაწილეთ. მიღეთ ის ჭამათა შორის პერიოდებში.

ექიმის თანხმობით სქემაში შეიძლება ჩართოთ:

1. კუჭქვეშა ჯირკვლის ერთ-ერთი ფერმენტი — ფესტალი, მეზიმ-ფორტე, პანზინორმი; 1-2 აბის ოდენობით. ნაღვლმდენი პრეპარატების მიღებასთან ერთად;
2. ნაწლავების ფლორის ნორმალიზაციისათვის პრეპარატი — ლაქტო-პრეპარატები, ბიფიდუმი. ის უნდა მიიღოთ 2-ჯერ დღეში ჭამათა შორის პერიოდებში, ენტეროსორბიტების მიღებიდან 2-3 კვირის მერე;
3. მთელი კურსის დროს მიიღეთ მიკროელემენტები და პოლივიტამინები.

მაია მუხიგული

ძილო, ძილო, დამაძინე...

თუ არ გეძინებათ, გაიხსენეთ ბავშვობაში მოსმენილი და გულს ჩარჩენილი ტკბილი იავნანები და რამდენჯერმე წაიღიღინეთ: „დავწვები, დამეძინება, თვალს რული მომეკიდება, ია და ვარდი სურნელი, გულზედაც დამეფინება".

ძილის წინ სასარგებლოა დალიოთ გვირილის ჩაი, მით უმეტეს, თუ კარგად ივახშმეთ. ეს ჩაი არა მარტო დაგამშვიდებთ, არამედ მოგიხსნით სიმაძღრის უსიამოვნო შეგრძნებას, რაც შეიძლება გახდეს უძილობის მიზეზი.

არ გირჩევთ ღამით ტელევიზორის ყურებას. ნაზი, მშვიდი, წყნარი და ნათელი მუსიკის მოსმენა ცოტა ხნით (0,5 საათი) სრულიად საკმარისია, რომ მშვიდად ჩაგეძინოთ.

ფინიკი არის უებარი ძილისმომგვრელი საშუალება, იგი, როგორც სიცოცხლის ხე, პირველად მოიხსენიება ბიბლიაში.

ფინიკის ნაყოფი ძალიან კალორიულია. 100 გ ფინიკი შეიცავს 281 კკალორიას. არაბული სამზარეულო მისგან სხვადასხვა კერძს გვთავაზობს.

თუ საღამოს შეჭამთ ფინიკს, უთუოდ გულისძილით დაგეძინებათ.

ძილს მოგგვრით ვარდის ფურცლის ყურთბალიში, სასთუმლის შეცვლა.

ვოტ ტაკ №37

აი, რა შეუძლია მუსიკასა და ფერწერას

არავისთვის ახალი არ არის ის, რომ ხე-

ლოვნება, კერძოდ, მუსიკა და ფერწერა დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ინტელექტის განვითარებაზე. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ტვინის ფიზიოლოგიის სფეროში უახლესმა გამოკვლევებმა. ამერიკელმა, ავსტრიელმა და შვეიცარიელმა მეცნიერებმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩაატარეს ექსპერიმენტი 5-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებზე. საკონტროლო ჯგუფი სწავლობდა სტანდარტული სასკოლო პროგრამით, ექსპერიმენტულ ჯგუფში კი, მუსიკის საათები გაზრდილი იყო მათემატიკისა და ენების საათების ხარჯზე. სამი წლის განმავლობაში ისინი არათუ ჩამორჩნენ საკონტროლო ჯგუფის თანატოლებს, არამედ უკეთესი შედეგებიც ჰქონდათ, განსაკუთრებით უცხო ენების შესწავლისას. ამრიგად, მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მუსიკა უნდა ისწავლოს არა მარტო მუსიკის ნიჭით დაჯილდოებულმა, არამედ ყველა ბავშვმა. თუმცა, მუსიკის სწავლება არ უნდა იყოს იძულებითი, რადგან ამ შემთხვევაში, როგორც ნეიროფიზიოლოგები აღნიშნავენ, შეიმჩნევა თავის ტვინის ნახევარსფეროების განვითარების დისბალანსი.

ქარჩაულის სითხით
ხალების, მეჭეჭების, პაპილომების, გემანგეომების და სხვა კანის დაავადებების მკურნალობა გარანტიით.
მკურნალობს ექიმი-დერმატოლოგი
მარიანა ქარჩაული
მის: ყაზბეგის გამზ. №8, (ყოფ. პავლოვი) II სად. ბინა 24.
☎ 38-94-51; 899-51-84-68 ლიც. №2553

სიახლე დამწვრობის ცენტრში
სვირინგების მოცილება
მის: კაპანაძის №3 დამწვრობის ცენტრი, პლასტიკოსი-ქირურგი გუგა ქაშიბაძე ☎ 96-88-17; 98-70-68 (საღამოს); 899-17-25-38

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა
ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე
თბილისი, ივ. ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთ. 1
ტელ: 899 95-68-08; 95-68-08 (ბინა)

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა
ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!
ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

სამედიცინო ცენტრი „მედი" MEDI
ლიპოსაქცია
ნაოჭების გასწორება
ტუჩების კორექცია
მკერდის გადიდება
სახის კანის გაახალგაზრდავება
ბლეფაროპლასტიკა
ეპილაცია
თმის გადანერგვა
კონტურული მაკიაჟი
უკონტაქტო ეპილაცია

ალექსანდრიტის ლაზერის უახლესი სისტემის აპარატით
ჭარბთმიანობისაგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება
■ სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
■ ჩხვლეტის გარეშე
■ უმტკივნეულოდ
■ სწრაფად
ალ. ყაზბეგის გამზ №1 ტელ: 25 02 02 93 89 75
ელ. ფოსტა: meditb@gol.ge

ლიზა №38

ჩეჩენი ლტოლვილები თურქეთისკენ მიმლტვინავ

აზერბაიჯანს შეკედლებულმა ჩეჩენმა ლტოლვილებმა დახმარების იმედი დაკარგეს და ახლა თურქეთში სურთ გამგზავრება.

დამკვირვებლების ვარაუდით, ბაქოს უყურადღებობა ლტოლვილთა პრობლემების მიმართ, აიხსნება რუსეთ-აზერბაიჯანის დაახლოებით.

ბაქოში იჩქერიის წარმომადგენლობა ირწმუნება, რომ ბოლო ხანს აზერბაიჯანში ლტოლვილთა მდგომარეობა გაუარესდა, ხელისუფლებას ჩეჩენთა კულტურული სა-

ზოგადოებების რეგისტრაციისაც კი ეშინია — ვაითუ პოლიტიკური საქმიანობა დაიწყონო.

დევნილები, რომლებსაც საკუთარი ბიზნესი გააჩნდათ, ნელ-ნელა იკრავენ გუდანაბადს აზერბაიჯანიდან. ცნობილი პოლიტიკოსი და მეწარმე, ჯოჰარ დუდაევის ხელისუფლებაში საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი ჰოჯაჰმედ ნუხაევი სათავეში ედგა „კავკასიის საერთო ბაზარს“, ახლა კი იქ სულ ათიოდე თანამშრომელიღა დარჩა.

სულ ცოტა ხნის წინ ჩეჩენი დევნილები საქართველოს ელტვოდნენ, მაგრამ ახლა, მას შემდეგ, რაც შევარდნაძეს მოსკოვმა მრისხანედ დაუქნია თითი, თურქეთსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებს ამჯობინებენ; იქ კი ჩეჩნეთის ათობით წარმომადგენლობა და ორგანიზაცია მუშაობს, რომლებიც უფრო ხელგაშლით დახვდებიან თანამემამულეებს. ამასთან, თურქეთის ხელისუფლებას უფრო გულთბილი დამოკიდებულება აქვს ამბოხებული რესპუბლიკის მიმართ, ვიდრე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს.

იზვესტია №178

ქალაუფლება მემკვიდრეობით გადადის?

ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს თავისი ვაჟი დიდ პოლიტიკაში შეჰყავს. ამ დღეებში 39 წლის ჰამალ მუბარაქმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ეგვიპტის მმართველ პარტიაში. მამამ საამისოდ წინასწარ მოამზადა ნიადაგი, თანაპარტიელებს მოუწოდა, ახალგაზრდები უფრო აქტიურად უნდა დავაწინაუროთო.

ჰამალმა განათლება ევროპაში მიიღო, მას აქვს ახალგაზრდა რეფორმატორი პოლიტიკოსის რეპუტაცია. დიპლომატიურ წრეებში პროამერიკული ორიენტაციის გამო მეტსახელად ჯიმი შეარქვეს. ბევრს მიაჩნია, რომ მუბარაქი ვაჟს თავისი ადგილის დასაკავებლად ამზადებს.

მოსკოვსკიე ნოვოსტი №38

ალან გრინსპენმა მეგობრობა გააგრძელა

დიდ ბრიტანეთში ვიზიტით მყოფმა აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის თავკაცმა ალან გრინსპენმა, ზოგიერთი ბრიტანელის აზრით, მეტად შეურაცხმყოფელი სიტყვა წარმოთქვა — მისი ქათინაური ინგლისის ეროვნული ვალუტისა და ბანკის მიმართ ძალზე იქედნური იყოო.

მსოფლიოს ყველაზე გავლენიანმა ბანკირმა ბრძანა, — ლონდონი ბრწყინვალე ადგილია ბიზნესის საწარმოებლად და, მიუხედავად ევროს არსებობისა, მაინც შეძლო პირველობის შენარჩუნებაო.

გაირკვა, რომ გრინსპენი იმდენად გირვანქა სტერლინგითა და ბრიტანეთის ცენტრალური ბანკით არ იყო აღტაცებული, რამდენადაც იმ ფაქტით, რომ ბრიტანეთი არ შედის ევროს ზონაში. ევროს ბრიტანელი მომხრეები უფრო იმან აღაშფოთა, რომ ეს ყველაფერი ბატონმა გრინსპენმა თავისი მეგობრის, ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრის გორდონ ბრაუნის თანდასწრებით თქვა. ევრობრიტანელთა აზრით, ქვეყნის შინაურ საქმეებში ასე თავხედურად არავინ ჩარეულა.

ბრიტანელებთან ერთად გერმანელებიც განაწყენდნენ — თავის სიტყვაში გრინსპენმა ლონდონი ფრანკფურტს შეადარა და ეს სასიამოვნოდ არ დარჩენიათ გერმანელებს, რადგან ალან გრინსპენის თქმით, მართალია, ფრანკფურტში იგრძნობა აქტიურობის ზრდა, მაგრამ ლონდონის სიტის ფონზე გერმანიის საქმიანი ცენტრი მეორეხარისხოვნად გამოიყურებაო.

ვლასტი №39

პუტინი გაამოცდის წინაშე დგას

ერაყის კრიზისმა ვლ. პუტინს დიდი თავსატეხი გაუჩინა. პრობლემები კი ისედაც ბევრი ჰქონდა — ამბოხებული ჩეჩნები, პანკისის ხეობაში მიმალული ტერორისტები, ქვეყნის შიგნით ეკონომიკური არასტაბილურობა. მას წამდაუწუმ ახსენებენ, ცივი ომის დასასრულით შენმა ქვეყანამ ზესახელმწიფოს სტატუსი დაკარგაო. პუტინს დიდი არჩევანი არ დარჩენია — ან სადამ ჰუსეინს უნდა დაუდგეს გვერდით (რუსებს კარგად ახსოვთ, ბალკანეთზე ბორის ელცინი უკანასკნელ წუთამდე როგორ უჭერდა მხარს დამარცხებულებს და საბოლოოდ განდეგილ და წაგებულ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა. პუტინს ეს არ სურს), ან ჰუსეინს უსაფრთხო ადგილი უნდა გამოუძებნოს. მაგრამ ერაყელი დიქტატორი არც ირანის შაჰია და არც ჰაიტელი მმართველი ჟან კლოდ დიუვალიე, რომლებიც სამშობლოდან გაიქცნენ. ამასთან, დღეს მსოფლიოში გაცილებით ცოტა ადგილია, სადაც შეიძლება დისკრედიტებული დიქტატორის დამალვა.

თუ რუსეთმა გაიზიარა ბუშის პოზიცია, რომელიც ერაყს მსოფლიოს სტაბილურობის საფრთხედ მიიჩნევს, მაშინ პუტინს ბუშისთვის დახმარების გაწევის შანსი მიეცემა. ეს კი დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს და ანგარიშგასაწევი ფაქტორი გახდება. რუსეთი ჰგავს ოდინდელ იმპერიულ ბრიტანეთს — ინტერესები გააჩნია, მაგრამ არ ჰყავს მოკავშირეები. პუტინს სურს მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ რუსეთი მეტად ანგარიშგასაწევი ქვეყანაა. რუსეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანია კონტრაქტები ნავთობის სფეროში. ნავთობის ბარონებს ქვეყანაში დიდი წონა აქვთ; ახლა ქვეყნის შიგნით დაინტერესებული პირები ყველაფერს აკეთებენ, რომ არ დაირღვეს კონტრაქტები იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჰუსეინს სხვა ლიდერი შეცვლის.

ბოსტონ გლობი

კრიზისი ჩრდილოეთიდან დაიწყება

გერმანიაში საპარლამენტო არჩევნები უკან დარჩა. ევროპის მთავარ ეკონომიკურ ლოკომოტივზე მემანქანე არ შეცვლილა. კიდევ 4 წლით ქვეყანას უხელმძღვანელებენ სოციალ-დემოკრატები და „მწვანეები“ კანცლერ გერჰარდ შრედერის თავკაცობით. არჩევნების შედეგების გამოქვეყნებისთანავე მეწარმეებმა ეკონომიკურ დაქვეითებაზე დაიწყეს ლაპარაკი. არჩევნებში გერმანიის ბიზნესი კონსერვატორულ ოპოზიციას უჭერდა მხარს. მემარცხენეებმა (ქვეყანაში სოციალ-დემოკრატებს და ეკოლოგისტებს მემარცხენეებს უწოდებენ) რამდენადმე დაარღვიეს ბოლო წლების „მემარჯვენეთა საერთო ევროპული მარში“. ფაქტობრივად, დღეს მემარჯვენე პარტიები აკონტროლებენ იტალიას (პრემიერი სილვიო ბერლუსკონი), ესპანეთს (მთავრობის მეთაური ხოსე მარია ასნარი), საფრანგეთს (მემარჯვენე პრეზიდენტ ჟაკ შირაკს ჟან-პიერ რაფარენის კონსერვატორული მთავრობაც დაემატა).

ევროპაში მემარჯვენე და მემარცხენე ბანაკებს პირობითი გეოგრაფიული ხაზი ჰყოფთ. შეიძლება ითქვას, რომ მემარჯვენეები კონტინენტის სამხრეთში ბატონობენ, სოციალისტების ბასტიონად კი ჩრდილოეთი რჩება. კონსერვატორთა პრინციპები მარტივია: დიდი ბაზრები, დაბალი გადასახადი, შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია. მემარცხენეები, მართალია, არ უარყოფენ საბაზრო პრინციპებს, მაგრამ ემხრობიან სოციალური უზრუნველყოფის სისტემას: უფასო სწავლა, გარანტირებული სახელმწიფო პენსია, დახმარებები, სტიპენდია და ა.შ.

გერმანიის მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარემ არჩევნების შედეგების გამოქვეყნებისთანავე განაცხადა — ევროპამ რადიკალური რეფორმები უნდა გაატაროს სხვის ხარჯზე ცხოვრების მსურველთა ფსიქოლოგიის შესაცვლელად, როგორც ეს მოხდა ამერიკაში რონალდ რეიგანის მმართველობის წლებშიო. გერმანელისა და შვედისაგან განსხვავებით, ამერიკელი 5 წლის განმავლობაში იღებს უმუშევრობისთვის დახმარებას, სასურსათო ტალონებით მას მხოლოდ იაფფასიან მაღაზიებში აძლევენ პროდუქტს, რაც, თავისთავად, მეტად დამამცირებელია და ადამიანს სამუშაოს მოსაძებნად ან საკუთარი, თუნდაც მცირეშემოსავლიანი ბიზნესის დასაწყებად უბიძგებს.

ახლა ევროპის მემარცხენე ფლანგზეა დამოკიდებული, მოახდენს თუ არა იგი რევოლუციას, ეს გახლავთ კონტინენტის ეკონომიკური მომავლის საფუძველი.

იტოგი №39

ხვრელი კასტროს კედელში

კუბის მარადიულმა წვეროსანმა ლიდერმა ფიდელ კასტრომ თავისი დაუძინებელი „იმპერიალისტი მტრის“ — შეერთებული შტატების წინააღმდეგ, დიდი ხანია უხილავი კედელი ააგო. თუმცა ბოლო წლებში „კედელს“ ხვრელები მოუმრავლდა. ეს კი იმ ამერიკელთა დამსახურებაა, ვინც, მიუხედავად ვაშინგტონის აკრძალვისა, კუბაში დასასვენებლად ჩადის. ყოველწლიურად კუბას სტუმრობს 50 000-ზე მეტი ამერიკელი, მეტწილად კი ახალგაზრდობა. ტურისტებს ფერმერებიც მიჰყვნენ. მათ კუბაში „ამერიკის აგრობიზნესის გამოფენაში“ მიიღეს მონაწილეობა. სულ გამოფენაზე 280 ამერიკული კომპანია იყო მიწვეული. კასტროს იმედი აქვს, ამერიკელი ფერმერები მხარს დაუჭერენ ამერიკის მიერ დაწესებული ემბარგოს მოხსნის საქმეში. თავის მხრივ, ამერიკელებისათვის კუბა პერსპექტიული ბაზარია. სავაჭრო ემბარგოში პირველი ხვრელი ამერიკელებს 2000 წელს გაუჩნდათ, როდესაც პრეზიდენტმა კლინტონმა ხელი მოაწერა განკარგულებას, კუბისთვის ნაღდი ანგარიშსწორებით საკვებისა და წამლების მიყიდვის თაობაზე. ფერმერებმა ამით ისარგებლეს და კუბასთან 120-მილიონ დოლარიანი კონტრაქტები გააფორმეს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელ ფერმერთა „ექსპანსია“ კუბელთათვის შვების მომტანია, კუბის ლიდერი მაინც ეჭვით უყურებს ამერიკელთა შემოსვლას კუნძულზე, ეტყობა, კასტროს მწარედ ახსოვს ერთი ამერიკელი პოლიტიკოსის განცხადება: კუბის რეჟიმის დასამხობად სულაც არ არის საჭირო სამხედრო ჩარევა, კუნძული უნდა დავბომბოთ ამერიკელებით, ჩვენი პროდუქტებითა და იდეებითო. კასტროს უხილავი კედელი უკვე დახვრეტილია ამერიკელებითა და ამერიკული პროდუქტებით და თუ ამას იდეებიც მოჰყვება, მაშინ ფიდელის რეჟიმიც დასრულდება.

ნიუზუიკი

PHILIP MORRIS-ი მწეველ ქალბატონს 28 მილიარდ დოლარს გადაუხდის

ლოს-ანჯელესის სასამართლომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო — PHILIP MORRIS-მა 28 მლრდ დოლარი უნდა გადაუხადოს ფილტვების სიმსივნით დაავადებულ 64 წლის ქალბატონს, რომელმაც კომპანია დაადანაშაულა თამბაქოს წევის მავნებლობის შესახებ ინფორმაციის დამალვაში.

კომპანიის წარმომადგენლები აპირებენ განაჩენის გასაჩივრებას, რადგან ამხელა თანხის გადახდა აუნაზღაურებელ ზარალს მიაყენებს „ფილიპ მორისს“ და დარწმუნებულნი არიან, სააპელაციო სასამართლო გააუქმებს გადაწყვეტილებას, რადგან იგი კანონის თვალსაზრისით მიუღებელია და ფაქტებს ეწინააღმდეგება.

სექტემბრის დამლევს სასამართლომ განიხილა ბეტი ბალოკის სარჩელი, იგი 47 წელია ეწევა და თურმე მტკიცედ სჯეროდა კომპანიისა, რომელიც ირწმუნებოდა, სიგარეტის მოწევასა და ფილტვების კიბოს შორის არავითარი კავშირი არ არსებობსო. ბეტი ამტკიცებს, სწორედ PHILIP MORRIS-ის თაღლითობისა და გულგრილობის წყალობით დავსნეულდიო. სასამართლომ მხარი დაუჭირა მომჩივანს და კომპანიას 850 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა.

ბალოკის ადვოკატის თქმით, მისი კლიენტი კმაყოფილი დარჩა სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაგრამ საქმე მანამდე არ დასრულდება, ვიდრე PHILIP MORRIS-ი პასუხს არ აგებს ნაადრევად გარდაცვლილი ნახევარი მილიონი კალიფორნიელის გამო, რომლებიც კომპანიის თაღლითურ განცხადებას ემსხვერპლნენ.

ბეტი ბალოკმა პირველად გადაწყვეტილ თანხასთან შედარებით, თითქმის 33 ათასჯერ მეტი უნდა მიიღოს.

როიტერი

დავიწყებული კონფლიქტები

სამხრეთ კორეაში 486 ოჯახი დღემდე მოუთმენლად ელის თავისი ოჯახის წევრებს. ისინი სხვადასხვა დროს მოიტაცეს ჩრდილოკორეელმა სპეცსამსახურებმა. მათი ადგილსამყოფელი უცნობია. თუმცა ჩრდილოეთიდან გაქცეულთა აგენტები ადასტურებენ, რომ გატაცებულთა ნაწილი დღემდე ცოცხ-

ალია და მათ აიძულებდნენ ემუშავათ საიდუმლო ინსტიტუტებში. საქმე ის არის, რომ ფხენიანი იტაცებდა სამხედრო, ქიმიის და ფიზიკის წამყვან სპეციალისტებს. გატაცებულთა ნათესავებმა დემილიტარიზაციის ზონაზე გამავალი სარკინიგზო მაგისტრალი გადაკეტეს და განაცხადეს, რომ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ არც ერთ შემადგენლობას არ გავატარებთ, ვიდრე ფხენიანი ოფიციალურად არ აღიარებს სამხრეთ კორეელთა გატაცებასო.

ნიუზუიკი

მოკლედ

CNN-ის ცნობით, **აშშ**-ის პოლიცია ეძებს დამნაშავეებს, რომლებმაც 15 საათის განმავლობაში ვაშინგტონის გარეუბანში 5 ადამიანი მოკლეს და მანქანით მიიმალნენ. როგორც დადგინდა, მოკლულები ერთმანეთს არ იცნობდნენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებს თავს დაატყდა ქარიშხალი „ლილი“, რომელმაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა კუბასა და იამაიკას. ლუიზიანის შტატის ნახევარ მილიონზე მეტი მცხოვრები იძულებული გახდა, საცხოვრებელი ადგილები დაეტოვებინა.

გაეროს შტაბგბინას თავს დაესხა საფოსტო სამსახურის თანამშრომელი, იგი გალავანზე გადაძვრა და შენობას ტყვია დაუშინა. თავდამსხმელმა ეზოში ფურცლები მიმოფანტა, რომლებზეც ეწერა: „ჩრდილოეთ კორეა იღუპება დიქტატორ კიმ ჩენ ირის ხელში, კორეას შველა სჭირდება.“ თავდამსხმელს დაპატიმრებისას წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ავლანეთში ამერიკის სამხედრო სპეცოპერაციის შედეგად მოკლეს უსამა ბინ ლადენის პირადი ექიმი და თანაშემწე მოჰამედ ზავაჰირი. აშშ-ის სპეცსამსახურები მას ეძებდნენ ტანზანიასა და კენიაში ამერიკის საელჩოებში ტერაქტების მოწყობისთვისს.

ახალი ზელანდიის აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებნი შეაშფოთა ცაში მოულოდნელად გამოჩენილმა უზარმაზარმა განათებულმა ბურთმა, რომელიც ფერად ნაპერწკლებს აფრქვევდა. სპეციალისტების აზრით, საიდუმლო ობიექტი შეიძლება ხელოვნური თანამგზავრის ნარჩენი იყოს.

ჟარაჩიში პაკისტანისა და აშშ-ის სპეცსამსახურების ერთობლივი ოპერაციის შედეგად დააკავეს 11 სექტემბრის ტერაქტების ერთ-ერთი ორგანიზატორი — რამზი ბინ აშ-შეიბა. ახლა გაჩნდა თანამედროვეობის ყველაზე გრანდიოზული ტერაქტის გამოძიების შესაძლებლობა.

კლასიკური მუსიკის სამყაროში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა. **რუსეთის** ეროვნული ორკესტრის დირექტორმა ს. მარკოვმა მუსიკოსებს შესთავაზა — არჩევნები მოვაწყოთ, გსურთ თუ არა, რომ ვლადიმირ სპივაკოვი კვლავაც იყოს ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელიო. არჩევნები არ გაიმართა, მაგრამ სპივაკოვი სამი თვის შემდეგ მაინც აპირებს თანამდებობის დატოვებას. 2003 წლის იანვრიდან მის ადგილს მიხაილ პლეტნევი დაიკავებს.

ჩრდილოეთ ოსეთის კარმადონის ხეობაში გრძელდება საძიებო სამუშაოები. მაშველებმა იპოვეს 18 ცხედარი. 132 ადამიანი, მათ შორის კინორეჟისორი სერგეი ბოდროვი და გადამღები ჯგუფის წევრები, კვლავ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებიან.

ცნობილი გახდა, რომ **ინგუშეთის** ყოფილი მშვიდობიანი რესპუბლიკა სრულმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების არენად იქცა. რუსეთის შეიარაღებულ ძალთა სარდლობამ ნება დართო ბუდიონოვსკში მყოფ შვეულმფრენების ეკიპაჟებს საჭიროების შემთხვევაში იერიში მიიტანონ არა მარტო ჩეჩნეთზე, არამედ ინგუშეთზეც.

დალაი-ლამას წარმომადგენელმა ლოდი გუარიმ, რომელიც სამ კვირას იმყოფებოდა ჩინეთში, განაცხადა, რომ ტიბეტის განდევნილ სულიერ ლიდერ დალაი ლამასა და პეკინს შორის უშუალო კავშირი აღდგა.

12 წლის შემდეგ — სახელმწიფო ქონების გადანაწილება ისევ დაიწყო

სახელმწიფო სიმდიდრის გადანაწილება საქართველოში 1990 წელს დაიწყო. მაშინ ამ პროცესს ხელი ვერ შეუშალა იმან, რომ ქვეყანა საომარი მოქმედებების პირობებში ცხოვრობდა, ხოლო საფინანსო-საკრედიტო სისტემა, ფაქტობრივად, არ არსებობდა. პირიქით, სახელმწიფომ ამ პერიოდში შესანიშნავად მოახერხა თავიდან მოეცილებინა ის ქონება, რომელიც არ სჭირდებოდა. თან საბოლოოდ მოაგვარა ურთიერთობები გარკვეულ კლანურ ძალებთან — ბევრი საწარმო მიჰყიდა ან „მიაჩუქა“.

სახელმწიფოს განკარგულებაში კი ზუსტად 1.588 კომპანია დარჩა:

„საქართველოს რკინიგზა“, „თბილისის აეროპორტი“, „ელექტროგადაცემა“, „თბილსრესი“, „ელექტროკავშირი“, „აზოტი“ — ეს იმ სახელმწიფო კომპანიების არასრული ჩამონათვალია, რომლისთვისაც ბრძოლა ზუსტად 12 წლის შემდეგ ისევ განახლდა. როგორც იტყვიან, სახელმწიფო ქონების ყველაზე მსუყე ნაჭრები დღეს ისევ მაგიდაზე აწყვია და ისიც აშკარაა, რომ ქონების ხელახალი გადანაწილების პროცესი ისეთი მარტივი აღარ იქნება, როგორიც ეს თუნდაც 12 წლის წინ იყო.

რატომ „იკლავს“ ეს ხალხი თავს ანუ სახელმწიფო ქონება ციფრებში

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების წმინდა მოგებამ გასულ 2001 წელს 70 მილიონ ლარს გადააჭარბა. ეს საკმაოდ დიდი ციფრია. თუმცა კონტროლის პალატის ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, — 1999 წლიდან დღემდე კომპანიების მოგების საერთო მაჩვენებელი მართალია გაიზარდა, მაგრამ თითქმის განახევრდა თავად მომგებიანი კომპანიების რიცხვი. 1999 წელს 1588 საწარმოდან 400-ზე მეტმა კომპანიამ წელი მოგებით დაასრულა, ხოლო წმინდა მოგებამ 41.6 მილიონი ლარი შეადგინა. მომდევნო წელს წარმატებული მხოლოდ 390 საწარმო აღმოჩნდა. წმინდა მოგებამ კი 55 მილიონ ლარს გადააჭარბა. 2001 წელს მომგებიანი კომპანიების რიცხვი განახევრდა, მაგრამ მოგებამ უკვე 70.5 მილიონი ლარი შეადგინა. ამ ტენდენციას ექსპერტები მარტივად ხსნიან: უვარგისმა მენეჯმენტმა, სახელმწიფოს მხრიდან არასწორმა მართვამ ბევრი კომპანია გააკოტრა და ჩამოსაწერი გახადა — უფრო მეტიც, იქმნება იმის აშკარა საშიშროება, რომ რამდენიმე წელიწადში დარჩენილი მომგებიანი საწარმოებიდან ქვა ქვაზე აღარ დარჩეს.

ამ პერიოდის მანძილზე ყველაზე მეტად მაინც ქვეყნის ბიუჯეტი დაზარალდა. საქმე ეხება საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 აპრილის №257 ბრძანებულებას, რომელიც კომპანიებს ავალდებულებს წმინდა მოგებიდან სახელმწიფო ბიუჯეტს დივიდენდი გადაუხადოს. 1999 წლიდან 2001 წლამდე ბიუჯეტში დივიდენდების სახით მხოლოდ 23 მილიონი ლარი შევიდა (1999 წელს 3.2 მლნ ლარი, 2000 წელს — 9.9 მილიონი, 2001 წელს კი დაახლოებით 10 მილიონი ლარი).

რამდენად სწორად ხდებოდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში წმინდა მოგების გადანაწილება, ამის შესახებ კონტროლის პალატაში ოფიციალური განმარტებისგან თავი შეიკავეს. არაოფიციალურად ჩვენმა ინკოგნიტო რესპონდენტმა ასეთი განმარტება მოგვცა:

— კანონით საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წარუდგინოს ანგარიში საწარმოში წმინდა მოგების განაწილების შესახებ. ამ შემთხვევაში საწარმო, მართალია, არ მალავს თავის მოგებას, მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ მას ეს თანხა ისევ საწარმოსთვის, რეინვესტიციისათვის სჭირდება. სამინისტროც, შესაბამისად, ეთანხმება და ამაში ფინანსთა სამინისტროსაც არწმუნებს. ამ სქემით წლიდან წლამდე სულ მცირე 20 მილიონი ლარი სწორედ რეინვესტიციის მოტივით იკარგება.

— რატომ იკარგება? იქნებ კომპანიას ეს თანხა მართლაც რეინვესტიციისათვის სჭირდება?

— საქმე ის გახლავთ, რომ ამგვარი შეთანხმება, ძირითადად უპირობოდ ხდება. კანონით, კომპანიის ხელმძღვანელობამ ფინანსთა სამინისტროს უნდა წარუდგინოს ბიზნესგეგმა, რაც არასოდეს მომხდარა. შესაბამისად, თანხების ხარჯვის მიზნობრივობაც ვეღარ კონტროლდება.

— თანხების დამალვის კიდევ რა სქემები არსებობს?

— ერთ-ერთი გავრცელებული სქემაა, როცა კომპანია შეგნებულად ცდილობს დებიტორული დავალიანებები დაიგროვოს, ანუ ის თავის მევალე კომპანიებს წლების მანძილზე ფულს არ სთხოვს, რა თქმა უნდა, შესაბამისი გარიგებების საფუძველზე. შემდეგ კი საჯაროდ აცხადებს, რომ ვალების ამოღება შეუძლებელია და მას ავტომატურად, აბსოლუტურად კანონიერად, კომპანიის ზარალში გაწერს. ბუნებრივია, ზარალი შემოსავლებით უნდა დაიფაროს და ეს ასეც ხდება. წლის ბოლოს კი ასეთ კომპანიებს დივიდენდებსაც კი ვერ უხსენებ. 2002 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ისეთ დიდ კომპანიაში, როგორიცაა „ელექტროგადაცემა“, მისმა დებიტორულმა დავალიანებამ თურმე უკვე 156 მილიონი ლარი შეადგინა. „ელექტროდისპეტჩერიზაციაში“ კი ამ სახის დავალიანებამ 23 მილიონ ლარს გადააჭარბა. სხვათა შორის, ეს ინფორმაცია ქონების მართვის მინისტრმა პავლიაშვილმა ერთ-ერთ მთავრობის სხდომაზე გააცნო დამსწრეთ. ამით, ფაქტობრივად ამ უწყების, მხედველობაში მაქვს ქონების მართვის სამინისტრო, უუნარობას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი. როგორ შეიძლება სახელმწიფო კომპანიამ სახელმწიფოსვე დაუმალოს არა რაღაც კაპიკები, — მილიონები?! თუმცა იყო სახელმწიფო კომპანია, „ეს დღეს დიდ პრივილეგიებსა და ხელშეუხებლობას ნიშნავს.

როდის დაესმება პრივილეგიებს წერტილი?

სულ მალე 1.588 სახელმწიფო საწარმოდან ქონების მართვის სამინისტროს აღარ დაექვემდებარება მხოლოდ 206 უმსხვილესი, ანუ ყველაზე მეტად პრივილეგირებული კომპანია, თორემ თავად სამინისტროს სრულ ამოძირკვას არც არავინ აპირებს. იგი ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში დეპარტამენტის სახით გადავა და მისი ძირითადი ფუნქცია საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ქონების მართვა იქნება. იგი ასევე სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო უწყებების ბალანსზე არსებულ უძრავ-მოძრავ ქონებასაც გაუწევს მეთვალყურეობას. სისტემაში მიმდინარე პროცესებს საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე ასეთ კომენტარს უკეთებს: „ანტიკორუფციულმა საბჭომ სახელმწიფო ქონების მართვის ახალი, ე.წ. ჰოლდინგური ვარიანტი შემოგვთავაზა. ჯერჯერობით მას ალტერნატივა არ გამოსჩენია... თუმცა, აღნიშნული მოდელი, სახელმწიფო საწარმოების მართვა ერთი სახელმწიფო სააქციო საზოგადოებით ანუ ჰოლდინგით, გაუმართლებლად მიმაჩნია. ჰოლდინგი არის ისეთი სააქციო საზოგადოება, რომელიც სხვა კომპანიების საკონტროლო პაკეტს ფლობს. ეს კი მას საწარმოებზე აქტიური ზემოქმედების საშუალებას აძლევს. 1993 წელს ჩვენ პირველად შევიმუშავეთ მთავრობის დებულება ჰოლდინგების შესახებ, რამდენიმე წლის შემდეგ, 1997 წელს გავაუქმეთ იმის გამო, რომ ვერ გაამართლა. ჰოლდინგის ის მოდელი, რომელზეც ახლა ლაპარაკობენ, ტიპურ საბჭოთა კავშირის დროინდელ დარგობრივ სამინისტროს მაგონებს, როცა საწარმოები თავიანთ მოგებას რიცხავდნენ სამინისტროს ცენტრალურ ანგარიშზე, საიდანაც ხდებოდა თანხების გადაქაჩვა მომგებიანი საწარმოებიდან წამგებიანების სასარგებლოდ. ამიტომაც არ იყო მუშაობის სტიმული. თუ ახლაც ჰოლდინგს ექნება სახელმწიფოდან თანხების ცენტრალიზებულ ფონდში მობილიზების უფლება და ამასთანავე მისი გადასაწყვეტი იქნება აქტივების განაწილება, ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ კომპანიების ბედი ისევ ჩინოვნიკების ნებასურვილზე იქნება დამოკიდებული და ამით არაფერი შეიცვლება. მიმაჩნია, რომ კომპანიები სახელმწიფოსაგან რაც შეიძლება შორს უნდა იდგნენ, ხოლო სახელმწიფო ჩინოვნიკებს მათ საქმიანობაში ხელების ფათურის უფლება აღარ უნდა ჰქონდეთ. ამის შემდეგ ნახავთ, როგორ გადაიქცევიან ის წამგებიანი თუ გაკოტრების პირას მდგარი საწარმოები თითით საჩვენებელ კომპანიებად“.

ქონების მართვის სამინისტრო კი სიცოცხლის გახანგრძლივებას ცდილობს

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ამ დღეებში ახალი ინიციატივით გამოვიდა. მინისტრმა პავლიაშვილმა მთავრობას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სააქციო საზოგადოებების საფონდო ბირჟების მეშვეობით პრივატიზება შესთავაზა. ეს სქემა მსოფლიოში უკვე კარგად აპრობირებული და, ასე ვთქვათ, ცივილიზებული მეთოდია მსხვილი საწარმოების პრივატიზებისას. მთავრობა სოლომონ პავლიაშვილს დაეთანხმა. მეტიც, სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ, აკაკი ზოიძემ განაცხადა, რომ „საქართველოს ელექტროკავშირის“ განსახელმწიფოებრიობის საუკეთესო ვარიანტად მას აქციების სწორედ საფონდო ბირჟის მეშვეობით გაყიდვა მიაჩნია.

სხვათა შორის, უკვე შედგენილია იმ კომპანიების სია, რომელთა აქციებსაც სახელმწიფო ახლო მომავალში საფონდო ბირჟაზე გაიტანს. სია, ჯერჯერობით, ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ამბობენ, რომ აუქციონზე აუცილებლად მოხვდება „აზოტის“ „მადნეულის“ და სხვათა შორის, „საქართველოს რკინიგზის“ აქციები. სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მრჩევლის კახა კაპანაძის განმარტებით, საფონდო ბირჟაზე არამც და არამც არ მოხვდება კომპანიების საკონტროლო პაკეტები. როგორც ირკვევა, ამ დღეებში სახელმწიფო „ელექტროკავშირის“ აქციების მხოლოდ 15 პროცენტის გატანას აპირებს. პირველი აუქციონის გამართვის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით არ სახელდება. თუმცა, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აუქციონების ჩატარებას ჰოლდინგის ჩამოყალიბებამდე გეგმავს.

P.S. გერმანია, ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, ბელგია, ჰოლანდია და ა. შ. იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კომპანიებში თავად სახელმწიფო არა მარტო აქციათა გარკვეულ წილს (ყველაზე მეტი 30%) ფლობს, არამედ ე.წ. „ოქროს აქციებსაც“ განკარგავს.

„ოქროს აქციები“ სახელმწიფოების შესაბამის დარგობრივ სამინისტროებს უფლებას აძლევს დაბლოკოს კომპანიის ხელმძღვანელობის ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ ის ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ლელა წითლანაძე

პუბლიკაციის კვალდაკვალ „გრანოზანი კიბოს აჩენს“

„ჩვენს თანამშრომელს იარაღის მუქარით აიძულებდნენ დალუქული მაღაზიის გახსნას...“

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას — „წელს კახეთში რთველი არ არის“, დიდი გამოხმაურება მოჰყვა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კერძოდ, მცენარეთა დაცვის სამსახურის მხრიდან. პრობლემის უკეთ შესასწავლად, ქ. გურჯაანში ჩავიდნენ საქართველოს მცენარეთა დაცვის სამსახურის კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელები.

გლეხებთან შეხვედრის შემდეგ გაირკვა, რომ „კვირის პალიტრის“ მიერ წამოჭრილი პრობლემა ფალსიფიცირებულ შხამქიმიკატებთან დაკავშირებით, მართლაც მწვავედ დგას მთელ რეგიონში (და არა მარტო კახეთის). მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ ლიცენზირებული ერთი მაღაზიის გარდა გურჯაანში ფუნქციონირებს არალიცენზირებული მაღაზია-ჯიხურები. შემოდგომაზე იწყება პურის თესვა: „კვირის პალიტრის“ ინფორმაციით, კახეთში, კონტრაბანდული გზით უკვე შემოვიდა 20 ტონა ხორბლის თესლის შესაწამლავი პრეპარატი გრანოზანი, რომლის წარმოება ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს აიკრძალა. გრანოზანი შეიცავს ვერცხლისწყალს და საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

პრეპარატი კანცეროგენულია და აჩენს კიბოს. სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონებში ფალსიფიკატორები კარდაკარ დადიან და სთავაზობენ გლეხებს ვადაგასულ, უვარგის პრეპარატს. გრანოზანის წარმოება კარგა ხანია შეწყდა; როგორც სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურის უფროსმა ზურაბ ლიპარტიამ აღნიშნა, — ყველა ფალსიფიკატორს თავისი მფარველი ჰყავს, ჩვენი სამსახურის გაფრთხილება არავის ესმის. საქმის კურსშია თითქმის ყველა ძალოვანი სტრუქტურა, თუმცა როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, ჯერჯერობით არც ერთი ფალსიფიკატორი და კონტრაბანდისტი არ დაუკავებიათ. მინდა გითხრათ, რომ სანამ საქართველოში გრანოზანით (იმის გარდა, რომ ეს პრეპარატი ვადაგასულია) მუშავდება ხორბლის თესლი, თავთავიან კულტურებში გუდაფშუტას პრობლემა არ მოისპობა. რაც შეეხება ფალსიფიცირებული პრეპარატების ბუმს საქართველოში, ჩვენი სამსახური უძლურია დამოუკიდებლად ებრძოლოს ამ დანაშაულს. საჭიროა დამსჯელი ორგანოების თანადგომა. იყო შემთხვევა (გორში), როცა ჩვენმა თანამშრომელმა დარღვევების გამო მაღაზია დალუქა და მას იარაღის მუქარით აიძულებდნენ, შეეცვალა გადაწყვეტილება. თუკი კანონდამცავი ორგანოები არ დაგვეხმარებიან და გვერდით არ დაგვიდგებიან, ჩათვალეთ, რომ ამ ჩიხიდან გამოსავალი არ არსებობს.

მაია ყალაბეგაშვილი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 5 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	2,1550
ევრო	2,1255
ინგლ. ფუნტი	3,3805
რუსული რუბლი	0,0680
თურქული ლირა (1.000.000)	1,3156

„ჯონპატრიოტი“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

სპეციალიზირებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის მაგიდები
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები 1000 მეტი დასახელება
კიები, ბურთები, ნათურები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისაგან, ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია
Bilijardai saluc Bilgama
Titan ტიტანი Ivan Simonis მასტერი Master ბილგამა
ზევსი Zeus Company
☎ 95-88-46; 95-57-75
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2

ღრძილების სავლები
მკურნალობთ კბილებს? ჯერ მოიწესრიგეთ ღრძილები! ჯანმრთელი ღრძილები ხომ საღი კბილების საწინდარია! ღრძილების ანთებას, დაწევას, მტკივან და სისხლმდენ ღრძილებს, კბილების მორყევას, კარიესული კბილის არხში განვითარებულ ანთებას... მკურნალობს მცენარეული ღრძილების სავლები
მის: რუსთაველის გამზ. 28,
მე-13 მოზრდილთა პოლიკლინიკა, კაბ. №26
„ფიტოკოსმეტიკა“ (ოპერის პირდაპირ)
☎ 92-16-52 (10-18 სთ-მდე კვირის გარდა)

ცხოვრებისეული კურიოზები

ასე ხუმრობენ ლანჩხუთში...

ძმაო, ძმითა ხარ...

ბატონი ევგრაფი შევარდნაძე (რომელიც მართლაც ყველასთვის საყვარელი კაცი გახლდათ) ლანჩხუთის ავტოსატრანსპორტო კანტორის დირექტორი იყო. იმ პერიოდში მისი ძმა, ბატონი ედუარდ შევარდნაძე — საქართველოს ცეკას პირველი მდივანი.

ერთხელ, ბატონ ევგრაფის ატკ-ის შენობის ფასადზე გაკრული უზარმაზარი პლაკატი დაახვედრეს: „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!“ — ეწერა მასზე.

— ისე თქვენ რა გითხრათ, თქვენ, ეგ მართალი იყოს, — კეთილად ჩაუღიმია ბატონ ევგრაფის.

მოხიყვარულე ბებია

ვასასი ბებია, ძალიან რომ ჰგავდა ნოდარ დუმბაძის ზურიკელას ბებიას, შვილიშვილებს ხშირად უმზადებდა გემრიელ ნუგბარს და თან სთხოვდა, ჭამეთ, ბებია გენაცვალოთო.

— მეტი აღარ მეტევა, მუცელში, ბებია, დამანებე თავი! — შეეხვეწა ერთხელ შვილიშვილი.

— ბებია, უუხტი-დუუხტი, უუხტი-დუუხტი, საჭმელი ძირს ჩავა და კიდევ ჩაგეტევაო! — არ იშლიდა თავისას ვასასი ბებია.

ზურაბ მდინარაძე, ლანჩხუთი

„ათესვის“ ახალი მეთოდი

ეს ამბავი მართლა „გადახდათ“ ჩემს მეგობრებს, სამ განუყრელ ძმაკაცს, რომლებიც უერთმანეთოდ, რომ იტყვიან, ლუკმას არ ტეხდნენ. ერთხელაც, სამივენი ერთ პრესტიჟულ რესტორანში ქეიფობდნენ. სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა. გვარიანად მოილხინეს, იცეკვეს კიდეც. ქეიფს რომ მორჩნენ, ოფიციანტი მოიხმეს და ანგარიში მოითხოვეს. მანაც თეფშზე მოხდენილად დადებული ჩეკი მოიტანა. ერთ-ერთი მოქეიფე წამოხტა და ჯიბეზე გაიკრა ხელი, ამ დროს მეორემ ხელი გაუკრა და სთხოვა, მე გადავიხდიო. სასტიკი უარი მიიღო და ცოტა ხანში მეგობრებს შორის დაუსრულებელი კამათი გაიმართა — არა მე გადავიხდი და არა მეო. ოფიციანტი მოთმინებით, ხმის ამოუღებლად იცდიდა. ამ დროს მესამემ განტვირთა სიტუაცია და „რაციონალიზატორული წინადადება“ წარმოადგინა: — მოდით, ჩხუბი რომ არ მოგვივიდეს, მიმტანს, როგორც უცხო ადამიანს, თვალები აგერ, ჩემი შარფით ავუხვიოთ და რომელსაც დაადებს ხელს, იმან გადაიხადოსო. ეს აზრი ყველას მოეწონა, მიმტანს თვალები აუხვიეს... და როცა მან „სავარაუდო გადამხდელზე“ ხელის დადება დააპირა, არაფერი გამოუვიდა. კარგა ხანს დადიოდა მაგიდის გარშემო და ეძებდა გადამხდელს, მაგრამ ვერ მოახერხა...

ბოლოს, ოფიციანტმა თვალებზე ახვეული შარფი მოიხსნა და რას ხედავს, სამივე მეგობარი რესტორნიდან „ათესილა“...

ზაზა ნაფეტვარიძე, თბილისი

ერუხი თუ წიწილა, ანუ საწრიანი პოლიციელები

ეს ამბავი თბილისის პოლიციის ერთ-ერთ სამმართველოში, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში მოხდა. ერთ ჩვეულებრივ საღამოს, განყოფილების უფროსმა ჩვეულებრივი თათბირი მოიწვია და დათქმულ დროს ყველანი შევიკრიბეთ, ერთი თანამშრომლის გარდა. უფროსის ბრძანებით, თათბირი მანამ არ დაიწყებოდა, სანამ ის დაგვიანებული არ მოვიდოდა. ამასობაში ვიღაცამ „კაიფვორდის“ ხმამაღალი შევსება დაიწყო. მორიგი კითხვა ასეთი იყო: „ქათამი, რომელიც იძახის ვარ იას“. — კრუხი! — დაასწრო ყველას უფროსმა ინსპექტორმა ლომიძემ...

როგორც იქნა, ხარხარი ჩაწყნარდა, რომ გაისმა სამძებროს უფროსის თვითდაჯერებული და გამკილავი ხმა: „ვაი, შე უბედურო, შენ რა გინდა პოლიციაში, წიწილაა მაგი, წიწილა!“

ლაშა გარახისშვილი, თბილისი

ყეჩაღი ქუდი და მხატვარი

ერთი ახლობელი მყავს, მხატვარია. ამ რამდენიმე წლის წინ დაამთავრა სამხატვრო აკადემია. მაგრამ, ხომ იცით, რა დროა. სამსახური ვერსად იშოვა და ხან რას აკეთებს და ხან რას. არც აგული ერისთავის ხელობაა მისთვის უცხო (ხომ გახსოვთ აგული, კინოფილმ „არაჩვეულებრივი გამოფენის“ გმირი, პიპინია ერისთავის ვაჟი — მთელი ცხოვრება რომ საფლავის ქვებს აქანდაკებდა და ხატავდა).

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ჩემს ახლობელთან ორი სვანი მივიდა, ძმები იყვნენ. მამის ფოტოსურათი მიუტანეს და სთხოვეს საფლავის ქვისთვის დაეხატა... დატრიალდა ჩემი ძმაკაცი და ორიოდე დღეში დაასრულა შეკვეთა. სხვათა შორის, ფოტოსურათში გარდაცვლილს ქუთაისური კეპიანი ქუდი ეხურა და სულაც არ ჰგავდა სვანს. ნახეს შვილებმა ქვაზე გადატანილი მამის პორტრეტი და შეიცხადეს, — ქუდით რატომაა დახატულიო. — ფოტოზე ქუდი ახურავს და იმიტომო, — აუხსნა მხატვარმა და დაუმატა, — თუ უქუდოდ გინდათ დავხატო, სხვა ფოტო მომიტანეთ, ხომ უნდა ვიცოდე, როგორი თმა ჰქონდაო. გაგიჟდნენ სვანები, — რად გინდა სხვა ფოტოს მოტანა, აგერ ეს ფოტო, მოხადე ქუდი და ნახე, როგორი თმა აქვსო(!).

ნოდარ ქარჩავა, თბილისი

ჩვენი სწუმარია
საზრულ-იუმორისწული ქურნალი

ღამის 3 საათია. კარზე გაბმული ზარის ხმა გაისმა.

ნამძინარევი ქალი საწოლიდან წამოდგა, კარი გააღო და ხელთ გალეშილი, პერანგამოჩაჩული, შარვალგახსნილი, სულ მთლად პომადით მოთხუპნილი ქმარი შერჩა:

აღშფოთებულმა ცოლმა ზღურბლიდანვე უკივლა:

— შენ რა, ამ მდგომარეობაში შინ შემოსვლას აპირებ?

ქმარმა სლოკინით უპასუხა:

— მე... გიტარისთვის შემოვიარე.

— თვითმფრინავში სტიუარდესა ეკითხება არაბ მგზავრს:

— არაყს, ღვინოს, ან რაიმე სპირტიან სასმელს ხომ არ მიირთმევთ?

— არა, გმადლობთ! ახლა საჭესთან უნდა დავჯდე!

ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.

მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

ტესტი: იხდით თუ არა ელექტროენერგიის გადახახადს?..

პარტიის კუთხე

ანუ როგორ გადავჭრათ აქტუალური პრობლემა...

1. კარზე გიკაკუნებთ ინკასატორი. თქვენ:

ა) იმალებით კარს უკან (100 კვტ).
ბ) ის იმალება კარს უკან (200 კვტ).
გ) ვალდებული ხართ გადაიხადოთ გადასახადი (1 000 კვტ).

2. უეცრად ჩაგიჭრეს დენის „ლევი“ ხაზი. თქვენ:

ა) ცდილობთ გადააბათ კაბელი თავად (100 კვტ).
ბ) მეზობელს სთხოვთ გადააბას კაბელი (200 კვტ).
გ) ვალდებული ხართ გადაიხადოთ გადასახადი (1 000 კვტ).

3. მრიცხველზე ხედავთ, რომ ბევრი გადასახადი დაგიგროვდათ. თქვენ:

ა) ჩამოყრით მრიცხველს (100 კვტ).
ბ) ჩამოყრით ყურებს (200 კვტ).
გ) ვალდებული ხართ გადაიხადოთ გადასახადი (1 000 კვტ).

4. ტელევიზორს უყურებთ და ჩაქრა შუქი. თქვენ:

ა) სიბნელეში დაიწყებთ ასანთის ძებნას (100 კვტ).
ბ) სიბნელეში დაიწყებთ საყვარლის საფლავის ძებნას (200 კვტ).
გ) ვალდებული ხართ გადაიხადოთ გადასახადი (1 000 კვტ).

5. უეცრად მოვარდა მაღალი დენი. თქვენ:

ა) არასოდეს აღარ გადაიხდით გადასახადს (100 კვტ).
ბ) ყოველთვის გადაიხდით გადასახადს (200 კვტ).
გ) ვალდებული ხართ გადაიხადოთ გადასახადი (1 000 კვტ).

6) თქვენ ძალიან გინდათ მუდმივად გქონდეთ ელექტროენერგია. ამისათვის:

ა) ვალდებული ხართ გადაიხადოთ გადასახადი (100 კვტ).
ბ) ვალდებული ხართ გადაიხადოთ გადასახადი (200 კვტ).
გ) ვალდებული ხართ გადაიხადოთ გადასახადი (1 000 კვტ).

დაითვალეთ ქულები:

— თუ თქვენ დააგროვეთ 900 კვტ-მდე ენერგია, მაშინ შეგიძლიათ ჩართოთ მაცივარი, ტელევიზორი და ერთი ნათურა. მეტი რა გინდათ, გადასახადს თქვენ არ იხდით, ინკასატორს ემალებით, „ლევი“ ხაზი გაქვთ და ნუთუ კიდევ უკმაყოფილო ხართ?!

— თუ თქვენ დააგროვეთ 900 კვტ-დან 3000 კვტ-მდე ენერგია, მაშინ ცოტა-ცოტას იხდით გადასახადს და შესაბამისად ელექტროენერგიაც ცოტა-ცოტა მოგეწოდებათ. თუკი ძალიან გინდათ, მუდმივად გქონდეთ ელექტროენერგია, მაშინ კარგად მოგეხსენებათ, რაც უნდა გააკეთოთ ამისათვის.

— თუ თქვენ დააგროვეთ 3000 კვტ-ზე მეტი ენერგია, მაშინ თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ გადასახადი... თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ გადასახადი... თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ გადასახადი...

AES-თელასის დაკვეთით ტესტი მოამზადა ზაქრო ინწკირველმა

C M Y K

«ქუჩის ბიჭები» არ იშლებიან!...

— ესპანეთში კონკურსზე გამარჯვების შემდეგ „ქუჩის ბიჭებმა“ მხოლოდ ერთხელ გამართეს სოლო კონცერტი. რის შემდგომაც არც ახალი სიმღერის ჩანაწერი მოგვისმენია მათი და არც ახალი კლიპი. რაშია საქმე, ხომ არ დაიშალა ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“?

ნანუკი გოგოხია

კითხვაზე უპასუხებს **სოსო ჯავახიშვილი,** ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ მენეჯერი.

— არავითარი წინაპირობა და რეალური მიზეზი იმისა, რომ ჯგუფი დაიშალოს, არ არსებობს. „ქუჩის ბიჭები“ მუშაობენ ახალ პროექტზე. მათი მუშაობის სტილი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შეგნებულად არ ჩანან ესტრადასა თუ ჰიტ-პარადებში, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი იშლება. თაყვანისმცემელს კი დავამშვიდებ და გავახარებ — „ქუჩის ბიჭების“ ახალი სიმღერა ალბათ ორ კვირაში იქნება მზად. სიმღერის ავტორს შეგნებულად არ ვასახელებ. ხოლო კლიპის გადაღებაზე სიმღერის გამოშვების შემდგომ ვიზრუნებთ. აქვე მოგახსენებთ, რომ „ქუჩის ბიჭებს“ ძალიან ბევრი სამომავლო გეგმა აქვთ. გაზაფხულზე ისინი სოლო კონცერტის გამართვას აპირებენ სრულიად განსხვავებული რეპერტუარით. კითხვის ავტორი ალბათ დამეთანხმება, რომ ეს საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. აღნიშნულს დავამატებ მხოლოდ იმას, რომ „ქუჩის ბიჭები“ არაერთ სიურპრიზსა თუ ახალ სიმღერას უმზადებს თავის მსმენელს.

«კამიკაძე» ანუ «ღვთიური ქარი»...

— მსურს შევიტყო ამომწურავი ინფორმაცია სიტყვა „კამიკაძის“ შესახებ. რას ნიშნავს იგი და ვინ იყვნენ პირველი კამიკაძეები? მოგვითხრეთ ცოტა რამ მათი საქმიანობის შესახებ.

თემურ ველიჯანაშვილი

— იაპონიაში სიტყვათა შეთანხმება — „კამიკაძე“ მეორე მსოფლიო ომამდე გაცილებით ადრე, X საუკუნეში წარმოიშვა. მონღოლებმა ჩინეთის დაპყრობის შემდეგ გადაწყვიტეს იაპონიაზე გალაშქრება. ამ მიზნით ჩინგის-ყაენის შვილიშვილმა ბოგდიხანმა 1274 და 1281 წლებში იაპონიაში გაგზავნა საზღვაო ექსპედიცია, თუმცა ორივეჯერ წარუმატებლად — ხომალდებს ნთქავდა ქარიშხალი. იაპონელები ამ მოვლენას ღმერთების დახმარებას უკავშირებდნენ და სასწაულს „კამი კაძე“ შეარქვეს, რაც პირდაპირ თარგმანში „ღვთიურ ქარს“ ნიშნავს.

რაც შეეხება თანამედროვე შინაარსით სიტყვა „კამიკაძეს“ განმარტებას, იგი წარმოიშვა და დაკავშირებულია აშშ-სა და იაპონიას შორის გასული საუკუნის 40-იან წლებში დაწყებულ საომარ მოქმედებასთან. მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ბრძოლაში ამერიკის შეიარაღებული ძალები გაცილებით დიდ უპირატესობას ფლობდნენ (სამხედრო აღჭურვილობასა თუ სხვა საკითხებში), იაპონიის სამხედრო მთავარსარდლობამ გადაწყვიტა, მტერზე ფსიქოლოგიური და მორალური ზეწოლა მოეხდინა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა პირველი გამანადგურებელი რაზმი „სიმპუ“ („სიმპუ“ მალევე სიტყვა „კამიკაძით“ შეიცვალა), რომელსაც ხელმძღვანელობდა იაპონელი ადმირალი ტაკიზირო ონისი (კოლეგებისგან იგი სისასტიკით გამოირჩეოდა). პირველი იერიში იაპონელმა კამიკაძეებმა 1944 წლის 25 ოქტომბერს ფილიპინების კუნძულ ლეიტესთან განახორციელეს. სამხედრო ოპერაციაში სულ 26 ავიაგამანადგურებელი მონაწილეობდა. მათგან ხუთ ძირითად ავიაგამანადგურებელ „ზეროს“ (თითოეულ მათგანზე 250კგ ასაფეთქებელი ნივთიერება იყო მოთავსებული) მიზანი გახლდათ ავიამზიდ „სენტ-ლოს“ განადგურება. მისია შესრულებულ იქნა. „სენტ-ლო“ ჩაიძირა. ამ წარმატებამ შთააგონა იაპონიის მთავარსარდლობა გამოეზარდა ახალი კამიკაძეები როგორც საზღვაო, ისე საჰაერო სივრცეში. უახლოეს თვეებში ამ მისიის შესასრულებლად უკვე 2000 მფრინავი-კამიკაძე იყო მზადყოფნაში და ელოდა ბრძანებას. საბოლოოდ, კამიკაძეების თავგანწირვას იაპონიისთვის დადებითი შედეგი არ მოუტანია. 1945 წლის აგვისტოში იაპონიის იმპერატორმა ჰიროჰიტომ კაპიტულაცია გამოაცხადა. ათასობით იაპონელი კამიკაძის თავგანწირვა ხშირად ნებაყოფლობითი არ გახლდათ. — მთავარსარდლობა აიძულებდა სამხედრო პირებს ამ ნაბიჯის გადადგმას. უარის შემთხვევაში მათ საქვეყნოდ შერცხვენა ელოდათ და სიმხდალესა თუ სამშობლოს ღალატის ბრალდებით ასამართლებდნენ. 70-იან წლებში დასჯილი და გასამართლებული იყო ყველა იაპონელი სამხედრო მთავარსარდალი, ვინც კი ამხილეს კამიკაძის ინსტიტუტის შექმნაში.

ვინ და რატომ მიდის საქართველოდან?..

— გთხოვთ დააკმაყოფილოთ მოხუცი კაცის ცნობისმოყვარეობა (ამავე დროს გულისტკივილიც) და მოგვახსენოთ, თუ საშუალოდ რამდენი მოქალაქე ტოვებს საქართველოს ფარგლებს ყოველწლიურად, საზღვარგარეთ დროებით (თუ მუდმივად) საცხოვრებლად გადასვლის მიზნით.

თეიმურაზ ტყემალაძე

აღნიშნული საკითხის გასარკვევად დავუკავშირდით სტატისტიკის დეპარტამენტს, რომელმაც მოგვაწოდა 2002 წლის მარტში ჩატარებული გამოკითხვის მონაცემები.

— 2002 წლის მარტში ჩატარებული გამოკითხვის მომენტში, ქვეყანაში ოჯახების 8%-დან ერთი წევრი მაინც იმყოფებოდა საზღვარგარეთ. ქვეყნიდან საზღვარგარეთ წასულ იმ მოქალაქეთა შეფასებითი რაოდენობა, რომელთა ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრი საქართველოშია დარჩენილი, 144,5 ათასი კაცია. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია წინა ორი წლის გამოკვლევის შეფასებებთან შედარებით.

გამოკვლევის მიხედვით, საზღვარგარეთ მყოფთა დაახლოებით 85% 20-დან 50 წლამდეა, ანუ წარმოადგენენ შრომისუნარიანობის მიხედვით საუკეთესო ასაკის მოქალაქეებს. საზღვარგარეთ მყოფთა შორის მაღალია უმაღლესი განათლების მქონეთა წილი. ემიგრანტთა დიდი უმრავლესობა რუსეთში იმყოფება. რუსეთის შემდეგ უპირატესობას საბერძნეთს ანიჭებენ. საზღვარგარეთ მყოფთაგან 60% ეროვნებით ქართველია. მათი წილი, ვინც სამშობლოში დაბრუნებას აპირებს, ბოლო გამოკვლევით 77%-ია, ანუ საქართველოში მცხოვრები ოჯახების მიგრირებულ წევრთა თითქმის მეოთხედი არ აპირებს სამშობლოში დაბრუნებას. 2001 წლის ოქტომბრის გამოკვლევის მონაცემებით საზღვარგარეთ მყოფთა 70% სამუშაოდ, 20% კი მუდმივ საცხოვრებლად ან ახლობლებთან ვიზიტით არის წასული. 2002 წლის მარტის გამოკვლევით მიგრანტთა დაახლოებით 40% მუშაობს არაკვალიფიციურ ან არარეგულარულ სამუშაოზე, ხოლო 15%-ზე მეტი საერთოდ არ მუშაობს. მიგრანტთა 37%-ს აქვს საზღვარგარეთ ყოფნის უფლება ან სამუშაო კონტრაქტი. ემიგრანტების თითქმის ერთ მესამედს არ გააჩნია ეს უფლებები (ცხოვრობენ ან მუშაობენ არალეგალურად), ან ოჯახის წევრებს არა აქვთ ამის შესახებ ინფორმაცია. საზღვარგარეთ მყოფთა დაახლოებით 60%-ს, მათი ოჯახის წევრების ინფორმაციით, შენარჩუნებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა.

2001-2002 წლებში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით წასულთა უმრავლესობა ეხმარება ოჯახს მატერიალურად. წასვლის მიზნებს შორის კვლავაც დომინირებს სამუშაოს შოვნის სურვილი (67,2%).

ძვირფასო მკითხველო, „ანდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ყორყოლიანმა

მსოფლიოს უდიდესი სტადიონები

— გთხოვთ ჩამოგვითვალეთ მსოფლიოში უდიდესი სტადიონები. ასევე გვაინტერესებს მათი ტევადობა და ადგილმდებარეობა?

ლევან ღლონტი

„მარაკანა“

— ყველაზე დიდი საფეხბურთო სტადიონი გახლავთ ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანა“, რომელიც 205.000 კაცს იტევს. აქედან 155.000 დასაჯდომი ადგილია, დანარჩენი კი ფეხზე დასადგომი. გასული საუკუნის 50-იანი წლებისათვის ფეხბურთის პოპულარობამ სპორტის ყველა სახეობას გადაუსწრო და გულშემატკივართა რიცხვიც გაიზარდა, რამაც განაპირობა გრანდიოზული სტადიონების მშენებლობა.

1950 წელს სწორედ მსოფლიო ჩემპიონატისათვის აშენდა ზემოთ აღნიშნული „მარაკანას“ სტადიონი. ამ სტადიონზე გაიტანა პელემ თავისი მე-100 გოლი. ყველაზე სახელგანთქმული და ტევადობის მიხედვით უდიდესი სტადიონები გახლავთ: — „უემბლის“ (ლონდონი) სტადიონი, რომელიც 100 ათას კაცს იტევდა (ამჟამად, მის ადგილას 90-ათასკაციანი ახალი სტადიონის აშენებას აპირებენ); „აცტეკა“ (მეხიკო) დაახლოებით 110-ათასკაციანია. „ლუჟნიკი“ (მოსკოვი) — 100-ათასადგილიანი; „სანტიაგო-ბერნებუ“ (მადრიდი) იტევს 90 ათას კაცს. „ნოუ კამპი“ (ბარსელონა) — 84 ათასს, „სანსირო“ (მილანი) — 79 ათას კაცს; „სან-ტენარიო“ (მონტევიდეო) — 75 ათასს; „პარკ დე პრენს“ (პარიზი) კი 70 ათას მაყურებელს იტევს. რაც შეეხება თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს, იგი გათვალისწინებული იყო 80 ათას კაცზე (60 ათასი დასაჯდომი ადგილით). დღეისათვის, ფიფას მოთხოვნების გათვალისწინებით მიმდინარეობს სტადიონის რეკონსტრუქცია (ჯერჯერობით, მხოლოდ 20 ათასი სკამია დამონტაჟებული).

რა არის მუნი?

— რუბრიკას „ანდან-ჰოემდე“ ვთხოვ გვიამბოს ყველაფერი მუნის შესახებ. ზაფხულში როგორც შევიტყვე საკმაოდ ბევრი ადამიანი უწიოდა ამ პრობლემას. მაინტერესებს კვალიფიცირებული სპეციალისტის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ერთგული მკითხველი

კითხვაზე უპასუხებს **რუსუდან ბუნტური**, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის კანისა და ვენსნეულებათა კათედრის ასისტენტი, ექიმი.

— მუნი კანის პარაზიტული დაავადებაა, რომელსაც იწვევს მუნის ტკიპის კანში დაბინავება. დედალი ტკიპა განაყოფიერების შემდეგ შეაღწევს კანის რქოვანა შრეში და კანის ზედაპირის პარალელურად წარმოქმნის წვრილ, დაკლაკნილ, მონაცრისფრო, საშუალოდ 4-5მმ სიგრძის ხაზოვან სავალებს, გზადაგზა დებს კვერცხს. დედალი ტკიპა თავის სიცოცხლის 4-6 კვირის მანძილზე დებს 20-50 კვერცხს. (კანის გარეშე ტკიპა 5-15 დღე ცოცხლობს) და გამოყოფს ექსკრემენტებს. ტკიპის შეჭრის ადგილზე შეიძლება შევნიშნოთ რქოვანა შრის მცირე შემაღლება, რომელიც ხშირად მონაცრისფრო ან შავია, მეორე ბოლოში კი მცირე შემაღლება პატარა მოთეთრო-მოყვითალო ბუშტუკების სახით. დაავადება ვრცელდება ტანსაცმლით, თეთრეულით, აბანოთი.

ტკიპის სავალები შეიმჩნევა: ხელის თითების გვერდით ზედაპირებზე, თითებშუა ნაოჭებში, ხელისგულებზე, სხივმაჯის სახსარზე, იღლიის ფოსოებში, მუცელზე, დუნდულებზე. ჩვილ ბავშვებში ფეხისგულებსა და ტერფების გვერდით ზედაპირებზე, თავსა და სახეზე (რაც მოზრდილებში არ გვხვდება). სუბიექტური შეგრძნებებიდან აღსანიშნავია ძლიერი ქავილი, რომელიც განსაკუთრებით შემაწუხებელია ღამით. ხშირად დაავადება ვლინდება ძლიერი ქავილით უმნიშვნელო გამონაყარის ფონზე. დიაგნოსტიკური შეცდომა თავიდან რომ ავიცილოთ, მიზანშეწონილია თითოეულ ავადმყოფს, რომელსაც აქვს ჩივილი შეუპოვარ და გავრცელებულ ქავილზე, ჩავუტაროთ სათანადო გამოკვლევა და გამოვრიცხოთ მუნით დაავადება. მუნის მკურნალობის მიზანია ტკიპების რაც შეიძლება სწრაფად მოსპობა, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა ანტიპარაზიტულ საშუალებებს. მაგ. 20-პროცენტიან ბენზოლ ბენზოატის ხსნარს, გოგირდის მალამოს. პროფილაქტიკა გულისხმობს დაავადებულის დაუყოვნებლივ მკურნალობას, მისი თეთრეულისა და ტანსაცმლის დეზინფექციას. მიზანშეწონილია დაავადებულის იზოლაცია. სეზონთან არანაირად არ არის დაკავშირებული მუნის ტკიპას აქტიურობა თუ პასიურობა, რადგანაც იგი მიგრაციულ პრობლემებთან უფრო მჭიდრო კავშირშია (საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები), ვიდრე წელიწადის რომელიმე დროსთან.

რომელ ჭურჭელში დავაყენოთ ღვინო

— მიზანშეწონილია თუ არა გუდრონგამოვლებულ კასრში ღვინის დაყენება, რომელი ჭურჭელია საამისოდ საუკეთესო და აქვს თუ არა რაიმე არსებითი განსხვავება გემოსა და ხარისხში — კასრში, ქვევრსა თუ ბოცაში დაყენებულ ღვინოს. მართალია თუ არა, რომ საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოდაა აღიარებული?

დოდო მოსეშვილი

კითხვაზე უპასუხებს **ალექსანდრე ჟურდაძე**, საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დამსახურებული გამომგონებელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

— თავდაპირველად დავიწყებ იმით, რომ ღვინის დაყენებისთვის საუკეთესო ჭურჭელი გახლავთ მინის ბოცა, რადგანაც იგი ნეიტრალურია — არ ცვლის ღვინის გემოს, ფერსა თუ სუნს. რა თქმა უნდა, კასრშიც შეიძლება ღვინის დაყენება, მხოლოდ არ გირჩევთ ამ მიზნით გუდრონგამოვლებული კასრის გამოყენებას, რადგანაც მან შესაძლოა გავლენა იქონიოს ზემოთ აღნიშნულ სამივე კომპონენტზე და არსებითად შეცვალოს ღვინის ხარისხი. ფასეულია მუხის კასრში დაყენებული ღვინო, რადგანაც იგი ამ სახის ჭურჭელში შესანიშნავად ძველდება. გუდრონგამოვლებული კასრი ძირითადად გამოიყენება ლუდის დასამზადებლად. რაც შეეხება ქვევრს, რა თქმა უნდა, უდავოა, რომ ღვინის დაყენება ამ ჭურჭელშიც შეგიძლიათ, მხოლოდ მეტი ყურადღება და სიფრთხილე გმართებთ. ქვევრი დღეისათვის მეტად არაპრაქტიკულ ჭურჭლად არის მიჩნეული, რადგანაც არსებობს სხვა ალტერნატივა — იგივე მინის ბოცა. ქვევრი თუ სათანადოდ არ გამოირეცხა, მასში დაყენებული ღვინო, რა თქმა უნდა, აუცილებლად აძმარდება.

რაც შეეხება კითხვას საქართველოს ვაზისა და ღვინის სამშობლოდ აღიარებასთან დაკავშირებით, ამაყად გიპასუხებთ და მოგახსენებთ, რომ ლონდონში არსებულ მენღვინეობის მუდმივმოქმედ გამოფენაზე — „ვინოპოლისში“ შარშან გაიხსნა საქართველოს პავილიონი, რომელსაც აქ არსებულ პავილიონთა შორის დაეთმო პირველი ადგილი. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ საქართველოს პავილიონში დიდი ასოებით ამოტვიფრულია სიტყვები — „საქართველო არის ვაზისა და ღვინის აკვანი“ („ვინოპოლისის„ გამოფენაზე წარმოდგენილია ყველა ის ქვეყანა, სადაც ხარობს და მოჰყავთ ვაზი). აქვე წარმოდგენილი გახლავთ ჩვენი ეროვნული ღვინის გამოფენა, მეცნიერული და ისტორიული მასალები და აუარებელი სხვა საინტერესო ინფორმაცია.

მადლობა

გოგონა ხუთი წლის მყავდა, როცა მეუღლე მოულოდნელად დამეღუპა და ოთიშის უსახსროდ დავრჩი. გოგონას გაზრდას ძლივს კი, მაგრამ აღზრდას ვერ მოვახერხებდი, რომ არა მოსკოვში მოღვაწე **ლენგო გეგეშიძის** უანგარო დახმარება მთელი 5 წლის განმავლობაში.

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ლენგო გეგეშიძეს იმ მეგობრობისა და თანადგომისათვის, რაც მან ჩვენი ოჯახისადმი გამოიჩინა.

ბიჭიკო ჭიშვილის ოჯახი

ხობის რაიონის სახელით, მადლობას ვუცხადებთ ონკოლოგიური ცენტრის გენერალურ დირექტორს, პროფესორს – ბატონ **რევაზ გაგუას** და პროფესორებს: **ზურაბ დევდარიანს, ილია ბაქრაძეს,** დოცენტ **ბესარიონ აბესაძეს**, უანგაროდ გაწეული დახმარებისათვის, ახალგაზრდა კაცის სიცოცხლის შესანარჩუნებლად ბრძოლაში.

პატივისცემით, ალ. ფირცხალავას ოჯახი

14 მარტს ვიმგზავრე ჩქარი მატარებლით – თბილისი-ზუგდიდი. გზაში გავხდი ცუდად. ჩემი გადარჩენისთვის დიდი შრომა გასწიეს გამცილებლებმა **ბადრი კაციტაძემ**, მგზავრებმა: **მარგო ცანავამ, ეთერ გაბელიამ** და ვაგონის დანარჩენმა მგზავრებმა. მადლობა ყველას, ჩემი დახმარებისთვის, დალოცვილები იყვნენ ღმერთისგან!

პატივისცემით, ფოთოლა ცაგურია

ამ წლის 11 ივლისს სახლიდან გავიდა და 5-დღე აღარ დაბრუნებულა ჩემი შვილი – ქეთარ ლევდაშვილი. რამდენიმე დღე ვეძებეთ და შემდეგ მივმართეთ საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსს **ზურიკო ლევდაშვილს**, რომელმაც გულთან მიიტანა ჩვენი გასაჭირი. ძებნაში ამოგვიდგნენ პოლიციის მუშაკები – სამძებრო ინსპექტორი **გიორგი ალადაშვილი**, მაიორი **გია ჯავახიშვილი**. ასევე დიდი დახმარება გაგვიწიეს ძველი ანაგის საკრებულოს გამგებელმა **ამირან ლევდაშვილმა**, მთელმა სოფელმა და ნათესავებმა. კიდევ კარგი, ყველაფერი კარგად დამთავრდა და ჩემი დაკარგული შვილი ვიპოვეთ. თქვენი გაზეთის საშუალებით გვინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც გაიზიარა ჩვენი გასაჭირი.

პატივისცემით, მარგო ლევდაშვილი

ბინები

თბილისიდან 35 კმ-ის დაშორებით (საგურამოდან 10 კმ) ბულაჩაურში 800 კვმ მიწის ნაკვეთი, სახლის დაწყებული მშენებლობით (I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული). ფასი $800. ტელ: 23-07-65

ქირავდება

1, 2 და 3-ოთახიანი იზოლირებული ბინები, ასევე, 1 ოთახი, პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქ. №9-ში – როგორც კერძო, საოჯახო სასტუმრო, ჩამოსულებზე და ადგილობრივ მცხოვრებლებზე, მოკლე ტურისტულ ვადით, 15-20 კაცამდე ერთდროულად. ფასი: 1 დღე, 1 ადამიანი – $7, $12, $15 და $20, $25, $30 და $50 – ოთახების შერჩევით. ტელ: 92-03-85; 99-94-67; 893 33-03-86

გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

ამერიკულ-ბალტია-საფრანგეთის ერთობლივ საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ პრესტიჟულ საოფისე სამსახურს – კონსულტანტ-მენეჯერის ვაკანსიას, მზარდი ანაზღაურებით. სატელეფონო თანამშრომლებს სტაჟირების გავლიდან საზღვარგარეთ. მის: რუსთაველი, ბელინსკის №2, მე-4 სართ. ოთახი №415. ტელ: 93-38-46 ლიკა

გვჭირს ვაკანსიები. სათანამშრომლოდ მიგვიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ემუშავეთ მთელ მსოფლიოში. სატელეფონო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400, აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", 1 სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი მიხეილი

დავასაქმებთ კოსმეტიკისა და იმიჯის სფეროში კონსულტანტებად, 18-დან 45 წლამდე სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონებს (წინასწარი ინტენსიური კურსების გავლით). მიღება 10-11 სთ. მის: აღმაშენებლის №65, კლუბი „ბიკე". ტელ: 91-09-40; 899 51-07-51

ყურადღება, სიახლე!!! ახალ, მრავალპროფილიან კორპორაციას ესაჭიროება ადმინისტრაციული თანამშრომლები. შესაძლებელია ალტერნატიული ადამიანების გადამზადება და დასაქმება, თუ მათ 1 წელზე მეტია, დამთავრებული აქვს ინსტიტუტი და არ მუშაობენ პროფესიით. ტელ: 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

მომსახურება

ეპილაცია ელექტროდის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ფოტოელექტრო გადაზიდვების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიშვილის სავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ეპილაცია ელექტროდის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განკურნებით უმოკლეს ვადაში, შეშუპებისა და ნაიარევის გარეშე, არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი პირველივე სეანსზე. ისარგებლეთ, დარწმუნდებით. მის: ოისტრახის №66, მე-2 სად. VIII სართ. ბინა 46. ტ: 37-74-22. მანანა

პარადონტოზის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უმტკივნეულოდ. არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ეძლევა მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გაეცანით სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მოარჩენს კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: ოისტრახის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 899 168-168. ნინო შელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ელექტროდის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას: სამზარეულოზე ტახტებზე, მატრასებზე, სკამებზე, შალითების შეცვლა-აღდგენა-განახლებას, აღდგენას. ვღებავ გერმანულ ტყავის საღებავებს. ტელ. 66-38-26. ელგუჯა

„ცხრაკლიტული": შეამოწმეთ თქვენი ბინის და ავტომობილის უსაფრთხოება; საკეტების დამატება, შეცვლა, გარემონტება ხომ არ გნებავთ?; ხის კარის რკინებით გამაგრება, ტყავის გადაკვრა, საზამთროდ კარის დათბუნება, შეღებვა. ტელ: 36-42-16; 899 56-39-69

მინიმალურ ფასში გთავაზობთ პიანინოს და როიალის აწყობას, შეკეთებას, რესტავრაციას. ბავშვთა სახლებს, საბავშვო ბაღებს და ობოლ ბავშვებს ვემსახურებით უფასოდ. ტელ: 52-08-57

მკურნალობა

ვარჩენ: ოსტეომიელიტს, ფრჩხილის, ნაწიბურის, ნაოპერაციევის დაჩირქებას, ძირმაგარას, ლიმფური ჯირკვლის ანთებას, დაჩირქებულ ჰემატომას, ბუწეის ჩარღვევას, წითელ ქარს და სხვადასხვაგვარ გარეგან დაჩირქებას. ტ: 68-43-10

თბილისში – მოსკოვის ფიზიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე სავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, უახლესი მეთოდით, მოკლე დროში, ყველა ასაკში, მუშაობს საკმაო გამოცდილებით – აღჭურვილი სათანადო აპარატებით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და სხვა მეთოდებით აღვადგენთ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას – ენაბორძიკობას, ენაჩლუნგობას, გონებრივ ჩამორჩენილობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეში მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

მეჭეჭებისა და ხორცმეტების (პაპილომები, კონდილომები, მოლუსკები) მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიის ქვეშ, უმტკივნეულოდ და ნაჭდევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საკვარელიძესთან. მის: ზურაბ ჭავჭავაძის (ყოფ. შერონზის, შესახვევი დავით აღმაშენებლის №99-თან) ქ. №10, „თვალის დისპანსერი". კაბ. №2. ტელ: 95-30-26 (სამს); 39-00-70 (ბინა); 899 56-96-61

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა – ლოგონევროზი), წნევის, (ჰიპერტონიის) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით. ვაჟა-ფშაველას 16 (მშენებლობის სამინისტროს შენობა), მე-13 სართ. ბიორეზონანსული თერაპიის ცენტრი. ექიმი ზურაბ ხარაიშვილი. 10-16 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

გთავაზობთ მთელი ორგანიზმის კომპიუტერულ-ფუნქციურ დიაგნოსტიკას რ. ფოლის მეთოდით. მის: ბახტრიონის ქ. №18. სამედ. პუნქტი „ლაზერი". ტელ: 53-63-05

ექიმი ალექსიშვილი მკურნალობს ნერვის ანთებას, რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს (დისკის ამოვარდნას), სახსრების დაავადებებს (ართრებს, მარილების დაგროვებას), პოდაგრას, სტრესს, შაკიკს. მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან, შედეგი – მაქსიმალურად გარანტირებული!!! მის: რუსთავის პოლიკლინიკა (ცოტნე დადიანის №87), კაბ. №11, 11-14 სთ. ტელ: 69-91-92; 39-39-97; 899 57-16-99

მე-9 სავადმყოფოს ნერვულ განყოფილებაში ტარდება მკურნალობა ჩინური აკუპუნქტურის მეთოდით, კვალიფიციური რეფლექსოთერაპევტის – გოგული ექიმის მიერ. ემკურნალობთ შემდეგ დაავადებებს: ოსტეოქონდროზს, ართროზს, ნერვის ანთებას (იშიაზი, სამწვერა ნერვი), ნევროზს, ალერგიულ დაავადებებს და ა.შ. მკურნალობა მაღალეფექტურია. ტელ: 22-68-04 (სამს); 23-10-48 (ბინა)

ემკურნალობთ: თმის ცვენას, კანის, ფრჩხილების დაავადებებს, ჭარბთმიანობას; ვაშორებთ მეჭეჭებს, ხალებს, ლაქებს, ცხიმგროვებს; ვაკეთებთ ეპილაციას გარანტიით, სახის გაწმენდას უახლესი მეთოდებით. კანისა და კოსმეტოლოგიის კლინიკა „ალმა". ტელ: 37-61-84 (გარდა კვირისა)

მასწავლი

ფრანგული ენის ცივილიზაციისა და გამოყენებითი ენის შესწავლა ნებისმიერი დონიდან საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში. სწავლა გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში. მის: აბულაძის (ყოფ. პუშკინსკაიას) ქ. №21. ტელ: 98-69-51; 899 54-00-79

ნებისმიერი ასაკის მსურველს შევასწავლი თურქულ სასაუბრო ენას და გრამატიკას. 39-77-81. მარინა

ვასწავლი ინგლისურ და არაბულ ენებს, ნებისმიერი ასაკის მსურველს, უახლესი პროგრამებით, აუდიო-მასალის გამოყენებით. ტელ: 899 51-75-98

ბიოლოგიის გამოცდილი სპეციალისტი, რომელმაც დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტი და სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მოამზადებს ნებისმიერ მსურველს. ტელ: 64-65-15; 64-15-50; 893 37-19-61. ლელა

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს ინგლისურში აბიტურიენტებს, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61

ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი, ინგლისური ენის სპეციალისტი, მთარგმნელი, რედაქტორი გაასწორებს ქართულ და ინგლისურ სამეცნიერო და მხატვრულ ტექსტებს (სტილი და რედაქტირება); მოამზადებს მოსწავლეებს ინგლისურში აკადემიური მეთოდით. ტელ: 52-82-49; 893 30-87-14. ქეთი

კომპიუტერული სტუდია – „დელკი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშესწავლელ კურსებზე. შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

გამოცდილი სპეციალისტი, მეცნიერებათა კანდიდატი მოამზადებს აბიტურიენტებს ისტორიასა და გეოგრაფიაში ხელსაყრელ ფასად. ტელ. 22-78-56

აბიტურიენტების მომზადება იაფად, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის მიერ, ქართულში, ისტორიაში, ინგლისურში, გერმანულში. ტელ: 93-60-89; 98-66-10

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა); 899 90-67-52. ირინა ჯანაშია

იყიდება

დიდუბის რ-ში, საქართველოს სამხედრო გზაზე, ხოშარაულის ქუჩასა და ავტოგასამართ სადგურ „იმედს" შორის, რესტორან „რინას" უკან, 2000 კვმ მიწის ნაკვეთი. ტელ: 52-86-87; 39-27-69

700 კვმ მიწის ნაკვეთი, კრწანისის ქ. №56-ში. ტელ: 72-05-54. ვიქტორ ნადარეიშვილი

სამგორის რ-ში, კახეთის გზატკეცილსა და ესენინის ქუჩებს შორის საავტო, საცხოვრებელი ობიექტი - 1500 კვ.მ. ტელ: 52-86-87; 39-27-67

ან ქირავდება ნაძალადევის რ-ში, ქინის ქ. №12-ში, 9-სართულიანის I სართულზე მდებარე საოფისე შემოფარგლული სარეცხი? მიერ დაკავებული 310 კვმ ფართი; ქირა – 4.5$. ტელ: 52-86-87; 39-27-67

ანტიკვარული გრამაფონი, ანტიკვარული ფირფიტებით, რესტავრირებული, საუცხოო მდგომარეობაში. ფასი $550. ტელ: 96-53-09 (საღამოს). დათო

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასარჩით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (18-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

ხსოვნა

ზაალ ათაბეგაშვილის მონატრება

შვილო, შენი ტკბილი სულის ჭირიმე,
აღარ გესმის დედის იავნანური,
მოგვენატრე, ყველა გულში გიხუტებს,
შენი სიკვდილის მიმსწრე მკვლაური.

ჩემი ცხოვრების სიხარულო, დედმა ხელთუქმნელი ძეგლი აგიგეს. კაცად გაგზარდე, გამახარე და ახლა მტანჯავ. დღესაც ვერ დამიჯერებია, თუ ბედისწერამ გაგწირა. შენ ასეთი ცხოვრებით არ უნდა გეცხოვრა. აკი იმიტომ წახვედი ისე, არც კი შეებრძოლე ულმობელ სიკვდილს. შენი სიჭკვიანით მშვიდად შეუერთდი მარადისობას. ცოლ-შვილზე ფიქრსა და ზრუნვაში სიცოცხლე საბედისწერო გაგიხდა. უშენოდ წავიდა შენი ნაპერწკალი თათია პირველად სკოლაში. შენ მაგიერ შენი სურათი მაცილებდა. მშვიდად იყავი, შვილო! შენი კაცთმოყვარეობის მაგალითზე აღიზრდებიან შენი ობლები. სანუგეშოდ დაგვიტოვე დიდი სითბოთი გამთბარი ღიმილი. ყველანი გეფერებით, გენატრებით, მაგრამ შენ გძინავს სამუდამოდ. იძინე... იძინე... შვილო... მე კი ვიტირებ და ვიტირებ.

დედა

ენლი ტუხაშვილის ხსოვნას!

გვენატრებით, დედა. 40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც სამუდამოდ დატოვეთ ამქვეყნიური ცხოვრება და გადასახლდით მარადიულ სამყოფელში. რა გაუსაძლისია უთქვენოდ... დაგვაკლდა ბრძნული რჩევები, თქვენი ალერსი და სიყვარული. თქვენს შვილებს – გიას და გოჩას, შინ შემოსვლისას, თვალები ისევ თქვენი ოთახისკენ გაურბით. იქ ეგულებით. ვუყურებთ მამას, ბატონ ელგუჯას, რომლისთვისაც ცხოვრებამ აზრი დაკარგა. შვილიშვილები – თამუნა, ელენე, სანდრო და მარი, სულ გელიან თქვენ, მშვენიერ ქალბატონს ენლი ტუხაშვილს. მათთვის თქვენ ხომ საუცხოო, შეუდარებელი ბებია იყავით.

გვენატრებით, გვიყვარხართ! არ გვეგონა, თუ ასე ძალე გამოგვეცლებოდით ხელიდან. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, ამჯერად სიკვდილის შემდეგ: დიდი ერთგულებისთვის, სიკეთისთვის, სიყვარულისთვის.

თქვენი რძლები, ლელა და ლალი

მიკა ოჩიგავას მონატრება

ჩემო მიკა, დედა! უზომო ტკივილს იწვევს შენი მონატრება. 12 ოქტომბერს 23 წლის გახდებოდი!.. შენმა კურსელებმა უკვე აიღეს იურისტის დიპლომები, შენ კი, აუხდენელი ოცნებები დაგრჩა. რომ იცოდე, როგორ მენატრები, შვილო, როგორ მენატრება შენი ლამაზი სახე, სულიერი სიმდიდრე. შენ ხომ ვერავის შეგადარებ, ვერც ვერავინ შეავსებს შენგან დატოვებულ სიცარიელეს – ვერც შენი დაიკო და ვერც დისშვილები. მათ შენი კერა გააძლიერეს, რომ შენს სახელს დავიწყება არ ეწეროს. ნეტავ, მოგესწრო დაოჯახება და თუ ასეთი ბედი გეწერა, შენი სახით, შენი ოჯახი დამრჩებოდა. უშენოდ ჩემმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა. მაპატიოს ლმერთმა, მას რომ ვლოცულობ და ვნატრობ იმ დღის დადგომას, რომელიც შენთან მომიყვანს. მაშინ კი, ვერაფერი დაგვაშორებს, ჩემო კალმით ნახატო, საამაყო, მოსიყვარულე, ჩემი სიცოცხლის შინაარსო, ჩემო მიშკუნა, დედა!

გულმოკლული დედაშენი როზა კოდუა

თითქოს სუნთქავდა მიწა დაყრილი შენზე,
თითქოს უნდოდა მძაფს, სწოლოდა გვერდზე,
ტიროდა ზეცა გამეტებით, მწუხარე ბედზე,
შავში მოხრილი ქალიც ტიროდა შენზე.
შენ ილიოდი ნაზად, სამოთხის ქუჩიდან,
იქნებ ელოდი წვიმას – გარდამოსულს ცადან.
იქნებ გინდოდა რამე... მოგაკლდა სითბო?
აღარ გინდოდა ცრემლი დედისგან თითქოს...
თითქოს სუნთქავდა მიწა დაყრილი შენზე,
ტიროდა ზეცა გამეტებით, მწუხარე ბედზე.

შენი მეგობრები

ალიკა ხელაშვილის გახსენება

ორმოცი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან... ძალიან მძიმეა უშენობა. გვენატრები, უცრემლოდ ვერ გიგონებთ კეთილო, ძვირფასო... რამ დაამშვიდოს შენი ოჯახი, მაგრამ იმედი გვაქვს, უფალი გადაგაფარებს მოწყალე კალთას. ღმერთმა გაცხონოს.

შენი ოჯახი

მანანა ჩხაიძის გახსენება

ძალიან გვენატრები, ჩემო საყვარელო დაიკო. 30 სექტემბერს მეექვსედ ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. შენი საწყალი დედა, შენი მონატრებით ცხოვრობს, იმით იიმედებს თავს, რომ სასუფეველში ერთად იქნებით მუდამ, იქ ვერავინ დაგაშორებთ ერთმანეთს. შენი საყვარელი ერთადერთი ბიჭი, უკვე დასაოჯახებლად ემზადება. შენ სული ოცნებაში იყავი, მოსწრებოდი შვილის ბედნიერებას, მაგრამ არ დაგცალდა. შენი ლოცვით ის მაინც იყოს ბედნიერი, აახდინოს შენი ოცნება, ჩემო საყვარელო დაიკო. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი დიადი სული. ამინ.

შენი და და დედა

მიშკა ოჩიგავას!

ერთი წლის წინ, მოულოდნელად გამიფრინდი. 12 ოქტომბერს შენთვის დაბადების დღეს უნდა მომელოცა – 23 წლის გახდებოდი, ჩემო სიცოცხლევ, მაგრამ, ვაი, რომ არ დაგცალდა. უშენობას ჯერ კიდევ ვერ შევეგუე და ალბათ ვერც ვერასოდეს შევეგუები. უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა. იმ იმედით ვცოცხლობ, რომ იქ მაინც ვიქნებით ერთად და ბედნიერად. ეს რა დღეში ჩაგვაგდე, მიშკა. უკვე აღარ ვიცი, რით ვანუგეშო უბედური დედაშენი. ყველას ძალიან ენატრები – შენს დაიკოს, დისშვილებს. დრო ყველაფრის მკურნალი არ ყოფილა. რაც დრო გადის, მით უფრო მენატრები. როგორი თბილი და ალერსიანი იყავი, ჩემო მიშკა. ალბათ ამიტომაც წახვედი ასე უცებ. გამიგონია, – ღმერთსაც კარგები უნდაო. გილოცავ, ჩემო სიხარულო, დაბადების დღეს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. მიყვარხარ და მეყვარები მუდამ.

მარად შენი თათია

თენგო წულაიას მონატრება

გავიდა 3 ტკივილით სავსე წელიწადი, ავად მოსაგონარი 7 ოქტომბრიდან. მხოლოდ 34 წელი და მარად ახალგაზრდობა – ასეთი ყოფილა შენი ბედისწერა, ჩვენო თენგო. შენმა კეთილმა სულმა გამყოფოს სამოთხეში და ჩვენგან ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა.

შენი ბიძაშვილი გია

ზაირა ქუმელაშვილის მონატრება

ჩემო საყვარელო, ერთგულო და ღირსეულო მეგობარო, შენს დაბადების დღეს, 13 ოქტომბერს პირველად ვხვდებით უშენოდ. შენ იცი, რომ ეს დღე ყველას ძალიან გვიყვარდა. ჩვენი უახლოესი ადამიანები იკრიბებოდნენ ჩვენთან, იყო გაუთავებელი სიცილი და მხიარულება, რადგან შენ გვერდით იყო ყველაფერი ლამაზი და ხალისიანი.

წლევანდელი შენი დაბადების დღე კი მწუხარებით არის სავსე. როგორ გიყვარდა ყველა; როგორ გვინაწილებდი ყველას სითბოსა და სიხარულს, ჩვენო განუმეორებელო, ჩვენო დიდო ტკივილო, ზაირა. შენი წასვლით გამოწვეულ დანაკლისს ვერაფერი შეავსებს. ძალიან ძნელია შენზე წარსულში ლაპარაკი და არც ვაპირებ, რადგან შენ ყოველთვის ჩვენ გვერდით იქნები. ერთი ნუგეში მასულდგმულებს მხოლოდ: მწამს, რომ შენ უფალთან სასუფეველში ხარ. თავს ვხრით შენ წინაშე და დიდი სიყვარულითა და მოფერებით გილოცავთ დაბადების დღეს.

შენს ხსოვნას სანთლად ანთებულს ვატარებ მთელი ჩემი ტვირთად ქცეული სიცოცხლე.

შენი გურამი

ილია ქვრივიშვილის მონატრება

ძნელია მონატრება, განსაკუთრებით შვილისა, რომელსაც იცი, რომ ვერასოდეს ნახავ. იცი და არ გიჯდება, თითქოს ეგუები, ცხოვრობ, ტირი და გულში საშინელ ტკივილსა და მონატრებას გრძნობ.

უკვე ოთხი წელია, რაც ტრაგიკულმა შემთხვევამ წამართვა შენი თავი, შვილო. გვენატრები ყველას – დედ-მამას, ძმას, ცოლ-შვილს, და ყველა ახლობელს.

ცრემლმორეული გეძებ და გნატრობ. ოცნებით შენთან ვარ, სიზმარშიც გხედავ, მაგრამ ცხადში... ოჰ, ძალიან მიჭირს უშენობა.

5 ოქტომბერს 31 წელი გისრულდება. მოვალთ შენთან, დაგინთებთ სანთლებს, მოგიტანთ ყვავილებს და ღმერთს შევთხოვთ, ნათელში გვიმყოფოს შენი სპეტაკი სული.

შენი დედ-მამა, ძმა, ცოლ-შვილი, ახლობლები

ჯუმბერ ჩახოიანცის ხსოვნას

ძვირფასო, მონატრებულო, საყვარელო ადამიანო!

ერთი წელი გავიდა, რაც მოულოდნელად წახვედი. დაგვიტოვე გაუსაძლისი ტკივილი. უშენობა ძალიან გვტკივა და გვაწუხებს. გვენატრები, ჩვენო კეთილო, თბილო ჯუმბერ. დაგვაობლე, მაგრამ გეფიცებით, შენს სახელს არ შევარცხვენთ. ღმერთმა გადაგაფაროს კალთა და დაგიმკვიდროს ადგილი თავის წიაღში.

შენი ოჯახი.

აბო (ალბერტ) მლებრიშვილის გახსენება

აბო, 8 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა. მეშვიდე წელია უშენოდ. ცრემლითა და ტკივილით გილოცავთ, მუდამ დაუვიწყარო.

გულიკო, ნათია

ლუბა აგრისკოვის ხსოვნას!

ჩვენო ლუბა, დიდი ტკივილი, რომელიც მთელი სიცოცხლე თან გაჰყვება არა მარტო შენს კოლეგებს, არამედ შენს აღსაზრდელებსაც, გამოწვეულია შენი უეცარი სიკვდილით.

მაინც როგორ უცბად გაქრი, როგორი დიდი ტრავმა, ტკივილი განვიცადეთ ყველამ. დღესაც გაოგნებულები ვართ, რომ შენ არ ხარ ჩვენ გვერდით.

როგორ გვაკლია შენი სითბო, გულისხმიერება, სიყვარული. გვენატრები, გვენატრები...

ფიზიკურად უზადოს, სულიც მშვენიერი გიბოძა უფალმა და ვევედრებით მას, შენი ლამაზი, კეთილი და ნათელი სულის უკვდავყოფას.

138-ე საშ. სკოლის კოლექტივი

გოჩა ჩხეიძის გახსენება

ამბობენ, დრო მკურნალიაო. განა შეიძლება, დრომ უმკურნალოს დედას, რომელმაც შვილი დაკარგა. 3 წელი გახდა, შვილო, 4 ოქტომბერს, რაც ჩემთან აღარ ხარ. უფრო მეტად მიჭირს უშენობა. უსიხარულოდ გადის წლები, უსიხარულო დღეებით და უძილო ღამეებით. გავიტანჯე, შვილო, უშენობით. თავს ვერ ვიკლავ, მეშინია შენი სამუდამოდ დაკარგვის. იმისთვისღა ვცოცხლობ, სიცოცხლეში ვინც გიყვარდა და გარშემო გყავდა, ისევ შენ გარშემო ტრიალებენ, გიგონებენ სიყვარულით.

ნათელში იყავი მარად, დედის იმედო და სიხარულო!

მთვარისა ჯიქიძის ხსოვნას!

9 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა, მთვარო. თოთხმეტი წელია, უშენოდ მოდის ეს დღე. მეოცე ფოთოლცვენას ველარ დაესწარი, გაუხარელი წახვედი ამ ქვეყნიდან. უსაზღვრო წუხილმა ნაადრევად დააბერა შენი მშობლები, დააკლდი შენს დას და ძმას, შენს ქუთაისს, მეც. დრომ ვერ გააჰუნა შენი ხსოვნა – უშენობას ვერ ვეგუებით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უმანკო და კეთილი სული.

ნანა გელაშვილი, ხაშური

დიმიტრი ცაგურიას მონატრება

ჩემო ერთადერთო იმედო, შვილო დიმა! 4 ოქტომბერს ათი წელიწადი შესრულდა შენი დაღუპვიდან. როგორ მენატრები, ჩემო ჭკვიანო და ლამაზო ბიჭო... რა დრო გასულა, მე კი მგონია, ყველაფერი ეს გუშინ მოხდა.

უცეცხლოდ იწვის ჩემი გული, შენი საფლავის მეტი არაფერი დამრჩენია და ისიც მიუწვდომელია დევნილი დედისთვის.

შენზე ფიქრებში მიღამდება და მითენდება. ერთი იმედი მაქვს: როცა გადაგასვენებ ქალაქ ზუგდიდში, კუბოს გავხსნი და მოვეფერები შენს ძვლებს, ოღონდ მოვაღწიო შენამდე.

ადრე თუ გვიან, აფხაზეთი დაუბრუნდება საქართველოს, შვილო და შენსავით ვაჟკაცურად დაღუპულთა სულები გაიხარებენ.

უფალს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი უმწიკვლო სული.

გატანჯული დედა, ფოთოლა ცაგურია

მიხეილ ლავიტაძის გახსენება

ერთი წელი სრულდება უშენოდ, ჩემო სიცოცხლევ (შვილო, ტანჯვის და წამების ერთი წელი), უშენოდ ყოველი დღის გათენება ახალი სიკვდილია ჩვენთვის. რომ იცოდე, როგორ გვენატრები, ჩემო კეთილო, როგორ ვიფიქრებდი, რომ უშენოდ ამდენს კიდევ ვიცოცხლებდი... მაგრამ ველოდოთ ღვთის ნებას. ირგვლივ ყველაფერი შენს თავს მაგონებს, შვილო! როგორ მენატრება შენი სუნთქვა, შენი ხელის სითბო, შენი ხალისიანი ხმა (დედას ვერ აკმაყოფილებს ფიქრებში შენთან ყოფნა, სახლში სურათებთან ლაპარაკი და საფლავის ქვაზე ნახატი სურათი). შეუძლებელია, დედის ტკივილის ფურცელზე გადატანა, შვილო. ყოველდღე ვლოცულობთ, დედიკო შემოგევლოს, მწამს, რომ შენი სული ცათა სასუფეველში დაიმკვიდრებს ადგილს და კვლავ შევხვდებით ერთმანეთს.

მშობლები და ძმის ოჯახი

კობა თეთრაძის ხსოვნას!

სამი თვე გავიდა შენი უეცარი წასვლიდან. ცრემლი არ შეშრობია შენს უბედურ დედას. ენატრები მამას, ძმას, კლასელებს, მეგობრებს, ნათესავებს. რა მწარე ყოფილა წუთისოფელი შენი უბედური მშობლებისათვის. კობა, შვილო, დაბადების დღე მიულოცე შენს ძმას – შალვას, 17 წლის გახდებოდა ჩვენთვის საბედისწერო 13 რიცხვში. მსუბუქი იყოს გომარეთის მიწა თქვენთვის, ჩემო მარად 8 თვის და 15 წლის შვილებო. ილოცეთ შვილებო, თქვენი ძმისა და მამისათვის. მალე წაიყვანეთ თქვენი უბედური დედა.

დედა, მამა, ძმა

ქეთინო ადამიას გახსენება

ერთი წელი გავიდა 8 ოქტომბერს, რაც შენმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა. დაგვაკლდი შენს მეგობრებს. დაუტოვე საშინელი სევდა და მწუხარება შენს დებს. ღმერთს ვთხოვ, რომ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

ლალი და ზაირა

დათო ნოზაძის ხსოვნას!

დათო! ძნელია უყურებდე შენს მოლოდინში თვალცრემლიან დედას, სანუგეშებელ სიტყვას ვერ ეუბნებოდე მამას. შენ მოუშუშებელი იარა დაგვიტოვე გულში.

დაუჯერებელია, დათო, რომ შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ვინც კი გიცნობდა, ყველამ გულწრფელი ცრემლით გაგაცილა უკანასკნელ გზაზე.

უშენოდ მოვიდა კიდევ ერთი 5 ოქტომბერი – შენი დაბადების დღე. მოვალთ ნათესავები, მეგობრები, ახლობლები, მაგრამ აღარ იქნები შენ.

ბიძაშვილები თიკა და მარი

გიორგი (აბრიკო) შავერდაშვილის გახსენება

16 ოქტომბერს 84 წელი შეგისრულდებოდა. როგორი სიხარული მოჰქონდა ამ დღეს შენი ოჯახისთვის.

20 წელია, რაც შენმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა.

წახვედი ჩვენგან, დაგვიტოვე უდიდესი ტკივილი. დრომ ვერ მოაშუშა შენგან დატოვებული იარა.

გვაკლიხარ, გვენატრები. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული.

ოჯახი

ცარო ბორისის ასული მჭედლიშვილის მონატრება

გადის ტკივილით სავსე 5 წელი... წარმოვიდგენ, თითქოს გუშინ იყო ლამაზი მოგონებები, რომელიც შენს სახლში იფრქვეოდა. გვენატრები, შვილო ცარო. ენატრები შენს ქმარ-შვილს, შვილიშვილებს, ძმას. ღმერთს ვევედრებ შენს თავს, გინთებ წმინდა სანთლებს. ნათელში გამყოფოს ღმერთმა.

დედა

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ მეცნრე არხის ჟურნალისტის

ნინო გაბიძაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილის ოჯახს.

„კვირის პალიტრის" რედაქცია

თემურა თავაწყვეტილი მიაქროლებდა მანქანას. წვიმდა და ამის გამო ყოველი მოსახვევი ხიფათით გვემუქრებოდა. წინ მე და ის ვისხედით, უკან — სამი ლამაზმანი გვეჯდა. დონეცკში შესვლას აღარაფერი გვიკლდა და ის კი სიჩქარეს არ ანელებდა. სიკვდილთან ამ უაზრო შეთამაშებამ შიში გამიძლიერა და უნებურად გამახსენდა ერთხელ ლენინგრადში გადამხდარი ხიფათი.

...მარინკასგან გაბრაზებული წამოვედი. იგი მაღალი, შავთვალა, შავთმიანი გოგოა, თე-

რას გვიმზადებს წუთისოფელი...

ძომაღალი და მკერდმკვრივი, ღია ბრინჯაოსფერი კანი უბზინავს, ყელი შველივით აქვს მოღერებული. ცოლად გამომყევი-მეთქი. არაო, შენ ქრისტიანი ხარ, მე კი — ებრაელი და ვერ გამოგყვებიო. გავბრაზდი. უსიტყვოდ ავდექი და წამოვედი. აბანოში შევიარე. მიყვარს აბანოში სიარული. თუკი წესიერი აბანოა, გახალისებული გამოვდივარ იქიდან. ახლაც ვიფიქრე, გუნებას გამოვიკეთებ, ეშმაკსაც წაუღია მარინკაც და ყველა ქალიც-მეთქი.

აბანო უხეირო გამოდგა: ქოშები არ ჰქონდათ, წყალი კი თასით უნდა გესხა. უარესად დავიბოღმე...

მეტროთი ვაგზლის მოედანზე ამოვედი. სალაროების განყოფილებაში ლენინგრადი-მოსკოვის ექსპრეს „ავრორაზე" მოვითხოვე ბილეთი. არ მაქვსო, მიპასუხა სახემწყაზარმა მოლარემ. ხან აქედან მოვუარე, ხან იქიდან, რა არ ველაპარაკე, მიყვარხარ-მეთქი, ვესულელე... თქვენც არ მომიკვდეთ. რომც მქონდეს, შენისთანა რეგვენ ქართველს მაინც არ მივყიდიო, მომახალა. მეზობელ სალაროსთან გადავინაცვლე და სწრაფი მატარებლის ბილეთი შევიძინე. იგი „ავრორას" შემდეგ, ერთ საათში, უნდა გასულიყო. ვაგონში ჩავჯექი და მატარებლის გასვლას დაველოდე, მაგრამ იგი რატომღაც წასვლას არ აპირებდა. მგზავრებს მოუსვენრობა დაეტყოთ. ამასობაში დაღამდა კიდეც. მგზავრები აწუწუნდნენ. ბოლოს, სადგურის რადიომ შემაშფოთებელი ამბავი გვამცნო: ბელაგოევოს გადასარბენზე დიდი სიჩქარით მიმავალი „ავრორა" რელსებს ასცდენოდა, აყირავებულ ვაგონებს ცეცხლი მოსდებოდა, მგზავრები კი, რომლებიც ცეცხლს გადაურჩნენ, ჭაობში ჩამხრჩვალიყვნენ.

ირგვლივ მიუვალი ადგილებია და სამაშველო სამუშაოები ფერხდებაო, — დაამთავრეს ინფორმაცია. როგორც იქნა, ლენინგრადიდან მეორე დღეს, საღამოს რვა საათზე გამოვედით. ბელაგოევოს გადასარბენზე შემზარავი სურათი ვიხილე: ათი ვაგონიდან რვა დამწვარიყო, ზოგი მათგანი სანახევროდ ჭაობში ჩაფლულიყო. ლენინგრადელ მოლარეს გულში სულ მადლობა ვუხადე.

მოსკოვში გათენებისას ჩავაღწიე და ჩემს ბიძაშვილს მივადექი კარს. მაშინვე დავწექი და მკვდარივით დამეძინა. ტელეფონის ზარმა გამაღვიძა — მარინკა რეკავდა, გაეგო კატასტროფის ამბავი. იცოდა, „ავრორათი" რომ ვფიქრობდი მგზავრობას. ცოცხალი თუ ხარო, შემომტირა.

შენ ხარ ჩემი მკვლელი, რატომ იმ „ავრორაში" არ დავიწვი-მეთქი, — შევაბრალე თავი...

დიდხანს არ დამვიწყებია ეს ამბავი, გული მოსალოდნელ ხიფათს მიგრძნობდა...

უცებ დავინახე, თემურა გრძელ მისაბმელიან სატვირთოს ასწრებდა. მოსახვევში მისაბმელი დაცურდა, თემურას მხრიდან მოხვდა ჩვენს მანქანას, შეითრია საბურავებში და გადაგვიარა... წამით გონება დავკარგე. გონს რომ მოვეგე, ყველაფერი დამთავრებულიყო: ვერ ვინძრეოდი და ვერაფერს ვხედავდი... მხოლოდ ვგრძნობდი, სასიკვდილოდ არ უნდა ვყოფილიყავი დაშავებული... თემურა-მეთქი, წამოვიყვირე, პასუხი არავინ გამცა... ვატყობდი, შუბლიდან სისხლი მდიოდა. მაშველებმა ჩემს გამოსათრევად ძალაყინებით აზიდეს მანქანის ძარა და როგორღაც გამომარიდეს მანქანას, საკაცეზე დამასვენეს, სასწრაფო დახმარების მანქანით გამაქანეს... გადამიღეს რენტგენი. ერთი ნეკნიც კი არ გამტეხოდა, მხოლოდ შუბლი მქონდა ატყავებული.

ორიოდე დღეში გამომწერეს.

თემურა მაშინვე გარდაცვლილიყო. ორ გოგონას, ღვთის ნებით, საავადმყოფოში მიყვანამდე დაელია სული, მესამეს ხერხემალი გადამსხვრეოდა და უბედური სამუდამოდ მიეჯაჭვა საწოლს...

მართლაც, შეუცნობელია ღვთის ნება. რატომ ამაცდინა ორგზის სიკვდილი, რა ახალი სატანჯველისა და გამოცდისათვის მამზადებს ნეტავ, წუთისოფელი?

ოთარ მელაძე

P.S. *ჩემს ვაჟს, ოთარს, აუხდა ავი წინათგრძნობა. იგი 10 წლის წინ დაიღუპა ქ. კიროვში მივლინებაში ყოფნისას — სასტუმროში სოკოთი ივახშმა...*

სხვათა შორის, მარინკამ როგორც კი გაიგო ეს შემზარავი ამბავი, მაშინვე ჩამოგვაკითხა. ოთარის საფლავი მოინახულა და გულწრფელად დაიტირა... მარინკა ახლა კანადაში ცხოვრობს.

იველი მელაძე, ბათუმი

მისტიკა და კრიმინალისტიკა

ეს ამბავი 1977 წელს მოხდა, როცა პოლიციამ ტერეზიტა ბასტიას ცხედარი აღმოაჩინა. 48 წლის ტერეზიტა ჩიკაგოში საკუთარ ბინაში ყელგამოჭრილი ნახეს. ტერეზიტა ფილიპინებიდან იყო ჩასული აშშ-ში სამუშაოს საძებნელად და მალე მან, დიპლომირებულმა ექიმმა, ერთ-ერთ საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა.

პოლიციას ხელჩასაჭიდი ვარიანტი არ გააჩნდა, ერთადერთი ეჭვმიტანილი ტერეზიტას ახლო მეგობარი მამაკაცი იყო, მაგრამ მოვლენები სულ სხვანაირად განვითარდა.

იმავე საავადმყოფოში, სადაც ტერეზიტა მუშაობდა, მუშაობდნენ ექიმი ხოსე ჰუა და მისი ცოლი, მაგრამ ტერეზიტას შორიდან იცნობდნენ. ერთ საღამოს, როცა ცოლ-ქმარი შინ იმყოფებოდა, მისის ჰუა ტრანსში ჩავარდა, ქმრის კითხვებს არ პასუხობდა. რამდენიმე წუთში წამოდგა და უცხო ხმით ფილიპინებზე გავრცელებულ ტაგალის ენაზე დაიწყო ლაპარაკი: „მე ტერეზიტა ბასტია ვარ", — მიმართა მისტერ ჰუას. შემდეგ ტერეზიტას ხმით განაგრძო, რომ ის საავადმყოფოს სანიტარმა მამაკაცმა მოკლა. მერე ქალი ასევე უეცრად გამოვიდა ტრანსიდან და არაფერი ახსოვდა.

ეს მოვლენა შემდგომ დღეებშიც განმეორდა, თანაც ტრანსის ხანგრძლივობა სულ უფრო იზრდებოდა და ინფორმაციაც მატულობდა. შედეგად ცოლ-ქმარმა შეიტყო, რომ ტერეზიტას მკვლელმა, აფროამერიკელმა ალენ შაუერმა მთელი მისი სამკაულები წაიღო, ოქროს ბეჭედი კი თავის მეგობარ გოგონას აჩუქა. მისტერ ჰუამ პოლიციას მიმართა: მისის ჰუა ისეთ წვრილმანებს ჰყვებოდა, რომ თავდაპირველად, სკეპტიკურად განწყობილი გამომძიებლები გაოგნებულნი იყვნენ. შაუერის ბინის ჩხრეკისას მართლაც აღმოაჩინეს ტერეზიტას სამკაულები, ხოლო მისი მეგობარი ქალის ხელზე კი — ბეჭედი. შაუერი გამოტყდა მკვლელობაში. ასე დამთავრდა ძიება, რომლის მთავარი მოწმე მოკლულის... სული იყო.

კალეიდოსკოპი №39

სკულპტურები დაფრინავენ?!

ბოლო დროს რელიგიურ-მისტიკური სენსაციების მთავარი მიმწოდებელი ირლანდია გახდა — იქ იესო ქრისტეს და მარიამ ღვთისმშობლის სკულპტურებმა დაიწყეს ფრენა. დუბლინელი მშენებლების ჯგუფს ცოტა ხნის წინ იესო ქრისტეს სკულპტურა მიჰქონდათ საკურთხებლად. მოულოდნელად იგი ხელიდან გამოეცალა მათ და ჰაერში აფრინდა. იმ წამსვე ცა ავად მოიქუფრა და სეტყვა წამოვიდა. სკულპტურამ დაახლოებით 10 მეტრი იფრინა, მერე კი ძირს დაენარცხა და დაიმსხვრა. ირგვლივ ვარდის მძაფრი სურნელი იფრქვეოდა.

ირლანდიელმა ისტორიკოსმა ტერი ფეივანმა გადაიღო მომხდარი. ფირის გამჟღავნების შემდეგ აღმოაჩინა, რომ ქალაქის ქუჩების ფონზე, ფოტოზე გამოიკვეთა სახე, რომელიც ძალზე წააგავს იესო ქრისტეს კანონიკურ სახეს.

ეს უკვე მეორმოცე შემთხვევაა იმ უცნაურობათა შორის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ირლანდიაში ბოლო ხუთი წლის მანძილზე. ტელევიზიამ დოკუმენტური ფილმიც კი გადაიღო ამ თემაზე.

ირლანდიის კათოლიკური ეკლესია კომენტარებისგან თავს იკავებს. მეცნიერებმა კი ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ ყველა სასწაული, რატომღაც ზაფხულობით, ცუდ ამინდში ხდება. ისინი ამ ფენომენს ვერ ხსნიან, რადგან მეცნიერებს ადრე მსგავსი რამ არასდროს დაუფიქსირებიათ.

ტაინაია ვლასტ №38

რას არ გაიგებს კაცი!

ჯადოქრობის სკოლა

სკოლა ქალაქ კლაგენფურტის (ავსტრია) მახლობლად მდებარეობს. ჯადოქრებად გახდომის მსურველები აქ ექვსი სემესტრის განმავლობაში შეისწავლიან სხვადასხვაგვარი ნახარშის დამზადებას, შელოცვებს — წვიმის, სიყვარულის, სიძულვილის და მისთანების გამოსაწვევად. დამთავრებისას ყველა სტუდენტი ჯადოქრის დიპლომს მიიღებს. როგორც სკოლის დირექტორი ამბობს: „მაგია ძალიან ახლოსაა ბუნებასთან. ჩვენ ვასწავლით ბუნების ძალებთან ურთიერთობას". სტუდენტებს ასევე შეასწავლიან ასტროლოგიას, მაგიის ისტორიას, მედიტაციას და სხვ.

სობესედნიკი №37

ჭკვიანი ყვავილები

ედინბურგის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მცენარეებს ინტელექტის განსაკუთრებული დონე აქვთ. მცენარეს შეუძლია შთანთქას და გააანალიზოს ინფორმაცია. ყვავილებს ახსოვთ, რა გადახდათ ადრე.

მაგრამ ასეთი უჩვეულო ნიჭით დაჯილდოებული არიან მხოლოდ ველური მცენარეები.

სთარი

ჩვენ გვწერენ

დელფინმა მანიშნა...

15 წლის წინ მე და თამრიკო სოჭის ახლოს ვისვენებდით. ერთ ნაშუაღამევს კარზე კაკუნმა გამაღვიძა. გავაღე. ზღურბლზე თმაგადახოტრილი, მომწვანოსახიანი, ხალვათად გამოწყობილი ქალი იდგა... ნეტა რა გაუჭირდა-მეთქი, გამიელვა თავში და ქალმა უმალ მიპასუხა, ოღონდ აზრით — წამომყევი, მარტო დავრჩი და მეშინია, დამეხმარეო.

მდუმარედ მივყვებოდით სანაპიროს. ქალს დიდი მუცელი ჰქონდა, უთუოდ ფეხმძიმედ იყო. გონებით მიბრძანა — მომეხვიე! მოვეხვიე. ვიგრძენი, როგორ ავმჩატდი და მიწას მოვწყდი. გონება დამიბნელდა. თეთრ, დიდ ოთახში აღმოვჩნდით. ქალი დაწვა. მე მუხლებთან დავუჯექი. მიბრძანა, — მარჯვენა ხელით შედი საშოში, ბავშვი მოაბრუნე, ოღონდ პირქვე და დაეხმარე შობაშიო. ასე მოვიქეცი და მალე მშვენიერი, ჯანსაღი ბიჭუნა დედის ფეხებთან იწვა. ქალმა მოაჭრა თუ არა ჭიპლარი, ის წამში გახმა და მოძვრა. მე ბიჭუნა, თეთრ, გამჭვირვალე საბანში გავახვიე და ქალს მივაწოდე.

ბავშვი შებრუნებული იყო მუცელში. მარტო ვერ ვართმევდი თავს, ამიტომ გიხმე. შენ ყველაფერი საუცხოოდ გააკეთე, ახლა წადი. მადლობა, — მითხრა აზრით ქალმა.

როგორ გავიგო, ხვალ როგორ იქნები? — ვკითხე გონებით. — ხვალ ზღვის სანაპიროს დელფინების გუნდი მოადგება. ერთი მაღლა ახტება, ჰაერში შეითამაშებს. ეს იქნება ნიშანი, რომ კარგად ვარო...

კვლავ დამიბნელდა გონება და ბინის კართან გამოვფხიზლდი. თამრიკოს კვლავ ტკბილად ეძინა. სასწრაფოდ გავიხადე და ჩავწექი.

დილით გაოგნებული ვფიქრობდი, — ეს ყოველივე ხომ არ მესიზმრა-მეთქი.

ნაშუადღევს მე და თამრიკო ზღვაზე გავედით. სანაპიროსთან დგაფუნი ატყდა. დელფინები, — დაიძახა გახარებულმა თამრიკომ. გავშეშდი. ერთმა დელფინმა ჰაერში შეინავარდა. გულს მომეშვა და დავრწმუნდი — წუხანდელი თავგადასავალი სიზმარი არ ყოფილა...

ტასო ჭილაძე, თბილისი

„საზალდო–სალაღო" გვერდის პასუხები

I. რებუსი
ნივთი ახალი ჯობია, მეგობარი კი ძველიო;

II. ძაღლი;

III. 1) — დ); 2) — ა); 3) — ა).

IV. მე-4;

V. 1. — ბაჭია;
2. — კნუტი;
3. — გოჭი;
4. — იხვის ჭუჭული.

AMERICAN ACADEMY IN TBILISI

The American Academy in Tbilisi is seeking candidates for teaching for the academic year 2003-2004. Openings are available for the following subjects: English, History, and Georgian. All candidates must take the Institutional TOEFL test and submit a CV, three letters of recommendation, and a statement of purpose as to why they are applying. Preferred candidates will be fluent in English, have advanced degrees in their subject, teaching experience (preferably in school), and computer literacy. Successful candidates will study for one year in U.S. before returning to teach. Applications are available from the school at 37A Cavchavadze Ave. (22 74 41, 22 78 89). Deadline for applying: October 21, 2002.

ამერიკული აკადემია თბილისში აცხადებს კონკურსს ქართულის, ინგლისურის და ისტორიის მასწავლებლის თანამდებობაზე 2003-2004 სასწავლო წლისთვის. კანდიდატებმა უნდა ჩააბარონ ინსტიტუციური TOEFL ტესტი (ტესტირება შედგება 15 ოქტომბერს), წარმოადგინონ რეზიუმე, ოფიციალური ტრანსკრიპტები, სამი სარეკომენდაციო წერილი, და ესსე, რომელშიც ახსნილი იქნება, თუ რატომ სურთ აკადემიაში მუშაობა. უპირატესობა მიენიჭება კანდიდატებს, რომლებიც კარგად ფლობენ ინგლისურს, აქვთ უმაღლესი განათლება შესაბამისი სპეციალობით, პედაგოგიური გამოცდილება (სასურველია სკოლის მასწავლებლის) და გააჩნიათ კომპიუტერთან მუშაობის ჩვევები. წარმატებული კანდიდატები გაივლიან ერთწლიან მომზადებას აშშ-ში. მსურველებმა მოგვმართეთ მისამართზე: ჭავჭავაძის 37ა ☎ 22 74 41; 22 78 89.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 21 ოქტომბერი, 2002წ.

სორელი წინწილებს დათვლას აპირებს

საქართველოს გზა ყველგან და ყველაფერში რუსეთზე გადის: უცნაური ბედისწერით რაგბიშიც ურთიერთობის გარკვევა რუსებთან გვიწევს.

რუსეთში უკვე გაისმის მოწოდებები — ქართველ მორაგბეებთან დამარცხება ეროვნული კატასტროფის ტოლფასი იქნებაო. მსოფლიო თასის ფინალი 2003 წელს ავსტრალიაში გაიმართება. მანამდე კი ფინალში გასაღწევად „ბორჯღალოსნები“ 13 ოქტომბერს რუსებს უმასპინძლებენ.

ირლანდია ჯგუფში ფავორიტად ითვლება. აქედან გამომდინარე, ქართველები განსაკუთრებული მონდომებით ემზადებიან 13 ოქტომბერს თბილისში დანიშნული მატჩისთვის, რომელსაც ირლანდიასთან შეხვედრის მოსამზადებელ ეტაპად განიხილავენ.

ევროპის ერთა თასის ბოლო მატჩებმა ცხადად გამოაჩინა, რომ „ბორჯღალოსანთა“ პროგრესი შეჩერდა და მუსიე კლოდ სორელის ტაქტიკაც რუმინელებმა და რუსებმა მშვენივრად შეისწავლეს. ბუნებრივია, ეს ქართველთა ფრანგმა მწვრთნელმა სხვებზე არანაკლებ იყნოსა და უკვე მესამე თვეა „ბორჯღალოსნებს“ განსაკუთრებული ინტენსივობით ავარჯიშებს. სორელმა ნაკრების უკანა ხაზში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად თავისი თანამემამულე, ფრანგი სპეციალისტი პატრიკ ფორი ჩამოიყვანა. მოთამაშეთა თქმით, ფორი ისეთ კომპონენტებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც აქამდეც უნდა ძირითადი მოთამაშე — ზოგს ტრავმა აწუხებდა, ზოგიც კლუბმა არ გამოუშვა და აღმოჩნდა, რომ სორელს, ძირითადად, ახალგაზრდებთან მოუხდა მუშაობა. ეს კი პრინციპული მატჩის წინ „ბორჯღალოსნებს“ ხეირს ვერ მოუტანდა. ირლანდიასთან 14:63 წაგებამ ეს უკვე დაგვანახვა.

აგვისტოში მომხდარი ფაქტი ასევე ვერ დაასხამდა ჩვენს წისქვილზე წყალს: ფრანგულ კლუბ „ბრინში“ ჩარიცხულ მამუკა მაგრაქველიძეს დოპინგის მიღება დაბრალდა. ყოველივე ამან ფრანგულ პრესაში ნამდვილი ანტიქართული ისტერია გამოიწვია. პოპულარული გამოცემების — „ეკიპ“-ისა და „ოლიმპიკ“-ის ტონი საფრანგეთში დასაქმებულ 80-დე ქართველ მორაგბეს კომფორტს ნამდვილად ვერ შეუქმნიდა.

მაგრაქველიძე მაშინ დააკავეს, როდესაც „ბრინის“ საფოსტო განყოფილებაში ამანათი ჩაიბარა. საბაჟო კონტროლზე ამანათში საეჭვო პრეპარატი დააფიქსირეს. ფრანგული კანონმდებლობა სტიმულატორს ნარკოტიკის რანგში განიხილავს და მაგრაქველიძეც ცუდ ღღეში ჩაგდეს. თუმცა, საბოლოოდ გაირკვა, რომ სტიმულატორი მაგრაქველიძის ფრანგ თანაგუნდელს ეკუთვნოდა, მაგრამ „ბრინის“ თავკაცებმა იჩქარეს და მამუკა გუნდიდან გარიცხეს. რაგბის კავშირის პრეზიდენტის, ბიძინა გეგიძის თქმით, ვითარება საბოლოოდ ქართველის სასარგებლოდ შეიცვალა, ფრანგებმა სიმართლე შეიტყვეს და მაგრაქველიძეს დაუფასდა, მეგობარი რომ არ გაყიდა. ახლა მას გაცილებით ძლიერი გუნდი, „მონპელიე“ იწვევს. როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელია.

რაც შეეხებათ რუსებს, ისინიც გაძლიერებულად, თითქმის მთლიანი შემადგენლობით ემზადებოდნენ სამხრეთ აფრიკაში. უკვე ერთი წელია, რაც მათ სამხრეთაფრიკელი სპეციალისტი ავარჯიშებს.

თუმცა, პრობლემა მათაც აქვთ: 12 ოქტომბერს, ანუ საქართველო-რუსეთის მატჩის წინა დღეს საფრანგეთში იმართება „ჰაინეკენის“ თასის ფინალი, სადაც მონაწილეობს რუსთა ორი ლიდერი, სლავა გრაჩოვი და სერგეი სერგეევი. საეჭვოა, რომ კლუბმა ისინი გამოუშვას, არადა, რუსები ფრანგებისგან ლიდერების გათავისუფლებას მოითხოვენ.

ერთი შეხედვით, თითქოს ბოლო დროს მოვლენები საჩვენოდ არ ვითარდება, მაგრამ იმედს შემდეგი გარემოებები გვიტოვებს: ჯერ ერთი მატჩი თბილისში გაიმართება, რაც „ბორჯღალოსნებს“ უპირატესობას ანიჭებს. მატჩი ეროვნულ სტადიონზე გაიმართება და ბიძინა გეგიძის თქმით, სრული ანშლაგია მოსალოდნელი.

მეორე ფაქტორი კი, შესაძლოა, მოთამაშეებისთვის ფინანსური სტიმული აღმოჩნდეს. მართალია, მორაგბეები „მწვანე ბანკნოტის“ სიყვარულში ჯერ არავის უმხელია, მაგრამ წარმატებული სპორტსმენებისთვის ფინანსებიც ალალი იქნება. საქმე ისაა, რომ რაგბის კავშირის პრეზიდენტის თქმით, რუსებთან შეხვედრამდე, შესაძლოა, სოლიდურ სპონსორთან გააფორმონ კონტრაქტი. საუბარია „ეი-ი-ეს თელასზე“.

და ყველაზე მნიშვნელოვანი — „ბორჯღალოსანთა“ მთავარი მოკავშირე მათში შემორჩენილი მებრძოლი სული იქნება, სულიერი მხნეობა კი კლასზე მნიშვნელოვანიც რომ არის, ამის მაგალითები სპორტში ბევრჯერ გვქონია. მორაგბეებს კი არავისგან ესწავლებათ ვისი გორისანი არიან და ვის როგორ დაუხვდნენ.

ჩივაძე ახალ გუნდს აჟალიბებს

12 ოქტომბრის მატჩისთვის საქართველო და რუსეთი გაძლიერებულად ემზადებიან. ეს მატჩი არ იქნება მხოლოდ ფეხბურთში გაჯიბრება, ორ ქვეყანას ბევრი რამ აქვს ერთმანეთისთვის დასამტკიცებელი სპორტული თუ სხვა კუთხითაც.

მეტოქეებმა მზადება უკვე დაიწყეს. რუსების თავკაცმა, ვალერი გაზაევმა დაასახელა გუნდის შემადგენლობა და კიდევ ერთხელ გააოცა სპეციალისტები, რადგან 24-კაციან სიაში ერთადერთი სპარტაკელი, ბესიკ ასტნიხი მოხვდა. ჩრდილოელი მასმედია ფრთხილად გაჰკრავს კბილს ვალერი გაზაევს ცსკა-დან ერთბაშად ცხრა ხელქვეითის მიწვევის გამო და ამ ყოველივეს ოსი მწვრთნელის სატრანსფერო საქმეებისადმი სიყვარულით ხსნის. საერთო აზრით, იანოვსკი, გუსევი და პოპოვი კონკურენტებს არ სჯობიან.

რაც შეეხება მატჩის გარშემო ატეხილ არასასიამოვნო აჟიოტაჟს, იგი რუსული სპორტის თავკაცმა, ჰოკეის ყოფილმა ვარსკვლავმა, ვიაჩესლავ ფეტისოვმა ჩააცხრო: „მატჩის თბილისში გამართვა არავითარ ეჭვს არ ბადებს. საქართველოში ვეტერან რუს სპორტსმენთა დიდი ჯგუფი გაემგზავრება, რომლებიც იქაურ მეგობრებს მოინახულებენ და გუნდსაც უქომაგებენ. თბილისში მატჩის გამართვა საშიში ნამდვილად არ არის. მე ვესაუბრე საქართველოს სპორტის მინისტრს, რომელმაც დამაიმედა, შეხვედრის ჩასატარებლად მშვენიერი ვითარებაა, რუსებს არავინ ერჩის და ტყუილად შიშობთო“.

სხვათა შორის, ფეტისოვი თავად აპირებს მატჩზე დასწრებას. რუსების მწვრთნელი, ვალერი გაზაევი კი, ეტყობა, მაინც უფრთხის გაურკვეველ ვითარებას და ორაზროვან კომენტარს აკეთებს: „არ მინდა დავიჯერო, რომ მატჩს მოულოდნელი ექსცესები გააუფერულებს.“

ამ სიტყვებში ძნელი არ არის მწვრთნელის შორსმიმავალი აზრების ამოკითხვა — წაგების შემთხვევაში თავს გაიმართლებს, ფეხბურთელებმა დიდ ზეწოლას ვერ გაუძლესო.

ახლა ქართველებზეც ვთქვათ: ზედმიწევნით პრინციპული შეხვედრის წინ ჩივაძემ არ მოიწვია გუნდის კაპიტანი ნემსაძე. აგრეთვე ქინქლაძე, ყაველაშვილი და შეყილაძე და ამით

გულშემატკივრებს ირიბად გაუმხილა იმ მოთამაშეთა სია, რომლებიც, მისი აზრით, ნაკრებში კარგად ვერ ირჯებიან.

ამ ფაქტმა ეროვნული გუნდის ყოფილ კაპიტანს, კახა ცხადაძეს, მეგობრების დაცვისკენ უბიძგა. როგორც მან თქვა, ქინქლაძეს მაშინ ნუ მოიწვევდნენ, როდესაც ფორმაში არ იყო: „თურქებთან და შვეიცარიასთან შეხვედრებში აშკარად გამოჩნდა, რომ გიორგი არ იყო ფორმაში, ცუდად იყო, მაშინ ჩივაძემ იგი მაინც გამოიძახა. ახლა უკვე ქინქლაძე ათამაშდა და მწვრთნელმა არ გამოიძახა. შეცდომა იყო ნემსაძის მცველად დაყენებაც, ახლა კი მისი გამოუძახებლობა.

ცვლილებები ნაკრებს სჭირდება, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. მეშინია, წაგების შემთხვევაში, მწვრთნელები გუნდის გაახალგაზრდავებას თავის გამამართლებლად გამოიყენებენ“.

ჩივაძეს არანაკლებ ესმის, რომ ხალხი მისგან გასამართლებელ საბუთებს კი არა, მხოლოდ გამარჯვებას ელის. მასზე ვერავინ იტყვის, ინტრიგას ხლართავსო. ჩანს, გულწრფელად მიაჩნია, რომ მხოლოდ საუკეთესოები მიიწვია.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ნაკრებიდან ზემოთ დასახელებულ მოთამაშეთა მოკვეთის ინიციატივას მხარს უჭერს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ მუშაობას ყველაზე თვალსაჩინოდ ასახავს ეროვნული ნაკრების საერთაშორისო რეიტინგი. ხელმძღვანელობასაც აღარ სურს თვალის დახუჭვა.

ამჟამად აქცენტი ახალგაზრდა, ნიჭიერ მოთამაშეებზე გადაიტანეს. მათი უმრავლესობა დინამოელია.

მატჩისთვის გაძლიერებულად ემზადებიან საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები და ხელისუფლება. სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ, თედო ისაკაძემ კანცელარიაში, საგანგებო თათბირზე მოიწვია უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელობა, აგრეთვე ეროვნული და „ლოკომოტივის“ სტადიონის თავკაცები. ისაუბრეს მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოების გარანტიებზე.

არც უეფა დარჩენილა განზე. ევროპული ფეხბურთის თავკაცებმა უეფას არსებობის ისტორიაში უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღეს და მატჩზე ერთის ნაცვლად ერთბაშად სამ კომისარს აგზავნიან. სწორედ ახლა უნდა დაამტკიცონ ქართველმა ფანებმა, რომ თავისიანთა ქომაგობაც ღირსეული იციან და სტუმრის დახვედრაც. ბოლოს და ბოლოს, საქართველო მართლა ტერორისტების ქვეყანა ხომ არ არის!

გვერდი მოამზადა ზვიად კალანდაძემ

რა სასჯელი გველის უეფასგან?

3 ოქტომბერს თბილისის „დინამოსგან“ ყველა სასწაულს ელოდა. ქართველ ფეხბურთელებს უეფას თასის 1/32 ფინალში გასასვლელად ჩეხეთის ჩემპიონ „სლოვანთან“ ერთი გოლის უპირატესობით გამარჯვება სჭირდებოდა.

იმედს უცნაური დამთხვევაც აძლიერებდა: ისევე როგორც 1979 წელს (როდესაც „დინამომ“ „ლივერპული“ 3:0 გააცამტვერა), ახლაც შეხვედრა 3 ოქტომბერს გაიმართა და კვლავ საავდროდ მოიქუფრა ცა.

სამწუხაროდ, ამჯერად მეტოქის კარში გოლების წვიმა ვერ ვიხილეთ. პირიქით, „დინამო“ დამარცხდა 0:1 და უეფას თასის გათამაშებას გამოეთიშა. მართალია, ლატვიელმა არბიტრმა მეორე ტაიმის დასაწყისში ჩეხ ფორვარდს, ზბონჩიკს ბურთი არ ჩაუთვალა, მაგრამ 64-ე წუთზე მან მაინც მოახერხა გვარამაძის კარის აღება.

თუმცა, მშრალი სტატისტიკა ვერ გამოხატავს იმ თავდადებას, რითაც დინამოელებმა თავი დაამახსოვრეს ეროვნულ სტადიონზე შეკრებილ 40 ათას მაყურებელს. თბილისელებს ჰქონდათ რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ ვერ იხეირეს. 90-ე წუთზე დინამოელთაგან საუკეთესომ, ბურდულმა პენალტი კარს აცილა. და მაინც, მაყურებელმა დამარცხებულები ტაშით გააცილა, რადგან მათში მაინც გამოჩნდა თავდადება, რასაც ქართველმა ფეხბურთელებმა ბოლო დროს გადაგვაჩვიეს.

აღსანიშნავია, რომ 40 ათასი მაყურებელი ქართულ სტადიონებზე დიდი ხანია არ შეკრებილა, მაგრამ მათმა ნაწილმა უღირსი საქციელით ეროვნული სტადიონის დირექცია მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო: რა სასჯელი ელის მოედანზე ნასროლი უამრავი ბოთლის გამო გუნდისა და სტადიონის დირექციას, ამას უეფას დისციპლინარული კომიტეტი უახლოეს სხდომაზე გამოაცხადებს.

უეფას თასზე ქართველებმა კვლავ გამოიჩინეს თავი. თემურ ქეცბაიამ „ანორთოსისში“ ითამაშა და „ირაკლისს“ ბურთი გაუტანა, „შტურმის“ თავდამსხმელმა, დავით მუჯირმა „ლივინგსტონთან“ შოტლანდიაშიც ისახელა თავი. თუმცა, უმთავრესი მოვლენა უკრაინაში მოხდა: ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ ინგლისური ფეხბურთის გრანდ „ლიდსთან“ 18 წლის ქართველი ფორვარდის, ირაკლი მოდებაძის გოლის წყალობით დაწინაურდა, მაგრამ ბარმბის გოლმა „მეტალურგს“ შემდეგ წრეში გასვლის შანსი გადაუწურა.

უეფას თასი. მეორე ეტაპი. განმეორებითი შეხვედრები.

დინამო (თბ) – სლოვანი 0:1 (2:3)	კიევი – ცრვენა ზვეზდა 0:2 (0:0)
რეინჯერსი – ჟიჟკოვი 2:0 დდ. 3:1 (0:2)	ფულჰემი – ჰაიდუკი 2:2 (1:0)
ბეტისი – ზიმბრუ 2:1 (2:0)	სლავია – მუსკრონი 5:1 (2:2)
მეტალურგი – ლიდსი 1:1 (0:1)	დიურგარდენი – კოპენჰაგენი 3:1 (0:0)
ლივინგსტონი – შტურმი 4:3 (2:5)	სტაბეკი – ანდერლეხტი 1:2 (1:0)
ანორთოსისი – ირაკლისი 3:1 (2:4)	მალაგა – ჟელეზნიჩარი 1:0 (0:0)
ვისლა – პრიმორიე 6:1 (0:2)	შიროკიბერეგი – სპარტა 0:1 (0:3)
პანათინაიკ – ლიტექსი 0:1 დდ. 2:1 (1:0)	ვიკინგი – ჩელსი 4:2 (1:2)
ლორიანი – დენიზლი 3:1 (0:2)	უპეშტი – პსჟ 0:1 (0:3)
ჰაპოელი – კარინტენ 0:1 (4:0)	ქსანტი – ლაციო 0:0 (0:4)
ზალაეგერსეგი – დინამო 1:3 (0:6)	სარტიდი – იფსვიჩი 0:1 (1:1)
ქოჯაელი – ფერენცვაროში 0:1 (0:4)	სუდუვა – სელტიკი 0:2 (1:8)
შალკე – გომელი 4:0 (4:1)	ალავესი – ანკარა 3:0 (2:1)
ვარტექსი – მიდტიულანდი 1:1 (0:1)	ცსკა (სოფ) – ბლეკბერნი 3:3 (1:1)
ვენტსპილსი – შტუტგარტი 1:4 (1:4)	ოდენსე – სელტა 1:0 (0:2)
ბრონდბიუ – ლევსკი 1:1 (1:4)	პოლონია – პორტუ 2:0 (0:6)
პარმა – ცსკა (მოსკ.) 3:2 (1:1)	პარტიზან – სპორტინგი 1:3 დდ 3:3 (3:1)
სარაევო – ბეშიქთაში 0:5 (2:2)	პუხოვი – ბორდო 1:4 (0:6)
ფენერბახჩე – აიკ 3:1 (3:3)	რაპიდი (ბუქ) – ვიტესი 0:1 (1:1)
უტრეხტი – ლეგია 1:3 (1:4)	პაოკ – ლეიშოეში 4:1 (1:2)
ჰერენვენი – ნაციონალი 2:0 (0:3)	ბოავიშტა – მაკაბი (ნ) 4:1 (0:1)
გრაცერი – ჰაპოელი (კვ) 1:1 (0:2)	*დახრილი შრიფტით გამოყოფილია შემდეგ წრეში გასული გუნდები*
ზენიტი – გრასჰოპერსი 2:1 (1:3)	

ჩემპიონთა ლიგა. I ჯგუფური ეტაპი, II ტური 24-25 სექტემბერი

A ჯგუფი

ოსერი 0:1 არსენალი

პსვ 1:3 დორტმუნდი

არსენალი	3	3	0	0	7:0	9
დორტმუნდი	3	2	0	1	5:4	6
ოსერი	3	0	1	2	1:3	1
პსვ	3	0	1	2	1:7	1

B ჯგუფი

ლივერპული 5:0 სპარტაკი

ვალენსია 6:2 ბაზელი

ვალენსია	3	3	0	0	11:2	9
ლივერპული	3	1	1	1	6:3	4
ბაზელი	3	1	1	1	5:7	4
სპარტაკი	3	0	0	3	0:10	0

C ჯგუფი

აეკ 3:3 რეალი

გენკი 0:1 რომა

რეალი	3	2	1	0	12:3	7
რომა	3	1	1	1	1:3	4
აეკ	3	0	3	0	3:3	3
გენკი	3	0	1	2	0:7	1

D ჯგუფი

ინტერი 1:2 ლიონი

რუსენბორგი 0:0 აიაქსი

ლიონი	3	2	0	1	8:3	6
ინტერი	3	1	1	1	4:4	4
აიაქსი	3	1	1	1	2:2	4
რუსენბორგი	3	0	2	1	2:7	2

E ჯგუფი

იუვენტუსი 2:0 ნიუკასლი

ფეინოორდი 0:0 დინამო

იუვენტუსი	3	2	1	0	8:1	7
ფეინოორდი	3	1	2	0	2:1	5
დინამო	3	1	1	1	2:5	4
ნიუკასლი	3	0	0	3	0:5	0

F ჯგუფი

მანჩესტ. 4:0 ოლიმპიაკ.

მაკაბი 0:2 ლევერკუზენი

მანჩესტერი	3	3	0	0	11:3	9
მაკაბი	3	1	0	2	5:7	3
ოლიმპიაკ.	3	1	0	2	6:9	3
ლევერკუზ.	3	1	0	2	5:8	3

G ჯგუფი

ბაიერნი 1:2 მილანი

დეპორტივო 3:1 ლანსი

მილანი	3	3	0	0	8:2	9
დეპორტივო	3	2	0	1	6:7	6
ბაიერნი	3	0	1	2	4:6	1
ლანსი	3	0	1	2	3:6	1

H ჯგუფი

გალათასარაი 0:0 ბრიუგე

ლოკომოტ. 1:3 ბარსელონა

ბარსელონა	3	3	0	0	8:3	9
გალათას.	3	1	1	1	2:2	4
ბრიუგე	3	0	2	1	2:3	2
ლოკომოტ.	3	0	1	2	1:5	1

ავტოსალონი

პარიზის ავტოსალონის გახსნამდე თითქმის ნახევარი წლით ადრე ვრცელდებოდა სხვადასხვა ლეგენდა აქ წარმოსადგენი მოდელების შესახებ.

პარიზის ავტოსალონი ტრადიციულად, სადიზაინო მიღწევების გამოფენად ითვლება. ამის გამო, ფართო საზოგადოებრიობაში უფრო დიდი ინტერესით სარგებლობს. წლევანდელი გამოფენა კი განსაკუთრებული იმით იყო, რომ აქ წარმოდგენილი მოდელები რევოლუციური ფორმებით გამოირჩეოდნენ.

დიდი ენცო ბრუნდება...

ლეგენდები, მონაცემები და ფოტოები „ენცო ფერარის“ შესახებ პარიზის გამოფენამდე სამი თვით ადრე გავრცელდა. ამაზე „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთ გასულ ნომერშიც ვწერდით. მიუხედავად იმისა, რომ სალონზე მოსულ დამთვალიერებლებს პრესის საშუალებით მოდელზე გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ, ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და იტალიური ავტოფირმის დამფუძნებლის მოსახელე ავტომობილი პარიზის ავტოსალონის გმირად იქცა და არცთუ უსაფუძვლოდ. „ფერარის“ კონსტრუქტორებმა თავისი მამამთავრის საიუბილეო მოდელზე სერიოზულად იმუშავეს. დიზაინთან დაკავშირებით დასკვნების გამოტანას მკითხველს მივანდობთ. აქ მხოლოდ ერთის დამატება შეიძლება — ავტომობილი „ფორმულა 1“-ის სამოქალაქო ვარიანტს წარმოადგენს. V12 ტიპის ძრავა 660 ცხ.ძ სიმძლავრეს წარმოშობს. ავტომობილის კორპუსი ზემტკიცე ალუმინისა და პლასტიკატის ნაერთით არის დამზადებული. „ფერარის“ მენეჯერთა განცხადებით, მარანელოს ქარხანა მხოლოდ 349 მოდელს გამოუშვებს.

ახალი უნივერსალი „ტოიოტასგან“

კომპანია „ტოიოტამ“ გადაწყვიტა, კონკურენტებს ახალი მეთოდებით შეებრძოლოს. მან სერიულ წარმოებაში შარშან წარმოდგენილი კონცეპტუალური მოდელი ჩაუშვა. კონცეპტუალური (საჩვენებელი) ავტომობილი ძირითადად გამოფენებისთვის მზადდება და მასში ავტოფირმის მიღწევებია ხოლმე ნაჩვენები. ასეთ მოდელს ფართო რეკლამა უკეთდება და საზოგადოების დიდ ინტერესსაც იწვევს, თუმცა, საკმაოდ ძვირი ჯდება. იაპონელებმა ამჯერად ხერხი იხმარეს და გამოფენაზე წარმოდგენილი კონცეპტუალური მოდელისგან მხოლოდ გარეგნული ფორმა და ინტერიერი გადმოიღეს. სხვა დანარჩენი კი სერიული წარმოებისთვის შესაფერისი იქნება, რათა მოდელის თვითღირებულებამ მის გასაყიდ ფასზე არ იმოქმედოს. იაპონელი მენეჯერების განცხადებით, ახალი ავტომობილი მისწრებაა მოგზაურობის მოყვარულთათვის და მათთვისაც, ვისაც ოჯახური იდილია მოსწონს. თუ მოდელის სპორტულ, აგრესიულ იერსაც გავითვალისწინებთ (რაც ბოლო პერიოდში ძალიან მოდური გახდა), ავტომობილზე არც ახალგაზრდები იტყვიან უარს. ამგვარად, „ტოიოტა“ ახალი უნივერსალით ერთბაშად მსოფლიო ავტობაზრის რამდენიმე სეგმენტს მოინადირებს. Toyota Caldina 2 ლ. მოცულობის ბენზინის ძრავათი იქნება აღჭურვილი, რომელიც 4-საფეხურიანი, ნახევრად ავტომატური გადაცემათა კოლოფით იმუშავებს. იაპონელები წელიწადში 4000 ავტომობილის გაყიდვას გეგმავენ.

„შევროლე-ნივა“ — რუსეთის დარგობრივი პოლიტიკის ფუარორი

რუსული ავტოწარმოების კრიზისის შესახებ უკვე არაერთხელ ვწერდით. აღვნიშნავდით რუსეთის ხელისუფლების გონივრულ პოლიტიკასაც. გასულ კვირას კი საზოგადოება სწორედ ამ გონივრული პოლიტიკის შედეგს გაეცნო — ერთობლივი, რუსულ-ამერიკული ავტონაწარმის სახით. „შევროლე-ნივა“ სააქციო საზოგადოება „ავტოვაზის“ კონვეიერიდან ჩამოვიდა. რასაკვირველია რუსული ავტომშენებლობის გამოცდილებასთან და წარმოების ბაზასთან ქართულის შედარებაც არ შეიძლება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბევრ რამეში ქართველი ავტომშენებლები რუს კოლეგებს არ ჩამოუვარდებიან — გნებავთ, დიზაინის და გნებავთ, კონსტრუქციის, ან სავალი ნაწილის განხრით. უფრო მეტიც, ახალგაზრდა ქართველი დიზაინერის, ზვიად ციკოლიას პროექტებმა არაერთ მსოფლიო კონკურსში გაიმარჯვა. მიუხედავად ამისა, „კვირის პალიტრის“ მკითხველს ემახსოვრება, რომ ჩვენ მიერ გამოთქმული ინიციატივის შემდეგ იგი მზად იყო, მსოფლიოს გიგანტი ავტომშენებლების მრავალ საინტერესო წინადადებაზეც ეთქვა უარი და თუნდაც მიზერული დაფინანსების შემთხვევაში, ქართულ ავტომობილზე ემუშავა. ანალოგიური ვითარება იყო სავალ ნაწილთან და ძრავასთან დაკავშირებითაც, მაგრამ სამწუხაროდ, ქართველ ავტომშენებელ საწარმოსთან საქმე ლაპარაკს იქით არ წასულა — ქუთაისის ავტოქარხანა ჯერაც ინდოეთში ნაყიდ ჯიპებს დაატარებს აქეთ-იქით და ადგილობრივ წარმოებაზე არ ან ვერ ფიქრობს. ამასობაში კი რუსეთის ავტოწარმოება ხელახლა შენდება — „ჯენერალ-მოტორსის“, „ავტოვაზის“ და „რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის“ ფინანსებით ტოლიატის ფაქტობრივად ახლად აშენებულ ქარხანაში ახალი „ნივის“ წარმოებაზე 1200 ადამიანი დასაქმდება. წლის განმავლობაში დაახლოებით 35 ათასი ავტომობილის გამოშვებაა ნავარაუდები. „ნივის“ წინა თაობის პოპულარობიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, „შევროლე-ნივა“ კავკასიის ბაზრის სეგმენტსაც დაიპყრობს და მერე ქართველ ავტომშენებლებს მართლაც აღარაფერი დარჩებათ გასაკეთებელი, ინდური „მაჰინტრებით“ სეირნობის გარდა. თუმცა, საყვედური მხოლოდ ქართველ მწარმოებლებს არ ეკუთვნით. ისევე როგორც სხვა სფეროებში, ქართული საგადასახადო სისტემა ავტომშენებლობაშიც ისეა მოწყობილი, რომ მანქანის შემოტანა ბევრად უფრო იაფი ჯდება, ვიდრე მისი ადგილზე წარმოება, რუსეთში კი როგორც გასულ ნომრებში აღვნიშნავდით, პირიქით მოხდა და შედეგმაც არ დააყოვნა...

ახალი „ბენთლი“... „ფოლკსვაგენისგან“

პარიზის ავტოსალონის მორიგ სიურპრიზად „ბენთლის“ ახალი მოდელი იქცა, რომელიც საზოგადოებას კორპორაცია „ფოლკსვაგენმა“ შესთავაზა. როგორც „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის არის ცნობილი, ბრიტანეთის სამაყე „როლს-როისი“ თავისი შვილობილ „ბენთლისთან“ ერთად გერმანული სერიული ავტოწარმოების გიგანტებმა, BMW-მ და „ფოლკსვაგენმა“ გაიანაწილეს. ამ უკანასკნელს „ბენთლის“ მარკა და საწარმოო ბაზა ერგო, თუმცა, საეჭვოა, პრაქტიკულმა გერმანელებმა ხელით ასაწყობი ლეგენდარული საამქრო როდესმე გამოიყენონ. ავტოსალონზე წარმოდგენილი „ბენთლი GT“ გარეგნულადაც ბრწყინავს და მრავალი ელექტრონული მიღწევებითაც არის „გამოტენილი“, მაგრამ აკლია ის, რაშიც „როლს-როისის“ და „ბენთლის“ მილიონერი ფანები უამრავ ფულს იხდიდნენ — ექსკლუზიური წარმოება. ახალი „ბენთლი“ „ფოლკსვაგენ ფაეტონის“ ბაზაზეა აწყობილი.

BMW-ს დიზაინერები დიდ რისკზე წავიდნენ. მათ მიერ შექმნილი ახალი მოდელი დიამეტრულად განსხვავდება BMW-ს მარკის ყველა მოდელისგან, რაც კი ბავარიელებს ამ ფირმის არსებობის მანძილზე გამოუშვიათ. თუმცა, მეორეს მხრივ, როგორც ჩანს, ბავარიელმა კონსტრუქტორებმა კრიტიკოსებსაც მოუსმინეს. თუ Z4 ის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორც ჩანს, ამიერიდან ყველა BMW ერთმანეთის მსგავსი აღარ იქნება. ახალი მოდელი უფრო კლასიკურ ბრიტანულ სპორტულ სტილს ესადაგება. აღჭურვილობისა და კომფორტულობის გამო Z4 თავის პოპულარულ წინამორბედზე, Z3-ზე გაცილებით ძვირი იქნება. იგი ისეთ პრესტიჟულ კაბრიოლეტებს და კუპეებს გაუწევს კონკურენციას, როგორიც Mercedes SLK, Audi TT, Honda S2000-ია. ჯერჯერობით, მოდელი სერიულ წარმოებაში უკვე ადაპტირებული, 2,5 და 3 ლ მოცულობის ძრავებით აღიჭურვება, კონკრეტული ფასის გამხელისგან კი ბავარიელები თავს იკავებენ.

Suzuki „მინი-როვერის“ და „ფოლკსვაგენ-ხოჭოს“ წინააღმდეგ

პარიზის ავტოსალონზე თავი ცნობილმა იაპონურმა ავტოკორპორაციამ, Suzuki-მაც გამოიჩინა. მის მიერ წარმოდგენილმა პაწაწინა კონცეპტმობილმა მნახველის დიდი მოწონება დაიმსახურა. მიუხედავად „მოკრძალებული“ გარეგნობისა, პაწაწინა „სუძუკი“ არცთუ ხელწამოსაკრავია — იგი 1,6 ლ მოცულობის ძრავათი არის აღჭურვილი და საკმაოდ სწრაფიც არის, მისი სპიდომეტრის მაქსიმალური ზღვარი 200კმ.სთ-ია. ავტოსალონზე „სუძუკის“ მენეჯერებს სხვა დეტალები არ გაუხმაურებიათ, მაგრამ თუ ავტომობილის პოპულარობით ვიმსჯელებთ, მას სერიულ წარმოებაში უკვე მომავალ წელს ჩაუშვებენ. იაპონელი ავტომშენებლები უკვე აქედანვე აცხადებენ, რომ ახალ მოდელს პოპულარული ევროპული მოდელების — „მინის“ და „ბენთლის“ კონკურენტად მოიაზრებენ.

გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა

პირველი ფრაზა მთვარეზე...

ამერიკელებმა, ენისა და წეს-ჩვეულებების გარდა, ინგლისელებისგან იუმორიც გადაიღეს.

როცა ამერიკელმა ასტრონავტმა, დედამიწის პირველმა ადამიანმა ნილ არმსტრონგმა მთვარეზე ფეხი დაადგა, ღიმილით წარმოთქვა უცნაური ფრაზა: „წარმატებას გისურვებთ, მისტერ გორსკი!“

ჟურნალისტები დიდხანს ცდილობდნენ გაერკვიათ, რა იგულისხმა ასტრონავტმა, მაგრამ არმსტრონგი პასუხს ყოველთვის თავს არიდებდა. მხოლოდ ცოტა ხნის წინ აეხადა ფარდა მთვარეზე დედამიწელის მიერ ნათქვამ პირველ ფრაზას.

თურმე, დიდი ხნის წინ, როცა ნილი პატარა ბიჭი იყო და თავისი სახლის წინ, მდელოზე დარბოდა, მეზობლის ფანჯრიდან მოესმა მისის გორსკის ხმა, რომელიც ქმარს უყვიროდა: „განსხვავებულ სექსს ჩემგან მხოლოდ მაშინ ეღირსები, როცა ის პატარა მეზობლის ბიჭუნა მთვარეზე ირბენსო!“

ნიუზუიქი

ქანდაკებას გაჰყვა ცოლად...

21 წლის ქალიშვილმა პრემლატამ ერთ-ერთი ცერემონიის დროს სხვა თვალით შეხედა ღვთაება კრიშნას ქანდაკებას და თავდავიწყებით შეუყვარდა. მშობლებმა, მისი თხოვნით, ჩამოასხმევინეს ღმერთის ერთმეტრიანი ფიგურა, მაგრამ პრემლატა გაჭირვეულდა, სრულწლოვანი მამაკაცის სიმაღლის ქანდაკება მოინდომა და გამოაცხადა — მას უნდა გავყვე ცოლადო.

დედ-მამამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მაგრამ ქალიშვილი თავისას არ იშლიდა. ბოლოს, ოჯახი დაყაბულდა პრემლატას. გადაიხადეს დიდი ქორწილი ყველა წესის დაცვით. ცერემონიალი 5 საათი გაგრძელდა.

სოფი ნიუსი

ხაფანგი მანქანის გამტაცებლისათვის

აშშ-ის დამნაშავეთა სამყაროში ტიმ სტოუნი აღიარებულია მანქანების გატაცების უდიდეს სპეციალისტად და „ოქროს ხელების“ მეტსახელიც დაიმსახურა.

ერთხელ ტომს შეუკვეთეს დიდებული „ასტონ მარტინის“ მარკის მანქანის მოპარვა, რომელიც 200 ათას დოლარზე მეტი ღირს. ტომი მანქანის საძებნელად მაიამიში გაემგზავრა, სადაც ზაფხულობით მდიდრები იყრიდნენ თავს. მეორე დღესვე აღმოაჩინა სანუკვარი „ასტონ მარტინი“ ერთ-ერთი სასტუმროს ავტოსადგომზე.

რა თქმა უნდა, ტომს მანქანის შეუმჩნევლად გატაცება არ გასჭირვებია და დილაუთენია წინასწარ შერჩეული ადგილისკენ გააქანა, სადაც აპირებდა ნომრების გამოცვლას. მანქანა მყუდრო ადგილას „მიაყუჩა“ და გადმოსვლა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო — მანქანის არც ერთი კარი არ იღებოდა. ტომს ოქროს ხელები ამჟამად ვერ გამოადგა... რა არ სცადა, მაგრამ ვერსად მიაგნო კარის გასაღებ საიდუმლო ღილაკს. გაირკვა, რომ კარი იბლოკებოდა, თუკი ჩაჯდომის წინ სისტემას არ გამორთავდი.

დაღონებული ტომი მანამ იჯდა მანქანაში, ვიდრე პოლიციის პატრულმა არ მიაკითხა.

„ასტონ მარტინი“ გამტაცებელთან ერთად პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს.

ინტერპოლ-ექსპრესი №35

პრინცი ჩარლზი რომ შავკანიანი იყოს...

პრინცი ჩარლზი თავის ახალ „იმიჯს“ რუს მხატვარ ქალს, ალა ტკაჩუკს უნდა უმადლოდეს. მხატვარმა პრინცის ხუთი უჩვეულო პორტრეტი შექმნა, რომლებითაც მას თურმე დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის „დინამიზმისა და პროგრესული შეხედულებების“ გამოხატვა სურდა.

ისეთ ადამიანებს, როგორიც პრინცი ჩარლზია, კანის ფერის შეცვლა რომ შეეძლოთ, რასობრივი დაპირისპირებები აღარ იარსებებდა, — ამბობს ტკაჩუკი.

ერთ-ერთ პორტრეტზე ტახტის მემკვიდრეს შავი სათვალეც უკეთია, რაც, მხატვრის თქმით, პრინცის საკუთარ თავში ჩაღრმავების მიმანიშნებელია.

ეხო პლანეტი №38

ბექჰემი ყველაზე მდიდარი მწერალი გახდა

ცნობილ ინგლისელ ფეხბურთელს დევიდ ბექჰემს გამომცემლობამ 3 მლნ გირვანქა სტერლინგი გადაუხადა მისი ბიოგრაფიის გამოქვეყნების უფლებაში. ასეთი დიდი თანხა ბიოგრაფიულ წიგნში ჯერ არ აუღია არც ერთ სპორტულ ვარსკვლავს, თუმცა, ისეთი რა უნდა თქვას კიდევ ბექჰემმა, რაც არავინ იცის. ფეხბურთელის წლიურმა შემოსავალმა 10 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწია. ამხელა შემოსავალი მსოფლიოს არც ერთ ფეხბურთელს არა აქვს, თვით მსოფლიო თასის მფლობელ რონალდოსაც კი.

ცხადია, თავის ბიოგრაფიას თვითონ დევიდი არ დაწერს, ის არ გამოირჩევა ინტელექტით და ძლივს პოულობს სიტყვებს ინტერვიუსათვის. ამ საქმეს სოლიდური თანხის ხათრით ხელს მოჰკიდებს კარგი ჟურნალისტი.

ბექჰემი შეჰპირდა გამომცემელს, რომ ისეთ რამეს მოჰყვება, რაც ჯერ არავინ იცის. შესაძლოა, ეს ეხება მსოფლიო თასის ზოგიერთ დეტალს. გარდა ამისა, დევიდი თანახმაა მკითხველს პირადი ცხოვრების წვრილმანებიც გაუმხილოს.

ყოველწლიურად ბექჰემი 3 მილიონ გირვანქა სტერლინგს იღებს ფირმა „ადიდასისაგან“, რადგან მისი საფირმო ბუცები აცვია. გარკვეულ თანხას უხდის მამაკაცის კრემების გამომშვები კოსმეტიკური კომპანიაც. მას აგრეთვე კონტრაქტი აქვს დადებული „პეპსისთან“ და მზის სათვალის მწარმოებელ ფირმასთან...

გარდიანი

კაცობრიობას გონს მოეგო

თანამედროვე მეცნიერთა აზრით, კაცობრიობას აღარ შეაწუხებს ოზონის პრობლემა. მალე საერთოდ აღარ იარსებებს ოზონის ხვრელები. ასე მაგ. ანტარქტიდის თავზე არსებული ოზონის ფენა 50 წლის მანძილზე შეივსება, იმიტომ რომ იკლებს ატმოსფეროში დამანგრეველ ნივთიერებათა დონე. მსოფლიოში ატმოსფეროს ერთ-ერთი წამყვანი მკვლევარი პოლ ფრეიზერი 2000 წლიდან ზომავს ოზონის მშთანთქავი გაზების დონეს. მაშინ ოზონის ფენის რღვევამ პიკს მიაწია, მაგრამ ახლა რღვევის ტემპებმა ერთობ ინტენსიურად იკლო. „ალბათ, კაცობრიობა გონს მოეგო“ — ფიქრობს მეცნიერი.

ოგონიოკი №38

გრძელვადიანი მხედარი

ფრანგი მზარეული მიშელ დომა უკვე მეორე წელია, რაც უნაგირიდან არ ჩამოსულა. განზრახული აქვს ცხენით შემოუაროს საფრანგეთს, კერძოდ, კი ქვეყნის საზღვრებს. მიშელმა გადაწყვიტა შორეული საცხენოსნო ექსკურსიების მოყვარულთა ცნობარის გამოცემა. მოგზაურობის დასრულების შემდეგ კი წიგნსაც დასტამბავს და ფოტოგამოფენასაც მოაწყობს.

მოგზაურობისთვის 10 წელიწადს ემზადებოდა — ამ ხნის მანძილზე ცხენზე ჯდომა აითვისა და ვეტერინალური საქმეც შეისწავლა.

ანდალუზიური ცხენით მიშელ დომა დღეში 30 კმ-ს გადის. მარშრუტი 730 ეტაპად აქვს დაყოფილი. მეორე ცხენს, სახელად აქსის ბარგი მიაქვს. მოგზაური ვოიაჟს მომავალ ზაფხულს დაასრულებს. სამი წლის მანძილზე იგი სულ 18 000კმ-ს გაივლის.

ექსპრეს-გაზეტა

როგორ გავმდიდრდეთ მაკულატურით

...ამის საიდუმლო ჩინელმა გაზეთების გამყიდველმა იცის.

ლიუ დაბაო ძველი გაზეთებით ვაჭრობს. მის კოლექციაში კომუნისტური გაზეთების ყველა ნომერია. მათ, ძირითადად, დაბადების დღისათვის საჩუქრად ყიდულობენ. მართლაც უჩვეულო საჩუქარია — როცა იუბილარს ისტორიის გაყვითლებულ ფურცლებს მიართმევ და ზედ თარიღად მისი ამქვეყნად მოვლინების წელი და რიცხვიც არის. მაგრამ უნდა გაგიმართლოს კიდეც, ძნელად საშოვნელი საჩუქარია — თითოეული გაზეთი მხოლოდ ერთი ეგზემპლარია. გაზეთი 68 იუანი (8,2 დოლარი) ღირს, მაგრამ შეიძლება მეტადაც გაიყიდოს — გააჩნია თარიღი რამდენად მნიშვნელოვანია.

ლიუ დაბაო ისტორიული მაკულატურით სულ ცოტა ხანია, რაც ვაჭრობს. გაზეთების ეგზემპლარები რაიონულ ბიბლიოთეკაში იყიდა, სამაგიეროდ, მას ყველა ნომრის კომპიუტერული ასლი გაუკეთა.

ვოკრუგ სვეტა №38

განძი ჯუნგლებში

კამბოჯელმა არქეოლოგებმა 27 ოქროს, 3 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს ბუდას ქანდაკება აღმოაჩინეს უძველესი პორ პეიჩის რესტავრაციის დროს. იგი 100 კმ-ით არის დაშორებული პნომპენიიდან. თითოეული პატარა ბუდა 20 სმ-ია და დაახლოებით ნახევარ კგ-ს იწონის. დამზადებულია რამდენიმე საუკუნის წინ. თავდაპირველად იფიქრეს, ალბათ ეს პაწია ბუდები გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მიწაში ჩაფლეს ბერებმა, რომლებიც ცდილობდნენ, „წითელი ქჰმერების“ ხელყოფისგან გადაერჩინათ ეს რელიკვიებიო. მაგრამ ცოტა ხნის წინ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ფიგურები მიწაში იყო დაახლოებით 300 წლის მანძილზე.

ხელისუფლებას უნდოდა ქანდაკებები უახლოეს ქალაქში გადაეტანა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის შემდეგ, იქვე დატოვეს და მცველად პოლიცია დაუყენეს.

იტოგი №36

იშვიათი მტაცებელი

აშშ-ის წყლებში აღმოაჩინეს ორი სახის ახალი გამძვინვარებული მტაცებელი, რომელიც დიდ საშიშროებას უქმნის ბუნებას და ადამიანს.

ერთი გახლავთ ჩრდილოეთის გველთევზა, რომელსაც აქვს ზვიგენივით ბასრი კბილები, სიგრძით ერთ მეტრს აღწევს და შეუძლია შეჭამოს არა მარტო ყველაფერი, რაც წყალშია, არამედ სანაპიროს ფაუნაც. ის მშვენივრად გრძნობს თავს წყალშიც და ხმელეთზეც — მაგარ ფარფლებს თათებივით იყენებს.

ამ იშვიათმა მტაცებელმა დიდი აურზაური გამოიწვია ფლორიდის სანაპიროზე.

მეორეა ლომთევზა, რომლის ფერადი ფარფლები მომაკვდინებელი შხამითაა გაჟღენთილი და ელვისებურად კლავს ყველას, ვინც მის ეკლიან ზურგს შემთხვევით შეეხება.

ფლორიდის საზღვაო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერები მხოლოდ ხელებს შლიან. ვერაფრით გაუგიათ, როგორ და რა გზით მოხვდა ამერიკის სანაპიროზე ამ იშვიათ მკვლელთა ჯოგი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის წყლებში 80 ფუტის სიღრმეზე ბინადრობს.

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ისინი ადამიანის დახმარების გარეშე ვერ შემოვიდოდნენ და რაც მთავარია, ამ შხამიანი არსებებისგან თავს ვერანაირად ვერ დაიცავ. თუ გველთევზების დაჭერა ან განადგურება შეიძლება ქიმიის დახმარებით, ლომთევზას ოკეანის ყურეებში ამ მეთოდით ვერ მოსპობ.

მეგაპოლის-ექსპრესი №31

ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“

შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ნაპოლეონ ბონაპარტის სიტყვებს ამოიკითხავთ.

დ	ა	ი	ს	ვ	ე	ნ	ე	თ	პ	ა	ლ	ი	ტ	რ	ა	ს	თ	ა	ნ	ე	რ	თ	ა	დ
ო	გ	გ	ი	ე	ე	ა		ო	ტ	ც		რ	ა	ნ	ი	ლ	ი	ა	ქ		ტ	ე	ა	ო

დ. ძველებური ოქროს ფული ესპანეთსა და საფრანგეთში; **ა.** ყაჩაღის სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **ი.** იტალიელი ფეხბურთელი; **ს.** „აივენჰოსა“ და „რობ როის“ ავტორი; **ვ.** ფრანგი მწერლისა და ფილოსოფოსის, მარი ფრანსუა არუეს ფსევდონიმი; **ე.** თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები, რაც მიღებულია რომელიმე საზოგადოებაში; **ნ.** ყავის მწარმოებელი ფირმა; **ე.** ატმოსფერული მოვლენა; **თ.** თავის ქალას ზედა ნაწილი; **პ.** იუდეის რომაელი გამგებელი, რომლის დროსაც იესო ჯვარზე აცვეს; **ა.** ტექსტის ნაწილი, რომელიც ოდნავ შეწეულია; **ლ.** ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული; **ი.** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **ტ.** ბალახით დაფარული ვრცელი ვაკე ადგილი; **რ.** რისამე გრაგნილი; **ა.** ნახევარკუნძული, რომელზეც მდებარეობს იტალია; **ს.** წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომსა და საბერძნეთში; **თ.** თავსხმა წვიმა; **ა.** ადამიანის მთავარი არტერია; **ნ.** რა ერქვა ლენინის ცოლს; **ე.** რა ერქვა დათა თუთაშხიას დას; **რ.** მაროკოს დედაქალაქი; **თ.** ქართველი მხატვარი, რომლის სახელობის სასწავლებელია თბილისში გახსნილი; **ა.** ტროპიკული ხილი; **დ.** ავსტრალიური ველური ძაღლი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

დ. დიდრო; **ა.** ალაფი; **ი.** იუნგა; **ს.** სეინერი; **ვ.** ვაიმარი; **ე.** ექსცესი; **ნ.** ნობელი; **ე.** ერუდიტი; **თ.** თედო; **პ.** პეიზაჟი; **ა.** ალდაგი; **ლ.** ლიახვი; **ი.** იანუსი; **ტ.** ტრაპი; **რ.** რაფაელი; **ა.** აგრესია; **ს.** სუეცი; **თ.** თუნგი; **ა.** ალიკაპი; **ნ.** ნილოსი; **ე.** ემისია; **რ.** რაგბი; **თ.** თხემი. **ა.** აზდაკი; **დ.** დუიმი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: დანიის ბუდიდან აფრენილი გედი.

მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

№39 (313) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგის თემას — „სიმპათიური ტელესახე" — 608 მკითხველი გამოეხმაურა. 4 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 256-მა ქალმა და 348 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელია ყველაზე სიმპათიური ტელეწამყვანი?"**

როგორც ვხედავთ, დუტა ჩვენი რეიტინგების უცვლელი ფავორიტია — აგერ, უკვე ორი წელია, რაც ყველაზე სიმპათიურთა, ყველაზე პოპულარულთა რეიტინგებში პირველობას არავის უთმობს — **6,63** საშუალო ქულით „ვის უნდა ოცი ათასის" უცვლელი მომხიბლავი წამყვანი დღევანდელ რეიტინგშიც პირველ ადგილზეა. რესპონდენტთა 32-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით. მინიმალური ქულა მხოლოდ ოთხმა მკითხველმა (0,7) მიაკუთვნა.

შემდეგ ადგილზე ნინელი ჭანკვეტაძეა, საშუალო ქულაა 6,33. მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით (33) ამ ქალბატონმა მცირედი განსხვავებით უკან ჩამოიტოვა დუტა.

ეკა ბერიძე მესამე ადგილზეა, საშუალო ქულაა 5,70. მას და ნინელი ჭანკვეტაძეს კი საერთო ის აქვთ, რომ მკითხველთა ზუსტად ერთნაირმა რაოდენობამ — (1,3) შეაფასა მინიმალური — 1 ქულით.

ჩვენი მკითხველების აზრით, ეკა ხოფერია და „მხიარული კარუსელის" მხიარული წამყვანი — გოგიჩაც საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურებიან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათთვის მიკუთვნებულ მაქსიმალურ ქულებს მინიმალური ქულები სჭარბობენ.

„იმღერე რამეს" არაორდინარული წამყვანი რეიტინგში ჯერჯერობით ბოლო ადგილზეა.

ჩვენს ახალგაზრდა მკითხველებთან სიმპათიურ ტელეწამყვანთა პირველი სამეული ასე გამოიყურება — 1. დუტა, 2. ეკა ხოფერია; 3. ნინელი ჭანკვეტაძე. 30-50 წლის რესპონდენტები კი ნუგზარ რუხაძესთან შედარებით დიმა ობოლაძეს ანიჭებენ უპირატესობას.

სიმპათიური ტელესახე



საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 40 წლის თბილისელი **ავთანდილ შიხიაშვილია.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 9 ოქტომბერს, 17 საათზე.

№40 (314) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„**კვირის პალიტრა**" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „**კვირის პალიტრის**" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში*

№40 (314) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 9 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 10 ოქტომბრის 13 საათამდე.

© თბილისი

თემა №40 (314) — შთამბეჭდავი ხმა

ვის მიანიჭებდით XX საუკუნის ყველაზე „შთამბეჭდავი ხმის" ტიტულს (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№40(314) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

№		ქულა
1	ეროსი მანჯგალაძე	
2	გურამ სალარაძე	
3	ირაკლი უჩანეიშვილი	
4	რამაზ ჩხიკვაძე	
5	კოტე მახარაძე	
6	აკაკი ხორავა	
7	დავით სოკოლოვი	
8	ნუგზარ ჯუღელი	

მკითხველის რეიტინგი

დაასახელეთ ყველაზე პროდასავლური ორიენტაციის ქართველი პოლიტიკოსი

✓ ______________________

ყველაზე პრორუსული ორიენტაციის ქართველი პოლიტიკოსი

✓ ______________________

მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

მკითხველის რეიტინგის შედეგები

სექტემბრის თვის ადამიანი საქართველოში

1.	ედუარდ შევარდნაძე	14 %
2.	კობა ნარჩემაშვილი	13 %
3.	ნინო ბურჯანაძე	9 %
4.	ელდარ კურტანიძე	6 %
5.	მიხეილ სააკაშვილი	5%
6-7.	ვახტანგ ბოჭორიშვილი	3 %
6-7.	ზურაბ ჟვანია	3 %
8-12.	დათო ოძელაშვილი	2 %
8-12.	ნინელი ჭანკვეტაძე	2 %
8-12.	ირაკლი მენაღარიშვილი	2 %
8-12.	გიორგი კანდელაკი	2 %
8-12.	ვლადიმირ პუტინი	2 %

რესპონდენტთა 8%-ს გაუჭირდა სექტემბრის თვის ადამიანის დასახელება; 2%-ის აზრით კი, ამ ტიტულს არავინ იმსახურებს.

მკითხველის რეიტინგში 386-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.

მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. მარინა ბაბუნაშვილი — „ჟან გაბენი: — ეს რა გენიოსი გყოლიათ" — 125 ხმა
2. ზურაბ მჭედლიშვილი — „შვილო, ბუბა, როგორ არის „შენი" რუსეთი..." — 101
3. ვენერა რურუა — „გაგრა — ჩვენი დაკარგული სამოთხე" — 63
4. ვაჟა გაგაშელი — „გრიცკოს „ფერადი" ოცნება" — 62
5. ზვიად ჩაკვეტაძე — „კურორტებით მოხიბლული უცხოელი ინვესტორები ქართველების მადამ გააქცია" — 25

თქვენი პრემია — 50 ლარი გადაეცემა ჟურნალისტ **მარინა ბაბუნაშვილს.**

„მკითხველის პრემიის" მფლობელი 484-მა რესპონდენტმა გამოავლინა.

ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი ©

პოპულარული ადამიანების ბავშვობის ფოტოებით უნდა ამოიცნოთ ისინი და უპასუხოთ კითხვას — „აბა, ვინ ვარ ახლა მე?" თუ ძველ ალბომებში თქვენც მოგეპოვებათ ცნობილი პიროვნებების ბავშვობის დროინდელი „ფოტოანტიკვარები", გამოუგზავნეთ თქვენი საყვარელი გაზეთის რედაქციას.

აჩიკო მეფარიძე

„ფოტოანტიკვარის" რესპონდენტებმა, თანახმად ჩვენი მინიშნებისა, შოუბიზნესში ეძებეს, ეძებეს და... მათგან მხოლოდ 34%-მა იპოვა ეს პატარა ბიჭუნა — ცნობილი მომღერალი აჩიკო მეფარიძე.

მონაწილეთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა კი ამ ფოტოში „ამოიცნო": თემურ წიკლაური, მერაბ სეფაშვილი, დუტა სხირტლაძე, მამულიჩა, უცნობი, მამუკა ონაშვილი...

და რაოდენ გასაოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, მიუხედავად მინიშნებისა, რამდენიმე მკითხველმა განაცხადა, რომ ეს კობა დავითაშვილის, ლევან გაჩეჩილაძისა და ბიძინა ივანიშვილის ბავშვობის ფოტოებიაო.

ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი

აბა, ვინ ვარ ახლა მე?

____

– ძალიან, ძალიან თქვენიანი ვარ... ახტაჯანა რომ ვიყავი, ხომ მეტყობა? ახლა ძალიან დაბრძენებული და ცოტა არ იყოს «დამძიმებულიც» გახლავართ...

ფოტო განწყობისთვის



— ვეძებ სამუშაოს! მაგარი „კომპიუტეროშნიკი" ვარ!..

წინა კროსვორდის პასუხები

გ ო გ ი
ი რ ი ს ი
ა ბ რ ა
ი ო ნ ი
ნ ი კ ე ქ ო ვ ი
ქ ი ი ე რ ი პ ო
ს ბ ო ს ტ ო ნ ი
ხ ე ლ ფ ა ს ი ლ ი
ტ ი ნ ი რ ე
ა ლ ფ ა ბ ე
ს ი ა ს ა პ ო ნ ი
ა ვ ა რ ა ლ ი ე
ა ნ ა ნ ა ს ი ა
მ თ ა ო ი კ ი ვ
ა რ გ ო
ე ი ო
ი ა



13/X პირველი მეოთხედი

მაგნიტური დღე:
10/X — 10-დან 17 სთ-მდე

წმინდა ჟერარი

ჟერარ დეპარდიე პროფესიას იცვლის. რომის პაპის იოანე პავლე II-ის თხოვნით, ნოემბრის ბოლოს ცნობილი ფრანგი მსახიობი მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის მოედნებზე წაიკითხავს წმინდა ავგუსტინეს ნაწარმოებებს. დეპარდიემ განაცხადა, რომ ეს იდეა 2 წლის წინ დაიბადა მისი და პონტიფიკის შეხვედრის დროს: „დამინახა თუ არა რომის პაპმა, მაშინვე განაცხადა, რომ აუცილებლად მე უნდა წავიკითხო წმინდა ავგუსტინეს ტექსტები. მას მიაჩნია, რომ ძალიან ვგავარ ამ წმინდანს". მსახიობს იმედი აქვს, რომ აქციას უფრო მეტი დატვირთვა ექნება, ვიდრე უბრალო წარმოდგენას. ის მორწმუნეთა სულიერ გამდიდრებას შეუწყობს ხელს. თავად დეპარდიესათვის ყველაფერი ეს თავისებური რეპეტიცია იქნება, ვინაიდან ის ოცნებობს შექმნას ფილმი ამ წმინდანის შესახებ.

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

ამერიკული კროსვორდი (ასოციაცია)

ამერიკულ კროსვორდში ამოცნობილი სიტყვა უნდა ჩაწეროთ ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად კითხვების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. თუ ერთ რიგსა ან სვეტში რამდენიმე კითხვაა (ამ შემთხვევაში ასოციაციური წყვილი), მაშინ რაოდენობის პასუხი ჩაიწერება მათთვის განკუთვნილ უჯრათა ერთობლიობაში ასოციაციური წყვილის რიგითობის მიხედვით.

Vertical clues (column headers):

- დარდი, ნაღველი
- ჩვილი, ნეკზე კბენა
- ინდოელი, სპორტული ნავი
- ევრო, წარსული; ხმოვანი, კომისარი
- ტეკილა, კაქტუსი; ბუნება, ხასიათი
- ჩუდო, ლეონის ჭურჭელი; ლითონის ქუდი, ჩოგბურთი; იტალია, ტელევიზია
- ნუქუთი, ასტრონომი; ძროხა, ბარკლი
- უარი, იოთიყუში; ცეკვა, მსახიობი
- რასისტი, „ბრმის სამართალი"
- ვოვეგნი, კენთული; მერსალი, ცოცხა
- ჩიტი, ფალობა

Horizontal clues (rows):

- პოკერი, ნაპოლეონი
- ბრეჟნევის ქალიშვილი, ილუზიონისტი
- უშიშროების კომიტეტი, ფილე
- ადამიანი, შარავანდედი
- ბულგარელთა ოჯახი, 197 სახეობა
- ნახატი, მოცულობის მქონე ფიგურები; მილანი, ფეხბურთელი
- მიდამო, თვალთახედვა; მსხალი, ენდემი
- იტალია, ავტომობილი
- ნეკნი, ქალი; გაზაფხული, ყვავილი
- კუბა, თამბაქო
- ცეკვა, სიმღერა; ისტორია, მუზა
- „წითელი და შავი", ანრი ბეილი
- ნაბოკოვის „ლოლიტა", მსახიობი
- შეუმშრალი რძე, დოქის ნაწილი
- აფროდიტე, ღვთაებრივი ეპითეტი
- მოტოციკლეტი, ასპარეზობა
- ქუთაისი, ლუდი



შეადგინა რამაზ ალანიამ

„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიღუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:ირაკლი აბაშიძის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ-თ „საქართველოსთან"; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიდუბეში, „სამი ქიმის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვაშლიჯვრის დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მ/რ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე — არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ჟინვალსა და დუშეთში — თვის III კვირის ოთხშაბათს.

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).
„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

(40) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________________________________
____
____
____
____
____
____

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№40 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 10 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.



* * *

მამალი მუსიკალურ სკოლაში აბარებს.
— რად გინდა სიმღერის სწავლა? — ეკითხება ბულბული. — ისედაც შესანიშნავად მღერი.
— ეგრეა! მაგრამ, სხვა გზა არ მაქვს! დედლები დიპლომს მთხოვენ...

* * *

ამერიკელი, გერმანელი და ქართველი შეკამათდნენ იმაზე, თუ რა არის ბედნიერება:

ამერიკელი:
— ბედნიერებაა — როცა უამრავი ფული და საკუთარი ფირმა გაქვს, თანაც უმშვენიერესი ცოლი გყავს.

გერმანელი:
— ბედნიერებაა — როცა სამსახურში და შინ ყველაფერი რიგზე არის, ბავშვები კარგად სწავლობენ და ყოველ წელს შვებულება გაქვს.

ქართველი:
— არაფერი თქვენ არ გესმით! ბედნიერებაა, როცა საკუთარ აგარაკზე ისვენებ... უეცრად შენი სახლის წინ ჩერდება პოლიციის მანქანა, იქიდან გადმოხტებიან ნიღბიანი კაცები, სახით მიწას გაკრავენ, ხელ-ფეხს გიკრავენ, იარაღის ტარს თავში გირტყამენ და გეკითხებიან: — ეს წერეთლის 8 ნომერია? და შენ კი, შვებით პასუხობ: — არა, ეს წერეთლის 6-ია!..

ფირმა „ბერმუხა"
ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი მუმლაძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: ... №8
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32, 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა" ©
გამოდის ორშაბათობით